240/2
1954 18-13

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
მ ო ა მ ბ ე

ВЕСТНИК
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
им. акад. С. Н. Джанашиа

XVIII-Б

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა
Издательство Академии Наук Грузинской ССР
თბილისი — 1954 — ТБИЛИСИ

83

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(47.93)06
ბ-32

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
მოამბე

ВЕСТНИК
Государственного музея Грузии
им. акад. С. Н. Джанашиа

XIX-B

7135

Инст. истории партии при ЦК КП Грузии
БИБЛИОТЕКА
Инст. Маркса-Энгельса-Ленина при ЦК КПСС

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი—1956—ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. დ. ჟორიძე. გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი) 5
Д. Корилзе. Позднебронзовые археологические памятники из Тбилиси (Навтлуги) 88
2. ნ. რეხვიაშვილი. ქართული სამეურნეო იარაღი 91
Н. Б. Рехвиашвили. Грузинское сельско-хозяйственное орудие. „Карчи"... 111
3. ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის 113
4. პ. ზაქარაია. ქსნის, მჭადისჯვრის და მუხრანის (ციხე-სიმაგრეები . 131
П. П. Закарая. Ксанская, мчадисджварская и мухранская крепости 177
5. გ. ჩაჩაშვილი. ქართული ხალხური საქსოვი დაზგები 179
Г. А. Чачашвили. Грузинские народные ткацкие станки . . . 214
6. თ. აბრამიშვილი. გურჯაანში აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროს ფული 215
Т. Я. Абрамишвили. Находка византийских золотых монет в Гурджаани 221
7. ი. ჯალაღანია. მონღოლური დროის უცნობი თბილური დრამა . 223
И. Л. Джалаганиа. Неизвестный Тбилисский диргем монгольского времени 226
8. კ. ჩოლოყაშვილი. ქართული საბრძოლო იარაღები. ფარი 227
К. К. Чолокашвили. Грузинское Боевое оружие. Щит 253
9. ნ. რეხვიაშვილი. სამეურნეო ნაგებობა „ღუი" სამხრეთ საქართველოში 255
Н. Б. Рехвиашвили. „Гви" подземное зернохранилище в Южной Грузии 268
10. რ. ბახტაძე. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული მინის ჭურჭლის ქიმიური შესწავლა 269
Р. А. Бахталзе. Изучение химического состава стеклянных изделии найденных в самтаврском могильнике 278

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ, 1954
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1954

დ. ჭორიძე

გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული)

1949 წლის 17 დეკემბერს თბილისის განაპირა ჩრდილო უბნიდან—ღრმა-ღელიდან მუზეუმში შემოვიდა აქ აღმოჩენილი საინტერესო არქეოლოგიური ნივთები[1]. დაახლოებით 7 თვის შემდეგ, 1950 წლის 17 ივლისს, თბილისის მეორე განაპირა უბანში—ნავთლუღის მიდამოებში საგზაო მშენებლობის დროს აღმოჩნდა ძველი სამარხები.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ნავთლუღის მიდამოებიდან ჩვენ ამ დრომდე არ გაგვაჩნია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა. ამდენად ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის ისტორიის ადრე საფეხურის შესწავლისათვის.

ის ადგილი, სადაც არქეოლოგიური მასალები აღმოჩნდა, მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შემაღლებულ მინდორზე; მინდორს სამხრეთ-დასავლეთით ჩაუდის მდინარე მტკვარი, ხოლო ჩრდილოეთით და ნაწილობრივ აღმოსავლეთით—პატარა მდინარე—ორხევი.

მანძილი მტკვარსა და ხევს შორის იმ ადგილას, სადაც სამარხები აღმოჩნდა, 80 მეტრამდე აღწევს. ნავთლუღის ამ კუთხეს ნავთი-ჭალას უწოდებენ; ეს სახელი ამ ადგილმა, როგორც ჩანს, იმიტომ მიიღო, რომ ნავთლუღის ამ უბანში ნავთის ბუდობის ნიშნები მოიპოვება.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აღნიშნავს: „ხოლო ტფილისის სამჴრ-აღმოსავლით არს ნათლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ იღების“[2].

1950 წლის 17 ივლისს მუზეუმის დირექციას აცნობეს გზის მშენებლობის დროს ნავთლუღში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების შესახებ. დირექციამ დაგვავალა არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის ვითარების შესწავლა და თვით მასალის მიღება. გზის მშენებლებმა მიჩვენეს სამარხის აღმოჩენის ადგილი. სამარხში ჩაწყობილი ყველა ნივთი ამოეღოთ; მათგან ნაწილი გზის მშენებელთა ბანაკში გაეგზავნათ, ნაწილი კი (განსაკუთრებით თიხის ჭურჭლის ნატეხები, კერძოდ, ჭურჭლის „ფეხები“) მიმოფანტული იყო. იქვე მიეტოვებინათ სპილენძის ქვაბი.

---

[1] დ. ჭ ო რ ი ძ ე. გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ღრმა-ღელე). საკ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, თბილისი, 1953.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლ ო მ ო ურ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო სამუშაოები ორხევის ნაპირზე წარმოებდა, კერძოდ ხევის იმ სანაპიროსთან, სადაც გზას ძლიერი დაქანება ჰქონდა. მიწა გაჰქონდათ ხევის დასავლეთ ნაპირიდან, ჩაღრმავებული ადგილის ამოსავსებად (იგი სწორედ ორხევის გამდინარე წყლის მოქმედების შედეგად იყო ძალიან ჩაღრმავებული).

მიწის მთხრელების გადმოცემით, დაახლოებით 1,5 მეტრის სიღრმეზე ისინი წაადწყნენ თიხის ჭურჭელსა და სპილენძის ქვაბს; მათთან ერთად აღმოჩენილიყო ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, რის გამო ფრთხილად დაეწყოთ მიწის თხრა და საფლავში მალე ენახათ ერთიმეორის გვერდით დაწყობილი ბრინჯაოს ნივთები.

ადგილზე ჩვენ მივუსწარით ადამიანის ჩონჩხის ნაწილებს და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. საფლავის ფსკერი ნიადაგის ზედაპირიდან 1,6 მეტრის სიღრმეზე იყო. შეეგროვე იქ მიმოფანტული თიხის ჭურჭელთა ნატეხები, ვნახე ჭურჭლის ფეხები, რომლებიც მუშებს გადაეყარათ და ვიპოვე ამავე ჭურჭლის ყურე•იც. ყურები ცხვრის სტილიზებული გადმოცემა აღმოჩნდა. ჩავიბარე იქვე მიტოვებული ქვაბიც და წავედი გზის მშენებელთა ბანაკში. პოდპოლკოვნიკმა თათუზოვმა ჩამაბარა ბრინჯაოს ნივთთა კომპლექსი, რომლებიც მუშებს ერთი სამარხიდან ამოეღოთ.

ჩვენ მიერ გაწმენდილი და იქ აღმოჩენილი სხვა საფლავების დაკვირვებით, ნავთლულში აღმოჩენილი საფლავები ყველა ორმოსამარხებია.

ქვემოთ ჩვენ აღვწერთ ნავთლულში აღმოჩენილ ნივთებს საფლავების მიხედვით.

ორმოსამარხი № 1.

ტაბ. 1

სამარხში აღმოჩენილია 10-მდე სხვადასხვა ნივთი; ამათგან 7 ერთეული ბრინჯაოსი და სპილენძისაა, თიხის ჭურჭელი კი სამია.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ტარიანი ფოთლისებური სატევარი (ინვ. $\frac{3-50}{1}$). სატევარი ორი ნაწილისაგან შედგება: სამუშაო პირისა და ტარისაგან. პირი და ტარი ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ ერთიმეორეზე მორგებულ-დამაგრებული. პირს ფოთლისებური, მოყვანილობა აქვს, მას ორივე მხარეზე ვიშრო, მაღალი და მკვეთრი ქედი გაუყვება, რომელიც წვერამდე აღწევს. სატევრის პირს მკაფიოდ ეტყობა ალესილობა. ტარი სამი ნაწილისაგან შედგება; ვადა, საკუთრივ სახელური (სამუკი), და განიერი კოტის თავი. ვადა ნალისებურადაა მორკალული. ბოლოებზე გარდიგარდმო სალტისმაგვარად შემოვლებული აქვს რელიეფური ზოლი. ვადას მთელ ზედაპირზე რელიეფური, წნული ორნამენტი მიყვება ორ წყებად-შიგნითა წყება რკალის ირგვლივაა შემოვლებული, ხოლო გარეთა წყება სცილდება რკალს და სახელურს მთელ სიგრძეზე ეიყვება. ვადას გვერდით მომაღლო და მომრგვალო „მხარები“ აქვს, რომელიც სახელურთან წყდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელური განივკვეთში ოთხკუთხაა, შუაზე შედარებით ვიწრო, ბოლოებისაკენ გაგანიერებული, ისე, რომ ზემოთ იგი მთავრდება განიერი კოტის თავით, რომელსაც იგივე ორნამენტი აბლავს მთელ სიგრძეზე. სახელურს ზედაპირის მთელ სიგრძეზე (შუა ნაწილზე) აგრეთვე რელიეფური წნული ორნამენტი გაყვება. ტარი მოყვანილობით მოხერხებულია ჩასაკიდებლად (ჩასაბღუჯავად). ტარის ზემო ნაწილში პატარა ნახვრეტია. სატევრის პირი რამდენიმე ნაწილადაა გატეხილი (ნაწილები აკლია კიდეც).

სატევრის მთელი ზედაპირი ავი პატინითაა დაფარული.

ზომები	სიგრძე	—26,5 სმ
	ტარის სიგრძე	—7,1 სმ
	ღეროს სიგრძე	—6,1 სმ
	კოტას ბოლოს სიგანე	—8,5 სმ
	„ სისქე	—0,9 სმ
	ტარის სიგანე შუა ნაწილში	—1,5 სმ
	პირის უდიდესი სიგანე	—7,0 სმ

ტაბ. 2, სურ. 1.

ამის გარდა, ამ სამარხში ბრინჯაოს მთლიანადსხმული, ე. წ. კახური სატევარიც აღმოჩნდა (ინვ. $\frac{3-50}{2}$). სქელი და საკმაოდ მძიმე პირი მოყვანილობით ტოლფერდა სამკუთხედს წარმოადგენს. იგი ბრტყელია, ქედი ძალიან სუსტად აქვს გამოხატული, ისიც მხოლოდ ქვემო ნახევარში. ვიდა ფართოდ არის გადმოფარებული პირზე. ტარის ყელს (სახელურს) მრგვალი განივკვეთი აქვს. შუაში იგი ცოტათი შევიწროებულია. წაკვეთილი კონუსის ფორმის კოტას თავი სამკუთხოვნადაა დაფანჯრული. ზედა დიდი და მრგვალი ფანჯარა დიამეტრზე ტიხრით ორადაა გაყოფილი. ტარის თავის დაფანჯრულობა ასეთია: ტოლფერდა—სამკუთხედების ორი წყებაა; ერთი წყება წვერაღმა განლაგებული, მეორე კი წვერდაღმა. ტარის ღრუ ამეკამად ცარიელი ჩანს და საეჭვოა, რომ იგი ოდესმე რაიმე მასით ამოვსებული ყოფილიყო. ფანჯრები ამოვსებულია ხით. პირი შემკულია საკმაოდ ღრმა ღარებით, ასეთი ღარი სულ სამი წყვილია. მათი ზედა ბოლოები კამარებითაა წყვილ-წყვილად ერთმანეთზე გადაბმული. წყვილთა შუა ნაწილზე კვლავ ასეთივე ღარია ამოკვეთილი. ღარები სატევრის ფხისა და ერთმანეთის პარალელურია. ისინი წვერამდე არ აღწევს. სატევარი შუაზეა გატეხილი და წვერი წატეხილი აქვს. სატევრის მთელი ტანი ავი პატინითაა დაფარული.

ზომები	სიგრძე	—31,2 სმ
	ტარის სიგრძე	—11,0 სმ
	სახელურის სიგრძე	— 8,0 სმ
	ქუდის დიამეტრი	— 4,2 სმ
	პირის უდ. სიგანე	— 7,0 სმ

ტაბ. 2, სურ. 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამარხში აღმოჩნდა აღმოსავლურ-ქართული ტიპის ბრინჯაოს ცული (ინვ. $\frac{3-50}{3}$), დიდი ზომის, მასიური; სატარე ნახვრეტი ოვალური მოყვანილობისაა; ყუას ზემოდან მოზრდილი კოპი აზის, ყელი და მხრები ორ-ორწახნაგოვანია. პირი წარმოადგენს ფართო სეგმენტს, რომელსაც მაღალი, ზემოთ აშვერილი და წვეტიანი ფრთები (ნიღრები) აქვს. ყელის ერთ მხარეზე ქსოვილის ნაშთია შერჩეული.

ცულის ზედაპირი ავი პატინითაა დაფარული.

ზომები	სიგრძე	— 20,2 სმ
	უდ. სიგანე	— 14,3 სმ
	უდ. სისქე	— 3,8 სმ
	სატარე ნახვრეტის სიგრძე	— 5,4 სმ
	„ სიგრძე	— 3,0 სმ
	„ სიმაღლე	— 6,0 სმ
	წონა	— 1650 გრ

ტაბ. 2, სურ. 3.

შუბის პირი ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{4}$)—მასრაგახსნილი, ფრთებს შორის მოქცეულია მილი, რომელიც მასრის გაგრძელებას წარმოადგენს და პირს მთელ სიგრძეზე მომაღლო, მომრგვალო და განიერი ქედის სახით გაყვება, წვეროსაკენ თანდათან დაბლდება და წვერამდე აღწევს; პირი სამკუთხა მოყვანილობისაა, ფრთები თანდათან ვიწროვდება და მრგვალი წვერით მთავრდება. მხრები დაქანებულია. მასრის ზემო ნაწილში ორი სამანჭვლე აქვს. მასრის ბოლო დახანებულია და ნაწილი აკლია. შუბისპირი ავი პატინითაა დაფარული,

ზომები	სიგრძე	— 27,5 სმ
	პირის სიგრძე	— 13,0 სმ
	პირის უდ. სიგანე	— 3,6 სმ

ტაბ. 2, სურ. 4.

კაუჭი (ჩანგალი) ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{5}$)—ოთხწახნაგა, ნამგლისებრი მოყვანილობისა, მასრისაკენ თანდათან მსხვილდება; მასრა განივკვეთში მრგვალი, განიერი და გახსნილია, შუაზე ორი სამანჭვლე აქვს.

სიგრძე 13,0 სმ.

ტაბ. 2, სურ. 5.

თავხვია საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{6}$)—ზემო ნაწილი ოთხწახნაგაა, წვერისაკენ თანდათან მრგვალდება და წვრილდება. თავი გაბრტყელებულია და მოხვეული, ისე, რომ ყუნწს ქმნის. ღეროს წახნაგოვანი ნაწილი შემკულია წიწვოვანი, ე. წ. თევზიფხური სახეებით. წვერწატეხილია.

ტაბ. 2, სურ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვაბი სპილენძისა (ინვ. $\frac{3-59}{7}$). იგი მთლიანი თხელფირფიტოვანი ნაჭრისაგან უნდა იყოს გამოჭედილი; მრგვალმუცლიანია, ატყვია ჭედვის კვალი. მომღლო ყელი პირისაკენ ოდნავ ვიწროვდება. პირს ირგვლივ შემოვლებული აქვს ბრინჯაოს თხელი ფირფიტოვანი სალტისებური ფენა. მოპირდაპირე მხარეზე ყურები აქვს. შერჩენილი ყური ოთხწახნაგა, განივკვეთში რომბული. იგი პირს სცილდება და ვერტიკალურად აღიმართება. ყურის ხვრელი რკალს წარმოადგენს. ყურის ქვემო ნაწილი ორივე მხარეზე გაბრტყელებულია და მისი საშუალებით მანქვლებით ყელზეა მიმაგრებული. თითოეულ მხარეზე 5—5 მანქვალია (სულ 20). ერთი ყური მოტეხილია და დაკარგული. ჭურჭელს ძირი აკლია. დაზიანებულია სხვა ნაწილებიც. ჭურჭელი მთლიანად ავი პატინითაა დაფარული.

სურ. 1.

ზომები	პირის დიამეტრი	— 21,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	— 28,0 სმ
	ყურის ხვრელის დიამეტრი	— 4,0 სმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭელი თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{8}$)—ლეგა ფერის, მუცელგამობერილი, ყელი შუაში ოდნავ შევიწროებულია. ყელის ძირს ირგვლივ ღარი გადასდევს. აღდგენილია, დიდი ნაწილი აკლდა, რომელიც თაბაშირით შეივსო.

ზომები { სიმაღლე — 12,8 სმ
პირის დიამეტრი — 6,5 სმ
მუცლის დიამეტრი — 11 სმ

ტაბ. 3, სურ. 6.

დერგი თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{9}$)—ლეგა ფერისაა, კარგი ნახელავი. ტანი კვერცხისებური აქვს, ყელი დაბალი, პირი გადმოშლილი და ძირი ვიწრო. მხარზე ერთმანეთისაგან 1,6 სმ დაცილებით ორი ღარია შემოვლებული, მათ შორის წიწვოვანი სახეებია. ჭურჭელი აღდგენილია და ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული.

ზომები { სიმაღლე — 34,0 სმ
პირის დიამეტრი — 12,0 სმ
მუცლის დიამეტრი — 33,0 სმ
ძირის დიამეტრი — 9,0 სმ (პირობითია)

ტაბ. 5, სურ. 4.

№ 1 სამარხის ნივთებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნატეხები თიხის ერთი ჭურჭლისა, რომლის აღდგენა, ჭურჭლის დიდი ნაწილის დაკარგვის გამო ვერ მოხერხდა. დარჩენილია ჭურჭლის ფეხები, ყურები და ტანის ნაწილი. ჭურჭელი გარედან შავპრიალაა, აქა-იქ ლეგაფერისაა, სისქეში ზოგან მკვეთრად გამოყოფილ ფენებს ვარჩევთ. გარეთა ნაწილი შუამდე შავი ფერისაა, შიდა ნაწილი კი მონაცრისფერო, რაც გამოწვის შედეგი უნდა იყოს.

ფეხები თიხის ჭურჭლისა 3 ცალია (ინვ. $\frac{3-50}{10-11-12}$). ყველა ისინი ადამიანთა შემოსილი ფეხის გამოცემაა პატარა ზომით. ორი მათგანი, მარჯვენა და ერთი მარცხენა — პატარაა, მესამე მოზრდილი (მოზრდილის მარცხენა ცალი არ არის). გარედან ისინი ყველა შავპრიალაა. ფეხებზე დაკვირვებისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისინი მაღალყელიანი ფეხსაცმელითაა შემოსილი. ერთი შეხედვით უფრო თბილ ფეხსაცმელს მოგვაგონებს, აშკარადაა გამოყოფილი ფეხსაცმლის ლანჩი, რომელიც პირთან დაკავშირებული ყოფილა არა უშუალოდ ფეხის გულის სისწორეზე, არამედ მის ზემოთ. ქვინტიდან წვივამდე ამყოლი და განივად გავლებული ხაზებით ჭურჭლის მკეთებელს, როგორც ჩანს, პირგახსნილი ფეხსაცმლის ილეზის შექმნა სურდა.

ამავე ჭურჭლის ზემოაღნიშნული ორი ყური ცხვრის გამოხატულებას წარმოადგენს. (ინვ. $\frac{3-50}{13-14}$). მოშავო მონაცრისფრო ფერისაა, ცალი ყურის ქვემო ბოლოზე შერჩენილია ჭურჭლის ტანის მცირე ნაწილი. იგი შავპრიალაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც სისქეში ორი ერთმანეთისაგან ფერის მიხედვით მკვეთრად გამოყოფილი ფენა გამოირჩევა; გარეთა ფენა შავია, შიგნითა ნაცრისფერი. ცხვრის ფიგურა სქემატურად არის დამუშავებული, მაგრამ ხელოსანი პრიმიტიული ხერხით ცხვრის დამაჯერებელ, რეალისტურ სახეს იძლევა. ცხვრის მოკლე თავი მთავრდება დაგრეხილი რქებით; ტანი წელში მოხრილია იმგვარად, რომ ყურის ხვრელსა და ტანის ფორმასთან არის შეფარდებული. ცხვრის ტანის გაგრძელებას კუდი წარმოადგენს, რომელიც, გადადის რა ჭურჭლის ტანზე, გრძელდება ჭურჭლის ძირისაკენ რელიეფური ზოლის სახით. ცხვრის სხვა ნაწილები არ არის გამოყვანილი.

ფეხების ზომები

	I ფეხის სმ-ობით	II ფეხის სმ-ობით	III ფეხის სმ-ობით
სიმაღლე	4,8	4.2	4,2
ტერფის სიგრძე	5,4	5,0	5,0
უდიდესი სიგანე	3,0	2,4	2,6
წვივის უდიდესი დიამეტრი:			
ქვემო ნაწილის „	3,5	3,2	3,4
ზემო ნაწილის „	3,5	3,3	3,5
უდიდესი სისქე	2,0	1,9	2,5

ტაბ. 3, სურ. 1, 2, 3, 4, 5.

ამავე სამარხიდან გვაქვს აგრეთვე თიხის ლანგრის ნატეხები $\left(\text{ინ.}\frac{3-50}{16}\right)$.

ორმოსამარხი № 2.

ტაბ. 4, სურ. 1,2,3.

პირველი საფლავიდან დასავლეთით, 2 მეტრის დაშორებით, ნიადაგის ზედაპირიდან 1,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა სხვა საფლავი. მისი სათანადოდ გაწმენდა ვერ მოხერხდა გზის სასურაფო მშენებლობის დროს. საფლავიდან ამოღებული იყო სამი ნივთი: ბრინჯაოს დიდი შუბისპირი და თიხის ორი ჭურჭელი.

შუბისპირი $\left(\text{ინ.}\frac{3-50}{19}\right)$ მთლიანმასრიანი—ჩამოსხმული, მასრა განიკვეთში ოვალურია. მასრას ბოლოსთან ახლოს, გარდიგარდმო გადასდევს ორი ქედი, რომელნიც ერთიმეორისაგან 0,8 სმ არიან დაშორებულნი. ქედებს შორის, მოპირდაპირე მხარეებზე თითო ნახვრეტია. მასრა თანდათან ვიწროვდება. იგი გასდევს პირს და თითქმის წვერამდე აღწევს. ფრთებს შორის მოთავსებული სატარე მილის გაგრძელება მომრგვალებული მაღალი ქედის სახეს იღებს. იგი თანდათანობით და თანაზომიერად ვიწროვდება და დაბლდება. ფოთლისებური მოყვახილობის ფრთებიც წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება. ფრთების სისქე თითქმის ყველგან თანაბარია, მხრები დაქანებულია. ფხებს ალესილობის კვალი ემჩნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები	სიგრძე	—35,0 სმ
	პირის სიგრძე	—20,5 სმ
	„ სიგანე	— 4,8 სმ
	მილის უდ. დიამეტრი	— 2,3 სმ

ტაბ. 5, სურ. 1.

ჭურჭელი თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{17}$)—ლეგა ფერის, კასრისებური ტანით, განიერი და ოდნავ ამობურცული ძირით, მომაღლო ცილინდრული ყელით. მხრებს ირგვლივ ორი ღარი უვლის, ხოლო ძირზე წრეხაზია შემოვლებული, პირყელს ნაწილი მომტვრეულია.

ზომები	სიმაღლე	—19,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	—13,5 სმ
	ძირის დიამეტრი	—10,0 სმ

ტაბ. 5, სურ. 2.

დოქი თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{18}$)—ლეგა ფერის, ძირვიწრო, მომაღლო ცილინდრული ყელი გადმოშლილი პირით მთავრდება. მხრებგანიერი, ყურიანია. ყურის ერთი ბოლო ყელის ძირზე, ხოლო მეორე პირის ოდნავ ქვემოთაა მიძერწილი. ყურის ზემო ნაწილზე პატარა-პატარა ბიბილოებია, ცხოველის ყურების სტილიზებული გადმოცემა; ყურის გარე ნაწილზე, ბიბილოს ქვემოთ და მხარზე თევზიფუზური სახეებია გამოყვანილი.

ზომები	სიმაღლე	—28,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	—21,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 7,0 სმ

ტაბ. 5, სურ. 3.

ორმოსამარხი № 3.

ტაბ. 6, სურ. 1, 2, 3.

იგი № 1 სამარხიდან ჩრდილო-დასავლეთით, 4,5 მ დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხის ზემოდან ფილაქვები ეწყო, ალბათ, სახურავად; საფლავში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (სასმისები) და ბრინჯაოს სამაჯური:

სასმისი (ინვ. $\frac{3-50}{20}$)— ნაცრისფერი, ძირგანიერი, წელში ოდნავ გამოყვანილი, პირგანიერი, ცალყურა, ყურის ერთი ბოლო ტანის შუა ნაწილზეა მიძერწილი, მეორე უშუალოდ პირს უერთდება. ძირს, ნაპირებზე, შემოვლებული აქვს ფრჩხილისებრი ორნამენტი, ხოლო პირს ქვემოთ კი 4 კონცენტრული ღარი; შესაბამისად სამი რელიეფური სარტყელი გამოიყოფა. სასმისი გაბზარულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები	პირის დიამეტრი	—13,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	—11,8 სმ
	ძირის დიამეტრი	—12,6 სმ
	სიმაღლე	—15,2 სმ

ტაბ. 7, სურ. 1.

ს ა ს ი მ ი ს ი (ინვ. $\frac{3-50}{21}$)—პატარა, ლეგა ფერის, მაღალი, წელში გამოყვანილი, პირგანიერი, პირის ქობაზე ღარი გადასდევს. თიხა ცუდად დამუშავებული ყოფილა, მასში მრავალი წვრილ-წვრილი ქვებია შერჩენილი; ზოგიერთი მათგანი უკვე ამოვარდნილია და მათ ნაკვალებზე მრავალი ნაჩვრეტი წარმოქმნილია.

ზომები	სიმაღლე	— 11,2 სმ
	პირის დიამეტრი	— 7,4 სმ
	მუცლის „	— 7,6 სმ
	ძირის „	— 5,3 სმ

ტაბ. 7, სურ. 3.

ს ა მ ა ჯ ო ს ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (ინვ. $\frac{3-50}{22}$)—წვრილი მავთულისაგანაა ნაკეთები, ოვალური მოყვანილობისა, თავებგახსნილი, ერთი თავი გაწვრილებულია. სამაჯური შუაზეა გატეხილი.

ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 4.

ტაბ. 6, სურ. 4, 5.

პირველი სამარხიდან დასავლეთით 7 მ მანძილზე გათხრილ ამ სამარხში მხოლოდ ცუდად ნაკეთები თიხის ორი ჭურჭელი აღმოჩნდა.

ფ ი ა ლ ა თ ი ხ ი ს (ინვ. $\frac{3-50}{32}$)—მოწითალო-მოვარდისფერო; ტანის ზემო და ქვემო ნაწილის შეერთების ხაზი წიბოსებურია. ჭურჭელი პირისაკენ ოდნავ ვიწროვდება. განიერი ნაწილის ზემოთ კონცენტრული ღარია შემოვლებული. აღდგენილია, ნაწილი აკლია.

ზომები	სიმაღლე	— 7,8 სმ
	მუცლის დიამეტრი	—14,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 4,5 სმ

ქ ი ლ ა თ ი ხ ი ს (ინვ. $\frac{3-50}{24}$)—ლეგა ფერის, დაბალი ყელი თანდათან განიერდება და გადმოშლილი პირით მთავრდება, ტანი კვერცხისებური აქვს. ქილას ძირი ვიწრო აქვს. ყელს ძირზე 2 კონცენტრული ღარია შემოვლებული. მათ შორის მოთავსებული ადგილი წიწვოვანი სახეებითაა შემკული. აღდგენილია, ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები	სიმაღლე	—23,5 სმ
	პირის დიამეტრი	—13,4 სმ
	მუცლის დიამეტრი	—25,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 9,2 სმ

ტაბ. 6, სურ. 4.

ორმოსამარხი № 5.

ტაბ. 6, სურ. 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.

იგი № 1 სამარხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა. სამარხი მიწის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა; სამარხში შემდეგი ნივთები იყო.

ხელადა თიხის $\left(\text{ინვ. } \frac{3-50}{25}\right)$—შავი, პატარა, ბრტყელძირიანი. ტანის ზემო და ქვემო ნაწილის შეერთების ადგილი წიბოსებურია, ყელი ცილინდრული, პირი კი გადმოშლილი. ცალყურა; ყურის ერთი ბოლო დაშვებულ მხარეზეა მიძერწილი, მეორე კი უშუალოდ პირს უერთდება. ყელის ძირზე ვიწრო კონცენტრული ღარი გადასდევს.

ზომები	სიმაღლე	—16,0 სმ
	პირის დიამეტრი	— 7,2 სმ
	მუცლის დიამეტრი	—14,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 4,7 სმ

ტაბ. 7, სურ. 2.

სასმისი თიხისა $\left(\text{ინვ. } \frac{3-50}{26}\right)$—შავი, პატარა, ოდნავ ამობურცულ ძირიანი, წელში ოდნავ გამოყვანილი და პირგანიერი, ცალყურა; ყურის ერთი ბოლო განიერი ნაწილის ოდნავ ზემოთ, ხოლო მეორე პირის ოდნავ ქვემოთაა მიძერწილი. ყურის ზემო ნაწილზე პატარა ბიბილოა მაღლა აკვანტილი. მთელი ტანი გოფრირებულია. ჭურჭელი გაბზარულია, მას პირი აქა-იქ ჩამომტვრეული აქვს.

ზომები	სიმაღლე	—12,4 სმ
	პირის დიამეტრი	—11,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 5,8 სმ

ტაბ. 7, სურ. 4.

ჯამი თიხისა $\left(\text{ინვ. } \frac{3-50}{27}\right)$—ლეგა ფერის, ღრმა, პირგადმოშლილი; ოდნავ ამობურცული პატარა ქუსლისებური ძირი აქვს; პირს ქვემოთ ღარია შემოვლებული, დეფორმირებულია.

ზომები	სიმაღლე	— 4,0 სმ
	პირის დიამეტრი	—14,5 სმ
	ძირის დიამეტრი	— 6,0 სმ

ტაბ. 7, სურ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამი თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{28}$) — ლეგა ფერის, ღრმა, ზემო ნაწილი ვერტიკალურადაა აღმართული. ამ ნაწილზე 5 პარალელური ღარია შემოვლებული და შესაბამისად რელიეფური სარტყლებია გამოყოფილი. ოდნავ პირმოყრილია, აღდგენილია.

ტაბ. 7, სურ. 10.

საყურე ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{29}$) — ორი ერთიმეორზე აცმული პატარა რგოლისაგან შედგება. ნაკეთებია წვრილი მავთულისაგან. უფრო დიდი დიამეტრის მქონე რგოლი ოთხწახნაგაა და თავგახსნილი. პატარა რგოლის თავები ერთიმეორეზეა გადასული.

ტაბ. 8, სურ. 2.

საკისრე რგოლი (გვერგვი) ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{30}$) — გაბრტყელებული მავთულია, ბოლოები ვიწროვდება, დეფორმირებული.

ტაბ. 8, სურ. 3.

მძივი ვარდისფერი სარდიონისა (ინვ. $\frac{3-50}{31}$) — ცილინდრული, უხეშად ნაკეთები (ნიპობი), პატარა. ტაბ. 8, სურ. 4.

ორმოსამარხი № 6.

ტაბ. 4, სურ. 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.

№ 1 სამარხიდან დასავლეთით 9 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა. იგი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,4 მ სიღრმეზე იყო. სამარხის მოედანი 1,5 (ჩ-ს) — 1,1 (ა-დ) მეტრს უდრიდა. სამარხში მიცვალებული მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად ესვენა. ბარძაყის ძვლები იმგვარად იყო მოხრილი, რომ ხერხემალთან სწორკუთხეს ქმნიდა; ხელის მტევანი სახის წინ ეწყო. თავი ჩრდილოეთით ედო, პირისახით დასავლეთით იყო მიქცეული. ძვლები სრულიად ჩაშლილი იყო. საფლავში თიხის 5 ჭურჭელი, ბრინჯაოს საკინძი და ბრინჯაოს ორი თხელფირფიტოვანი სამკუთხა ისრის წვერი აღმოჩნდა.

ქილა მოშაოო თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{32}$) — პირმოყრილი, კვერცხისებური მოყვანილობის, ორყურა; ყურების ორივე ბოლო მიძერწილია მხარზე, ყურის ხვრელი მრგვალია, ხოლო თვითონ ყური განიკვეთში ოთხკუთხაა; ყურის გარეთა ნაწილი სიგრძეზე ამოღარულია. ყურის ნაპირები ქვემოთ იშლება, განიერდება და ბოლოს ქრება. მხარზე ორი პატარა ბრტყელი ჰორიზონტალური შვერილია. იგი ოთხკუთხა ფორმისაა. მისი ერთი მხარე მიმაგრებულია ყელის ოდნავ ქვემოთ, ხოლო ორი მხარე საყდენის მაგვარი გვერდით დამაგრებულია ტანის ზემო ნაწილზე. პირის ჰორიზონტალურ განიერ სიბრტყეზე სამი კონცენტრული ღარია შემოვლებული. მუცელზე მკრთალი კონცენტრული ღარი გადასდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები	სიმაღლე	—25,0 სმ
	პირის დიამეტრი	—11,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	—31,5 სმ
	ძირის დიამეტრი	— 9,6 სმ

ტაბ. 7, სურ. 8.

ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა შ ა ვ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. $\frac{3-50}{33}$) — ოდნავ პირგადმოშლილი, დაბალი ღარისებური ყელი, კვერცხის მაგვარი ტანი და პატარა ძირი აქვს. პატარა მრგვალხვრელიანი, განივკვეთში ოთხკუთხა ყურები (2 ც.) მიძერწილია ტანის განიერ ნაწილზე. ტანი შემკულია გრეხილური ორნამენტით, რომელიც 6 სარტყლადაა შემოვლებული ტანზე. ისინი ერთიმეორისაგან თითქმის თანაბარი მანძილითაა დაცილებული. მათ შორის ერთი, რელიეფური კლაკნილი ზოლია. ძირის ნაპირებზე აგრეთვე გრეხილი სახეებია. ყელს ქვემოთ ოდნავ ჩაღრმავებული კლაკნილი ხაზია შემოვლებული.

ზომები	სიმაღლე	21,5 სმ
	პირის დიამეტრი	15,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	28,0 სმ
	ძირის დიამეტრი	8,8 სმ

ტაბ. 7, სურ. 11.

ლ ა ნ გ ა რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი ლ ე გ ა თ ი ხ ი ს ა (ინვ. $\frac{3-50}{34}$) — ღრმა, პირბრტყელი, ბრტყელ პირზე ირგვლივ კლაკნილი ჩაღრმავებული ხაზია შემოვლებული; ასეთივე ხაზია განიერ ნაწილზედაც.

ტაბ. 4, სურ. 6.

ხ ე ლ ა დ ა შ ა ვ ი თ ი ხ ი ს ა (ინვ. $\frac{3-50}{35}$) — ქვემო ნაწილი ლეგა ფერია, ძირი უსწორო, მრგვალი ტანი. ყელი მომაღლო და ცილინდრულია. იგი გადმოშლილი პირით მთავრდება. ყელის ძირზე 4 ღარი გადასდევს. აღდგენილია (დოქსა ჰგავს, ყური რომ ჰქონდეს).

ზომები	სიმაღლე	23,0 სმ
	პირის დიამეტრი	8,8 სმ
	მუცლის დიამეტრი	20,0 სმ
	ძირის დიამეტრი	8,0 სმ

ტაბ. 7, სურ. 7.

ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა ლ ე გ ა თ ი ხ ი ს ა (ინვ. $\frac{3-50}{36}$) — პირგადმოშლილი. ტანის ზემო ნაწილზე ორი განიერი, ჩაღრმავებული ღარია შემოვლებული; ტანის ქვემო ნაწილი აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები { პირის დიამეტრი 18,5 სმ
მუცლის დიამეტრი 21,5 სმ

ტაბ. 7, სურ. 9.

საკინძი ბრინჯაოსი (ინვ. $\frac{3-50}{37}$) (სურ. 2)—ზემო ნაწილი ცხვრის თავის სტილიზებული გამოსახულებით მთავრდება. თავზე ერთმაგი გრეხილი რქებია, თავის გაგრძელება გარედან ამოზურგულია, შიგნით კი შესაბამისად ამოღრეული. შიდა ნაწილზე მოთავსებული გვერდით გაშვერილი ყუნწი საკინძთან ერთად უნდა იყოს ჩამოსხმული. ღერო წარმოადგენს მრგვალ მავთულს, რომელიც წვერისაკენ თანდათან წვრილდება და წვეტით მთავრდება საკინძი 4 ნაწილადაა გატეხილი.



სურ. 2.

სიგრძე—11,5 სმ

ტაბ. 8, სურ. 5.

ისრის წვერები ბრინჯაოსი. 2 ცალი. (ინვ. $\frac{3-50}{38-39}$) თხელ- და ბრტყელფირფიტოვანი, სამკუთხა; ერთი უფრო დიდია, ფრთებწაწვეტებული, ბოლო ამორკალულია. დიდს წვეტთან აბლო, ხოლო პატარას — შუა ნაწილში აქვს ნახვრეტი.

$\frac{3-50}{29}$ ზომები { სიგრძე —3,8 სმ
უდ. სიგანე —2,1 სმ

$\frac{3-50}{39}$ ზომები { სიგრძე —2,1 სმ
უდრ. სიგანე —1,5 სმ

ტაბ. 8, სურ. 6,7.

ორმოსამარხი № 7

ტაბ. 10, სურ. 1, 2, 3, 4, 5.

№ 7 სამარხი პირველი სამარხიდან სამხრეთ აღმოსავლეთით აღმოჩნდა, მისგან 11 მეტრის დაშორებით, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,35 მ სიღრმეზე.

საფლავის მოედანი 1,8 (ჩ-ს) X 1,3 (ა-დ) მ უდრიდა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა მოხრილად, ისე, რომ ბარძაყის ძვლები ხერხემალთან თითქმის სწორკუთხეს ქმნიდა, ხელის მტევნები სახის წინ ელაგა. ბარძაყის ძვლის სიგრძე 48 სმ უდრიდა. თავი ჩრდილოეთით ედო. ჩონჩხის მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. პირისახით დასავლეთით იყო მიქცეული. სამარხში მხოლოდ თიხის ჭურჭლები იყო — 5 ცალი.

საქართველოს სახ. მუზეუმი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოთანი ლეგა ფერის თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{40}$)—უსწორო, ოდნავ ამობურცულ ძირიანი, განიერი ნაწილი წიბოსებურია, მხარმუცელი ფართო და ღრმა ღარებით აქვს დაფარული, ყელპირი მომტვრეულია.

ზომები	სიმაღლე	—16,0 სმ
	მუცლის დიამეტრი	—23,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 8,0 სმ

ტაბ. 9, სურ. 3.

ლანგარი მოწითალო მოვარდისფერო თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{43}$)—ღრმა, სქელი და მძიმე, საკმაოდ ტლანქად ნაკეთები. ლანგარს ოდნავ გადმოშლილი პირი აქვს, ხოლო ძირი პატარა, ამობურცული, პირის ქვემო ნაწილი ღარსებურია და მასზე ჩაღრმავებული, კლაკნილი ვიწრო ღარია შემოვლებული. აღდგენილია. ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული.

ზომები	სიმაღლე	—10,5 სმ
	პირის დიამეტრი	—28,0 სმ
	ძირის დიამეტრი	— 9,0 სმ

ტაბ. 9, სურ. 5.

სასმისი ლეგა ფერის თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{41}$)— განიერი ძირიანი, ტანი დაახლოებით ცილინდრული მოყვანილობისაა, პირისაკენ ოდნავ განიერდება. ყურიანია, ყურის ზემო ნაწილზე 2 ბიბილოა აცქვეტილი. პირს ქვემოთ ორი ღარი გადასდევს. აღდგენილია. ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული.

ზომები	სიმაღლე	—11,7 სმ
	პირის დიამეტრი	—12,0 სმ
	ძირის დიამეტრი	—10,3 სმ

ტაბ. 9, სურ. 4.

ხელადა ლეგა ფერის თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{42}$)—ძირფართო, განიერმუცლიანი, ყელპირი მომტვრეული აქვს. ყურიანია, ყურის ზემო ნაწილზე ცერის დასაბჯენით.

ზომები	მუცლის დიამეტრი	—14,5 სმ
	ძირის დიამეტრი	— 7,5 სმ

ტაბ. 9, სურ. 1.

თიხის სასმისის ქვედა ნაწილი მოშავო (ინვ. $\frac{8-50}{44}$)—ძირი განიერია, ტანიც ზემოთ თანდათან განიერდება. ძირზე კონცენტრული ჩაღმავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ხაზების შემოვლებით ზოლებია გამოყოფილი, ნაპირა ზოლი დასერილია გარდიგარდმო ჭდეებით. ძირს ოდნავ ზემოთ შემოვლებულია სამი ვიწრო ღარი და იქვე სიმეტრიულად განლაგებული 4 კოპია.

ძირის დიამეტრი 5,5 სმ

ტაბ. 9, სურ. 2.

ორმოსამარხი № 8

ტაბ. 10, სურ, 5, 14.

მე-8 სამარხი I სამარხიდან ჩრდილო-დასავლეთით იყო, მისგან 11 მეტრის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,2 მეტრის სიღრმეზე. მოედანი 1.4 (ჩ-ს) X 1,2 (ა-დ) მეტრს უდრიდა. მიცვალებული მოკრუნჩხულად მარცხენა გვერდზე ესვენა. თავი ჩრდილოეთით ედო, პირისახით აღმოსავლეთით იყო მიქცეული. ჩონჩხი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ძვლები ცუდად იყო შენახული.

ინვენტარი:

დერგი ლეგა ფერის თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{45}$)—ტანი კვერცხისებური, ყელი დაბალი, პირი ოდნავ გადმოშლილი აქვს. მხარეზე ორი ღარი და ერთი კლაკნილი ხაზი გადასდევს. მუცელი ერთ მხარეზე ამოტეხილია.

ზომები
- სიმაღლე — 25,0 სმ
- პირის დიამეტრი — 13,0 სმ
- მუცლის დიამეტრი — 30,0 სმ
- ძირის დიამეტრი — 4,4 სმ

ტაბ. 10. სურ. 6.

სასმისი მონაცრისფრო თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{46}$)—ძირი იმდენად პატარა აქვს, რომ სასმისი მასზე ვერ დგება. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ჭურჭელი ოდნავ პირმოყრილია. პირის ქვემოთ კონცენტრული ღარია შემოვლებული. იგი იდგა დერგში (ინვ. $\frac{3-50}{45}$).

ზომები
- სიმაღლე — 12,4 სმ
- პირის დიამეტრი — 5,0 სმ
- ძირის დიამეტრი — 2,3 სმ

ტაბ. 9, სურ. 9.

ქვაბქოთანა ლეგა თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{49}$)—უსწორო, პატარა ძირიანი, მუცელგამობერილი. ყელდაბალი, პირგადმოშლილი. ტანის ზემო ნაწილი გოფრირებულია. აღდგენილია. ნაკლული ადგილები თაბაშირითაა შევსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები
სიმაღლე	—26,0 სმ
პირის დიამეტრი	—17,3 სმ
მუცლის დიამეტრი	—35,5 სმ
ძირის დიამეტრი	—10,0 სმ

ტაბ. 10, სურ. 8.

დ ე რ გ ი ლეგა ფერის თიხისა $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{50}\right)$. დაბალყელიანი, ოდნავ პირგადმოშლილი. მხარმუცელსა და ყელზე რამდენიმე ღარი და კლაკნილი ხაზია შემოვლებული, ტანის ზემო ნაწილი დეფორმირებულია. ჰურჭელი აღდგენილია.

ზომები
სიმაღლე	—28,0 სმ
პირის დიამეტრი	—12,0 სმ
მუცლის დიამეტრი	—31,0 სმ
ძირის დიამეტრი	—10,0 სმ

ტაბ. 10, სურ. 9.

ს ა ს მ ი ს ი ს ნაწილი ზავი თიხისა $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{51}\right)$—წელში ოდნავ გამოყვანილი. მთელი ტანი გოფრირებულია. ყურიანი. ყურის ზემო ნაწილზე ორი პიბილოა აცქვეტილი; დიდი ნაწილი აკლია.

ტაბ. 9, სურ. 9.

დ ო ქ ი ს ნაწილი ლეგა თიხისა $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{52}\right)$—მრგვალტანიანი; ყელის ქვემოთ 2 კონცენტრული ხაზია შემოვლებული. პირ-ყელი და ტანის ქვემო ნაწილი აკლია.

ტაბ. 9, სურ. 8.

ლ ა ნ გ ა რ ი ს ნაწილები ლეგა ფერის თიხისა $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{52\text{-ა}}\right)$, პირი ოდნავ გადმოშლილია. ტანის ზემო ნაწილზე ერთნაირი სიგანის ორი რელიეფური და ორი ჩაღრმავებული ზოლია შემოვლებული. ჩაღრმავებულ ზოლზე ტეხილ-ხაზოვანი ვიწრო გაპრიალებული ზოლია შემოვლებული.

ტაბ. 15, სურ. 2 .

მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოს წკრილი მავთულისაგან ნაკეთები $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{47}\right)$, ოვალური ყუნწიანი. ყუნწი გაკეთებული ბოლოს გაწკრილების შემდეგ მისი გადმოღუნვით, ღეროს გაპობით და გაწკრილებული ნაწილის პობილში ჩაკვერვით. ღერო ყუნწისაკენ უფრო მსხვილ ია, წვერისაკენ თანდათან წვრილდება და წვეტით მთავრდება.

სიგრძე 9,5 სმ

ტაბ. 8, სურ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ძ ი ვ ე ბ ი—21 ცალი, ღია ვარდისფერი, სარდიონისა (ინვ. $\frac{3-50}{48}$), (სურ. 3). ისინი ცილინდრული ფორმისაა, ნაპობია და უხეშად ნაკეთები, სხვადასხვა ზომისა.

ტაბ. 8, სურ. 9.

სამაროვანზე ნაშალ მიწაში ნაპოვნია ავრეთვე ქ ო თ ნ ი ს ნ ა ტ ე ხ ი (ინვ. $\frac{3-50}{54}$) ლეგა თიხისა—ზემო ნაწილი შავია. ძირი პატარა ჭქონია. ჭურჭელს კვერცხისებური ტანი, დაბალი ყელი, პირი სქელი და ოდნავ გადმოშლილი აქვს. მთელი ტანი კონცენტრიული რელიეფური ხაზებითაა დასერილი. ტანის ზემო ნაწილზე ერთ წყებად მარცვლოვანი ქედებია შემოვლებული. ძირზე სპირალური-ხვეული ზოლი უნდა იყოს, ძირის ნაპირებზე კი ფრჩხილისებური სახეები.

სიმაღლე 27,0 სმ.

ტაბ. 15, სურ. 3.

სურ. 3

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ძირის ნაწილი (ინვ. $\frac{3-50}{54-ა}$). ძირზე სპირალური ზოლია შემოვლებული და ძირის ნაპირებზე ფრჩხილისეული ხვეული სახეები.

ტაბ. 9, სურ. 7.

სამაროვნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით, გზის მშენებლობის დროს ორმოსამარხი აღმოუჩენიათ, რომელშიაც თიხის რამდენიმე ჭურჭელი ყოფილა; მათგან მხოლოდ ერთი გადარჩენილა: ლ ა ნ გ ა რ ი ლეგა ფერის თიხისა (ინვ. $\frac{3-50}{53}$), დიდი, მეტად სქელი და მძიმე, ღრმა, ოდნავ უსწორო და განიერი ძირით. პირს ქვემოთ განიერი ღარია შემოვლებული. ორყურა. ყური ბრტყელია და განიერი. ცალი ყური მოტეხილი აქვს, ხოლო პირი აქა-იქ ჩამომტვრეული.

ზომები
- სიმაღლე — 14,0 სმ
- პირის დიამეტრი—43,0 სმ
- ძირის დიამეტრი—18,0 სმ

ნავთლუღში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების აღწერის შემდეგ უნდა შეძლებისდაგვარად წარმოვიდგინოთ ამ საინტერესო არქეოლოგიური ძეგლის ადგილი, მისი მნიშვნელობა თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები, იმდროინდელი მოსახლეობის ისტორიის შესასწავლად.

პირველად დავიწყებთ აღმოსავლურ-ქართული ცულის საკითხის განხილვას, მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია აღნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ამჯერად არ გაგვიზრახავს წარმოვადგინოთ აღმოსავლურ-ქართული ცულის საერთო განვითარების სქემა, მისი საწყისი—ადრეული ფორმები. ეს ცალკე კვლევის საგანია; ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ცულის ნაირსახეობათა შორის რომელი ჯგუფის ცულებს უნდა მიეკუთვნოს ნავთლულში აღმოჩენილი ცალი; განსაზღვროთ მისი ხნოვანება, წარმოვადგინოთ ასეთი ცულების გავრცელების არე და მათი განვითარების სქემა განსაზღვრული დროის მონაკვეთისათვის.

სურ. 4

მართალია, მეტ-ნაკლებად გარკვეულია ამ ცულთა გავრცელების ადგილი, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა ამ საკითხის კიდევ უფრო დაზუსტება. ამ ტიპის ცულის გავრცელების არის შემოფარგვლა, სად, კერძოდ საქართველოს რომელ მხარეში პპოვა ყველაზე მეტი განვითარება, ყველაზე მეტი გამოყენება აღნიშნულმა იარაღმა—ამას ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ 1908 წ. პროფ. ე. თაყაიშვილმა გამოთქვა გარკვეული მოსაზრება ახალქალაქში აღმოჩენილი ცულებისა და სხვა ნივთების შესახებ. იგი ამბობდა, რომ დიდძალი ნივთები და კერძოდ საომარი ცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, რაც ახალქალაქში იყო აღმოჩენილი, მიუთითებს, რომ სადმე ახლო-მახლო, კავკასიურ სპილენძის ხანაში, უნდა ყოფილიყო სპილენძის სახელოსნო, მით უმეტეს, რომ ცულებში წუნდებული—უფარგისი ცულებიც ურევიაო[1].

ფრ. ჰანჩარი, იხილავს რა განჯა-ყარაბაღულ კულტურის და მასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს, აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო თვალში საცემი, გამორჩეული ნივთიერი ფაქტორები, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა, არამედ აგრეთვე მისი ქრონოლოგიური შეფარდება განჯა-ყარაბაღის კულტურასთან, უდავოდ ბრინჯაოს მახვილები და ცულებია[2].

აკად. ს. ჯანაშიამ პირველმა დაუმკვიდრა ამ ცულს ზუსტი სახელი „აღმოსავლურ-ქართული ცული". იგი იმგვარივე თავისებურებას წარმოადგენს ბრინჯაოს კულტურის აღმოსავლურ-ქართული წრისათვის, როგორსაც—კოლხური ცული ბრინჯაოს კულტურის დასავლურ-ქართულ (კოლხური) წრისათვის[3], მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილ უამრავ არქეოლოგიურ მასალას, თითქმის ეერსად ვიპოვნით (ჩუგლუგა) აღნიშნული ცულის მსგავსს, იგი მრავლად მოიპოვება ა/კავკასიაში და ყველაზე მეტად კი საქართველოში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მოპოვებული შიდა ქართლში.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტიპის ცული წინა აზიაში გავრცელების შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ საომარი ცულის იმ გამოსახულების მიხედვით, რომელსაც ბოღაზკეოის კიბკარზე გამოკვეთილი თეშუბის ხელში ვხედავთ[4] (სურ. 4.), თუმცა იგი განსხვავებული ფორმისაა, ვიდრე ჩვენი ცულები, ხოლო მატერიალური (თვით ცული) ხელშესახები რამ ჯერჯერობით არსად არის აღმოჩენილი. კავკასიაში კი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ათობით გვხვდება ერთი დანიშნულების, მაგრამ სხვადასხვა ზომისა და სახესხვაობის საბრძოლო (ჩუგლუგა) ცულები. გვხვდება აგრეთვე მათი ყალიბებიც.

აღვნუსხოთ აღმოსავლურ-ქართული ცულის გავრცელების ადგილები.

აღმოსავლურ-ქართული ცულები, რომელნიც ნავთლუღის ცულთან ახლო დგანან, აღმოჩენილია შემდეგ ადგილებში:

1. ქედმო სასირეთში აღმოჩენილია საომარი ცულები 3 ცალი (საქ. სახ. მუზეუმის ინვ. $\frac{17-30}{5-6-7}$), ერთი მათგანი $\left(\frac{17-30}{5}\right)$ იწონის 1610 გრ,

---

[1] Е. Такайшвили. Мастерская медных топоров около Ахалкалаки Горийского уезда. Изв. Кавказ. отд. Московск. арх. общест. Вып. III, 1913 г., стр. 172—173.

[2] Franz Hančar. Kaukasus Lucistan. ESA. IX, Helsinki, 1934.

[3] ციტატა მოყვანილია ს. ფფაქიძის მოხსენებიდან „ს. ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია", „კრებული აკადემიკოსი ს. ჯანაშია". თბილისი, 1949.

[4] Б. В. Фармаковский. Архаический период в России. Доклады, читанные на Лондонском Международном Конгрессе историков. В марте 1913 г., Петроград, 1914, стр. 49, таб. XV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეორე $\left(\frac{17-30}{7}\right)$—1563 გრ; ისინი განძს ეკუთვნის. განძის შემადგენ-ლობაში გარდა ცულებისა არის ქედაბეკური ტიპის სატევარი, კოლხური ცული, სატეხი, ფოთლისებური ტარშეურჩენელი სატევარი (2 ცალი), სამფეხა პატარა ჭურჭელი ბრინჯაოსი, სახურავიანი, თხის თავის ქანდაკება, ლაგმები და სხვა. ყველა ნივთი ბრინჯაოსია. ცულები დიდი ზომისაა, ყუაზე შვერილიანები. ეს განძი ჩვენთვის მეტად საინტერესოა, რადგან მისი შემადგენელი ინვენტარი და ზოგიერთი ნივთის შემკულობა ახლო პარალელს პოულობს თბილისის არქეოლოგიურ მასალებთან. ჯერ ერთი, ბრინჯაოს ჭურჭლის შემ-კულობა, სპირალები, დაწნული ორნამენტი დამახასიათებელია თბილისის—ლრმა-ღელესა და ნავთლუღში აღმოჩენილი ფოთლისებრი ბრინჯაოს ტარიანი სატევრისათვის, აღმოსავლურ-ქართული ცული კი ორივე კომპლექსისათვის თითქმის ერთნაირადაა დამახასიათებელი. ძალიან დამახასიათებელია აგრე თ-ვე ამ განძის შემადგენლობაში ქედაბეკური სატევრის არსებობაც, რომ-ლიც, ჩვენი აზრით, აღმოსავლურ-ქართული სატევრის (მოლიანდსხმულის) თანადროულია.

განძი შეიცავს აგრეთვე ორ ცალ ფოთლისებურ, ტარშეურჩენელ, სამ-თავროს უძველეს ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელ სატევარს. ტაბ. 11.

2. კავთისხევში, დამპალას ქედზე მიწის თხრის დროს აღმოჩენილია დიდი, ყუაზე შვერილიანი ცული $\left(\text{ინვ. } \frac{11-32}{4} \text{ ძვ. } 3173\right)$. იგი იწონის 1440 გრ. ცულთან ერთად ნაპოვნი ყოფილა მოგრძო სატეხი $\left(\text{ინვ. } \frac{11-32}{61} \text{ ძვ. } 3174\right)$ და გრძელი და წვრილი მახვილი, წინა აზიის მასალებისათვის რომ არის დამახასიათებელი და რომელსაც ძვ. წ. 15—8 საუკუნით ათარიღებენ[1] $\left(\text{ინვ. } \frac{12-32}{62} \text{ ძვ. № } 3173\right)$. როგორც ძველი საკატალოგო ჩანაწერიდან ირკვევა, ნივთები საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული. ტაბ. 19.

3. მეტეხში ნაპოვნია ყუაზე შვერილიანი დიდი ცული $\left(\text{ინვ. } \frac{5-37}{4}\right)$ წონით 1647 გრ. იგი სამარხშია აღმოჩენილი და მასთან ერთად ჭირისუფალს მიცვალებულისათვის ჩაუტანებია მასრაგახსნილი შუბის პირი ბრინჯაოსი, სატევარი განიერქედიანი, ტარშეურჩენელი, სატეხი ბრინჯაოსი და ორი ცალი თიხის ჭურჭელი. მეტეხის სატევრის მსგავსი სატევარი აღმოჩენილია სამთაროს ერთ-ერთ უძველეს ორმოსამარხში, „არქაული ფორმების შემ-ცველ ორმოსამარხში", როგორც ამას № 267 ორმოსამარხის შესახებ შენიშ-ნავს ალ. კალანდაძე. ტაბ. 20.

[1] А. А. Иессен. К вопросу о древнейшей металургии меди на Кавказе. Изв. ГИМК, Вып. 120. Москва-Ленинград, 1935.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ლეჩხუმში აღმოჩენილ ე. წ. ცაგერის განძის შემცველ არქეოლოგიურ ნივთებს შორის დიდი ზომის ყუაზე შვერილიანი, აღმოსავლურ-ქართული ცული. იგი ძალიან ჰგავს ნავთლუღის ცულს, ისე როგორც მეტეხისა, კავთისხევისა და სასირეთის ცულებს. აღმოსავლურ-ქართულ ცულთან ერთად განძი შეიცავდა კოლხურ ცულს, თოხს, სეგმენტისებურ იარაღს, სატეხს და სხვა ნივთებს. ტაბ 13. სურ. 1.

5. 2 ცული შეხჩის-ციხის (ყოფილი ყარსის ოლქის) განძის შემადგენლობაშია. ერთი ცული დიდი ზომისაა, ყუაზე შვერილიანი. განძის შემადგენელი სხვა ნივთებიდან აღსანიშნავი კოლხური ცულები (5 ც.), თოხი, ბრტყელი ცული, სატეხი, ლაგმის საყბეურები, სატევრის ტარის დაფანჯრული თავი, 7 ც. მასიური რგოლი (სპილენძისა?) და ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები. განძი მხოლოდ ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგება.

6. ყუაზე შვერილიანი დიდი ცული აღმოჩენილია აგრეთვე სოფ. ზემორეთში და დაცულია გორის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში; გორის მუზეუმში დაცულია 6 ცალი აღმოსავლურ-ქართული ცული, რომელთაც ყუაზე არ აქვთ შვერილები.

7. სოფ. ტყვიავში (გორის რაიონი) აღმოჩენილია 2 ცული (ინვ. $\frac{11-32}{50-65}$ ძვ. №№ 1730, 1731); როგორც ძველი საინვენტარო წიგნის ჩანაწერებიდან ჩანს, ორივე ცული საფლავში ყოფილა ნაპოვნი. ერთი (ინვ. $\frac{11-32}{65}$) დიდი ზომისაა. იწონის 1420 გრ. იგი ყუაზე შვერილიანი ყოფილა, დაბალი ფრთებით, სატარის გარეთა ნაწილი სრულიად სადაა. მეორე (ინვ. $\frac{11-33}{50}$) უფრო პატარა ზომისაა, 884 გრ იწონის, ყუაზე შვერილიანია და დაბლაგული ფრთები აქვს. სატარის გარეთა ნაწილზე სამი რელიეფური ზოლი დაუყვება.

აღმოსავლურ-ქართული ცულები აღმოჩენილია აგრეთვე: სოფ. ზედა სიმონეთში (უნაგირას მიდამოები, ქუთაისის რაიონი); სვანეთში (ინვ. $\frac{11-32}{43}$ ვ. № 338), იწონის 684 გრ. ყუაზე შვერილი არ გააჩნია; რაჭაში (ინვ. $\frac{11-32}{42}$ ძვ. № 4501), იწონის 1405 გრ. ყუაზე შვერილი არ აქვს; რაჭაში (ინვ. $\frac{6-02}{95}$ — 1007). აღნიშნულ ცულს პროფ. ბ. კუფტინი მიიჩნევს კოლხურისა და აღმოსავლურ-ქართული ცულის შეჯვარებად — აღმოსავლურ-ქართული ცულის განვითარებულ შეცვლილ სახედ[1]. კოლექცია, რომლის შემად-

[1] Б. А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. სიქ. მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944. გვ. 332, სურ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლობაში შედის ეს ცული, მრავალი ნივთებისაგან შედგება. მათ შორის 7 ცალი ტარშეურჩენელი ფოთლისებური სატევარია, გრძელი სატევარი, ბრინჯაოს საკინძები და სხვა ნივთები. ცული იწონის 267 გრ. ცულის აღწერას იძლევა უვაროვას კატალოგი: ცულები სპილენძისაა, რომელიც იმეორებს პატარა ზომის ძველი ყობანური ტიპის სწორხაზოვანი ცულის ფორმასა[1].

4 ცალი აღმოსავლურ-ქართული ცული აღმოჩენილია ბეჟათუბანში და სოფ. ალში (სურამის მახლობლად. ტაბ. 13, სურ. 3, 4, 5). ჩუგლუგა ცულები აგრეთვე შემდეგი ადგილებიდან გვაქვს: ცხინვალის განძიდან 4 ცალი, ერთი მათგანი ყუაზე შვერილიანია (ტაბ. 14). ამგვარივე მინიატურული ცული (79 გრ იწონის) აღმოჩენილია აჩაბეთში (გორის რაიონი). 11 ცალი $\left(\text{ინვ. } \frac{65-08}{1-11}\right)$. აღმოსავლურ-ქართული ცული აღმოჩენილია ახალქალაქში, განძის სახით. საშუალოდ მათი წონა 1155 გრ აღწევს. ერთი ცალი მარტაზის ხეევიდანაა (მცხეთა), 3 ცალი—სამთავროს სამაროვანზე. ერთი ცალი სოფ. კოდის წყაროში (დუშეთის რაიონი), ტაბ. 13, სურ. 2 $\left(\text{ინვ. } \frac{10-29}{1}\right)$, ზემო ავჭალაში ინვ. $\frac{2-26}{1}$ იწონის 508 გრ. ერთი ცალიც ალაზნის ველიდანაა. ამგვარი ცული ლაგოდეხშიაც ყოფილა აღმოჩენილი (ერმიტაჟში დაცული, ინვ. № 28653) ბაკურციხიდან კი 4 ცალია და სხვა. ამას უნდა დამატოს 19 ცალი აღმოსავლურ-ქართული ცული ინვ. $\frac{2-10}{1}$, $\frac{82-13}{2}$, $\frac{26-26}{67}$, $\frac{11-32}{39, 40, 46, 49, 50}$, $\frac{1-36}{29, 28, 31, 32, 33}$, $\frac{6-35}{33}$, $\frac{1-51}{34-37}$ და სხვ., რომლებიც ინახება საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში და მათი აღმოჩენის ადგილისა და მოპოვების ვითარების შესახებ არაფერი ვიცით. მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ ამ ცულების დიდი უმრავლესობა დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ან მის მოსაზღვრე რაიონებშია, ალბათ, აღმოჩენილი. თუ ეს ასეა, მაშინ აშკარა გახდება, რაოდენ დიდძალი აღმოსავლურ-ქართული ცულებია აღმოჩენილი ჩვენს ტერიტორიაზე. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე 8 ათეულამდე (76 ცული) აღმოსავლურ-ქართული ცულია აღმოჩენილი. 19 ცალის აღმოჩენის ადგილი ჩვენთვის უცნობია. დანარჩენი 57 ცალი შემდეგნაირად ნაწილდება საქართველოს სხვადასხვა მხარეთა შორის: დასავლეთ საქართველოს 6 ადგილიდან 11 ცალი ასეთი ცულია აღმოჩენილი. მათ შორის ორი დიდი ზომისაა. ყუაზე შვერილიანი. ყველა ისინი თითქმის განძებიდანაა. გაურკვეველია მხოლოდ რაჭისა და სვანეთის ცულების აღმოჩენის ვითარება, შიდა ქართლში სურამის ულელტეხილიდან არაგვამდე 10 ადგილიდან ასეთი 36 ცალია აღმოჩენილი. მათ შორის სურამიდან 1 ცა-

[1] П. С. Уварова. Коллекции Кавказского Музея Археология. т,. V, Тифлис, 1902, стр. 42—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ცხინვალიდან 5 ცალი, გორისა და კასპის რაიონიდან 26 ცალი (კასპის რაიონიდან 19 ცალი), მცხეთის მიდამოებიდან 4 ცალი. მდ. არაგვიდან აღმოსავლეთით საქართველოს ტერიტორიაზე 10 ცალი; რაც შეეხება იმ აღმოსავლურ-ქართულ ცულს, რომელიც 1911 წლის საკატალოგო წიგნშია ჩაწერილი $\frac{97-11}{15}$ ნომრით და აღნიშნულია, რომ იგი ერევნის გუბერნიაშია ნაპოვნიო, პროფ. კუფტინი არ ეთანხმება ამ ჩანაწერს და ამბობს, რომ იგი პატინითა და თანმხლებ ნივთთა ფორმების მიხედვით ცხინვალის განძის ნაწილი უნდა იყოსო[1], სახელდობრ, მას მხედველობაში აქვს დიდრონი რგოლები, ე. წ. რგოლი მონეტები; მაგრამ, როგორც ამ საკითხზე ო. ჯაფარიძე შენიშნავს, არავითარი საბუთი ამისათვის ჩვენ არ გაგვაჩნია[2]. თუ დავუკვირდებით ზემოთ აღნიშნულ ცულსა და ცხინვალის განძის ცულებს მათ შორის დიდი განსხვავებაა როგორც ფორმით, აგრეთვე პატინით. როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, დღემდე აღნუსხული აღმოსავლურ-ქართული ცულების დიდი უმრავლესობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოდის, არაგვიდან სურამის უღელტეხილამდე; მაგრამ შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიაზე, მის ცენტრალურ ნაწილში ეს იარაღი შესაძჩნევად მეტი რაოდენობით გვხვდება. მხოლოდ კასპისა და გორის რაიონზე მოდის აღმოს. ქართული ცულის 26 ცალი, კერძოდ, კასპის რაიონში ასეთი ცულის 19 ცალია აღმოჩენილი — 4 ადგილიდან. ორი შემთხვევა განძის სახით, ორი კი სამარხიდან. ნავოლოღში აღმოჩენილი დიდი ზომის ყუაზე შეერილნი ცულის ზუსტად მსგავსი ცალები კასპის მიდამოებშია (სასირეთის, მეტეხის და მეჯერისხევის ცულები) აღმოჩენილი. ერთადერთი ცალია ასეთი ცული დასავლეთ საქართველოში (ცაგერი) ნაპოვნი. თბილისიდან აღმოსავლეთით კი სიდიდითა და მოყვანილობით ასეთი ცული არ გვეგულება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ იგი შიდა ქართული წარმოშობისაა.

ჩვენ არა გვაქვს განზრახვა აქ შევეხოთ აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ აღმოსავლურ-ქართულ ცულებს, იგი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ასეთი ცულები არ არის ისეთი დიდი რაოდენობით მოპოვებული, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე.

ამრიგად დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოსავლურ-ქართული ცული აღმოჩენილია შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, კასპისა და გორის რაიონების მიდამოებში, ხოლო ყალიბები შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მის ჩრდილო ნაწილში. ეს მონაცემები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ აღმოსავლურ-ქართულ ცულს სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს ამ ნაწილში ჰქონდა ყველაზე მეტი გამოყენება და იგი აღმოსავლურ-ქართული კულტურის დამახასიათებელი წამყვანი იარაღია, რომელიც აქვე მზადდებოდა.

---

[1] Б. А. Куфтин. დასახელებული ნაშრომი, გვ. 311, სქოლიო.

[2] ო. ჯაფარიძე. ცხინვალის განძი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ჩვენ აღმოსავლურ-ქართულ ცულთან დაკავშირებულ მასალებს და ლიტერატურას ეეცნობოდით, ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია; პროფ. ბ. კუფტინი თავის შრომებში მრავალგზის იხილავს აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურისთვის დამახასიათებელი და განსაზღვრელი ფორმების საკითხს. ის იძლევა ამ კულტურათა გავრცელების საზღვრებს გვიანბრინჯაოს პერიოდში (ძვ. წ. 11 და I ათასწლეულთა მიჯნა) და გამოჰყავს ზოგიერთი დასკვნები ქართველური ტომების ნაციონალურ (?) პოლიტიკური დიფერენციისა და სხვა საკითხებზე.

პროფ. კუფტინის მიერ მტკიცდ მნიშვნელოვანი საკითხებია დასმული. ჩვენ მოგვიხდება მის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ საკითხზე გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, რადგან ისინი უშუალოდ ჩვენ საკვლევ საგანთან არის დაკავშირებული.

პროფ. კუფტინი აღნიშნავს, რომ გვიანბრინჯაოს კულტურა II და I ათასწლეულის მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური აღმოჩენებით. ტერიტორიალური ტიპების გამოყოფა არა მარტო ასხვავებს ერთმანეთისგან საწარმოო რაიონებს, არამედ აწკარად ასახავს ქართველური ტომების ეროვნულ პოლიტიკურ დიფერენციაცას ვინის სამეფოს წარმოქმნის ეპოქაში, როდესაც ისინი უკვე აშკარად არიან დაყოფილი ორ უმთავრეს ჯგუფად [1].

ამავე მოსაზრებას გამოთქვამს იგი უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ შრომაში, სადაც იგი შეეცადა მოეხაზა საქართველოს კულტურულ საწარმოო რაიონების საზღვრები ბრინჯაოს ეპოქის ბოლოსათვის იმ სახით, როგორც ეს ეხატება ავტორს აჩვამად არსებული ლიტერატურული წყაროების და საქ. სახ. მუზეუმის მდიდარი არქეოლოგიური კოლექციის შესწავლის საფუძველზე. ბ. კუფტინი აცადებს, რომ რუკაზე აღნიშნული ორი სხვადასხვაგვარი საზღვრის გადაკეცეთამ მტკვრის ზემო წელის გასწვრივ. განსაკუთრებით კომპლექსური აღმოჩენებით მდიდარ გორის რაიონში. საშუალება მისცა მას დაბეჯითებითი სინქრონიზაცია მოეხდინა ამ დროს თანაარსებული ორი მთავარი საწარმოო ოლქისა[2].

პროფ. კუფტინის დასკვნებით პირველ ყოვლისა გამოდის, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, იმ პერიოდში, როდესაც კოლხური ცული ფართოდ იყო გამოყენებული, შიდა ქართლი მდ. არაგვამდე კოლხურ-ყობანური კულტურის სფეროში ექცეოდა, ხოლო აღმოსავლურ-ქართული კულტურის სფერო. ამავე პერიოდისათვის, არაგვამდე აღწევდა. ამდენად კულტურის ამ ორი რაიონის გავრცელების საზღვარიც მდ. არაგვი ჩანს. ბ. კუფტინი ამას მტკიცედ და დარწმუნებით აცხადებს. პროფ. კუფტინის ეს მოსაზრება, არა გვგონია, მართებული იყოს[3].

ჩვენი მოსაზრების სისწორე რომ ეაჩვენოთ, საჭიროა გვეკვლია შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს. ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული

---

[1] Б. А. Куфтин. Археологический разыскания, гр. 313, 424, стр. 12.

[2] Б. А. Куфтин. Материалы к Археологии Колхиды, I, Тбилиси.1949 г., стр. 135.

[3] ო. ჯაფარიძე თავის ერთ-ერთ შრომაში „მიწადმოქმედების იარაღები დასავლურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულები და მისი თანმხლები ინვენტარი .ახლა გავეცნოთ კოლხური ცულების გავრცელებას შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე 21 ცალამდე კოლხური ტიპის ცულია აღმოჩენილი, უმთავრესად II და III ტიპისა (ოთარ ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით[1]); ამათგან დაახლოებით 7 ცალი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდანაა. ამრიგად შიდა ქართლში, მისი ჩრდილო ნაწილის გამოკლებით, დაახლოებით 14 ცალი კოლხური ცულია ნაპოვნი. ამათგან დიდი ნაწილი განძისეულია, რომელშიც აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმები ჯარბობს[2]. აქ საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ერთი მეტად ძნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, ზომ არ უსწრებს კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი და წამყვანი ფორმების არსებობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე იქვე აღმოჩენილ აღმოსავლურ-ქართულ ცულებს, სატევრებს, მახვილებს და ამ კულტურისათვის დამახასიათებელ სხვა ფორმებს?

პირველ ყოვლისა განვიხილავთ ყველაზე დოკუმენტირებულ მასალას, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ კოლხური და აღმოსავლურ-ქართული კულტურის წამყვან-დამახასიათებელ იარაღს და მის თანმხლებ ნივთებს. სამთავროს სამაროვანზე წლების განმავლობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად 3 ცალი ბრინჯაოს კოლხური ცულია აღმოჩენილი. ერთი მათგანი № 121 სამარხში აღმოჩნდა. სამარხში კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩენილია 10 ცალი თიხის ჭურჭელი, რკინის მახვილი, ისრის წვერები ძვლისა და ბრინჯაოსი, დანის მსგავსი ნივთი რკინისა, ბრინჯაოს მაშა, სამაჯური, სარტყელი და სხვა; როგორც ჩანს, საფლავი იმ პერიოდისაა, როდესაც რკინა მცხეთაში უკვე გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს.

მეორე № 208 საფლავში იყო. აქ კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი მახვილი (ერთი ბოლოკვეთილი, მეორე ბოლოწვეტიანი), სარტყელი, მასარაშეკრული შუბისპირი, მოქიქული ჭურჭელი, ბრინჯაოს მილები და მასთან დაკავშირებული ირმის ქანდაკებები. ბრინჯაოს ჭურჭელი, დანა რკინისა და სხვა. სამარხში რკინის ერთადერთი ნივთია. ერთადერთია აგრეთვე კოლხური კულტურის დამახასიათებელი ნივთი (ცული).

მესამე აღმოჩნდა № 260 სამარხში. აქ კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი (6 ც.), ბრინჯაოს საკინძები კონუსისებურ თავიანი, ბრინჯაოს ბეჭედი, სამაჯური (2 ც.), სარდიონის, ქარვისა და პასტის მძივები. ამრიგად, № 260 სამარხში რკინის ნივთი არ არის; ამავე დროს ეს გარემოება ამ სამარხელი ინვენტარის არქაულობას მაინც არ მოწმობს.

ქართულ კულტურაში" აღნიშნავს, რომ „უკანასკნელ ხანებში ბ. კუფტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დასავლურ და აღმოსავლურ ქართულ კულტურათა სახღვარი არაგვის ხეობასთან უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაახლოებით იქ, სადაც შიდა ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი იყო, ვფიქრობთ, რომ ბ. კუფტინის ეს მოსაზრება საეს ებეთ მართებული არ უნდა იყოს".

[1] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. კოლხური ცული. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბილისი, 1950, გვ. 35—89.

[2] ამ შემთხვევაში გამონაკლისს ცხინვალის განძი შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის მიდამოებში დღეისათვის აღმოჩენილია 4 ცალი აღმოსავლურ-ქართული ცული: სამი ცალი სამთავროს სამაროვანზე, 1 ცალი კი — მარტყოს ხევში 1951 წლის ივნისში. სამთავროული ცულები შემდეგ სამარხებშია აღმოჩენილი:

1. № 591 სამარხში (გათხრილია ფრ. ბაიერნის მიერ) შედარებით პატარა ფრთებ (ნიღრ) წაკვეთილ ცულთან ერთად აღმოჩენილია შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს მახვილი ორი ცალი, მათ შორის ერთი ბოლოკვეთილი (შედ. 208 სამარხის ინვენტარს), რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს ბრტყელი ცული, სარტყელი, ისრის წვერები, მილები, ირმის ქანდაკებები. ამ სამარხში ერთადერთი საბრძოლო იარაღია რკინისა. სამარხის ძირითადი ინვენტარი აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებითაა წარმოდგენილი.

2. № 195 სამარხში. ცულთან ერთად აღმოჩენილია შემდეგი ნივთები: 4 ცალი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ქარქაში რკინის იარაღისა (მახვილის), ბრინჯაოს ბეჭდები, რგოლები, სამაჯური (12 ც.), რკინის შუბის პირი, ნატეხები რკინის სატეკრის ტარისა, რკინის დანის პირი, სარდიონის, ცისფერი პასტისა და ქარვის მძივები. ამრიგად, № 195 საფლავში ჭარბობს რკინის ნივთები (შეადარეთ № 121—კოლხურ ცულიანი სამარხი).

3. № 240 სამარხში. იგი მოზრდილია და ყუაზე შვერილი არ აქვს: ამის გარდა, სამარხის ინვენტარი საინტერესო ნივთებისაგან შედგება: ბრინჯაოს მახვილი წვეტმომრგვალებული, ბრინჯაოს სატეხი მოკლე, ბრინჯაოს ისრის წვერები, ბრტყელი, სამკუთხა მოყვანილობის, ირმის რქის ძირი (დამუშავებული), ბრინჯაოს სადგისები, წანაგოვანი, ორი ცალი, საკიდები ბრინჯაოსი, თეფშის მოყვანილობისა, პატარები, სარდიონის, პასტისა და ძვლის მძივები. ამრიგად სამარხში რკინის ინვენტარი არა ჩანს (შდ. სამარხი 260).

კოლხური და აღმოსავლურ-ქართული ცული, როგორც ერთი, ისე მეორე, სამთავროს სამაროვანზე ჯერჯერობით 3—3 ცალია აღმოჩენილი. ორივე ტიპის ცული—თითო ურკინო კომპლექსშია (240—260 ორმოსამარხები), თითო ცალი ისეთ კომპლექსშია, რომელშიაც რკინის მხოლოდ თითო „წარმომადგენელია" (იარაღის სახით) და აბსოლუტური უმრავლესობა ნივთებისა ბრინჯაოსია (591—208 ორმოსამარხები); ხოლო თითო ცალი კი ისეთ კომპლექსებში, სადაც უკვე ჭარბობს რკინის იარაღი (195 და 121 სამარხებიდან). ამას უნდა დაემატოს ის მრავალრიცხოვანი იარაღ-საჭურველი, რომელიც ზემოთ აღწერილი საფლავების დროინდელ სხვა მრავალ სამარხშია აღმოჩენილი და მხოლოდ აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვისაა დამახასიათებელი; ასეთები სამთავროში მრავლადაა. ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ დამახასიათებელ მაგალითებს: სამთავროს სამაროვნის №№ 44, 96, 87, 275, 39, 88 სამარხებში აღმოჩენილია აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს მთლიანადლხმული სატეკრები, ხოლო №№ 56, 96 ბ, 77, 152 და სხვა მრავალ სამარხში მახვილები და აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ: ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი საფეხურის სამარხებში (II და I ათას წლეულის მიჯნა ან ცოტა ადრეც) აშკარად ჭარბობს აღმოსავლურ-ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურისათვის დამახასიათებელი ინვენტარი: სატევრები, მახვილები, ხუთლა-გები, თხელფირფიტოვანი სამკუთხა ფორმის ან გრძელღეროიანი და ფრთებიანი ისრის წვერები და სხვა. ამათ გვერდით მხოლოდ თითო ოროლა წარმომადგენელია დასავლურ-ქართული (კოლხურ-ყობანური) კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმებისა: ცული, ფიბულა და სხვა. მაგრამ ეს უკანასკნელი ფრიად უმნიშვნელოა, რაც უფლებას გვაძლევს უკუვაგდოთ ბ. კუფტინის მოსაზრება სამთავროს დასავლურ-ქართული კულტურის ბატონობის სფეროში მოქცევის შესახებ.

ჩვენი აზრით, კი სამთავრო და მისი კულტურა აღმოსავლურ-ქართული კულტურის მკვიდრია, მისი ერთ-ერთი წამყვანი, შემადგენელი ნაწილია. იგი არავითარ სხვა კულტურის სფეროში არ არის მოქცეული. განხილული პერიოდის არც ერთ ვიწრო მონაკვეთშიაც კი კოლხურ-ყობანური კულტურა გაბატონებული არ ყოფილა.

გავყვეთ შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს. შიდა ქართლის ჩვენთვის საინტერესო მასალებიდან ზოგიერთი სათანადოდ დოკუმენტირებულია, ზოგიერთი კი მოკლებულია მას, მაგრამ საკმარისია, თუ გინდ ერთხელ, ამ არა სათანადოდ დოკუმენტირებული მასალის კარგად თვალის გადავლება, რომ აშკარა გახდეს აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპების სიჭარბე მსჯელობის საგნად აღებულ პერიოდში. შიდა ქართლის ცენტრალური ნაწილიდან ორი განძი გვაქვს: ერთი სასირეთისა, მეორე კი ახალქალაქის. სასირეთის განძის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი კოლხური ცულია, ნივთების აბსოლუტური უმრავლესობა აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმებია; მათ შორის არის ყუაზე შვერილიანი სამი ცული. ახალქალაქის განძის შემადგენლობაში კოლხური ცულის 3 ნატეხია, იმ დროს, როდესაც აღმოსავლურ-ქართული ცული 11-ია. კასპის რაიონიდან კიდევ ორი სამარხის ინვენტარია საინტერესო (მეტეხი, კავთისხევი). ორივე სამარხში ყუაზე შვერილიანი დიდი ცულები და აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთებია. კოლხური ცულები განძების გარეშეც არის აღმოჩენილი, ერთი ასეთი ცული აღმოსავლურ-ქართულ სატევართან ერთად ქვემო გოსტიბეშია ნაპოვნი (ინვ. $\frac{8-30}{1-4}$). ნარეკვავშიც არის შემთხვევით აღმოჩენილი კოლხური ცული; ასეთი ცული აღმოჩენილია აგრეთვე ს. ალში და სხვა ადგილებში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული, ხოლო რომელთა აღმოჩენის ვითარება ცნობილია — აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს მასალა განძებსა და სამარხებშიაც ერთდროულად გვხვდება. ამრიგად, არსებული მასალების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება თქვას, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდისათვის, ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნისათვის, კოლხურ-ყობანური კულტურის დამახასიათებელ ფორმებს შიდა ქართლის ტერიტორიაზე არ ეკავა გაბატონებული მდგომარეობა. განსაკუთრებით სუსტადაა იგი წარმოდგენილი შიდა ქართლის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც აშკარად ჭარბობს აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები. ამ უკანასკნელთა გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ვხედებით თითო ოროლა წარმომადგენელს კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთებისა. მეორე მხრივ, ამ ორი კულტურისათვის დამახასიათებელი, წამყვანი ფორმები ერთდროულად გვხვდება.

ბ. კუფტინი თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში პირდაპირ აცხადებს, რომ „II და I ათასწლეულთა მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში... ტერიტორიული ტიპების გამოყოფა არა მარტო ანსხვავებს ერთმანეთისაგან საწარმოო რაიონებს, **არამედ, აშკარად** ასახავს ქართველური ტომების ეროვნულ-პოლიტიკურ დიფერენციაციას ვანის სამეფოს წარმოქმნის ეპოქაში[1]. გამოდის, რომ ავტორის მიერ ზოგებულ რეკაზე იარაღთა წამყვანი ფორმების მიხედვით გამოყოფილი რაიონები არა მარტო იარაღთა გავრცელების საზღვრებს გვიჩვენებს, არა მარტო საწარმოო რაიონების სახესხვაობაზე ლაპარაკობს, არამედ გვიხატავს ქართველური ტომების ეროვნულ პოლიტიკურ დიფერენციაციასაც. რას ნიშნავს ეს ნაციონალურ-პოლიტიკური დიფერენციაცია? ბ. კუფტინი ლაპარაკობს ტომებზე და ამავე დროს—ნაციას, ერს იხსენიებს. პოლიტიკურ დიფერენციაციაზე ლაპარაკობს იმ დროს, როდესაც საამისო არც ერთი საბუთი მას არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში შრომაში არ არის წარმოდგენილი და, ვფიქრობთ, ამჯერად **არც** შეეძლო წარმოედგინა, რადგან ამის ნივთიერი ან წერილობითი საბუთი ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება.

ამდენად არ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ უსაფუძვლო გამოთქმებით, რაიმე დამადასტურებელი ფაქტიური მასალის გარეშე. კიდევ მეტი—რა უფლების ძალით ვახსენებთ, და არა ერთხელ, ეროვნულს (ნაციონალურს) იმდროოისათვის, როდესაც ი. ბ. სტალინის განმარტებით „როგორ შეიძლებოდა ერების წარმოშობა და არსებობა კაპიტალიზმამდე, ფეოდალიზმის პერიოდში, როცა ქვეყნები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკე დამოუკიდებელ სამთავროებად, რომელთა შორის არა თუ ეროვნული კავშირი არ იყო, არამედ ისინი გადაჭრით უარყოფდნენ ასეთი კავშირის საჭიროებას?... ერები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ წინაკაპიტალისტურ პერიოდში"[2]. ამბ. ი. სტალინი გვასწავლიდა, რომ ნაცია, ერი ყალიბდება ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში[3]. კერძოდ ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ იგი ამბობს: „საქართველო როგორც ერი მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი"[4]. „ერი უბრალო ისტორიული კატეგორია კი არ არის,—აღნიშნავს ი. სტალინი,—არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღძავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული კატეგორიაა"[5].

ზედმეტი არ იქნებოდა თუ ამ საკითხის შესახებ მოვიტანდით ი. სტალინის კიდევ ერთ განმარტებას. ი. სტალინი ამბობს: „კაპიტალიზმის წარმოშობას-

---

[1] ბ. კუფტინი. დასახ. ნაშრ., გვ. 313.
[2] ი. სტალინი. თხზულებანი, II, თბილისი, 1950, გვ. 372.
[3] ი. სტალინი. თხზულებანი, 2, თბილისი, 1947.
[4] **იქვე, 318.**
[5] **იქვე, გვ. 326.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, ფეოდალური დაქუცმაცების ლოკვიდაციასთან და ეროვნული ბაზრის წარმოქმნასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად"[1]. თუკი დაისმება საკითხი, როგორ ან რაგვარად წარმოვიდგინოთ, რა ტერმინები ვიხმაროთ ხალხთა განვითარების სხვადასხვა ეტაპებისათვის აქ უკანასკნელის შესახებაც კლასიკურ განმარტებას იძლევა ი. სტალინი. იგი ამბობს: „რაც შეეხება შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე, და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე, ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისთვის"[2]. მაგრამ ბ. კუფტინს ტერმინები როდი ერევა, ის მხოლოდ ერთხელ: როდი ხმარობს ტერმინს „ეროვნული" (ნაციონალური). თავის შრომაში სხვა ადგილს იგი აღნიშნავს: „თვით ეთნიკური ჩამოყალიბების პროცესში, ჯერ კიდევ გვაროვნული საზოგადოების წიაღში, ერთდროულად მოქმედებს ორი ურთიერთწინააღმდეგი ფაქტორი: კულტურულ-ენობრივი გათანაბრება (აკულტურაცია), მანამდე სხვადასხვაგვარი ნაწილების ურთიერთ შეგუება და ამის პარალელურად მიმდინარე პროცესი სოციალ-ეკონომიური დანაწევრებისა, რასაც შედეგად მოსდევს ცალკეული, უკვე გამოყოფილი საზოგადოებრივი ჯგუფების გაერთიანება ტომების გარეშე. ეს გარემოება კი, როგორც ცნობილია, მონათმფლობელობისა და ფეოდალური საზოგადოებაში ზოგჯერ იწვევს კლასობრივად განსხვავებული (დამწერლობანი თუ უდამწერლობა) ენების წარმოქმნას. ამასთანავე შკვდრი მოსახლეობა ფიზიკურადაც იმოავითე ჩვეული გარემოს მეურნეობრივი ათვისების კულტურული გამოცდილებითაც, ბუნებრივად შედის ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ წარმონაქმნში, როგორც ყველაზე აშკარაა გამოხატული ფენა"[3]. ამ გრძელი ამონაწერის მოტანა ჩვენ დაგვჭირდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, აქ ისევ და ისევ ახლად ჩამოყალიბებული არარსებული „ეროვნული" წარმოქმნის პროცესზეა ლაპარაკი და, მეორე მხრივ, აშკარად ჩამოყალიბებულ თვალში საცემ მარსტულ აბნეულობასთან გვაქვს საქმე. ცნობილია ნ. მარის ყალბი დებულება ენათა განვითარების შესახებ. მისი სტადიერობის თეორია, რომელიც აღიარებს ნახტომებს, უეცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში. რომ, თითქოს, ხდება ენის უეცარი სიკვდილი და ასევე უეცრად ახალი ენის შექმნა.

ამბა რა არის, თუ არა მარის ამ უაზრო დებულების განმეორება, მისი მექანიკურად გადატანა საზოგადოებრივი მოკლენის ასახსნელად ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები (ქართველური) გვარებისა და ტომების განვითარების, მისი განმსხვეილებული ერთეულების შექმნის მიმართ, როდესაც ბ. კუფტინი ამბობს, რომ „მანამდე სხვადასხვაგვარი ნაწილების ურთიერთ შეგუება და ამის პარალელურად მიმდინარე პროცესი სოციალ-ეკონომიური დანაწილებისა, რასაც შედეგად მოსდევს ცალკეული, უკვე გამოყოფილი საზოგადოებრივი ჯგუფების გაერთიანება ტომების გარეშე".

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი, 1950, გვ. 12.
[2] იქვე.
[3] ბ. კუფტინი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 399—400.

3. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად იმისა, რომ ბ. კუფტინს მოეცა კონკრეტული მასალა [illegible] საფუძველზე, სამსჯელო პერიოდში, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა გვარებისა და ტომების განვითარების მათი გაერთიანების თუ გამსხვილების სრული სახე, იგი გამოგონილი მარისტული „თეორიის“ მარკით, წინასწარ შექმნილი სქემის საფუძველზე იძლევა ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები გვარების გარდაქმნა-გამსხვილების სურათს ტრანსფორმაციის გზით, ნახტომების გზით.

აშკარად მარისტულია ე. წ. თეორია „კლასობრივად განსხვავებული (დამწერლობანი თუ უდამწერლობნი) ენების წარმოქმნის“ შესახებ; ჩვენ ამ უკანასკნელ და სხვაგან გამოთქმულ მარისტულ თეორიაზე, რომელიც ბ. კუფტინის მიერ არა ერთხელაა გამოყენებული და თავისებურად გადამუშავებული, არ ვიმსჯელებდით, რომ დიდი ხნის განმავლობაში ი. ბ. სტალინის გენიალური შრომების გამოქვეყნების შემდეგ ავტორს საჯაროდ გამოეთქვა თავისი აშკარა ნარისტული შემცდარი დასკვნები.

ამრიგად, თურმე ეს ტერიტორიული ტიპების გამოყოფა პოლიტიკურ დიფერენციაციასთან არის დაკავშირებული; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბ. კუფტინის მიერ მოცემული კულტურის წამყვან ფორმათა გავრცელების საზღვარი ამავე დროს ყოფილა აღმოსავლურ და დასავლურ-ქართულ კულტურათა ამ ორი ეთნიური ჯგუფის საზღვრები გვიანბრინჯაოს პერიოდში, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი და არ შეეფარდება არქეოლოგიურ ფაქტიურ მონაცემებს დღევანდელობამდე.

მეორე მხრივ, არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გვიანბრინჯაოს პერიოდში დასახელებულ ტერიტორიაზე ეროვნულ-პოლიტიკური დიფერენციაცია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნაცია, ერი. ვფიქრობთ, აქ ვაუგებრობას აქვს ადგილი, სტალინური მოძღვრების უგულებელყოფას ერის შესახებ, რაც ეროფ. კუფტინის სხვა შრომებიდანაც ჩანს. ამა თუ ამ ნაშრომი, თუ არა მარქსისტული მოძღვრების არცოდნას ან არგაგებას, როდესაც ბ. კუფტინი აცხადებს, თითქოს, არძაზული წარწერების ახალი მონაცემები „ნათლად გვიჩვენებენ, რომ არა სპარსეთის სახელმწიფომ, იბერიის ძველის ძველმა მტერმა, არამედ მისმა კულტურულმა კავშირმა ხმელთაშუა ზღვის არამიულ და ბერძნულ კულტურულ კერებთან განსაზღვრეს უკვე წინა ქრისტიანულ ხანაშიც ქართველი ტომების ეროვნული თვითგამორკვევა“[1], თითქოს კომენტარი არ არის საჭირო. გამოდის, რომ კულტურის იმპორტმა არა ირანიდან, არამედ არამიული და ბერძნული კულტურული კერებიდან „განსაზღვრეს უკვე წინა ქრისტიანულ ხანაშიც ქართველი ტომების ეროვნული თვითგამორკვევა“. რა განსხვავებაა ირანსა და ხმელთაშუა ზღვის მოხსენებულ ქვეყნებს შორის? თურმე ერთი მტერია და მეორე მოყვარე. აქთარს ამ შემთხვევაში აეიწყდება სტალინური მოძღვრება ერის ჩამოყალიბებასა და თვითგამორკვევაზე, რომ ერის თვითგამორკვევის, ერის ჩამოყალიბების პროცესზე გარეგან ფაქტორებს კი არ აქვს გადამ-

[1] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცნო წყაროებით. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტომი X, № 5, თბილისი, 1949, გვ. 319.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტი მნიშვნელობა, კულტურის გავრცელება და შეტანა იმპორტით კავშირ-ში, არამედ იგი არის გრძელი პროცესი, იქმნება და ყალიბდება ქვეყნის შიგნით საკუთარი ძალებით, საკუთარი შესაძლებლობით, საკუთარი მონაცემებით. ამ საკითხზე სამართლიანად შენიშნავს გ. წერეთელი, „ბ. კუფტინს ავიწყდება, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევას განსაზღვრავდა არა ირანი ან რომი ან ბერძნული სახელმწიფოებრივი ერთეულები ან კიდევ მათთან კავშირი, არამედ ქართველი ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევას განსაზღვრავდა ის ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ ეროვნულ წარმოქმნას და რომლებიც გენიალური სიცხადითა და სიღრმით დადგენილია დიდი სტალინის კლასიკურ შრომაში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“[1].

პროფ. კუფტინი თავის რუკაზე იძლევა რა ზოლს, რომელიც იწყება არაგვიდან და აღწევს სვანეთამდე, აღნიშნავს, რომ „რაც შეეხება ბრინჯაოს ჩუგულება ცალს, მისი გავრცელების ტერიტორია ქმნის საინტერესო ვიწრო და გრძელ ზოლს მთავარი ქედის კოლხურ-ყობანურ რაიონებში, სახელდობრ, გორისა და იმერეთის მეშვეობით რაჭასა და თვით ლეჩხუმშიაც კი“[2], და შემდეგ „...მეორე მხრივ აღმოსავლურ-ქართველი ტომები ამ დროს უკვე მეტ აქტივობას იჩენენ ტერიტორიულ ექსპანსიაში, ვიდრე დასავლურ-ქართველი ტომები, რომელთაც თავდაპირველად გაცილებით მეტი მიწა-წყალი ეკავათ, მაგრამ ამ დროისათვის აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ თანდათანობით მეზობლის მიერ საგრძნობი კულტურული—„შთანთქმა“ განიცადეს. რუკაზე (სურ. 12) ეს გარემოება ასახულია აღმოსავლური და დასავლური ბრინჯაოს ნივთების ფორმათა გავრცელების საზღვრების ურთიერთ კვეთით“[3]. ამრიგად ზოლი, რომელიც იწყება არაგვიდან და მიემართება დასავლეთით, ან ჩრდილო-დასავლეთით, ის გზა ყოფილა, რა გზითაც, აღმოსავლურ-ქართველი ტომები ჩუგულებებით, ორი ტიპის მახვილებით, დიდრონი გრძელყუნწიანი ისრისპირებით და შუბისპირებით მიემართებოდნენ დასავლეთით ტერიტორიული ექსპანსიის მიზნით. გამოდის, რომ აღმოსავლურ-ქართველ ტომებს საკუთარი სამყოფელი ტერიტორია თავის ექსპანსიის ბაზად გაუხდია. ეს ზოლი კიდევ ერთი აშკარა ფაქტია იმისა, რომ აქ გაეგებრობასა და წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, რომ უსწოროდაა წარმოდგენილი აღმოსავლურ-ქართული კულტურის და დასავლურ-ქართული კულტურის ბატონობის სფეროები, ამ ორი ეთნიური ჯგუფის ტერიტორიული საზღვრები, არარსებული ექსპანსიური პოლიტიკის ამბები, ჯერ დასავლურის („სამეურნეო ექსპანსია“) და შემდეგ აღმოსავლურ-ქართული ტომების მიერ შეიარაღებული ტერიტორიული და მაშასადამე პოლიტიკური ექსპანსია დასავლურ-ქართველი ტომების გავრცელების საზღვრებში.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ საკითხი აღმოსავლურ-ქართული ცულის გავრცელებისა, მისი რაოდენობრივი შეფარდებები ცალკე რაიონების მიხედვით და

---

[1] გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი. საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის ზოგიერთი გაღრკვეული შემთხვევის გამო. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. № 6, თბილისი, 1949, გვ. 334.

[2] Б. А. К у ф т и н. К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на кавказе. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B, თბილისი, 1944, გვ. 331—332.

[3] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 406 ან 327—328.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ „ეგრისი“ სისოს ტერიტორიაზე ყველაზე მეტი როდენობით აღმოსავლურ-ქართული ცულის ადრეული ფორმები შადა ქართლშია აღმოჩენილი. ამას უნდა დამეტოს ისიც, რომ შიდა ქართლისაკე ტერიტორიაზეა ნაპოვნი აღმოსავლურ-ქართული ცულის ყალიბებიც, იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია ბ. კუფტინის მიერ რუკაზე გამოყოფილი, შორს გაწეული ვიწრო ზოლის ფარგლებში. ამავე ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი სხვა ფორმებიც. ამდენად ცხადია, რომ შიდა ქართლის ის ტერიტორია, სადაც გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს აღმოსავლურ-ქართული კულტურის წამყვანი ფორმები, შეუძლებელია აღმოსავლურ-ქართული ტომების საექსპანსიო ბაზა ყოფილიყო. რაც შეეხება აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული კულტურული წრეების საზღვრების საკითხს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში გარკვევით არის ნათქვამი, რომ „აღმოსავლური კულტურული წრე შეიცავდა, აღმოსავლეთ საქართველოს ალაზნის გაღმა მხარით, სევანის ტბის მხარეს და არაქსის ხეობაშიც ჩადიოდა... დასავლური კულტურული წრე შეიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ჩრდილო დასავლეთის მთიანეთს, მდ. თერგის დასავლეთით; მდ. ჭოროხის ხეობას და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაც“[1].

აღმოსავლეთ ქართველი ტომების ეს ე. წ. ექსპანსია, ავტორის მიერ შემუშავებული რუკის თანახმად, ადის ლეჩხუმისა და სვანეთის მიდამოებამდე. ამისათვის ავტორს საკმარისად მიაჩნია ერთი ცულის აღმოჩენა ლეჩხუმში, სვანეთში ან რაჭაში. ამ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცული, რომლის მსგავსი არსად არ მოგვეპოვება, არ შეიძლება ზოგადი დასკვნადებულების დასაყრდენი იყოს.

ძნელია ადამიანმა გიგოს თუ რა პრინციპზე აქვს აგებული ავტორს ეს სქემა. თუ ქრონოლოგიურ პრინციპს უდებს საფუძვლად, ავტორს საამისო მასალა არ წარმოუდგენია.

იქნებ ცულების ტექნოლოგიურმა შესწავლამ მიიყვანა იგი ამ დასკვნამდე? მაგრამ მათი დამზადების ტექნიკის თავისებურებაზე, ისევე როგორც მათ ქიმიურ შემადგენლობაზე, შრომაში არაფერია ნათქვამი.

იქნებ ტერიტორიული გავრცელების მიხედვით გამოიკვლია მან ეს საკითხი? წარმოდგენილი ცულების აღმოჩენის პუნქტები და ვითარება ეწინააღმდეგება ამ პრინციპს (თუ კი ეს პრინციპია). განვიხილოთ ამ მიმართულებით სქემაზე წარმოდგენილი ცულები: სქემის № 1 ცული ახალქალაქის განძიდანაა (შიდა ქართლის ცენტრალური ნაწილი). სქემის №№ 2 და 3 ცულები კახეთიდანაა, გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხიდან[1]. № 4 ცულს ცხინვალის განძის ნაწილად მიიჩნევს ავტორი. თუნდაც ასე იყოს, ძალიან დიდი ნახტომი გამოდის (ბაკურციხე — ცხინვალი). სქემის № 5 ცული რაჭიდანაა, იგი ჰატარაა, მაღალწელიანი და ავტორს სწორედ გიბრიდად აქვს წარმოდგენილი. ამგვარად, აღმოსავლურ-ქართული ცულის საწყისი ფორმა ანუ, როგორც ამას ბ. კუფტინი ვარაუდობს, ცულის ადრეული სახე შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილშია, ორი მომდევნო ფორმა კახეთში (ბაკურციხეში), შემდეგი სახე — შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში, ხოლო უკანასკნელი სახე კი (ცული № 5) რაჭაში.

ამ სქემაში არ არის დაცული ტერიტორიული პრინციპი. ბ. კუფტინის მიერ კი ცულთა განვითარების ამ სქემაში უმთავრესი მნიშვნელობა ტერიტორიულ პრინციპს აქვს დამბმული. ჩვენი ყურადღება ერთმა გარეგნობამ მიიქცია. ის კოლექცია, რომლის შემადგენლობაშიც ბ. კუფტინის სქემის № 5 ცული შედის და სოფ. ღარში ყოფილა აღმოჩენილი. მეტად საინტერესოა თავისი შემადგენლობით. იგი შეიცავს ისეთ ინვენტარს (ფოთლისებურ, ბრტყელ, ტარშეუჩჩენელ ბრინჯაოს სატევრებს), რომელიც გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისათვის არის დამახასიათებელი, მასში შედის აგრეთვე პატარა ზომის კოლხური ცული, ბრტყელი ცული და გვიანბრინჯაოს პერიოდისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები. ყოველ შემთხვევაში ის მასალა, რომელიც მუზეუმისათვის რაჭის მაზრის უფროსს და ვინმე ჩიკვაიძეს შემოუწირავთ, თუ უფრო ადრეული არა, აღმოსავლურ-ქართული ცულის თანადროული მაინდაა. მაშინ როდისა უნდა მომხდარიყო ისეთი გრძელი ევოლუცია, რომ აღმოსავლურ-ქართული ცულიდან მიგვეყო მისი ნაირსახეობა, განსხვავებული მოყვანილობის მქონე მსუბუქი ცულის სახით, რომელიც ორი ტიპის ცულის ნარევი იქნებოდა? ჩვენი აზრით, ასეთი ევოლუციისათვის ადგილი აღარ რჩება.

სქემის № 4 ცული მოყვანილობით კოლხურ ცულთან ახლოა. იგი ძალიან

---

[1] იბადება კითხვა, თუ კი აღმოსავლურ-ქართული ცულის გვიანთარგების ავტორისეული სქემა წარმოადგენს „კოლხურ ცულთან ერთიერთ გავლენის პროცესის“ შედეგად მიღებულ სახეებს, სად არის კახეთში კოლხური ცული, რომ მისი ზეგავლენის შედეგად დაეპატარავებიათ ან შეეცვალათ ჩეგლუგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წააგავს სოფ. ზენიობში (ქობულეთის რაიონი) აღმოჩენილ კოლხურ ცულს[1]. № 4 ცულის ყუის ერთი მხარის დაქანება და პირის ასიმეტრიულობა მეტად შესამჩნევია და ყურადღების ღირსი; ამის შედეგად მიღებულია არა პერპენდიკულიარული დარტყმის ცენტრი, რაც აღმოსავლურ-ქართული ცულისათვის უჩვეულოა. სწორედ ამიტომაა საეკო № 4 ცულის № 3 და № 5 ცულებს შორის მოქცეული. თუ № 3 ცული აღმოსავლურ-ქართულია, ხოლო № 4 ცული შემდგომი მისი განვითარება—კოლხურთან უფრო ახლო მდგარი, როგორ დაიბრუნა მან ისევე სიმეტრიული პირი, აღმოსავლურ-ქართული ცულის სატარე ხვრელი და პერპენდიკულარული დარტყმის ცენტრი? გამოდის, რომ აღმოსავლურ-ქართული ცულიდან მივიღეთ კოლხური ცულის მიახლოებული ფორმა, შემდეგ კი წარმოიშვა უფრო პატარა ზომის წელმაღალი სიმეტრიული პირის მქონე „გიბრიდი". ესეც, როგორც ვხედავთ, ნაძალადევი ჩანს.

შეეხოთ ამ სქემის კიდევ ერთ მხარეს. იქნება წმინდა ფორმალური შედარებების გზით მიიღო ავტორმა ასეთი სქემა? ესეც, სქემის № 1 ცული (ახალქალაქის განძიდან) დიდი ზომისაა, იწონის 1115 გრ. მისი ოვალური სატარე ნახვრეტი მკვეთრწიბოიანი ყუით მთავრდება და წახნაგები რელიეფურად აქვს გამოყოფილი. ყუის თავი ოდნავ ამოტეხილია (ალბათ, ყალიბის გამო), სატარე ხვრელის გარეთა ნაწილი სადაა. სამუშაო პირს მაღალი და წვეტიანი ფრთები (ნიღრი) აქვს. სიგრძე 18.2 სმ. სიგან. 12.6 სმ. სქემის № 2 ცული პატარაა, იწონის 478 გრ (ინვ. $\frac{11-32}{47}$). ყუაზე შეერილი აქვს. სატარე ხვრელი ოვალურია. ყელი და მხრები ორწახნაგია. პირი სეგმენტს წარმოადგენს, რომელსაც, თითქმის, ზოგგეკალებული ფრთები (ნიღრი) აქვს. სატარის გარეთა ნაწილი სადაა. სიგრძე 14 სმ, სიგანე 10 სმ. № 3 ცული (ინვ. $\frac{11-32}{45}$) პატარაა, იწონის 397 გრ. სატარე ხვრელი უფრო განიერი აქვს, ვიდრე № 2 ცულს. როგორც ჩანს, ამ ცულსაც ჰქონია ყუაზე შეერილი, მაგრამ ამჟამად იგი დაბლაგულია. სატარის გარეთა ნაწილის ორივე მხარეზე, შუაზე ბოძაღლო წიბური დაყვება. პირი სეგმენტს წააგავს. ფრთები აღარა აქვს, წელი კი უფრო მაღალია, ვიდრე № 2 ცულისა. სიგრძე 13.5 სმ, სიგანე 9 სმ. № 4 ცული (ინვ. $\frac{97-11}{15}$) მოზრდილია, იწონის 410 გრ. № 4 ცულს ფრთები აქვს, მაგრამ ერთი მათგანი უფრო წაგრძელებულია. მას № 3 ცულზე უფრო დაბალი წელი აქვს, სატარე ვიწრო. ყუის ერთი მხარე მაღალია, მეორე კი დაბალი. სატარის გარეთა ნაწილის ორთავე მხარეზე დაყვება ოდნავ შესაჩნევი წიბური. № 5 ცული რაკამია აღმოჩენილი (ინვ. $\frac{6-02}{95}$). იწონის 267 გრ. იგი მაღალწელიანია („ტანადი"). მისი გორდა პირი უფრთებოა (უნიღრო), ხოლო სატარის გარეთა ნაწილი სრულიად სადა. ამ ცულთა შედარება შემდეგ სურათს გვაძლევს:

---

[1] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. კოლხური ცული. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 ცულის ყუა უშვერილია, № 2 ცულის ყუაზე კარგად შესამჩნევი შვერილია, № 3 ცულიც შვერილიანია, ხოლო №№ 4 და 5 ცულებს იგი აღარ გააჩნია. მაშასადამე, სქემის №№ 1, 4 და 5 ცულებს ყუაზე შვერილი არ გააჩნიათ, ხოლო სქემის შუა ნაწილში მოქცეულ №№ 2 და 3 ცულები კი შვერილიანია.

№№ 3 და 4 ცულთა სატარის გარეთა ნაწილს აქვს წიბური, №№ 1, 2, 5-ს კი არა.

№4 ცულის ყუთის წინა ნაწილი მაღალია, უკანა—დაბალი, ისე როგორც ეს კოლხური ცულისათვის არის დამახასიათებელი. დანარჩენ ცულთა ყუები დარტყმის ცენტრის პერპენდიკულარულია. № 1 ცულს წვეტიანი და მაღალი ფრთები აქვს, № 2-ს ოდნავ შესამჩნევი, № 4-ს მეორესთან შეფარდებით უფრო გამოკვეთილი ფრთები აქვს, იმ განსხვავებით, რომ იგი ასიმეტრიულია, ერთი უფრო მაღალია. №№ 3 და 5 ცულებს ფრთები სრულებით არ აქვთ.

№ 1 და № 2 ცულების წელი დაახლოებით ერთი სიმაღლისაა; № 3 ცულის წელი ოდნავ მაღალია, № 4-ისა ისევ დაბალი, № 5-ისა კი ერთობ მაღალი ხდება. როგორც ამ შედარებიდან ჩანს, ცულთა განვითარების არც ფორმალურ თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე. ამდენად სქემა ნაძალადევი — ხელოვნურია; ამიტომაც № 5 ცული აღმოსავლურ-ქართული და კოლხური ცულის **შერწყმის ნაყოფად** არ შეიძლება ჩაითვალოს.

ვინაიდან ჩვენ გვსურს დავადგინოთ ნავთლუღში აღმოჩენილი ცულის საკარაუდო თარიღი და განვსაზღვროთ მისი ადგილი აღმოსავლურ-ქართული ცულის განვითარებაში, შევეცდებით წარმოვადგინოთ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ცულების თანდათანობითი განვითარების სქემა.

აღმოსავლურ-ქართული ტიპის ბრინჯაოს ცულები ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეიძლება გავაერთიანოთ სამ ძირითად ჯგუფში.

I ჯგუფში ჩვენ ვათავსებთ შედარებით მოზრდილ ცულებს, რომელთა წონა მერყეობს 1,7 და 1,4 კმ-დე. მათ სატარე ხვრელი ოვალური აქვთ, ხოლო სატარის გარეთა ნაწილი სადა, ან იშვიათად, შუაზე ერთი რელიეფური ზოლით აღნიშნული. ამ ჯგუფის ცულებისათვის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია დიდრონი, წვეტიანი ფრთები (ნიღრები) და ყუაზე შვერილები, რაც ჩამოსხმის ტექნიკის თავისებური ხერხის გამოყენების შედეგია[1]. ყუაზე შვერილნი დიდი ზომის ცულები საქართველოში აღმოჩენილ აღმოსავლურ-ქართულ ცულთა შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს, ამას გვიმტკიცებს ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კომპლექსები. ამ კომპლექსთაგან—ნავთლუღში, კავთისხევსა და მეტეხში აღმოჩენილი ცულები სამარხეულია, ხოლო დანარჩენები—სასიერეთის, ცაგერის და სხვა განძების შემადგენელი ნაწილია.

II ჯგუფში ვაერთიანებთ შედარებით პატარა ზომის აღმოსავლურ-ქართულ

[1] ფრ. ჰანნარი ცულის ყუაზე მოთავსებულ ამ შვერილს ლატის ელემენტად თვლის, თითქოს იგი დარტყმისათვის იყო გამოყენებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, შვერილები აშკარად ჩამოსხმის თავისებურ ტექნიკასთანაა დაკავშირებული და მათ არავითარი ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულებს, რომლებსაც მაღალი, წვეტიანი ფრთები აქვთ; მათი წონა მერყეობს 1,3-დან 1კილოგრამამდე. მათ ყუაზე შვერილი არ გააჩნიათ, მაგრამ ყუის შუა ნაწილზე აშკარად შეიძჩნევა ამოღრეჩავებულად დარჩენილი ადგილი, რაც აგრეთვე ჩამოსხმის ტექნიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფიქრებელია, რომ ეს ცული გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს დიდი შვერილებიანი ცულებიდან პატარა ცულებისაკენ, რომლებსაც ყუაზე არც შვერილი და არც მისი ნაკვალევი აქვთ. ამ ცულებისათვის დამახასიათებელია მკვეთრწიბოიანი ყუა. სატარე ხვრელის გარეთა ნაწილზე ზოგიერთს დაკვება რელიეფური წიბური; ასეთი ტიპის ცულები გვაქვს სამთავროს № 240 სამარხიდან, ახალქალაქის, ცხინვალისა და ბეყოთუნის განძებიდან.

III ჯგუფის ცულებისათვის დამახასიათებელია კიდევ უფრო პატარა ზომა (თუმცა ზოგიერთი მათგანი მასიურია, ტალანქად ნაკეთები და ძმიდე). ამ ჯგუფის ცულების წონა 1,3 კგრ-დან 350 გრ მერყეობს. I და II ჯგუფისათვის დამახასიათებელი ლამაზად აწყდილი, მაღალი და წვეტიანი ფრთები და პირის კოხტა მოყვანილობა თანდათან ქრება, ერთ შემთხვევაში ფრთები ბლაგვი, „მოტეხილი“ ბოლოთი მთავრდება, მეორე შემთხვევაში ფრთები სრულებით არ გააჩნიათ. წინა ორი ჯგუფისათვის დამახასიათებელი ყუაზე შვერილი, ან ჩამოსხმის შედეგად წარმოქმნილი ნიშანი სრულიად ქრება. ყუა უმთავრესად სქელი და ტლანქია. ერთ შემთხვევაში მის გარე ნაწილზე სამი რელიეფური წიბურია, რომელიც წელთან ერთდება, მეორე შემთხვევაში ეს წიბურები ყუის ზემო ნაწილზე ერთდება და ერთი შეერთებული ნაწიბურის სახით წელამდე აღწევს. არის ერთ ნაწიბურიანიც და ხანდახან ნაწიბურის გარეშეც. მხოლოდ ყუა ისევ ტლანქი და სქელი აქვს. წვეტიანი ფრთების გაქრობა, მათი დამოკლება და დახლბგვა, როგორც ჩანს, დაკავშირებული წელის დადაბლებასთან. ცხადია, რომ გრძელი ფრთებისა და დაბალი წელის ერთნების შემთხვევაში ტარის დაგება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი ცულები გვაქვს სამთავროდან 2 ცალი (591 და 195, რეინის შემცველ ორმოსამარხებიდან), კოდის წყაროდან (დღეშეთის რაიონი) ზემო აკვალეთან, ალაზნის ველიდან და სხვა. გარდა ამისა მუზეუმში დაცულია მრავალი ასეთი ცული, მაგრამ ბევრი მათგანის წარმოშობა გამოურკვეველია.

აღმოსავლურ-ქართული ცულის განვითარების ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემა სინამდვილეს უნდა უახლოვდებოდეს (სურ. 5). რადგან იგი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპებზე, შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს კომპლექსებს, თუ სხვა შემთხვევით მოპოვებულ მასალას.

არ იქნებოდა მართებული იმის მტკიცება, რომ იარაღის ახალი სახის (ფორმის) წარმოშობამ მისი წინაპარი — ადრეული სახე თითქოს სრულიად გააქრო. იარაღ-სამკაულის ადრეული ტიპის, მაგრამ უკვე სახეცვლილი ფორმები აქაც კვლავ შეიძლება შეგვხვდეს, რის გამოც ისინი მომდევნო ეტაპისათვის ალარ შეიძლება წამყვან და დამახასიათებელ ფორმებად ჩაითვალონ, ვინაიდან მომდევნო ეტაპი თავის საკუთარ დამახასიათებელ ფორმებს ქმნის.

ცულზე და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებზე მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ტიპის ბრინჯაოს ცულები, ფორმა-მოყვანილობისა და ქრონოლოგიური თანმიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევრობის მიხედვით, შეიძლება გაერთიანებულ იქნეს სამ ძირითად ჯგუფში (იხ. ზემოთ).

აღმოსავლურ-ქართული ცულის განვითარების წარმოდგენილი სქემა შემუშავებულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ-ში დაცუ-



სურ. 5

ლი მასალების გათვალისწინებით. მისი შემუშავებისას ვეყრდნობოდით მეტნაკლები სიზუსტით ცნობილ პასპორტიზებულ კომპლექსურ მასალებს და უკანასკნელთა დამზადების ხერხების შესაწელითა და ქიმიური ანალიზებით მიღებულ დასკვნებს.

2. ნავთლუღში აღმოჩენილი ცული აღმოსავლურ-ქართულ ბრინჯაოს ცულის ადრეულ სახეობას წარმოადგენს. რამდენადაც მსგავსი ტიპის ცული არსებული მასალების მიხედვით უმთავრესად შიდა ქართლის (ფორისა და კასპის რაიონების) ტერიტორიაზეა გავრცელებული, ამდენად მისი წარმოშობის ფესვებიც ამავე რაიონებში უნდა ვეძიოთ.

3. აღმოსავლურ-ქართული ცულის გავრცელების არისა და სათანადო კომპლექსების შესწავლა გვაიძულებს უკუეაგდოთ პროფ. ბ. კუფტინის მოსაზრებანი ბრინჯაოს პერიოდში აღმოსავლურ და დასავლურ-ქართულ კულტურულ წრეთა საზღვრების შესახებ. დღემდე არსებული მასალების გათვალისწინება არ გვაძლევს უფლებას შიდა ქართლი ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე დასავლურ-ქართული კულტურის ბატონობის სფეროში მოვაქციოთ. არსაიდან არ ჩანს, თითქოს აღნაშნულ კულტურათა საზღვარი მდ. არაგვზე იდო. პირიქით, არაგვის, ქსნის, რუხულას და ლიახვის აუზები აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავრცელების სფეროში ექცეოდა, სადაც კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმები მხოლოდ ერთეულების სახითაა წარმოდგენილი.

4. ასევე უარსაყოფია პროფ. ბ. კუფტინის მიერ წამოყენებული მოსაზრება აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველი ტომების ტერიტორიალური ექსპანსიის შესახებ დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე. ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ „აღმოსავლურ-ქართული ტომები ამ დროს უკვე მეტ აქტივობას იჩენენ ტერიტორიულ ექსპანსია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიო“ დაუსაბუთებელია; ჩვენი აზრით, არავითარი ექსპანსიის ნიშნები აქ არა ჩანს. ავტორის მიერ მოხაზული ექსპანსიის გზა მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირიდან სვანეთამდე მოიცავს შიდა ქართლის დიდ ნაწილს, სწორედ იმ ნაწილს, სადაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული ცულის ეს ტიპი. უეჭველია, აქ ავტორი წინაალმდეგობაში ვარდება, ვინაიდან თუ მის მსჯელობას მივყვებით, აღმოსავლურ-ქართული ცულის ყველაზე ფართო გავრცელების არე ექცევა ამ კულტურის შემქმნელი და მატარებელი ტომის ექსპანსიის ზონაში. რაც შეეხება აღმოსავლურ-ქართული ცულის თითო-ოროლა ნიმუშის აღმოჩენას მთიანი კოლხეთის ორ-სამ უბანში, ეს ერთეული შემთხვევები არ უნდა ასახავდეს ექსპანსიის ფაქტს. ეს ცულები შეიძლებოდა აქ სრულიად შემთხვევითი ან მეზობელ ტომებთან გაცვლა-გამოცვლის შედეგად მოხვედრილიყვნენ. ასე დგას საკითხი მატერიალური კულტურის არსებული მასალების მიხედვით, სხვა მასალებზე კი ამჯერად ჩვენ არ გვიმუშავნია.

5. სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია პროფ. კუფტინის მოსაზრება იმ პეროიდში ქართველური ტომების ნაციონალურ-პოლიტიკური დიფერენციაციის შესახებ. არავითარ ნაციონალობაზე თუ ნაციონალურ-პოლიტიკურ დიფერენციაციაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი იმ ხალხთა მიმართ, რომლებიც ამ დროს ცხოვრობდნენ აქ.

6. დაბოლოს, დაუსაბუთებელია პროფ. ბ. კუფტინის მიერ შედგენილი სქემა, სადაც იგი აღმოსავლურ-ქართული და კოლხური ცულების ურთიერთგავლენის შედეგად ვარაუდობს განსაკუთრებული ფორმის, მისი სიტყვით—„ჰიბრიდის“, წარმოშობას. საამისოდ ავტორს არავითარი საბუთი არ მოეპოვება. ეს სქემა ცულების მექანისტურ-ფორმალისტურ დალაგებად მიგვაჩნია, მასში მეცნიერულად დასაბუთებული თანმიმდევრობა არა ჩანს.

ქსოვილის შესახებ. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აღმოსავლურ-ქართულ ცულზე შერჩენილია ქსოვილის ნაშთი. აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში) ქსოვილთა წარმოების შესახებ ძველი უცხოელი მწერლების წერილობით წყაროებში არაფერი არ მოიპოვება. ცნობილია ჰეროდოტეს ცნობა კოლხური ტილოს შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ კოლხები და ეგვიპტელები სელის ერთნაირ ნაწარმს ამზადებდნენ[1]. ჰეროდოტეს ეს ცნობა უკვე ანტიკური პეროიდის კოლხეთს შეეხება. კოლხეთის ტერიტორიაზე უფრო ადრეულ პეროიდშიაც ყოფილა სელის წარმოება. იქ მცხოვრები ქართველი ტომები გვიანბრინჯაოს ან მის მომდევნო პეროიდში უკვე დაუფლებული ყოფილან სელის წარმოებას. მათ უმზადებიათ ტილოს ქსოვილები. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფ. წვერმაღალაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი (კოლექცია $\frac{2-46}{1-8}$), სადაც არის ბრინჯაოს ზოდი, რომელზედაც შემორჩენილია ქსოვილის ნაშთი. ასეთი ქსოვილები მრავლად მოიპოვება კოლხეთის მიდამოებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალათა შორის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლეთ საქარ-

[1] В. В. Латышев. Известия древных писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Том I, выпуск I, 1893, ст. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში—იბერიაში საფეიქრო წარმოების საკითხებზე არავითარი წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება; ამ უკანასკნელ ხანებამდე არ მოგვეპოვებოდა არქეოლოგიური თხრის დროს აღმოჩენილი ქსოვილთა ნაშთიც.

ამ რამდენიმე წლის წინათ, პროფ. გ. ნორაძემ, დმანისის ნეკროპოლის გათხრის დროს, ორ სხვადასხვა სამარხში, სხვა ნივთებთან ერთად, ქსოვილთა ნაშთებიც აღმოაჩინა.

პროფ. გ. ნორაძე № 4 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის განხილვისას მიუთითებს, რომ რკინის მახვილის ფრაგმენტზე შერჩენილია ქსოვილის ნაშთი, რომელიც მისი აზრით ბამბისა უნდა იყოს[1].

№ 6 სამარხში, რომელშიაც ჩონჩხი არ აღმოჩენილა, ბრტყელ ქვაზე დაკეგებული ყოფილა ბრინჯაოს სამაჯურები, დანაცრული ქსოვილის ნაშთები და ბრინჯაოს ერთ სამაჯურზე შედარებით უკეთ შემონახული ქსოვილის ნაშთი, რომელსაც ავტორი შალისად მიიჩნევს[2]. სამარხებს პროფ. ნორაძე ათარიღებს ძვ. წ. X—IX საუკ.

ამ აღმოჩენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმდროინდელ მოსახლეობათა საყოფაცხოვრებო პირობების ერთ-ერთი მხარის შესასწავლად.

კარგად შემონახულია ყაზბეგის განძში აღმოჩენილი შალის (?) ქსოვილის ნაშთი (ინვ. №№ 217, 219, 220) ტაბ. 15, სურ. 4.

1950 წლის ზაფხულში, ნავთლუღის მიდამოებში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა კომპლექსმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სხვა მეტად საინტერესო არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, შემოგვინახა ქსოვილის ნაშთიც. ქსოვილი, როგორც მიკროსკოპული შესწავლით გამოირკვა, ტილოა სელისაგან ნაკეთები[3], ტაბ. 15, სურ. 1, 2, 3.

ამრიგად, აშკარა გახდა, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდში კოლხეთის გარდა თბილისის მიდამოებში მცხოვრებნიც ამზადებდნენ სელის ქსოვილს.

კიდევ მეტიც, აღმოსავლეთ საქართველოს იმ დროის მცხოვრებლები არა მარტო სელს ანდა შალს ამზადებდნენ, არამედ სხვა სახის ქსოვილებსაც. ეს გარემოება მიგვითითებს მათი მოთხოვნილებათა მრავალფეროვნებაზე ტანსაცმლის გამოყენების საქმეში.

სამთავროს უძველესი პერიოდის ორმოსამარხებში აღმოჩენილი საკინძების გავრცელების არის დაზუსტებისა და მათი დანიშნულების გარკვევასთან დაკავშირებით, არქეოლოგი ნ. ოქროპირიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაშინდელი მოსახლეობა ტანის შესამოსავად ძირითადად შალის ქსოვილებს ხმარობდა, ხოლო შალის მძიმე და უხეში ტანსაცმელი ლითონის რაიმე საკმაოდ გრძელ და ბაგარ საგნის საჭიროებას წარმოშობდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ უხეში ტანსაცმლის შებნევა[4].

---

[1] გ. ნ ო რ ა ძ ე. დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბილისი, 1947, გვ. 17, სურ. 13.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 38—40, სურ. 25—26.

[3] ქსოვილი მიკროსკოპულად გადაიღო პროფ. ბ. კუფტინმა.

[4] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე. ბრინჯაოს თვალები საკინძები სამთავროს ორმოსამარხიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი, 1951, გვ. 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიც სამთავროს უძველესი ორმოსამარხებიდან ამოღებული საკინძებისგან აქ ისინი ერთიმეორის გვერდით და თითქმის ერთგვარი ინვენტარის შემცველ სამარხებში გვხვდება. ჩვენ მაინც გვგონია, რომ ადრეული, უფრო მარტივი სახე ამ საკინძთა შორის მრგვალგანივკვეთიანი, სრულიად სადა საკინძები უნდა იყოს. ამ მხრივ დასაყრდენ მასალას იძლევა სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილი № 288 სამარხის ინვენტარი, რომელშიაც ბრტყელი (უქედო) და ვიწრო, ტარშეურჩენელი, არქაული ფორმის სატევარია აღმოჩენილი; ამ სამარხიდანვეა მრგვალგანივკვეთიანი 4 საკინძი, რომელთა სიგრძე მერყეობს 5-დან 6 1/2 სმ-მდე, მახათი არქაული ფორმისა, ლუქსოფერი სარდიონის ტლანქად დახეული მძიგები და გაბრტყელებული მაკთელისაგან ნაკეთები სპირალის ფრაგმენტები. როგორც ცნობილია, სპილენძის თავმოკაკული საკინძები ენეოლითშიაც გვხვდება. ასეთი საკინძები აღმოჩენილია თეფე-ჰისარში (ირანი) შენგავითში და სხვა ადგილებში[1]. ყველა ისინი მარტივი ფორმისაა და განივკვეთში მრგვალი. ასეთივე საკინძები გვხვდება შუა ბრინჯაოს პერიოდში (სარხეარე). სამთავროში აღმოჩენილი 81 თავხვია საკინძიდან მხოლოდ 17 ცალია მრგვალგანივკვეთიანი და 64 ცალი განივკვეთში ოთხკუთხა[2]. გარდამავალი პერიოდის სამარხში შემორჩენილი თითქმის ყველა თავხვია საკინძი განივკვეთში ოთხკუთხაა.

თავხვია საკინძები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით არ გვხვდება გვიან-ბრინჯაოს პერიოდის შემდეგ. ეს გარემოება ამ საკინძებს თანხლები ინვენტარის დათარიღების დროს ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ მასალად ხდის.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ფრ. ჰანჩარის მოსაზრებას თავხვია საკინძის გენეზისის საკითხში. ავტორი ეყრდნობა გოტცეს აზრს მსგავსი ტიპის საკინძების წარმოშობის საკითხში და უშვებს მათი ტროა VI-დან ა/კავკასიაში შემოტანის შესაძლებლობას[3].

ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს იგი ნემსებისა და მახათების შესახებაც. მისი აზრით, ისინიც შესაძლებელია ექსპორტირებული იყვნენ იმავე ტერიტორიიდან. შესაძლებელია, — ამბობს იგი, — რომ ნემს-ქინძისთავების ფორმები კავკასიის ბრინჯაოს კულტურაში გადმოღებულად, იმიტირებულად ჩაითვალოსო[4]; საერთოდ მას იმ პერიოდის ა/კავკასიის კულტურა ეგეოსისა და შორეული ხმელთაშუა ზღვის კულტურების გამოშუქებად მიაჩნია[5].

ვფიქრობ, რომ ფრ. ჰანჩარის ეს მოსაზრება ა/კავკასიის მრავალრიცხოვან და მრავალსმეტყველ კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, ისევე როგორც მისი ცალკეული ელემენტების — მახვილების, საკინძების და სხვათა მიმართ, ტენდენციური, მაშასადამე, არ არის დამყარებული უტყუარ ფაქტიურ მასა-

---

[1] Б. А. Куфтин. Ураратский „колумбарий" у подошвы Арарата. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII-B, გვ. 117, სქრ. 70.

[2] ცნობები ამოღებულია ნ. ოქროპირიძის შრომიდან... ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1951, გვ. 141—155.

[3] ფრ. ჰანჩარი. დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[4] იქვე, გვ. 128.

[5] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზე. ვიხილავთ რა ფრ. ჰანჩარის მოსაზრებას, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს ტანსო ამ მარქსისტული მოძღვრება მსგავსი კულტურული ფორმების წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. კ. მარქსის ცნობილი დებულება ასე გვიხატავს ამ საკითხს: „პირველდაწყებით ისტორიაში ყოველი გამოგონება ყოველდღიურად ახლად უნდა შექმნილიყო და ყოველ ადგილას—დამოუკიდებლად"[1].

როგორც ჩანს, ფრ. ჰანჩარი უგულებელყოფდა ა/კავკასიის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილ თავმოკაკეულს. ხოლო შემდეგ მის მომდევნო, განვითარებული სახის თავხვია საკინძებს, და ბოლოს მას არ შეეძლო გაეთვალისწინებია ის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალები, რაც ამ უკანასკნელი ოციოდ; წლის განმავლობაში იქნა მოპოვებული საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ინტენსიური — გეგმაშეწონილი არქეოლოგიური მუშაობის შედეგად.

ამრიგად, თავხვია საკინძები, ისევე როგორც ნიშვნები და მახათები, ადგილობრივი წარმოშობისაა და არა საიდანმე მიგრაციის გზით შემოსული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავხვია საკინძები მრავლად გვხვდება კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სამთავროს სამაროკანზე მოპოვებული დიდძალი თავხვია საკინძები. ორნამენტირებული, განიკვეთში ოთხკუთხი ფორმის საკინძები საქთავროს შემდეგი სამარხიდან გვაქვს.

1939 წელს სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილ № 57 სამარხში 2 ცალი ასეთი საკინძია აღმოჩენილი. ჩვენთვის საინტერესოა სამთავროს სამხრეთ უბანზე 1938 წ. აღმოჩენილი № 44 სამარხის ინვენტარი. თავხვია, განიკვეთში ოთხკუთხი, წიწვოვანი ორნამენტით შემკულ საკინძთან ერთად სამარხში აღმოჩენილია მთლიანად სხმული სატეკარი, სოკოსთავისებრი თავიანი საკინძი და სხვ. წიწვოვანი ორნამენტით შემკული, განიკვეთში ოთხკუთხი საკინძები აღმოჩენილია აგრეთვე შემდეგ სამარხებში: № 13 სამარხში — ორი ცალი, № 17 სამარხში — 3 ცალი, №№ 55, 57, 101, 267, 283, 286 და სხვა სამარხებში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამარხი სამთავროს უძველესი ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელი ინვენტარის შემცველია.

1924 წელს ტირიფონის არხის მშენებლობის დროს ფლავიანმანის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებშიც ვხვდებით თავხვია საკინძებს (ინვ. $\frac{17-4}{1-48}$)[2], კოლექცია, რომელიც ბრინჯაოს ნივთებისა და თიხის ჭურჭლებისაგან შედგება, მეტად საინტერესოა თაეინი შემადგენლობით[3].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ანტიურობის შესახებ. თბილისი, 1937, გვ. 20.

[2] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფლავიანმანის უძველესი ნეკროპოლი. საჯ. სახ. მუზეუმის მოამბე, V, თბილისი, 1930, გვ. 223—233.

[3] ნ. ო ჩ რ ო პ ი რ ი ძ ე თავის შრომაში—„ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმო სამარხებიდან"—შეიდიმით აღნიშნავს, რომ ფლავისმანის ინვენტარში რკინის ნივთებიც შედისო და, თუ ისინი საკინძებთან ერთად იყო, ამ უკანასკნელს ვერ გავიტოლებთ სამთავროს უძველეს ორმოსამარხებსო (გვ. 150). ეს ცნობა არ აარის სწორი, ნეკროპოლიდან არა გვაქვს არც ერთი ცალი რკინის ნაკეთობა და არც ს. მაკალათია აღნიშნავს ამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მაკალათია ფლავისმანის ნეკროპოლის სამარხებში მოპოვებულ ნივთებ-ებ იარაღებსა და სამკაულებს კავკასიის ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ ფორმებად მიიჩნევს. კოლექცია მრავალფეროვანია. მასში არის ფოთლისებური ტარშეურჩენელი ბრინჯაოს სატევარი, მასრაგახსნილი შუბის პირი, თავხვია საკინძი, დიდი ზომის თიხის სადღვებელი, დერგი, ქილა სოლისებური ორნამენტით შემკული, რაც სამთავროს უძველეს ორმოსამარხებისათვისაა დამახასიათებელი.

პროფ. გ. ნიორაძე შრომაში „არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში"[1] იძლევა გომნას მეორე საფლავში აღმოჩენილი ინვენტარის დახასიათებას და ფართოდ განიხილავს საკინძთა გავრცელების და წარმომავლობის საკითხს. მტკვრის ხეობაში, სახელდობრ, ბორჯომისა და მის მოსაზღვრე რაიონებში რამდენიმე ცალი თავხვია საკინძია აღმოჩენილი. გომნაში აღმოჩენილი ნივთები, მიწის სამუშაოთა მწარმოებლის გადმოცემით, 3 სამარხიდან უნდა ყოფილიყო. მათ შორის მეტად საინტერესოა მეორე სამარხის ინვენტარი, თუმცა ნივთების სიმრავლე და მრავალფეროვნება საეჭვოდ ხდის მათ ერთ სამარხში აღმოჩენას. კერძოდ ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ერთ სამარხში ორი ერთნაირი ფორმის მალლანადესხმული სატევრის არსებობა, ანდა ერთ სამარხში ხუთგვარი ტიპის 11 საკინძის აღმოჩენა. მათ შორის არის უმარტივესი, თავმოკავული საკინძი, თავხვია, სოკოსებრთავიანი საკინძი 5 ცალი, საკინძი, რომელსაც სოკოსებრი დაბოლოება აქვს, ხოლო ბოლოსა და ყუიწს შორის ნახევარსფეროსებრი კოპები აქვს. აქვეა საკინძი, რომელსაც გვერდზე აქვს ჩამოსაკიდი ყუიწი და ბოლოს სრულიად უთავონიც[2]. ვფიქრობთ, რომ ერთ სამარხში საკინძების ასეთი სიჭრელე წარმოუდგენელია.

აქ, ალბათ, არეული აქვს ადგილი. მაგრამ ამისდა მიუხედავად აქ ფრიად მნიშვნელოვანი, გვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური მასალა გვაქვს, და მათ შორის ამჯერად ჩვენთვის საინტერესო თავხვია საკინძიც. თავხვია საკინძები სხვა სამარხებიდანაცაა.

პროფ. გ. ნიორაძე სწორად შენიშნავს, რომ უბრალოდ თავმოკაუჭებული ქინძისთავი საერთოდ ქინძისთავთა უძველეს ფორმას წარმოადგენს და იგი ფართოდაა ცნობილი, როგორც ა/კავკასიაში ისე სხვაგანაც. ფრ. ჰანჩარის მოსაზრების იმ ნაწილს, სადაც იგი განჯა-ყარაბაღულ კულტურას ადრინდელი რკინის ეპოქის ნაყოფად თვლის, ხოლო ამ უკანასკნელს კი სამთავროს უძველეს ორმოსამარხებზე ადრეულად, პროფ. გ. ნიორაძე საეჭვოდ მიიჩნევს, რაც რა თქმა უნდა სავსებით მართებულია. გ. ნიორაძე საეჭვოდ მიიჩნევს აგრეთვე ჰანჩარის მოსაზრებას თავხვია საკინძების ექსპორტირების შესახებ, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ეს მოსაზრება ფრიად საყურადღებოა და სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვსო.

ყურადღების ღირსია თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული თავხვია საკინძები. ბეშთაშენის ორმოსამარხებში აღმოჩენილი თავ-

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. საჯ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII-B, თბილისი, 1944, გვ. 173—226.

[2] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვია საკინძები უფრო განვითარებული ფორმისა ჩანს. ისინი სამთავროულ თავხვია საკინძებისაგან არა მარტო სიდიდით განსხვავდება, არამედ შემკობითაც. ისეთებიც არის, რომლებიც თავიდან შუაძდე და მეტ ნაწილზე დაგრეხილია, რომელთა პარალელები ჩრდილო კავკასიაში გვხვდება. თავხვია საკინძები წარმოდგენილია სარეხრის შუა-ბრინჯაოს პერიოდის მასალებშიც. თავხვია მრგვალი განივკვეთიანი საკინძი ნაპოვნია თბილისშიც, საბურთალოს მიდამოებში, თიხის სარეტერესო ჭურჭლებსა და ბრინჯაოს ხვიასთან ერთად (საქ. სახ. მუზეუმ. კოლ. 4—39). თავხვია საკინძების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს, თავხვია საკინძები საკუთრივ ბრინჯაოს ეპოქისათვის დამახასიათებელი სამკაულია და იგი რკინის გამოჩენის შემდეგ აღარ გვხვდება.

2. თავხვია საკინძების ორი ჯგუფიდან (მრგვალი და ოთხკუთხი განივკვეთიანი) უფრო ადრეულ მარტივ სახედ ჩავთვლით მრგვალგანივკვეთიან საკინძებს.

3. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევრის აზრისა (ჰანჩარი და სხვა), თავხვია საკინძები ადგილობრივი წარმოშობისად მიგვაჩნია; ისინი არ უნდა ყოფილიყო ეგეოსის თუ სხვა სამყაროდან შემოტანის საგანი.

4. არა გვგონია მართებული იყოს ის მოსაზრებაც, რომ თაკხვია საკინძები გაჯუთვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ შალის უხეშ ქსოვილთაგან ნაკერი ტანსაცმლის შესაკერავად, რომ ისინი არ იხმარებოდა სელის ან სხვა წმინდა ქსოვილებისგან ნაკერი ტანსაცმლის შესაკერავად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ასეთი საკინძები იხმარებოდა როგორც შალის უხეში ქსოვილებისაგან, აგრეთვე უფრო წმინდა მასალისაგან ნაქსოვი ტანსაცმლის შესაკერავადაც.

ფიგურული საკინძი (სურ. 2). ეს საკინძი მით არის საინტერესო, რომ მისი თავი ცხვრის თავის სტილიზებული გამოსახულებით მთავრდება. საკინძის დაბოლოების ერთი მხარე, კერძოდ, ცხვრის თავის შიდა ნაწილი, ამოღარულია, ხოლო გარეთა ნაწილი შესაბამისად წანნაგოვანია. რგოლისებრი ყუნწი საკინძს ღეროზე შიგნიდან აქვს მიმაგრებული. ორი ასეთი ყუნწიანი საკინძი აღმოჩენილია გომნას № 2 სამარხში[2], ოღონდ ამ უკანასკნელთ უბრალო თავები აქვთ ერთს სრულიად სადა, მეორეს ნახეკარსფერული; ორივე განივკვეთში მრგვალია. ერთი ასეთ ყუნწიანი საკინძი აღმოჩენილია რაჭაში, არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის მიერ. მსგავსი ყუნწი აქვს ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების ფონდში დაცულ ერთ საკინძს, რომლის დაბოლოება დამიანის გაშლილ თითებს მოგვაგონებს. მეორე მხარეს („ხელისგულზე") ამ საკინძსაც რგოლისებური ყუნწი აქვს გაშვერილი (სურ. 6). ამ საკინძის აღმოჩენის ადგილისა და ვითარების შესახებ არაფერი ცნობები არ მოგვეპოვება. ცხოველის გამოსახულებით დაბოლოებული საკინძები მრავლადაა მოპოვებული ყობანში. მეტად საინტე-

[1] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, I. Тбилиси, 1941, ტაბ. II.

[2] გ. ნიორაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII и და v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესოა ის საკინძები, რომელთაც ბოლო მხედრის ქანდაკების სახით აქვთ გაფორმებული[1]. ყობანშიეკა აღმოჩენილი საკინძი, რომლის განშტოებულ ბოლოზე 3 ცხვრის ფიგურა დგას[2]; ხოლო ერთი საკინძის ბოლოზე კი ორი მტაცებლის (საფიქრებელია მგლის) მინიატურული გამოსატულებაა. თრიალეთში (ბაიბურთის მიდამოებში) დიდრონი ქვებით შემოფარგლულ სამარხში აღმოჩენილი საკინძი[3] ჩვენთვის, ერთი მხრივ, იმიტომაა საინტერესო, რომ საკინძის თავი გამოსახავს ცხვარს და დაფანჯრულ, საპრძოლო ცულს. მეორე მხრივ, ამ სამარხებში აღმოჩენილი, რელიეფური გრეხილი სახეებით შემკული კერამიკა ძალიან ახლო დგას ნავთლუღში, ნაძალადევსა და ღრმა-ღელეში აღმოჩენილ ასეთივე მოტივებით შემკულ და მსგავსი დანიშნულების მქონე ჯურჭელთან. ამ ჯურჭელეულის უმრავლესობა, ისევე როგორც თრიალეთური (ბაიბურთისა), უყურო-მართალია, თვით საკინძის თავებს შორის განსხვავებაა როგორც ჩამოსხმის, ისევე ცხოველთა ფორმების გადმოცემის მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ ორსავე შემთხვევაში საკინძის მკეთებელმა ცხვრის სახე გადმოგვცა. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ერთი ნივთი, რომელსაც 'საკინძის ფორმა აქვს



სურ. 6

(ინგ. $\frac{26-26}{8}$), მაგრამ წვერი გაბრტყელებულია და ამიტომ ილარის (ყურის საწვენდის) სახელწოდებითაა ცნობილი. სამწუხაროდ, ამ ნივთის მოპოვების ადგილი უცნობია. ილარის თავი განშტოებულია: ერთ მხარეზე ცხვრის, ხოლო მეორეზე თხის თავებია გამოსახული (სურ. 7).

პროფ. კუფტინის აზრით, ცხოველთა ფიგურული გამოსახულებიანი საკინძები ცნობილია ჰისარი III-ის გათხრებიდან, ამიტომ ბაიბურთის მიდამოებში აღმოჩენილი საკინძიანი სამარხი შესაძლებელია უფრო ადრეული იყოს, ვიდრე ბეშთაშენის ორმოსამარხები[4].

ჩვენი საკინძის ზუსტი პარალელი ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ყობანისა და ვერც ლურისტანის მასალებში. მართალია, ჯერჯერობით ასეთი საკინძი მხოლოდ ერთი გვაქვს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის ადგილობრივ წარმოშობას. რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხი მოითხოვს მეტ დაკვირვებას და ახალ-ახალი მასალების დაგროვება-შესწავლას.

მახათი. ორიოდე სიტყვა ნავთლუღში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახათის შესახებ. ფრ. ჰანჩარი აკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მახათებსა და ნეძსებს ადგილობრივ წარმოშობის საგნებად არ თვლის, რადგან ამ ტერიტორიაზე

---

[1] У в а р о в а. Материалы по археологии Кавказа. Выпуск VIII, 1900, ტაბ. XL_3.

[2] დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XXVIII-5.

[3] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 77, სურ. 87_1.

[4] იქვე, გვ. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლე ხალხისათვის მახათ-ნემსების აღმოჩენილი რაოდენობა არ [illegible] მარისად. ამდენად, ისინი საოჯახო, სამეურნეო საქმიანობაში დიდ როლს არ



სურ. 7

თამაშობდნენო[1]. ეს მოსაზრება მართებული არ არის. უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ა/კავკასიის ტერიტორიაზე მრავალი ნემსი და მახათი გამოავლინა. უხვადაა ისინი მოპოვებული სამთავროს ორმოსამარხებში და საქართველოს სხვა ისტორიულ სამაროვნებში. ამასთანავე ჩვენს ტერიტორიაზე თითქმის ყველა სახის მახათია მოპოვებული. მახათები ყუნწის მიხედვით უმთავრესად ორი ტიპისა გვხვდება. პირველი ტიპისა კეთდებოდა წაწვეტებული ბოლოს გადმოღუნვით, ღეროს გაპობით და გადმოღუნული ნაწილის შიგ ჩაკერვით. ასეთი მახათების ყუნწები უმთავრესად ოვალური მოყვანილობისაა. მეორე ტიპის მახათების ყუნწი მიღებულია მასრის გაბრტყელებული ბოლოს გახვრეტით. ამ ტიპის მახათების ყუნწი მრგვალია. სათანადო მასალებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ბოლოს გადმოღუნვით ნაკეთები, ოვალურყუნწიანი მახათები უფრო აღრეულია, ვიდრე ბოლოგაბრტყელებულ და გახვრეტილყუნწიანი მახათები, რომლებიც პირველთა განვითარებას წარმოადგენს.

სამთავროს სამაროვანზე ორივე ტიპის მახათი მოიპოვება. დაეკმაყოფილდეთ ოროდე მაგალითით. პირველი ტიპის მახათის ნიმუშს წარმოადგენს 1939 წელს, სამთავროს ჩრდილო უბანზე № 17 სამარხში აღმოჩენილი მახათი № 352 (სიგრძე — 12,8 სმ). ამ მახათთან ერთად სამარხში სამი თავზეია საკინძი და სარდიონის ეხეშად ნაკეთები მძივებიც იყო აღმოჩენილი. მეორე ტიპის მახათის ნიმუშს ვხედავთ № 127 ორმოსამარხში, სადაც 2 მახათთან ერთად აშკარად მოგვიანო ხანის ინვენტარი იყო აღმოჩენილი (მარტივთავიანი საკინძები, საწვეიე რგოლები და სხვა). ამ ფორმის მახათები ნაპოვნი არის მაგალითად ქედაბეკის

[1] ფრ. ჭ ა ნ ჩ ა რ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობლად № 3 ქვაყუთში[1]. გოგჩის ტბის მიდამოებში (№ 73 სამარხში) ნავთლუღის ტიპის მახათთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს სატევარი, დანა და სხვა[2]. ასეთივე მახათი აღმოჩენილია თბილისში, საბურთალოზე (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია, ინვ. № $\frac{2-40}{4}$).

ამრიგად, როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, ისეთი ნაკეთობის მახათები, როგორიც ნავთლუღშია აღმოჩენილი, გვიანბრინჯაოს პერიოდისათვის ან ოდნავ უფრო ადრეული სტადიისათვის არის დამახასიათებელი. ისინი მრავლადაა მოპოვებული საქართველოს ტერიტორიასა და მის მოსაზღვრე რაიონებში, ადგილობრივი წარმოშობისაა და ვფიქრობთ, რომ ოჯახსა და მეურნეობაში გარკვეული დანიშნულების მატარებელი იყო.

ბრინჯაოს ტარიანი ფოთლისებური სატევარი (ტაბ. 17, სურ. 3). თბილისის მიდამოებმა მეორე ცალი ფოთლისებური, ბრინჯაოს ტარიანი სატევარი მოგვცა. იგი მოყვანილობით, დამუშავების ტექნიკით და შემკულობის ზოგიერთი მოტივის მიხედვით ისეთივეა, როგორიც ღრმა-ღელისა (საქ. სახ. მუზ. კოლექცია. ინვ. $\frac{2-50}{1}$) (ტაბ. 17, სურ. 2) და წეროვნის სატევრებია. მაგრამ ამათგან ნავთლუღის სატევარი იმით განსხვავდება, რომ იგი მოზრდილია და წონითაც მეტი. საინტერესოა ამ ტიპის გავრცელება: იგი, როგორც ამის შესახებ ერთხელ გვქონდა აღნიშნული[3], არსებული მასალების მიხედვით გვხვდება ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია თბილისისა და წეროვნს შორის. არც წეროვნის დასავლეთით და არც თბილისის აღმოსავლეთით სატევრის ეს ტიპი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ფორმათა ერთგვარობის მიუხედავად, ნავთლუღის სატევარი შემკულობის ზოგიერთი მოტივით განსხვავდება ღრმა-ღელისა და წეროვნის სატევრებისაგან. თუ კი არ უკანასკნელი სატევარი, გარდა წნული რელიეფური მოტივისა, შემკულია ავრეთვე სპირალური სხვებით, ნავთლუღის სატევარს შემკულობის ასეთი მოტივი არ გაჩნია. იგი შემკულია მხოლოდ და მხოლოდ წნული რელიეფური ორნამენტით. ეს ორნამენტი გვხვდება ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის გასულით დათარიღებულ სამარხებში. მაგ., იგი გამოყენებულია აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილი სპილენძის იარაღ-საკურეელთა შესაკმაბად[4]. ასეთივე ორნამენტი გვხვდება თრიალეთის შუაბრინჯაოს პერიოდის ოქროსა და ვერცხლის ზოგიერთ ნაკეთობაზე[5]. სამთავროს სამაროვანზედაც არ არის იშვი-

---

[1] А. А. Ивановский. По Закавказью. Археологическая наблюдения и исследования 1893, 1894, 1896 гг., Москва, 1911 г., ტ. IX, სურ. 9.

[2] იქვე.

[3] დ. ჯორბენაძე. ჯვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი თბილისიდან (ღრმა-ღელეს). საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-Б, 1953.

[4] М. М. Иванченко. Исследование архаических памятников мат. культуры в Абхазии. Тифлис, 1935 г., рис. XI.

[5] ბ. კუფტინი. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XIII, XVII და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი ისეთი ნივთები, რომლებიც წწული რელიეფური სახეებით არის შემკული[1]. სასირეთის განძის ბრინჯაოს სამფეხა, თავსახურიანი ჭურჭელი მშვენიერადაა შემკული სპირალებითა და აგრეთვე რელიეფური, წწული ორნამენტით[2]. ეს განძი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ მისი წყმყვანი იარაღები ძალიან ახლო დგანან ნავთლუღის № 1 სამარხის ინვენტართან.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორმა-ღელესა და ნავთლუღში აღმოჩენილი ფოთლისებრური ბრინჯაოს ტარიანი სატევრები ფრიად ორიგინალურია და ადგილობრივი ხელოსნების მიერ დიდი გემოვნებითაა ნაკეთები.

აღმოსავლურ-ქართული სატევარი $\left(\text{ინვ. } \frac{3-50}{2}\right)$ (ტაბ. 16, სურ. 1).

ნავთლუღის № 1 სამარხის ნივთებს შორის ყურადღებას იპყრობს აღმოსავლურ-ქართული ტიპის ბრინჯაოსტარიანი სატევარი. სატევრის პირი სამკუთხედის მოყვანილობისაა; სატევრის წვერთან ოდნავ შესამჩნევი ქედია; პირის დანარჩენი ნაწილი ბრტყელია და ქედის არავითარი ნიშანი არ გააჩნია; მხრები საკმაო ფართოდ აქვს პირს ვადმოფარებული, მაგრამ ისინი ურთიერთ შორის ასიმეტრიულია. ერთი მხარი უფრო განიერია, ვიდრე მეორე. ტარი მთელ სიგრძეზე მრგვალგანივკვეთიანია, შუა ნაწილში ოდნავ შეევიწროებული. მას არ გააჩნია შემკულობის რამე მოტივი. ტარის ქუდი კონუსურია, სამკუთხოვნად დაფანჯრული; სატევრის ტარის თავზე სულ 11 ასეთი ფანჯარაა.

დამახასიათებელია, რომ ფანჯრები ხით არის ამოვსებული; ეს უკანასკნელი კარგადაა შენახული. „ფანჯრების“ ხით ამოვსება, ალბათ, მისი გალაშაბების — შემკობის მიზნით ხდებოდა. ტარის ყელის ღრუ ცარიელი უნდა იყოს და, როგორც ჩანს, ადრეც ცარიელი ყოფილა; მასში არ უნდა ყოფილიყო სამსხმელო ქვაში, რომლის კვალი უეჭველად შემორჩებოდა, ქუდის ფანჯრების მთლიანად ხით ამოვსების გამო. ასევე ცარიელია სამთავროში აღმოჩენილი № 1732 სატევრის ტარის ყელის ღრუ.

ხით ყოფილა შევსებული იმ სატევრის ქუდის ფანჯრები და ტარის ღრუც, რომელიც ანსაზე მოპოვებულად ითვლება $\left(\text{ინვ. } \frac{1-41}{1}\right)$[3]. პროფ. გ. ნორაძე ზემო აღნაშნავს, რომ მახვილის ტარის ქედის აღწერისას ღ-ნიშნავს, რომ მახვილის ტარის ბოლოზე დაფანჯრული ადგილები ხის ნაწილებით ივსებაო[4]. მახვილის ტარის ღრუდ დატოვებას პროფ. გ. ნორაძე იმით ხსნის,

---

[1] მაგ. № 180 ორმოსამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ლაგამის ნაწილი (რომელიც იმყოფებოდა თაგზეა საკინძთან, მსარაგახსნილ შუბისპირთან და ტარშეურხენელ ფოთლისებურ სატევართან ერთად) და სხვ.

[2] G. Nioradse. Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi, ESA. VII, Helsinki, 1932, გვ. 95, სურ. 17.

[3] ამ სატევრის სტერეოტიპული მსგავსების გამო იმ სატევართან, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, გვეიძლებოდა ეფვის თვალით შეეხედოთ კატალოგის ცნობას, სადაც სწერია: „იგი მოპოვებული ყოფილა ვინმე არკადიევის მიერ ანიაში 1900 წ. და 1941 წ. გადმოსცა მუზეუმს“.

[4] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. ზემოავჭალის სამარე. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბილისი, 1931, გვ. 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ასეთი ტარი უფრო მსატე იქნებოდა და სიმძიმის ცენტრი თავისთავად მახვილის ბოლოსაკენ გადაინაცვლებდა, ამავე დროს ნაკლები ლითონი დაეხარჯებოდა ჩამომსხმელსო[1].

სატევრის პირი შემკულია მხოლოდ ღრმა ღარების სისტემით, რომელიც გამოიყენებოდა სამსხმელო ყალიბზე[2].

ნავთლუღში აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ტიპის სატევრის პარალელები საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიურ კოლექციებში მრავლად მოიპოვება.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია თბილისში, ნარიყალაზე შემთხვევით აღმოჩენილი სატევარი (ინვ. 1—48, ტაბ. 16, სურ 5). იგი ფორმითა და შემკობით სრულიად მსგავსია ნავთლუღის სატევრისა. მასვე ემსგავსება საქ. სახ. მუზეუმში 1941 წ. ანსიდან (?) შემოსული სატევარიც (ტაბ. 16, სურ. 2). ამ ტიპის სატევრების რამდენიმე ცალი აღმოჩენილია სამთავროში, თუმცა ზოგიერთი დეტალით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რაც გამოიხატება უმთავრესად პირზე გატარებული რელიეფური ხაზებისა და ტარის ქუდის ოდნავ განსხვავებაში, მაგრამ ისინი ძირითადად ერთი ტიპისაა და ერთდროული.

1938 წ. სამთავროს სამხრეთ უბანზე № 44 სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოსტარიანი სატევარი (ინვ. № 424). მასთან ერთად სამარხში ყოფილა მთლიანმასრიანი შუბის პირი, თხელფირფიტოვანი ისრის წვერები, საკინძი (ერთი თავხვია, მეორე სოკოსებრი თავიანი), საკმაოდ კარგად ნაკეთები თიხის 8 ჭურჭელი, სარდიონის და ძვლის მძივები.

1939 წელს № 96 სამარხში, ბრინჯაოსტარიან სატევართან ერთად, აღმოჩენილია 9 ცალი თიხის ჭურჭელი, მთლიანმასრიანი შუბისპირი და ორი თხელფირფიტოვანი ისრის წვერი. № 275 სამარხში (სამხრეთ უბანი, 1940) სატევართან ერთად აღმოჩენილია თხელფირფიტოვანი ისრის წვერები (14 ც.) და თიხის ჭურჭელი (8 ც.). № 87 სამარხში სატევართან ერთად აღმოჩენილია თხელფირფიტოვანი ისრის წვერები (10 ც.), სოკოსებრი თავიანი ბრინჯაოს საკინძი, ბრინჯაოს სამაჯური და ტოტებწათლილი ირმის რქის ძირი. ასევე სატევარია აღმოჩენილი №№ 39 და 88 სამარხებში. ამავე ტიპის სატევრებია აღმოჩენილი ბაკურციხეშიც[3]. მთლიანადსხმული სატევარი აგრეთვე აღმოჩენილია გოსტიბეში, კოლხურ ცულსა და მასრაგახსნილი შუბისპირთან ერთად[4] (სურ. 8). აღმოსავლურ-ქართული ტიპის სატევრის ორი ცალი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აღმოჩენილია გომნას № 2 სამარხში (სურ. 9).

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. ზემოავჭალის სამარე. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI. თბილისი, 1931.

[2] ამ საკითხზე ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ა. ა ფ ა ქ ი ძ ი ს ახს, რომელიც შრომაში— „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები", თბილისი, 1940 წ. – აღნიშნავს, რომ „ღარები ყალიბზე ხელის თავისუფალი მოკმედებით არის გაკეთებულნო". ამავე ახრისაა გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ც. ის. მისი შრომა „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში". თბილისი, 1949.

[3] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1941.

[4] საქ. სახ. მუზეუმი. ინვ. 8—30, 1—4.

[5] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1944.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ასეთი სატევარი ინახება საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ზოგიერთი მათგანის აღმოჩენის ადგილისა და პირობების შესახებ კატალოგში არავითარი ცნობები არ მოიპოვება. ასეთებია: ინვ. $\frac{12-32}{4-5-6-12}$. არის



სურ. 8

ისეთი სატევრები, რომელთა აღმოჩენის ადგილი ცნობილია, ხოლო აღმოჩენის ვითარება და თანმხლები ინვენტარი არ არის ცნობილი. მაგ. სატევარი № $\frac{12-32}{27}$ აღმოჩენილი ყოფილა ტიბაანში 1924 წელს (ტაბ. 16, სურ. 3). სხვა ცნობები აღნიშნულ სატევარზე არ გაგვაჩნია. სატევარი № $\frac{12-32}{41}$ ალაზნის არხის მშენებლობის დროსაა აღმოჩენილი. სატევარი № $\frac{12-32}{46}$ კი კარდანახში აღმოჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილა 1926 წელს, ხოლო სატევარი № $\frac{7-31}{4}$ ჯიმითში (გარე კახეთში) უპოვნიათ.

კოლექცია № $\frac{2-30}{2-9}$ აღმოჩენილი და შეგროვილი ყოფილა სოფ. პატარძეულში (კახეთი) სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. იგი, როგორც ჩანს, კომპლექსს არ წარმოადგენს. ამ კოლექციიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი ცალი აღმოსავლურ-ქართული სატევარი (ინვ. $\frac{2-30}{3-4}$, ტაბ. 16, სურ. 6), რომლებიც ახლო დგანან ნავთლუღის სატევართან. ამავე კოლექციიდან ჩვენთვის საინტერესოა სპილენძის თხელკედლება, მრგვალძირიანი, დაკერებული ჭურჭლის ფრაგმენტი[1]. საინტერესოა შილდის (ყვარლის რაიონი) სატევარი (ინვ. 7 — 47, ტაბ. 16, სურ. 4), რომელიც აღმოჩენილია ხვნის დროს. სატევართან ერთად არის მინიატურული სატევარი (საკიდი) და ბრინჯაოს ჩუგლუგის ფორმის საკიდი. აქვე ყოფილა აღმოჩენილი რკინის საკიდი, წალდის ფორმისა, და ბრინჯაოს ბეჭედი. ძნელი სათქმელია ეს ნივთები კომპლექსია თუ სხვადასხვა სამარხის ინვენტარს წარმოადგენს. სეგვოა, რომ სამეფრნეო და საბძოლო იარაღთა ეს მინიატურული ფორმები (საკიდები) ერთ სამარხში ყოფილიყო. მიუხედავად ამისა შილდაში აღმოჩენილი სატევარი ყურაღლების ღირსია, როგორც თბილისის — ნავთლუღის სატევრის ახლო პარალელი.



სურ. 4

ასეთი სატევრის დათარიღების საკითხზე არა ერთ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება. ზოგი მას ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის ნაყოფად მიიჩნევს, სხვები ცოტა უფრო ადრეული ხანით ათარიღებენ; ხოლო ზოგი კი ცოტა უფრო მოგვიანო ხანით (დაწვრილებით ქვემოთ). ჩვენ კი ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლურ-ქართული სატევრები ძირითადად გვხვდება ისეთ სამარხებში, რომლებიც არც რკინას შეიცავენ და არც გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრე საფეხურისათვის დამახასიათებელ ინვენტარს. თუმცა თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს, როდესაც მთლიანადსახმელ სატევართან ერთად სამარხში თავსდება საკინძი (თბილისი-ნავთლუღი,

[1] იქნებ ეს ჭურჭელი იმავე სამარხში იყო, რომელიდანაც სატევარია, სადაც, როგორც ამის შემთხვევა ჩვენ ნავთლუღიდან გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთავრო № 44 სამარხი) და მასრაგახსნილი შუბისძირია (თბილისი, ...) მთლიანადსმულ სატევრებთან ერთად ჩვენ ვერ ვხედებით ან თითქმის ვერ ვხედებით ადრეული რკინის ხანისათვის დამახასიათებელ ინვენტარს: მახვილებს, ბრინჯაოს ქამრებს, გრძელდერეოან ისრის წვერებს, თუ ზოგიერთ სხვა ნივთებს. ამგვარად, ბრინჯაოსტარიანი (მთლიანადსმული) სატევრების შემცველი სამარხების ინვენტარი შერეული კომპლექტებია. ისინი შეიცავენ, როგორც არქაულობის დამახასიათებელ ელემენტებს, აგრეთვე მომდევნო პერიოდისათვის ჩვეულ ბრინჯაოს ნივთებსაც[1].

შუბის პირები. ნავთლუღის მასალებში 2 ცალი შუბის პირია. ერთი მათგანი მასრაგახსნილია, არქაული ფორმისა. იგი № 1 სამარხის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. მისი არქაულობის მაჩვენებელი არა მარტო გახსნილი მასრაა (მასრაგახსნილი შუბისა და ხელშუბის პირი ჩვენ ჩამოსხმულიც ვიცით), არამედ ისიც, რომ იგი ნაკეთები უნდა იყოს ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან, მისი გამოკვერვის შედეგად მიღებული. პროფ. ფ. თავაძე იძლევა ზოგიერთი მასრაგახსნილი შუბისპირის (მაგ., სამთავროს №№ 2082, 6269) შემდეგნაირ ტექნოლოგიას: ადამიანს უნდა ჰქონოდა სპეციალური შემოსაკედი—სამარჯვი, რომელზედაც შემოეხვევოდა და შემოიჭედებოდა სპილენძის ან ბრინჯაოს თხელი ფურცელი, რომელიც შემოხვევის შემდეგ მჭრელი პირისაკენ ცხელ მდგომარეობაში ჰედვით იწვლებოდა, თხელდებოდა. გაკეთების ეს ტექნიკა აშკარად ემჩნევა ჩვენს შუბისპირს. ტ. ჩუბინაშვილი მასრაგახსნილი შუბისპირებს ორ ჯგუფად ყოფს. ერთი ჯგუფი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან კეთდებოდა, ხოლო მეორე ჩამოსხმით მზადდებოდა[2] (47). სამთაროს სამაროვნის უძველესი ორმოსამარხების მასრაგახსნილ შუბისა და ხელშუბისპირი, როგორც ჩანს, ამ ხერხით მზადდებოდა. გ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ მასრაგახსნილი შუბები და ხელშუბების პირები სამთავროს მხოლოდ უძველეს ორმოსამარხებში გვხვდება[3]. ალ. კალანდაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება შუბებისა და ხელშუბების კეთების ტექნიკას; მან აღნიშნა, რომ ეს მასრაგახსნილი იარაღები ფურცლოვანი ბრინჯაოს გამოკედვით კეთდებოდა, ხოლო უფრო მოგვიანო პერიოდის მასრაშეკრული შუბისპირები ჩამოსხმითო. როგორც ეხედავთ, ნავთლუღის № 1 სამარხში აღმოჩენილი მასრაგახსნილი შუბისპირი ფურცლოვანი სპილენძის გამოკედვით არის მიღებული და იგი უთუოდ გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს შეესაბამება, მაშინ როდესაც სამარხის ზოგიერთი სხვა ბრინჯაოს ნივთი უფრო ახალგაზრდა ჩანს.

ნავთლუღიდანვეა დიდი ზომის მთლიანმასრიანი ჩამოსხმული შუბისპირი (ტაბ. 5, სურ. 1). ასეთი შუბისპირები მრავლად მოიპოვება გარდამავალი პერიოდის და, ხანდახან, უფრო მოგვიანო სამარხებშიც. ასეთი შუბისპირები ნაპოვნია მაგ. სამთაროს №№ 44 და 180 ორმოსამარხში, აგრეთვე გომნას № 1 სა-

---

[1] სამთაროს მასალების შესწავლის საფუძველზე ამავე დასკვნამდე მიდის გ. ლომთათიძე. იხ. გ. ლომთათიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 66—67.

[2] Т. Н. Чубинишвили. Древнейшие грунтовые погребения Самтаврского могильника. Краткие Сообщения. И И М К XLVI, Москва, 1952, стр. 59.

[3] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. დასახელებული ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხში. იქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს, პროფ. გ. ნიორაძე ათარიღებ[illegible] გვიანბრინჯაოს პერიოდით. მისი განსაზღვრით ეს ძეგლები არ უნდა ეკუთვნოდნენ ძვ. წ. XIII საუკუნეზე უფრო ადრეულ ხანას[1].

ისრის წვერები. თბილისის მიდამოებიდან დღემდე ცნობილია ბრინჯაოსაგან ნაკეთები თხელფირფიტოვანი ისრის წვერი. ორი საბერთალოზე, ორი კი ნავთლუღშია მოპოვებული. ისრის წვერები ბრინჯაოს თხელ ფირფიტისაგანაა ნაკეთები. სამკუთხედის მოყვანილობისაა, წვერთან ხან შუა ადგილს გახვრეტილი. ისინი ძალიან ნაზია, თხელი, რის გამოც მათი საბრძოლო გამოყენება საეჭვო ხდება. შესაძლებელია, რომ იმდროინდელი ადამიანი მას ფრინველზე ნადირობისათვის იყენებდა. დამახასიათებელია, რომ თბილისის ტერიტორიაზე არ შეგვხვედრია მძიმე ყუნწიანი საბრძოლო ისრის წვერები—თხელფირფიტოვანის მომდევნო, უფრო განვითარებული ტიპისა. ისინი მრავლად მოიპოვება სამთავრის სამაროვნის მოგვიანო პერიოდის ორმოსამარხებში. საინტერესო ფაქტია, რომ სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში პირველად შეხვედრილი თხელფირფიტოვანი, სამკუთხა მოყვანილობის ისრის წვერები ორმოსამარხთა არსებობის დიდ მანძილზე გვხვდება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამთავროს გვიანბრინჯაოსა და გარდამავალი პერიოდის სამარხებისათვის მხოლოდ და მხოლოდ თხელფირფიტოვანი ისრის წვერებია დამახასიათებელი. თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი თხელფირფიტოვანი ისრის წვერები ძალიან ჰგავს სამთავროს უძველესი ორმოსამარხებისა და მის მომდევნო — გარდამავალი პერიოდის სამარხებში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან თხელფირფიტოვან ისრის წვერებს. თხელფირფიტოვანი ისრის წვერები აღმოჩენილი ყოფილა გომნაში (სამარხი № 1)[2]. ასეთი ისრის წვერები ორიალეთშიაც არის აღმოჩენილი. პროფ. კუფტინი აღნიშნავს, რომ სამთავროს ძირა სამარხების ბეშთაშენის სამარხებთან ურთიერთდამკავშირებელი ნიშანი აღნიშნული ტიპის ისრის წვერები არისო[3]. რამდენადაც მასალებს გავეცანით, ასეთი ტიპის ისრის წვერები არ მოიპოვება ან თითქმის არ მოიპოვება სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე, ისევე როგორც უფრო შორს სრულებით არა ჩანს ასეთი რამ. ამრიგად თხელფირფიტოვანი ისრის წვერების სამშობლო, მისი წარმოშობის ცენტრი მცხეთა ჩანს, ხოლო მცხეთის მახლობელ რაინონებშიც აკეთებდნენ და იყენებდნენ მას. ამავე მოსაზრებას თავის ერთ-ერთ შრომაში გამოთქვამს არქ. ალ. კალანდაძე[4].

კაუჭი ბრინჯაოსი (ტაბ. 17, სურ. 4). კომპლექსის შემადგენლობაში ბრინჯაოს კაუჭი თუ ჩანგალიც შედის, რომლის დანიშნულება არ შეიძლება სრულიად გამორკვეულად ჩაითვალოს. იგი შეიძლებოდა გამოეყენებინათ დიდი ჭურჭლიდან მოხარშული ხორცის ამოსაღებად. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამოფენაზე ამგვარ ნივთს ასეთი წარწერა აქვს: „პურის ამოსაღები კაუჭი". იქნებ ეს ნივთი ხორცის ჩამოსაკიდებლადაც იხმარებოდა, მსგავსად

---

[1] გ. ნიორაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 211.

[2] იქვე, ტაბ. X—XI.

[3] ბ. კუფტინი. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[4] Ал. Каландадзе. К периодизации памятников Самтавро. Тбилиси, 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე საყასბოებში გავრცელებული კაუჭებისა. საზოგადოდ მსგავსი კაუჭი ბრინჯაოს ეპოქის ადრეულ საფეხურზედაც გვხვდება. ადრეული სახე კაუჭისა გვხვდება აფხაზეთის დოლმენებში. აქ აღმოჩენილი კაუჭები განსხვავდება ნავთლუღში აღმოჩენილი კაუჭისაგან.

თუ ნავთლუღში აღმოჩენილი კაუჭი ნამგლისებურია, აფხაზეთის დოლმენების კაუჭები უფრო ანკესს მიაგავს[1]. ორივე ტიპის კაუჭი მასრაგახსნილია და მასრის ზემო ნაწილში, მოპირდაპირე მხარეებზე თითო სამანქელე აქვს კაუჭის ტარზე დასამაგრებლად. დოლმენების ჩანგლები ორნამენტირებულია, ნავთლუღში აღმოჩენილ კაუჭს შემკულობის არავითარი ნიშანი არ გააჩნია. IV დოლმენის კაუჭი შემკულია წნელი რელიეფური ორნამენტით და ჩანგლის მასრას გველის მაგვარი ისეთი კლაკნილი ორნამენტი გაყვება, როგორიც კონსტანტინოვსკაიას სჯუვრის ტარს ამკობს[2]. აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილი ჩანგლების შემდგომი განვითარება — გავრცელება ფართო ტერიტორიას მოიცავს. იგი გვხვდება როგორც ჩრდილო კავკასიაში, ისე ა/კავკასიის სხვადასხვა მხრეებში.

ჩრდილო კავკასიაში პროფ. ვესელოვსკიმ სტანიცა ცარსკაიას მახლობლად (ყობანის ოლქი) ტყეში, ყორღანების გათხრის დროს, პატარა ზომის (9,5 სმ სიგრძის) ჩანგალთან ერთად აღმოაჩინა კაჟის ისრის წვეტები, ვერცხლის საკინძები (2 ცალი), სპილენძის ცული და სხვა ნივთები. სხვა ადგილებიდან ჩანგალი ნაპოვნია რესლერის მიერ სოფ. ხოჯალში, ყორღანული სამარხის გათხრის დროს. ყორღანში სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნი ყოფილა მოკვეთილი ჭურჭლის ფრაგმენტი შემკული ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულებით და ბრინჯაოს დანა (22 სმ სიგრძისა)[4]. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია ჩანგალი — ერთი $\left(\text{ინვ. } \frac{1-02}{59}\right)$ სოფ. შროშადან (ერევნის ყოფ. გუბერნია, ტაბ. 17, სურ. 5), ხოლო მეორე კი $\left(\frac{50-06}{1}\right)$ სევანის ტბის მიდამოებშია ლალიანის მიერ აღმოჩენილი (ტაბ. 17, სურ. 6). ისინი თბილისის კაუჭთან შედარებით პატარა ზომისაა. ამრიგად კაუჭის გავრცელების არე სცილდება ა/კავკასიას, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი ადრეული ფორმა აფხაზეთის დოლმენებში არის დადასტურებული. ეფექრობთ, ა/კავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ზემოთ დასახელებული და სხვა ბრინჯაოს კაუჭები დოლმენებში აღმოჩენილი კაუჭების შემდგომი განვითარება უნდა იყოს.

სპილენძის ქვაბი (სურ. 1). ნავთლუღის № 1 სამარხი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ძალზე თხელფირფიტოვანი სპილენძის ქვაბი აღმოჩნდა. იგი სპილენძის მთლიანი ნაჭრისაგანაა გამოჭედილი. მას არ ეტყობა რჩილვის კვალი. ჭურ-

---

[1] გ. ივაშჩენკო. დასახელებული ნაშრომი, სურათი XI $_2$.

[2] Tallgren A. M. Zu der nordkaukasischen frühen Bronzezeit. ESA, VI, Helsinki, 1931, გვ. 139—140.

[3] Отчет Импер. Арх. Комисии за 1898 г. Кубанская область, расколки И. Веселовского. გვ. 37.

[4] Отчет Импер. Арх. комисии за 1897 г. გვ, 48, სურ. 311, 312.

ჭლის ძირი ნახევარსფეროსებურია, მრგვალი. როგორც ჩანს, მას ხმარობენ დროს ჩამოჰკიდებდნენ, ანდა სპეციალურ ჩასადგმელს უკეთებდნენ. სპილენძის რამდენიმე ქვაბი თრიალეთის ყორღანულ სამარხებშიაცაა აღმოჩენილი. მსგავსი ქვაბი აღმოჩენილია აგრეთვე ბორჯომის ხეობაში ს. გომნაში. გომნას № 1 სამარხში ქვაბთან ერთად ყოფილა ბრინჯაოს სატევარი, გრძელი შუბისპირი (40 სმ), სამაჯურები, თხელფირფიტოვანი სამკუთხა ისრის წვერები (2 ც.) და თიხის ჭურჭელები. დამახასიათებელია, რომ ამ სამარხის ინვენტარი ახლო ენათესავება საერთოდ ნავთლუღში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას (გრძელი შუბის წვერი, ისრის წვერები და სხვა).

ბრინჯაოს პატარა ზომის ქვაბი აღმოჩენილია სამთავროს სამაროკანზე მდიდრულ № 208 ორმოსამარხში, სადაც დიდძალი იარაღსაკურველია, თითქმის ყველა ბრინჯაოსი, მხოლოდ ერთი ნივთია რკინის (დანა). ჩვენთვის საინტერესოა მრგვალძირიანი, დაკერებული, სპილენძის ქვაბის ნაწილი, რომელიც აღმოჩენილი ყოფილა პატარძეულში (კახეთი); კოლექცია $\frac{2-30}{2-9}$ შემთხვევით აღმოჩენილი და შეგროვილი ნივთებისაგან შედგება, მაგრამ ჩვენთვის მაინც საინტერესოა, რადგან მასში, სპილენძის ქვაბის ნაწილთან ერთად, აღმოსაელურ-ქართული ტიპის 2 ცალი სატევარია (მთლიანადსხმული).

მძივები აღმოჩნდა №№ 5 და 8 სამარხებში. № 5 სამარხში ერთი ცალი, უხეშად ნაკეთები სარდიონის მძივი იყო. ამგვარი ნაკეთობის მძივები გვიანბრინჯაოს საფეხურისათვის არის დამახასიათებელი. № 8 სამარხში აღმოჩენილი 21 ცალი სარდიონის მძივი, რომლებიც, იმისდა მიუხედავად, რომ ღია ვარდისფერია, დამუშავებით აშკარად ადრეული პერიოდისაა (პობილი — ნახერხია და უხეშად ნაკეთები). დამახასიათებელია, რომ საერთოდ, პობილი, ადრეული პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი მძივები მუქი წითელი ფერისაა ან უფრო მოშავო-მოწითალო, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას ერთიმეორის გვერდით, ერთდროულად იყოს ღია ვარდისფერი, მუქი ან მოშავო-მოწითალო მძივები, მით უფრო, თუ კი მათი დამუშავების ტექნიკა ერთგვაროვანია.

თიხის ჭურჭელი

საყურადღებოა და მეტად მრავალფეროვანია ნავთლუღში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლეული. უმთავრესად იგი მორგვზეა ნაკეთები; ზოგიერთი მათგანი მეტად ლამაზია და კოხტა. ფერის მიხედვით ჭურჭლები სამ ჯგუფად შეიძლება გავყოთ; ლეგა, შავი და იშვიათად — ღია მოვარდისფერო. თიხა უმთავრესად კარგადაა დამუშავებული.

ნავთლუღში აღმოჩენილი ჭურჭლეული სახეების მიხედვით შეგვიძლია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

I. ქოთნები და ქვაბქოთნები, განიერმუცლიანი;

II. დერგები და ქილები კვერცხისებური მოყვანილობისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ღილები და ხელადები, მაღალი ცილინდრულ-ყელიანი;

IV. სასმისები, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისა;

V. ლანგრები და ჯამები სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობისა;

VI. რიტუალური დანიშნულების ჭურჭელი, ფეხებიანი და ფიგურულ ყურებიანი.

აღნიშნული კერამიკა დამუშავების ტექნიკისა და შემკულობის მიხედვით შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

პირველი ჯგუფი—მორგვზე ნაკეთები, ლეკა ფერის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლებისა შემკული ე. წ. გოფრირებული ან მიმსგავსებული ორნამენტით. ქოთნებსა ან ქვაბქოთნებზე ეს სამკაული მოთავსებულია ჭურჭლის ზემო ნაწილზე, სასმისსე კი—ჭურჭლის თითქმის მთელ ტანზეა განაწილებული. ჭურჭლის ზედაპირზე ასეთი ორნამენტი კონცენტრული განიერი ღარების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო შიდა პირზე მას ყოველთვის არ შეესაბამება სათანადო ამოზნექილ-ჩაზნექილობა. მიუხედავად ამისა, ამ ორნამენტს ჩვენ ყველგან პირობით ვუწოდეთ გოფრირებული.

წელში გამოყვანილი ყურიანი სასმისები (ტაბ. 7, სურ. 4; ტაბ. 9, სურ. 4) გოფრირებულია მთელ ტანზე; № 7 სამარხში აღმოჩენილი ქოთნის ზედა ტანი (ტაბ. 7, სურ. 9), № 8 სამარხში აღმრჩენილი ქვაბქოთანის და აგრეთვე ქოთანის (ტაბ. 9, სურ. 3) ზედა ტანიც კონცენტრული განიერი ღარებითაა შემკული. გოფრირებული სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი მრავლად გვხვდება თბილისის მახლობელ რაიონებში აღმოსავლურ-კერამიკულ მასალებში, კერძოდ, ასეთი ჭურჭლები მრავლადაა მოპოვებული სამთავროს სამაროვანზე, იმ ორმოსამარხებში, რომლებიც ქრონოლოგიურად თან მისდევს უძველეს ორმოსამარხებს.

1939 წ. სამთავროს ჩრდილო უბნის № 54 სამარხში აღმოჩენილი გოფრირებული თიხის სასმისი (ტოლჩა, ინვ. 1907) ახლო პარალელს პოულობს ნავთლუღში აღმოჩენილ ასეთივე გოფრირებულ ორ სასმისთან. ნავთლუღში აღმოჩენილ გოფრირებულ ქოთნებისა და ქვაბქოთნების ახლო პარალელად შეიძლება ჩაითვალოს სამთავროს № 18 სამარხში აღმოჩენილი ქვაბქოთანა (ინვ. 461). ამ ჭურჭლის ზედა ტანი გოფრირებულია, ზოლო ამავე სამარხის ქოთანს (ინვ. 457) ტანის ზემო ნაწილზე რამდენიმე განიერი კონცენტრული ღარი აქვს შემოვლებული. საინტერესოა ისიც, რომ ამ სამარხში პატარა სასმისი აღმოჩნდა, რომელიც, ნავთლუღის შემთხვევის მსგავსად, დიდ ჭურჭელში იდგა. ამავე სამარხში აღმოჩენილია არქაული ფორმის მახათი და კარგად დამუშავებული სარდიონის მძივები. № 232 სამარხში აღმოჩნდა ქოთანი, რომლის ტანის ზემო ნაწილი გოფრირებულია (ინვ. 5003). სამარხში აგრეთვე აღმოჩენილია შემდეგი ნივთები: მაღალქედიანი ფოთლისებური სტეკვარი (ინვ. 5005), მასრაგახსნილი შუბისსპირი და სოკოსებერთავიანი ბრინჯაოს საკინძი. № 20 სამარხში აღმოჩენილია ზუსტად ისეთივე ქვაბქოთანა (ინვ. 627), როგორიც ნავთლუღის № 8 სამარხში აღმოჩენილი ქვაბქოთანაა. ჭურჭლებთან ერთად სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს თავხვია საკინძები, განიკეთში ოთხკუთხი, წიწვოვანი ორნამენტით შემკული და სარდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის მძივები. ხოლო № 173 სამარხში გოფრირებულ ქოთანთან (ინვ. [illegible]) ერთად აღმოჩენილია შემდეგი ნივთები: ორი საკინძი—ერთი ნახევარსფერულთავიანი, მეორე უთავო, განივკვეთში ოთხკუთხი, ბრინჯაოს მახათი და სარდიონის მძივები. როგორც ვხედავთ, ნავთლუღში აღმოჩენილია სანთავროული გოფრირებული ჭურჭლების ზუსტი პარალელები, რომელნიც ისეთ სამარხებში გვხვდება, სადაც ჯერ კიდევ არა ჩანს რკინის რაიმე ნაწარმი. ამ სამარხებში არის არქაუ-

სურ. 10

ლობის მომასწავებელი ელემენტები: ფოთლისებური სატეკრები, მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი და სხვა, მაგრამ არის უფრო მომდევნო პერიოდისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნივთებიც: მრგვალთავიანი საკინძები, კარგად დამუშავებული სარდიონის მძივები და სხვა. ამრიგად ნავთლუღისა და სამთაეროს მასალების მიხედვით გოფრირებული თიხის ჭურჭლები ისეთ სამარხებში გვხვდება, რომლებიც შერეული ხასიათის კომპლექსების შემცველია.

გოფრირებული თიხის ჭურჭლები აღმოჩენილია ავჭალაშიც 1923 წელს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს, ასეთებია: ქოთანი $\left(\text{ინვ.}\ \frac{4-23}{2}\right)$ და ქოთნის ნაწილი $\left(\text{ინვ.}\ \frac{4-3}{5}\right)$. ორივე ამ ჭურჭლის ზედა ტანი გოფრირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ორნამენტითაა შემკული, ორივე ჭურჭელი თითქმის ასლია ნაგლინელნის აღმოჩენილ გოფრირებულ ქოთნებისა.

ამრიგად ასეთი მოტივით შემკული თიხის ჭურჭლები ყველაზე მეტ გავრცელებას პოულობს სამთავროს სამაროვანზე. იგი გვხვდება ავჭალის მიდამოებში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმში და მრავლადაა წარმოდგენილი ნავთლუღში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებს შორისაც. რაც შეეხება ასეთი სახეებით შემკული ჭურჭლების გავრცელების არეს, იგი არ მიდის შორს დასავლეთისაკენ. ეს ორნამენტი, რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ სათანადო მასალებს, თითქმის არ გვხვდება განჯა-ყარაბაღულ კულტურაში. იგივე შეიძლება ითქვას სომხეთის თანამედროვე ტერიტორიაზე აღმოჩენილ კერამიკულ მასალებზედაც.

მეორე ჯგუფი—ნავთლუღის თიხის ჭურჭლებს შორის კარგად დამუშავებული

თიხისაგან მორგვზე ნაკეთები ერთი ქვაბქოთანაა $\left(\text{ინვ. } \frac{3-50}{32}, \text{ სურ. } 10\right)$.

იგი მეექვსე სამარხშია აღმოჩენილი, განიერმუცლიანია, პირმოყრილ ბაკოზე ირგვლივ სამი კონცენტრული ღარი გადასდევს. ხახარეზე მიიქარწილია ორი ყური განიკეკეთში ოთხკუთხა. ყურის ზედაპირი სიგრძეზე ჩაღარულია. ღარის ნაპირები ქვემოთ ეშლება, განიერდება და ზურგის სახით დაყვება ჭურჭელს, შემდეგ თანდათან პატარავდება და ბოლოს ქრება. ყურების გასწვრივ ჭურჭლის მხრებზე ბრტყელი ოთხკუთხოვანი შვერილები აქვს, რომლებიც ერთგვარი საყრდენით დამაგრებულია ჭურჭლის ტანზე. თითოეულ შვერილს ორ-ორი ასეთი საბჯენი აქვს. შვერილთა ზედაპირი, ისე როგორც საერთოდ ჭურჭლის ზედაპირი, სადაა, ულარნამენტო.

ამ ჭურჭლის მსგავსი ჭურჭლები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც თბილისის მოსაზღვრე რაიონებში, აგრეთვე უფრო დაშორებული ადგილების არქეოლოგიურ მასალებში. ზუსტად ასეთივე ფორმის ქვაბქოთანა სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილ № 160 სამარხშია აღმოჩენილი (ინვ. 3270). ის ორყურია, ორშვერილიანი, ნაცრისფერი, დიდმუცლიანი, განსხვავება იმაშია, რომ ამ ჭურჭლის ჰორიზონტალური შვერილი ეყრდნობა არა ორს, არამედ ერთ საბჯენ ფეხს და შვერილთა დონე პირის დონესთან ერის გათანაბრებული. № 160 სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს სატეკარი, ფოთლისებური, განიერი, მაღალი და მკვეთრი ქედით (ინვ. 3276), მასრაგახსნილი შუბისპირი, თავვნია საკინძი და უძველესი ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები. სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილ № 17 სამარხში აღმოჩენილ მრგვალტანიან, მონაცრისფერ ქვაბქოთანას მხარზე მიძერწილი აქვს ჰორიზონტალური შვერილი ერთი საყრდენი ფეხით; № 17 სამარხი არქაული ინვენტარის შემცველია. მასში აღმოჩნდა თაუნია საკინძები (ინვ. 351), უხეშად ნაკეთები სარდიონის მძივები, არქაული ტიპის ბრინჯაოს მახათი.

ამჯერად ჩვენთვის მეტად საინტერესოა სამთავროს სამხრეთი უბნის № 39 სამარხის თიხის ჭურჭელები. სამარხში აღმოჩენილ ორყურა ქვაბქოთანას მხარეზე ერთი საყრდენიანი ჰორიზონტალური შვერილია. ამავე ჭურჭლის მხარეზეა მიძერწილი ცხვრის თავის სქემატური გამოსახულება. ამავე დროს სამარხში აღმოჩენილია ქოთანი, რომლის ძირი სპირალურად არის დაღარული, ტანი კი კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრული ღარებით არის დაფარული. ამგვარი და სამარხში აღმოჩენილი ხუთ ჭურჭლების მსგავსი ფორმები ნავთლუღშიაც მოგვეჰოვება. როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, სამთაეროს უძველეს და მომდევნო ორმოსამარხებში გვხვდება ჰორიზონტალური შეერილიანი თიხის ჭურჭლები, სწორედ ისეთი, როგორიც ნავთლუღში აღმოჩენილი ორყურა ორშეერილიანი თიხის ქვაბქოთანაა. ამავე ტიპის თიხის ჭურჭლები მოპოვებულია ზემო ავჭალაში ჰიდროტექტროსადგურის მშენებლობის დროს, 1923 წელს. იგი ქილაა, ნაცრისფერად გამომწვარი, მუცელგამობერილი, პირის სიბრტყეზე შემოვლებულია სამი ღარი. პირის ფონზე მრგვალი, ბრტყელზედაპირიანი შეერილია, რომელიც ერთ საყრდენზეა დაყრდნობილი $\left(\text{ინგ.}\ \frac{4-23}{3}\right)$. ზემო ავჭალაში ნაპოვნია აგრეთვე ორყურა ქვაბქოთანა $\left(\text{ინგ.}\ \frac{4-23}{1}\right)$, ლეგა ფერისა, ბრტყელი, ფართოპირიანი, პირის შიდა ნაწილი ამაღლებულია. ბრტყელ და ფართო პირზე ტალღისებურად კლაკნილი ხაზებია შემოვლებული. მხარზე ორი პატარა, მრგვალბრტყელი და ჰორიზონტალური შეერილებია, რომლებიც ეყრდნობა მხოლოდ თითო საყრდენს. 1949 წელს ზემო ავჭალის უპატრონო ბავშვთა კოლონიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორმოსამარხების ინვენტარიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო თიხის ორმა ჭურჭელმა, ერთი მათგანი ქვაბქოთანაა $\left(\text{ინგ.}\ \frac{8-49}{1}\right)$, მრგვალი განიერმუცლიანი, ბრტყელი პირის ირგვლივ ორი განიერი ღარია შემოვლებული. ჭურჭლის მხარეზე მიძეერწილია ორი ოთხკუთხგანივკვეთიანი პატარა ყური და ორიც მცირე შეერილი. ეს უკანასკნელი ზემოთ აღწერილ ჭურჭლეთა შეერილების გადაეარებული ფორმა უნდა იყოს. ჭურჭლის მხრები შემკულია სამკუთხედისებრი სახეებით. სამკუთხედის მოედნები დაღარულია დამრეცი ხაზებით.

ბრტყელშეერილებიანი თიხის ქოთნები და ქვაბქოთნები მრავლად გვხვდება დღევანდელი აზრბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიურ მასალებს შორის. პირველ ყოელისა შეეჩერდებით იმ მასალებზე, რომელიც ივანოვსკის აქეს გამოქვეყნებული[1]. XXVI ქვის სამარხში აღმოჩენილია თიხის ქოთანი[2], განიერმუცლიანი, ბრტყელი პირის გარშემო განიერი ღარები ეტანს. ჭურჭლის მხარზე დაძერწილია ოთხკუთხა ფორმის შეერილი (სიგრძე 4.5 სმ, სიგანე 2.9 სმ), რომელიც ეყრდნობა სამფეხიან საბეჯენს. სამარხში ბრინჯაოს მრავალი ნიეთი და სხეადასხვა ფორმის 9 ჭურჭელი აღმოჩენილა, ბრინჯაოს ნივთებს შორის აღსანიშნავია ქედაბეკური ტიპის მახვილი. მეტად საინტერესოა ივანოვსკის მასალებიდან №№ 18 და 76 სამარხებში აღმოჩენილი ორყურა ქვაბქოთნები[3], რომელთაც ორ-ორი შეერილი აქვთ. შეერილები და ყურები აქაც ჭურჭლის მხარეზეა მიძერწილი. № 18 სამარხში ასეთ ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია სარდიონის მძივები, ბრინჯაოს მძივები, ღვინ-

---

[1] ივანოვსკი. დასახ. ნაშრომი.

[2] იქვე, ტაბ. X, სურ. 1.

[3] იქვე, ტაბ. X, სურ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილები, მათთან ერთად ანთიმონის ორი ფირფიტა და ბრინჯაოს ორი [illegible] სამაჯური. 76-ე სამარხში, ასევეთვე ჭურჭელთან ერთად, შემდეგი ნივთები იყო: თიხის რამდენიმე ჭურჭელი, მოწითალო სარდიონის მძივები, ბრინჯაოს სატევარი, სადგისი, სამაჯურები და ბეჭდები. ა. ივანოვსკის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან კიდევ შეიძლებოდა მსგავსი ჭურჭლების მოტანა, მაგრამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია. ამ სამარხთა ინვენტარშიაც რკინის ნიშნებს ჯერ კიდევ არ ვხვდებით.

ორყურა და ორშვერილიანი თიხის ქოთანი გამოქვეყნებული აქვს პროფ. გ. ნიორაძეს[1]. ორ- და სამშვერილიანი თიხის ჭურჭლები, ეერძოდ, ქოთნები და ქვაბქოთნები, მრავლადაა მოპოვებული სევანის ტბის მიდამოებში, ლალიანის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამ მასალების ნაწილი ინახება საქ. სახ. მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში. მსგავსი ჭურჭელი ცნობილია აგრეთვე მინგეჩაურსა[2] და სხვა ადგილებში. როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ჩვენი ქვაბქოთანას ანალოგიური ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული თბილისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. თბილისიდან დასავლეთით კი თითო-ოროლა გვხვდება, ხოლო მცხეთიდან დასავლეთით თითქოს აღარ ჩანს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰორიზონტალურ შვერილიანი ჭურჭლები მხოლოდ ერთი ტიპის ჭურჭლებია, სახელდობრ, ქოთნები და ქვაბქოთნები: საინტერესოა ამ შვერილების დანიშნულების საკითხიც. შვერილს ჩვენ ვხვდებით ერთს, ორს, ან სამს, როგორც ყურიან, ისევე უყურო ჭურჭელზე. თუ შვერილიანი ჭურჭელი ყურიანია, მას უთუოდ ორი ყური აქვს. შვერილთა დანიშნულების შესახებ ა. ივანოვსკი აღნიშნავს, რომ მათი საშუალებით ადამიანი დააფერდებდა ჭურჭელს, როდესაც იგი ჩამოკიდებული იყო[3].

პროფ. გ. ნიორაძე აღნიშნავს, რომ მეთუნეობის ადრეულ ეტაპზე ჭურჭლებს ხელის მოსაკიდ ბორკვებს უკეთებდნენ, რომლებიც მიმბაძველობის სახით შემორჩა მოგვიანო ჭურჭლებს, ხოლო შემდგომში ჭურჭლის დეკორატიულ მოტივად იქცა[4].

ჩვენ არ გვგონია მართალი იყოს ა. ივანოვსკი, რადგან შვერილები არა მარტო ყურიან ჭურჭლებს აქვს, არამედ უყუროთაც. და თუ ეს შვერილები დაკიდებული ჭურჭლის დაფერდებისათვის იყო განკუთვნილი, როგორ დააფერდებდნენ იმ ჭურჭელს, რომელიც ვერ დაიკიდებოდა. არც ის გვგონია მართალი, რომ ისინი თითქოს ასაწევი, ხელმოსაკიდი შვერილები ყოფილიყო. ბევრ ყურიან ჭურჭელს აქვს ისეთი შვერილები, ხშირად იმდენად პატარა, რომ ხელის

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B, სურ. 19.

[2] К а з и е́в. Археологические раскопки в Мингечауре. Мат. культ. Азербайджана, I, Баку, 1949, рис. 2, стр. 14.

[3] ა. ი ვ ა ნ ო ვ ს კ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[4] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდება შეუძლებელია. ზოგ შემთხვევაში ჭურჭელს აქვს მხოლოდ ერთი პატარა შვერილი, რომელზედაც ხელის მოკიდება შეუძლებელია (ინვ. $\frac{4-23}{3}$, $\frac{8-49}{1}$ და სხვ.).

ამრიგად, ჩვენ ვიზიარებთ პროფ. გ. ნიორაძის მოსაზრებას და შვერილებს

სურ. 11

ვთვლით ჭურჭლის დეკორატიულ მოტივად. ამ ტიპის ჭურჭლები, როგორც ამ მცირედი მიმოხილვიდან ჩანს, ძირითადად გვხვდება ბრინჯაოს ნივთებიან სამარხებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის რკინა. ისინი გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული საფეხურის სამარხებშიაც გვხვდება (სამთავრო).

III. ჭურჭლების მესამე ჯგუფი ისევ ქვაბქოთნები და ქოთნებია. ამ ჯგუფის ჭურჭლებისაგან გამოვყოფთ ორ ქვეჯგუფს:

პირველ ქვეჯგუფში შეიძლება მოვათავსოთ რელიეფურგრეხილოვანი სარტყლებით შემკული ჭურჭლები. საერთოდ რელიეფური სარტყლები ჭურჭლის ჩარხზე ტრიალის დროს თითების დაჭერითაა ხოლმე გაკეთებული, ხოლო სარტყელზე გრეხილური დანაჭდევები კეთდებოდა ჩარხზე ჭურჭლის ტრიალის შეჩერების შემდეგ. ასეთ ჭურჭლებს ძირის ნაპირებიც მსგავსადვე აქვთ დაჭდეული. ასეთი ჭდეული სარტყლები სხვადასხვა ჭურჭელზე სხვადასხვა რაოდენობითაა და სხვადასხვა გვარადაა განლაგებული. არის ჭურჭელი, რომლის მთელი ტანი დასერილია ირგვლივ შემოვლებული გრეხილისებური სარტყლებით, რომელთა რაოდენობა ექვსამდე აღწევს. ზოგ ჭურჭელს სარტყლები მხარზე აქვს მოთავსებული. დღესდღეობით თბილისის მიდამოებიდან ასეთი ჭურჭელი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{3}\right)$. იგი ორიგინალური ფორმისაა. მის ტანზე ძირიდან ყელამდე კონცენტრული, რელიეფური გრეხილის მსგავსი სარტყლებია შემოვლებული, ხოლო ერთი ტალღისებური სარტყელი მხარზე აქვს.

ღრმაღელიდან ჩვენ გვაქვს დიდი, უყურო ჭურჭელი—დერგი (სურ. 11), რომელსაც მხარზე რელიეფური სარტყლები გადასდევს. სულ ხუთი სარტყელია. ასევეთვე ორსარტყლიანი, ოღონდ დეფორმირებული ჭურჭელი ნაძალადევშია აღმოჩენილი.

ამ ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია მასრაგასსნილი, გრძელი შუბისპირი და გრძელი ბრინჯაოს ტარიანი, წვერმომრგვალებული სატევარი.

ამ ტიპის ჭურჭლები აღმოჩენილია თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაიბურთის მიდამოებში[1]. დერგი შემკული როგორც ტანის ზემო, ისე ქვემო ნაწილზე, რელიეფური სარტყლებით. სარტყლები, როგორც ჩანს, ჭურჭლის ტრიალის დროს ხელის დაჭერის შედეგადაა გამოყვანილი. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ გრეხილოვანი სარტყლები ზედნაძერწია[2]. ჩვენი დაკვირვებით ეს არ უნდა იყოს სწორი. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ძნელია ზუსტი ქრონოლოგიური ადგილის მიჩენა და გენეტიური ფესვების პოვნა იმ სამარხებისათვის, რომლებიც ირგვლივ დაწყობილი ქვებით არის შემოფარგლული, ლითონის ინვენტარს ცოტას შეიცავს და ხასიათდება თავისებური კერამიკით, რომელიც ხშირად შემკულია რელიეფურად ზედნაძერწი გრეხილოვანი სახეებით[3]. ავტორს იმ დროს არ გაანნდა სათანადო მასალა — პარალელები ასეთი ფორმის ჭურჭლეულის გაურცელების არის და წარმომავლობის შესახებ მსჯელობისათვის.

ამავამად ასეთი ჭურჭლები ჩვენ გვაქვს თბილისიდანაც, ისეთ კომპლექსებში გაერთიანებული, რომლის დათარიღება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. საზოგადოდ ასეთი ფორმისა და შემკულობის თიხის ჭურჭლები იშვიათად გვხვდება. ისინი სამთავროს სამაროვნის მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმთა შორისაც იშვიათადაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ ამ ტიპის II ქვეჯგუფის ჭურჭლები მრავლად არის წარმოდგენილი როგორც სამთავროს სამაროვნის, ისე თბილისის არქეოლოგიურ მასალებში. ისინი გამოვყავით როგორც ქვეჯგუფი, იმიტომ, რომ ყველა მათგანს ძირზე სპირალისებურად დახვეული ღარი უვლის, ძირის ნაპირები დაჭდეულია და მთელ ზედაპირზე კონცენტრული ვიწრო ჩაღრმავებული ხაზები უვლის. ამგვარად შემკული ჭურჭლები ძირითადად პატარა ზომის ქოთნებია, იშვიათად, დიდი ზომისაც.

ნავთლუღის მასალებში ასეთი ჭურჭელი ორია, უფრო სწორად ორი ასეთი ჭურჭლის ნაწილებია $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{54}\ \text{და}\ \frac{3-50}{54а}\right)$.

ერთი მათგანი დიდი ზომის ქოთანი უნდა ყოფილიყო. შემორჩენილი გვაქვს ერთი ჭურჭლის მხოლოდ ნაწილი. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ჭურჭლის ტანი კვერცხის ფორმისა უნდა ყოფილიყო. ძირზე, როგორც ჩანს, კონცენტრუ-

[1] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. არქ. გათხრები თრიალეთში. ტაბ. II, სურ. 1.
[2] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 76 და 141.
[3] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ოდნავ ჩაღრმავებული ღარებია შემოვლებული, ძირის ნაპირები კი დაჭ-დეულია. ზედაპირი შემკულია კონცენტრული ვიწრო ღარებით. მხარზე ორ-წყებად გადასდევს დამრეცი ჭდეები (სურ. 12).

სურ. 12

მეორე ჭურჭლისა მხოლოდ მუცლის ქვედა და ძირის ფრაგმენტი გვაქვს. ძირზე აშკარად ჩანს ხვეულის განიერი ღარი.

ქვემო ნაწილზე კარგად გაირჩევა კონცენტრულ ღართა ნიშნები (სურ. 13).

ამ ფორმის ქოთანი 1949 წელს აღმოჩენილია ავჭალის უპატრონო ბავშვთა კოლონიის მიდამოებში სხვა ჭურჭლებთან ერთად (ინვ. 8—49). პატარა, ოდნავ მუცელგამობერილ, კოხტა ქოთანს ქუსლისებური დაღარული ძირი აქვს. ძირის ნაპირი დაჭდეულია. მთელი ტანი დასერილია ირგვლივი კონცენტრული ღარე-ბით. მხარზე რელიეფური სარტყლებია შემოვლებული, რომელზედაც ირიბი ჭდეებია გამოყვანილი. ყელის ძირზედაც — მახვილი წერტილოვანი ჭდეულები აქვს. პირი ყელზეა გადმოფარებული, განიერია და ბრტყელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივე მოყვანილობის და შემკულობის ჭურჭლები მრავლადაა აღმოჩენილი სამთავროს სამაროვანზე. მაგ., ასეთი ქოთანი აღმოჩენილია № 12 სამარხში (ჩრდ. უბანი); აქ, აღნიშნულ ქოთანს გარდა, იმყოფებოდა გოფრირებული ორნამენტით შემკული თიხის ქილა, ოთხი თაეხვია საკნიანი, ბრინჯაოს მახათი და პასტის, სარდიონისა და ბრინჯაოს მძივები.

ამრიგად სამარხი, ინვენტარის მიხედვით, უძველესი ორმოსამარხების ჯგუფს ეკუთვნის.

პატარა ქოთანი აღმოჩენილია № 39 სამარხშიც (სამხრეთ უბანი, ინვ. 297); სამარხში აგრეთვე აღმოჩენილია ორყურა ქვაბქოთანა, შვერილიანი და ცხვრის თავის გამოხატულებიანი, ირმის რქის ძირი (დამუშავებული) და სხვა. ჩვენ მიერ აქ გამოყოფილი მესამე ჯგუფის ჭურჭლეულები (მისი ორი ქვეჯგუფით) დიდ-

სურ. 13

რაოდენობითაა ცნობილი თბილისის მიდამოებიდან, იგი მრავლადაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვნის კერამიკაში, გვხვდება თრიალეთშიც.

ამრიგად, III ჯგუფის ჭურჭელის გავრცელების საზღვრები შორს არ მიდის: იგი გავრცელებულია შიდა ქართლისა და სამხრეთ საქართველოს განსაზღვრულ ტერიტორიაზე. სამთავროს, თრიალეთის და აგრეთვე ზემოაღნიშნული თბილისური მასალების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ჭურჭელთა ამგვარი მოყვანილობა და შემკულობის მოტივები გვიანბრინჯაოს პერიოდისათვის არის დამახასიათებელი.

ჭურჭელთა შემდეგი ჯგუფი სასმისებია. მათგან შეიძლება ძირითადად ორი ქვეჯგუფი გამოვყოთ.

I ქვეჯგუფში მოვათავსებთ სასმისებს, მოზრდილებსა და ყურიანს, ლუდის სასმისებს (ე. წ. ტოლჩებს). ამ ტიპის სასმისებიდან ჩვენ უკვე განვიხილეთ გოფრირებული ორნამენტით შემკული (ინვ. $\frac{3-50}{26}$ და $\frac{3-50}{51}$). არის სხვა სასმისებიც. ისიც ყურიანია, მაგრამ ფართო ძირიდან პირისაკენ თანდათან გაგანიერებული. ასეთი ფორმის ლუდის სასმისი (ტოლჩა) ნაპოვნია ნავთლუღის № 7 სამარხში (ინვ. $\frac{3-50}{41}$); მას პირთან ორი ღარი აქვს შემოვლებული, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ყურზე ხელის (ცერის) დასაბჯენია დაძერწილი. იგი გარეგან აჭრელებულია, მომეტებულად ლეგი, ზოგი კი შავი ფერისაა. ამ ტიპის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმთა შორის ძრაველად გვხვდება, იგი გავრცელების არის მიხედვით დიდ ტერიტორიას მოიცავს და ქრონოლოგიურადაც სხვადასხვა პერიოდის სამარხებში გვხვდება. სამთავროს სამაროვანზე, დაახლოებით მსგავსი მოყვანილობის ტოლჩა აღმოჩენილია № 5 სამარხში 1939 წელს. წელში გამოყვანილი და ყურიანი ტოლჩა მაღალ, უყურო სასმისთან ერთად აღმოჩენილია ნავთლუღის № 3 სამარხში $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{20}\right)$ ტოლ-ჩა ხელნაძერწი უნდა იყოს. ძირი ფართო აქვს, თიხა ცუდი დამუშავებულია. დაახლოებით ამგვარი, ხელნაძერწი ტოლჩა, ოღონდ უფრო პატარა ზომის, ყურიანი, სრულიად სადა და უფრო ადრეული პერიოდისა აღმოჩენილია ღრმადღელის № 1 სამარხში. მეტად საინტერესოა ნავთლუღის № 7 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ქვემო ნაწილი $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-50}{44}\right)$, როგორც ჩანს, იგი ისეთივე მაღალი და კოტა სასმისი უნდა ყოფილიყო, როგორც სამთავროს სამაროვნის ჩოდილო უბნის № 170 სამარხშია აღმოჩენილი (სარ. ინვ. 3659); ეს უკანასკნელიც მოშაო თიხიდანაა ნაკეთები, მაღალია (19,7 სმ), ძირგანიერი. ძირიდან განსაზღვრულ სიმაღლემდე ტანი ოდნავ ვიწროვდება, ხოლო შემდეგ სასმისი პირისაკენ ისევ განიერდება. სამარხში, სასმისის გარდა, აღმოჩენილია თიხის ჭურჭლები, 4 ცალი და თავზეა საკინძი, ბრინჯაოს მახათი, ისპისა და სარდიონის მძივები; როგორც ეხედავთ სამარხში არქეოლობის მომასწავებელი ინვენტარია წარმოდგენილი (თავზეა საკინძები).

გვხვდება აგრეთვე უყურო პატარა სასმისები; ერთი ასეთი სასმისი აღმოჩენილია ნავთლუღის № 3 სამარხში. იგი მაღალია, წელში გამოყვანილი და სადა, პირის ქვემოთ ღარი გადასდეგს. ამგვარი თიხის ჭურჭელი, ოღონდ უფრო პირგადმოშლილი, დაცულია არქეოლოგიის განყოფილებაში $\left(\text{ინვ.}\ \frac{20-32}{6}\ \text{ან}\ 1131\right)$[1]. ის აღმოჩენილი ყოფილა კახეთში. ალაზნის მარჯვენა მხარეს. მასთან ერთად კატალოგში რამდენიმე თიხის ჭურჭელია გატარებული, მაგრამ სხვა არაკითარი ცნობა არ არის მოპოვების ვითარების შესახებ.

სამთავროს № 18 სამარხში ასეთივე სასმისია აღმოჩენილი (ინვ. 459). ეს სასმისი, როგორც საველე ჩანაწერებიდან ჩანს, ჩადგმული ყოფილა თიხის დიდ ჭურჭელში. ნავთლუღის № 8 სამარხის დიდ ჭურჭელში იყო აგრეთვე ჩადგმული სასმისი. ასეთი სურათი შეგვხვდა აგრეთვე ღრმადღელის № 3, 4 და 6 სამარხებში. სამთავროს № 18 სამარხში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აღმოჩნდა აგრეთვე ქვაბქოთანა, რომლის ტანის ზემო ნაწილი გოფრირებულია. ქოთანი, რომლის მხარი შემკულია კონცენტრული განიერი ღარებით, ბრინჯაოს მახათი არქაული ფორმისა (ინვ. 463) და კარგად დამუშავებული სარდიონის მძივები, და ბოლოს ნავთლუღიდან გვაქვს სასმისი (№ 8 სამარხში აღმოჩენილი

[1] კატალოგში მისთვის ჭილა უწოდებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვ. $\frac{3-50}{46}$), რომელიც თიხის ქვაბქოთანში იდგა. იგი ოვალური მოყვანილობისაა; ძირი იმდენად ვიწროა, რომ დადგმა შეუძლებელია. სასმისი ცუდად დამუშავებული თიხისაგან არის ნაკეთები.

ეფიქრობთ, დიდრონ ჭურჭლებში, რომლებშიაც პატარა სასმისებია ჩადგმული, ახსამდნენ სასმელ სითხეს (წყალს, ღვინოს), ამ სითხის ამოსაღებად კი ხმარობდნენ პატარა სასმისს.

უკანასკნელად განხილული სასმისის მსგავსი ჭურჭელი, ასევე ცუდად დამუშავებული თიხისაგან ნაკეთები, აღმოჩენილია ზემო აკვალაში 1923 წელს (ინვ. $\frac{4-23}{4}$). მასთან ერთად აღმოჩენილია გოფრირებული ორნამენტითა და ჰორიზონტული შეერილით შემკული ჭურჭლები. ოვალური ფორმის სასმისი აგრეთვე აღმოჩენილია ფლავისმანის სამაროვანზე[1]. ბრალად გვხვდება ამ ფორმის სასმისები სამთავროში. 1939 წელს სამთავროს სამხრეთ უბანზე გათხრილ № 75 სამარხში აღმოჩენილია ოვალური ფორმის სასმისი, დიდად მსგავსი ჩვენი სასმისისა. ამ სამარხში, გარდა სასმისისა, აღმოჩენილია: თხელფირფიტოვანი ისრის წვერები (ინვ. 715), ბრინჯაოს ფოთლისებრი, მოკლე და დაბალქედიანი სატევარი და ბრინჯაოს თავზეა საკინძი.

როგორც ზემოთ მოყვანილი პარალელები და მათთან დაკავშირებული კომპლექსები გვეუბნება, ჩვენ მიერ განხილული სასმისები გვიანბრინჯაოს პერიოდისაა.

ნავთლუღში აგრეთვე აღმოჩენილია რამდენიმე ცალი დოქის ტიპის ჭურჭელი. № 7 სამარხში აღმოჩენილი ხელადის (ინვ. $\frac{3-50}{42}$) ზუსტი შესატყვისი ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროს ჩრდილო უბანზე № 228 სამარხში (ინვ. 4855). სამარხში ხელადასთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს ტარშეურჩენელი სამკუთხა, ფოთლისებური მაღალქედიანი სატევარი, მასრაშეერული ხელშუბის პირი, თხელფირფიტოვანი სამკუთხა ბრინჯაოს ისრის წვერები და ლურსმნისებრი თავიანი ბრინჯაოს საკინძი.

ნავთლუღში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმთა შორის გამოირჩევა ერთი მეტად საინტერესო თიხის ჭურჭელი, რომლის აღდგენა, მისი ნაწილების დაკარგვის გამო, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. დარჩენილი ნაწილები საინტერესოა, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მათზე შერჩენილი ყურები გამოხატავს ცხოველს (ცხვარს), ხოლო ფეხები ადამიანის ფეხს. ჭურჭელი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძორგვზეა ნაკეთები, კარგად დამუშავებული ნაცრისფერი თიხისაგან. ამ ჭ. სრულყოფილი გამოწვის შედეგად მას ერთი ფერი არ აქვს. ჭურჭელი გარედან შავპრიალაა, აქა-იქ ლეგა ფერისა. სისქეში გარეპირი შავია, შიდა პირი ნაცრისფერი. ჭურჭელს ხმარების კვალი არ ემჩნევა, იგი უთუოდ რიტუალური დანიშ-

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფლავისმანის ფქვილესი ნეკროპოლი. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი V, თბილისი, 1930, გვ. 235, სურ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულებისა ჩანს. პირველ ყოვლისა საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ იმდროინდელ ადამიანთა ფეხსაცმელი (ფეხთა ჩაცმულობა). ეროი შეხედვით ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში თბილისის მიდამოებში მცხოვრებნი იცვამდნენ მაღალყელიან ფეხსაცმელს. ფეხსაცმელი თბილი ფეხსაცმლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფეხიანი თიხის ჭურჭელი რაკლად გვხვდება არქეოლოგიურ მასალებში. იგი არ ისაზღვრება ერთი რომელიმე გარკვეული დროის მონაკვეთით. თიხის ჭურჭლის ფეხები ხშირად სადაა, ზოგ შემთხვევაში ცხოველის ფეხის გადმოცემაცაა. ისევ შეეხება თიხის ჭურჭლის, ადამიანის ფეხის მსგავს ფეხებს, ისინი იშვიათი მოვლენაა არქეოლოგიურ მასალებში.

მეორე მხრივ ფეხის მოყვანილობის ვაზები ან თიხის ჭურჭლები არც ისე იშვიათად გვხვდება. ისინი დიდი რაოდენობით მოიპოვება ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ მასალებში. ყველაზე ახლო პარალელს ჩვენი ჭურჭლის ფეხისათვის ივანოვსკის მიერ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფეხთან ვხედავთ.

ივანოვსკის № 48 სამარხში (სამარხი ქვისა ყოფილა) თიხის პატარა (8 სმ სიმაღლის) ფეხი აღმოჩენილა[1].

ავტორის აზრით, იგი ჭურჭლის ყური უნდა ყოფილიყო, რაც ეფიქრობთ შეცდომაა. ფეხს აშკარად ეტყობა, რომ ზემო ნაწილში, მუხლთან მოტეხილია, ხოლო ფეხის ტერფის ალაგას მთელია. ამავე სამარხში ყოფილა ჭურჭლის ყური უნაგირის მოყვანილობისა, თუმცა იგი უფრო ცხოველის სქემატური გადმოცემა უნდა იყოს. ამ სამარხის ინვენტარი ჩვენთვის იმიტომაა საინტერესო, რომ აქ ადამიანის ფეხის მსგავსი ფეხია ჭურჭლისა, ხოლო ყური ცხოველის სქემატური გამოხატულებაა. აქვე ყოფილა თიხის ჭურჭლის ყური, პაწია ფოსოებით შემკული. ბრინჯაოს ნიეთთაგან აღსანიშნაცია სამაჯურები (2 ცალი), დიდ-პატარა ღილები (40 ცალი), ისრის წვერები უფრთო[2] და ყუწწიანი. ბრინჯაოს სატეკარი დასარდიონის მძივები. საქ. სახ. მუზეუმმა ეხლახან შეიძინა თიხის ჭურჭელი, რომელიც აღმოჩენილი ყოფილა ჯერ კიდევ 1900-იან წლებში, ჯულფის მიდამოებში, რკინიგზის მშენებლების დროს ინჟინერ ვასილევის მიერ. ჭურჭელი ბადიის (?) ფორმისაა, მოწითალო მონაცრისფრო (ინვ. 22—51, 55), პირისაკენ შევიწროებული. ქვემო ნაწილი მომრგვალებულია, ტანის ზემო და ქვემო ნაწილების შეერთების ადგილი წიბოსებურია, ჭურჭელი სამფეხზეა შემდგარი, ორი მათგანი მოტეხილია; ჭურჭლის შერჩენილი ფეხი ადამიანის ფეხის მოყვანილობისაა. ფეხი სქემატურია, ჭვინტაწეული, არაპროპორციული. წვივის ზემო და ქვემო ნაწილი თითქმის ერთი სიმსხოსია. მუხლის თავთან ფეხი ოდნავ მოხრილია და ბარძაყისაკენ მსხვილდება.

ძნელი ხდება ამ ჭურჭლის თარიღის დადგენა, რადგან ის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ჯულფის მიდამოებში ყოფილა აღმოჩენილი რკინიგზის ხაზის გაყვანის დროს, ერთიმეორეშია სრულიად არეული. მასში არის შუა ბრინჯაოს პერიოდისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკაც,

[1] ა. ივანოვსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 120, ტაბ. XIII, სურ. 9.
[2] ა. ივანოვსკი. დასახ. ნაშრ., ტაბ. VIII, სურ. 35—36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანბრინჯაოს პერიოდისათვის დამახასიათებელი შავი თიხის ჭურჭლები, ბრინჯაოს სხვადასხვა იარაღები და სამკაულები. ამასთანავე, ეს კომპლექსი შეიცავს ანტიკურს და უფრო გვიან პერიოდის არქეოლოგიურ მასალებს. ჩვენი აზრით, ზეგოთ აღწერილი ფეხიანი თიხის ჭურჭელი ანტიკური პერიოდისაა და, მაშასადამე, უფრო გვიან ხანისა, ვიდრე ნავთლუღის არქეოლოგიური მასალები.

ერთი შეხედვით თითქოს არაფერია საერთო ფეხის ფორმის თიხის ჭურჭლებსა და თვით თიხის ჭურჭლის ფეხებს შორის (დამამანის ფეხის მსგავსი რომ არის). ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ აზრისაა[1]. ერთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თვით ფიგურულ ჭურჭელთან, რომელიც ფეხის ფორმას ატარებს და განსაკუთრებული დანიშნულებისათვისაა გაკეთებული. ჩვენი ჭურჭელი ფიგურული არ არის, რადგან მთლიანად ცხოველის ან რაიმე საგნის სახეს არ გადმოგვცემს, არამედ მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილები გადმოგვცემს გამოსახულებას (ფეხი და ყური). ჩვენ გვგონია, რომ ერთიცა და მეორეც რიტუალური დანიშნულებისა იყო და ერთი და იმავე მიზნით კეთდებოდა, ისე როგორც ერთი და იმავე მიზნით იყო გაკეთებული ცხვრის ქანდაკება და ცხვრის ფორმის თიხის ჭურჭლის ყური. აკად. ნ. მარს გამოქვეყნებული აქვს თიხისაგან გაკეთებული ჩექმა[2], რომელიც ჭურჭელს წარმოადგენს და აღმოჩენილი ყოფილა ყიზილვანქში ძველრის მიერ. აკად. მარი ეთანხმება იესენს[3], რომელსაც გამოუთქვამს მოსაზრება, რომ იგი საკულტო დანიშნულებისაა. მას აღნიშნული აქვს ორი მომენტი:

1. ფეხის გამოსახულებას უკავშირებს სიკვდილის კულტს, უფრო სწორად — ის, ერთი მხრივ, იღლება ფეხის კავშირია სიკვდილთან, მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ პირველყოფილი ადამიანის აზროვნებაში სიკვდილი წარმოდგენილია, როგორც წასვლა ანდა სხვა სამყაროში მოგზაურობა[4]; ეს ჭურჭელიც ამ ფუნქციის გამომხატველად და მის დამხმარე ძალად მიიჩნია.

ფეხსაცმლის მსგავსი თიხის ვაზა ყოფილა აგრეთვე აღმოჩენილი ჯულფის მიდამოებში 1900-იან წლებში რკინიგზის ხაზის მშენებლობის დროს. იგი მოწითალო-მონაცრისფროა. ნისი ზემო ნაწილი (პირისაკენ) წერნაქწასმულია. ზემო ნაწილზე ერთიმეორის გადამკვეთი, ვიწრო, დამრეცი, მოშავო ზოლების გავლებით (ლაქები თითქმის გადასულია) წარმოიქმნება პატარ-პატარა რომბები. ქვინტიდან ფეხსაცმლის დასასრულამდე გაყოლებული ბრტყელი განიერი შავი ზოლი, ასეთივე უფრო ვიწრო 2 ზოლი შემოვლებულია ფეხსაცმლის ზემო ნაწილზე. ვაზა ხელსაძერწი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ტლანქადაა ნაკეთები; იგი ოსტატის მიერ რეალისტურად არის შესრულებული. ქვინტი წამოწეულია. ფეხსაცმლის გაგრძელება მრგვალია, მის წინა ნაწილზე მიძერწილია პატარა ზვერილი, ძასზე ზონაგადასაყოელი მრგვალი ნახვრეტია, მის მოპირდაპირე მხარეზე კი მილია ვერტიკალურად აღმართული (ინვ. 22—51 : 49).

---

[1] პროფ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა ამ სტრიქონების ავტორთან მოწერილ ბარათში გამოთქვამს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას.

[2] Н. Я. М а р р. Избранные работы. Том IV, გვ. 71.

[3] იესენს ამ ჩექმის შესახებ გაჯეთებია მოხსენება ჯერ კიდევ მისი ასპირანტურაში სწავლის დროს. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით ამ შრომას.

[4] ნ. მ ა რ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. გ. ნიორაძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა გვიანფეოდალური პერიოდის რკინის ფეხსაცმლის საკითხის შესწავლას[1]. ავტორი აღნიშნავს, რომ საფლავში ჩატანებული რკინის ფეხსაცმელი მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჭირისუფალი, როდესაც მიცვალებულს რკინის ფეხსაცმელს ატანდა, ფიქრობდა, რომ იგი საჭირო იყო მიცვალებულისათვის შორეგზის გასავლელად[2]. მაგრამ ამ ერთი ახსნით არ კმაყოფილებდა. იგი ეყრდნობა, რა ეთნოგრაფიულ მონაცემებს, აღნიშნავს, რომ რკინის ქალამნით ადამიანები საკულტო ადგილს მიდიოდნენ და ხანდახან მას იქვე ტოვებდნენ. ეს მომენტი დაკავშირებული ყოფილა ოჯახის ავადმყოფ წევრის მორჩენასთან[3]. ბოლოს ავტორი ლაპარაკობს იმაზედ, რომ არქეოლოგიაში კარგადაა ცნობილი თიხის ჩექმები და ფეხის ფორმის თიხის ჭურჭელი. იგი აღნიშნავს, რომ ისინი არ უნდა იყოს იმავე მიზნით გაკეთებული და გამოყენებული, რა მიზნითაც რკინის ფეხსაცმელი კეთდებოდა და იხმარებოდა[4].

მეზეუმში დაცულია მეტად საინტერესო ფეხის ფორმის თიხის ჭურჭელი მოპოვებული ლალიანის მიერ $\left(\text{ინვ. } \frac{20-05}{2}\right)$.

ჩვენ ჭურჭლის ანალოგიების ძიების დროს პროფ. მ. მაქსიმოვას შრომაში[5] წავაწყდით თიხის ფიგურულ ჭურჭლებს, რომლებიც ადამიანის ფეხის ან ფეხსაცმლის ფორმისაა. ასეთი რამდენიმეა (იხ. ტაბ. № 18). მ. მაქსიმოვა ამ ჭურჭლების დანიშნულების გარკვევისას მიუთითებს, რომ ფეხებისა და ფეხსაცმლის გამოსახულებას ისეთივე აზრი ჰქონდა, როგორიც დელფინებისა და თევზების გამოსახულებას. სამარხებში მათ ატანდნენ იმიტომ, რომ მიცვალებულთათვის შეემსებუქებიათ მძიმე გზა ნეტართა ქვეყნისაკენ. ამრიგად, აქ ეხებიათ წარმოდგენას სამარეში მიცვალებულის შემდეგი ცხოვრების შესახებ და რწმენას სულის ნეტართა ქვეყანაში გადასახლების შესახებ.

აღნიშნულ ვაზებს პროფ. მაქსიმოვა ათარიღებს ძვ. წ. VII ს-ით, ხოლო ალად. მარი ყიზილიანქსში აღმოჩენილი თიხის ჩექმას—ამავე წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისით. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურული ფეხსაცმლის ფორმის თიხის ჭურჭლები, სახელდობრ პროფ. მაქსიმოვას მიერ შესწავლილი ფეხსაცმლის ფორმის ანტიკური ვაზები ასაკით უფრო ახალგაზრდაა ჩვენს ჭურჭელთან შედარებით, ისინი იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვსურდა მათში გვეპოვა საერთო რამ, მოტივი, რაც ამოძრავებდა ადამიანს, როდესაც აკეთებდა ფეხსაცმლის ფორმის ჭურჭლებს ანდა თიხის ჭურჭლებს ფეხის მსგავს საყრდნობს აკეთებდა. ვგონებ არ შევცდებით თუ ვიტყოდით, რომ ორივე შემთხვევაში გამკეთებელი მათ ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებდა.

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. საკულტო დანიშნულების რკინის ფეხსაცმელი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B. თბილისი, 1950.

[2] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 6.

[4] ი ქ ვ ე.

[5] М. И. М а к с и м о в а. Античныя фигурныя вазы. Т. I, Москва, 1916.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უფრო ადრეულ ეტაპზე, ისე მის მომდევნო პერიოდში, ერთიც და მეორეც მიცალილებულს „ეხმარებოდა“ ნეტარ ქეეყნისაკენ მიმავალი გზის ადგილად გავლაში[1]. ამრიგად ყველა მკვლევარი, რომელმაც კი განიხილა ფუძისაცმლის მოყვანილობის თიხის ჭურჭლების საკითხი, ამ უკანასკნელს რიტუალურ-საკულტო დანიშნულების ჭურჭლებად თვლიან და განიხილავენ მათ, როგორც ადამიანის საკვლილის შემდეგ ნეტარ ქეეყნისაკენ „მოგზაურობის“ გასაადვილებელ საშუალებას. ალბათ, ასეთივე აზრით ჩაატანა ჭირისუფალმა მიცალილებულს ის ჭურჭელი, რომელსაც ადამიანის ფეხის მსგავსი სადგამი ჰქონდა გაკეთებული.

ამავე ჭურჭლის ყურები წარმოადგენს ცხვრის სქემატურ გამოხატულებას. თიხის ჭურჭლები, რომელთა ყურები ცხოველებს გამოხატავენ, მრავლად გვხვდება ა/კავკასიისა და სხვა ადგილებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში. ამავე მასალებში ხშირად ვხვდებით ბრინჯაოს ნივთებს, რომელთა დაბოლოება ცხოველს გამოხატავს, ან კიდეც თვითონ ეს ნივთები წარმოადგენს ცხოველთა ქანდაკებებს. ცხვრის გამოხატულება ჩვენს ჭურჭლებზე სქემატური, ცხოველის ფეხები სრულებით არ არის გამოყვანილი; მომრგვალო თავი და მოკლე სახე ძნელი გასარჩევი იქნებოდა, რომ თავზე არ ყოფილიყო მოხვეული რქები. ეს უკანასკნელი იმდენად კოხტადაა გამოყვანილი თავზე, რომ ადვილად გამოიცნობა ცხვრის სახე. ტანის მოხრილობა კარგად შეესატყვისება ყურის პატარა მრგვალ ხვრელს. კუდი ან დუმა არა ჩანს. გამოხატულება თავდახრილია; მკრთალად გამოყვანილი წინა ფეხები ჭურჭლის ზურგზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ცხოველის პირი მოქცეულია ჭურჭლის პირისაკენ. გამოსახულება მარტივი და დამჯერებელი ხერხითაა მოცემული — იგი რეალისტურია. ცხვარი, როგორც სათაყვანო, საკულტო საგანი დაკავშირებულია რელიგიურ წარმოდგენებთან. იგი გვხვდება არა მარტო თიხის ჭურჭლის ყურებად, არამედ თიხისაგან ან ლითონისაგან გაკეთებული დამოუკიდებელი ქანდაკების სახით. ისინი, ჩვენი აზრით, იმავე დანიშნულებით კეთდებოდა, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში (ეხვდელობაში გვაქვს ცხვრის გამომხატველი ყურები).

სანამ ამ გამოხატულების განხილვას შეუუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ნავთლუღშივე აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი მოვიგონოთ, რომლის თავი ცხვრის თავის ულაზათო და მეტად სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს. თუმცა მხოლოდ დაგრეხილი რქების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს ის ცხვრის თავის გამოსახულებად, მაინც საყურადღებოა, რამდენადაც ნავთლუღის არქეოლოგიურ მონაპოვარში ორი შემთხვევა გვაქვს ცხვრის მხატვრული გადმოცემისა: ერთი თიხაში, მეორე ბრინჯაოში. თიხის ჭურჭლის ყურზე რელიეფურად დანაძერწი ცხვრის თავის გამოხატულების კიდევ ერთი მაგალითი გვაქვს თბილისის მასალებში $\left(\text{ინვ.}\ \frac{20-32}{144}\right)$. იგი გრძელპირაა და მეტად სქემატური. ცხოველი აქაც რქების მიხედვით ირკვევა; ეს ჭურჭელი ნაძალადევშია ნაპოვნი.

თბილისის მიდამოებში დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიურ მასალებში ცხვრის გამოხატულება ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება. იქნებ ეს მომენ-

[1] მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა. დასახ. ნაშრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი დაკავშირებული არის იქ მობინადრე ხალხის სამეურნეო ცხოვრებასთან? ცხვრის ან ცხვრის თავის გამოსახულებიანი თითო-ოროლა ჭურჭელი სამთავრო-დანაც მოგვეპოვება. № 39 სამარხში აღმოჩენილ ორყურა ქვაბქოთანს (ინვ. 396) მხარზე ცხვრის თავის მეტად სტილიზირებული გამოსახულებაა.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში დაცული ბრინჯაოსაგან ნაკეთები ცხვრის ქანდაკებები ან მხოლოდ ცხვრის თავის გამოსახულებანი. ასეთები მრავალია ყაზბეგიდან (ყაზბეგის განძი). ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა ჯოხზე ჩამოსაცმელები, ბრინჯაოსი (ინვ. 183, 184, 185).

აღვწერთ ერთ მათგანს (184). რადგანაც ყველანი თითქმის ერთგვარი ტექნიკითაა ნაკეთები; მას მილისებრი ტანი აქვს. მილის ზემო ნაწილის ორივე მხარეზე მთთავსებულია ცხვრის თავის თითო ქანდაკება, წაგრძელებული კისრით, თავშექცევით. მათი დაგრეხილი რქები წინ არის გაშვერილი. ცხვრის თავი რეალისტურადაა გადმოცემული. საინტერესოა ცხვრის რქებიც, რომლებზედაც ზანზალაკებია ჩამოკიდებული. საყურადღებოა მანგლისში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკიდი თუ ჯოხზე წამოსაცმელი (ინვ. 2245): მას მოკლე მილისებური ტანი აქვს, მილის ერთ ბოლოზე მოზრდილი ყუნწია, მილის მოპირდაპირე გვერდებზე თავშექცევით ცხვრის თავის გამოსახულებებია. დაგრეხილი რქები წინაა გაშვერილი და ოდნავ ზევით აზნექილი; თვალები დაკაკლული, სახე მოკლე აქვს. თუ რქები არა, სახის მეტისმეტი სქემატურობის გამო, ძნელი გასარკვევი იქნებოდა, რა ცხოველთან გვაქვს საქმე.

გორის რაიონის, სოფ. როკში აღმოჩენილი ყოფილა ცხვრის თავის გამოსახულება ბრინჯაოსი, მეტად სქემატური (ინვ. $\frac{83-14}{3}$). იგი ბაბარზეა შესყიდული და მისი აღმოჩენის ვითარება უცნობია. სახე გრძელი აქვს, ზემოთკენ წაწეული დაგრეხილი რქებით.

საინტერესოა ბრინჯაოს ცხვრის ქანდაკება აღმოჩენილი სოფ. ყორნისში (სამხრეთ-ოსეთი, ინვ. $\frac{57-14}{2}$). იგი მასიურია. ქანდაკება სქემატურია, კუდი არ გაჩნია. ფეხებიც მკვეთრად არაა გამოკვეთილი, იგი თანაზომიერად წვრილდება ზევიდან ქვემოთ. თავაწეულია; მსხვილი, გრძელი ორჯერ დაგრეხილი რქები წინაა წაწეული და ოდნავ დაბლა ეშვება. ცხვრის სახე ლამაზადაა გამოყვანილი. ზურგზე ყუნწი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურა სქემატურია, ცხვარი რეალისტურად არის გადმოცემული. საქართველოს სახ. მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულია აგრეთვე ჩრდილო-კავკასიაში აღმოჩენილი ცხვრის სქემატური ქანდაკებანი. ასეთებია სოფ. იოურთადან (ინვ. $\frac{11-37}{17}$) და დიგორიდან (ინვ. $\frac{30-02}{209}$). დიგორიდანვეა აგრეთვე ცხვრის თავის სქემატური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახულება, დაგრეხილი რქებიანი $\left(\text{ინვ.}\ \frac{3-02}{204}\right)$. ყობიდან ცნობილია ცხვრის თავის თვალებგადმოკარკლული სქემატური გამოსახულება, რომელსაც უკან გადაწეული რქები მოტეხილი აქვს, დიდი და განიერი ყურწი თავს სცილდება ზეკით $\left(\text{ინვ.}\ \frac{1-02}{137}\right)$; მეტად საინტერესოა მუზეუმში დაცული ბრინჯაოს ილარი თუ საკინძი, რომლის თავს ამკობს ორი თავშექცეული სკულპტურული გამოსახულება, ერთი ცხვრისა, მეორე კი თხისა $\left(\text{ინვ.}\ \frac{26-26}{3}\right)$, აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ცხვრის გამოხატულებიანი ბრინჯაოს ნივთები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი რაჭაში (ბრილი, შოშეთი)[1]. არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი არა ერთგზის მიუთითებს ცულის თუ სხვა ნივთების ყუასა თუ ბოლოებზე გამოყვანილ ვერძის თავის გამოხატულებებზე და მასთან ვერძისა და ცხვრის დამოუკიდებელ სკულპტურულ გამოსახულებებზედაც.

ბრილის № 12 სამარხის ერთ-ერთი ცულის ყუა შემკული ყოფილა ცხვრის თავის 5 ქანდაკებით, იმავე სამარხის მეორე ცულის ყუა კი ორი ასეთივე ქანდაკებით.

№ 31-ა სამარხში ყუამილიანი ცული შემკულია ცხვრის თავის ორი ქანდაკებით, რომლებიც ერთმანეთს უყურებენ. №№ 54 და 62 სამარხებში ვერძის თავის სხვადასხვა ზომის სკულპტურული გამოსახულებანი ყოფილა, სქემატურად ნაკეთები. № 64 სამარხში ჯოხზე ჩამოსაცმელი ცილინდრული მილის ორივე ბოლოზე ცხვრის თავის თითო ქანდაკება ყოფილა, რომლებიც ერთმანეთს უყურებენ. ასევე № 65 სამარხში აღმოჩენილია ჯოხზე ჩამოსაცმელი ცხვრის თავები. შოშეთის № 1 სამარხში ვერძის ქანდაკება და ცხვრის თუ თხის გამოხატულება ყოფილა აღმოჩენილი. საინტერესოა აგრეთვე თიხის ერთი ჭურჭელი ბრილიდან, რომლის ყურზე დაძერწილია ცხვრის თავის გამოხატულება და კიდევ სხვა მრავალი.

ცხვრის გამოხატულებიანი ყურების მქონე თიხის ჭურჭელი გვხვდება სხვა ქვეყნის თუ მხარის არქეოლოგიურ მასალებშიაც. კ. სკალონი სარმატული პერიოდის კერამიკაზე ცხოველთა გამოხატულებების საკითხის განხილვისას გამოყოფს ჭურჭლების ერთ ჯგუფს, რომლის ყურები ცხვარს გამოხატავს[2].

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ ჭურჭლებს მთელი ათასწლეული თაშავს სკალონის მიერ განხილულ ჭურჭელთაგან (I საუკუნე), მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მსგავსება მათ შორის მაინც საგრძნობია.

ჩვენ მიერ აქ დასახელებული იყო ცხვრის გამოსახულების მატარებელი დიდძალი მასალა, რომელიც მოპოვებულია საქართველოსა და მისი მოსაზღვრე

---

[1] გ. გობეჯიშვილი. ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, ნაწილი პირველი. თბილისი, 1942.

[2] К. М. Скалон. Изображение животных на керамике сарматского периода. Гос. Эрмитаж. Труды отдела истории первобытной культуры. Том I, Ленинград, 1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების ტერიტორიაზე. აქედან ზოგი ისეთია, რომელიც ჩვენს მასალებს ასაკით წინ უსწრებს, ზოგიც მათზე უფრო ახალგაზრდაა. ამით ჩვენ გვსურდა აშკარა გაგვეხადა, თუ რა დიდი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ცხვრის გამოსახულებას ადგილობრივ, როგორი დიდი მსგავსება არსებობს ამ, საუკუნეებით დაშორებულ, გამოსახულებათა შორის. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, მათი ერთისა და იმავე დანიშნულების მანიშნებელი უნდა იყოს. ისმის კითხვა: რა მიზნით კეთდებოდა სახელდობრ ამ ცხოველის გამოსახულება და რატომ გვხვდება იგი განსაზღვრულ ადგილებში დიდი რაოდენობით, ზოგიერთ ადგილას კი სრულებით არა?

ცნობილია, რომ საქართველოს მთიან ადგილებში მცხოვრები ხალხისათვის ცხვარი უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის ფაქტორი იყო და ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ადამიანს იგი გაეხადა სათაყვანებელ ცხოველად.

ს. მაკალათიას გამოქვეყნებული აქვს საინტერესო მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ცხვრის კულტი უკანასკნელ პერიოდამდე იყო შემორჩენილი მოხევეებში[1].

ყაზბეგის ჩრდილოეთით სოფ. ცდოში არის ცხვრის კერპი, რომელსაც კვირიეის ყოჩს ეძახიან. კვირიეის ყოჩის ხატობა ეწყობა აღდგომის შემდეგ მესამე კვირას. ხატობის დღეს კლავენ შესაწირავ ცხვარს და თხოვენ კერპს ცხვრისა და მამაკაცების გამრავლებას, ხოლო მეცხვარე მწყემსები გაზაფხულის პირველ ბატკანს კლავენ და ლოცულობენ ძხეცებისაგან უვნებლობას. ამ რიტუალში ცხვრის კულტი დაკავშირებულია ღმერთ კვირიასთან, რომელიც ნაყოფიერების ღმერთად ითვლებოდა საქართველოში.

მოვიყვანთ კიდევ მეორე მაგალითს: მოხევეებს აქვთ დღესასწაული „სპარსანგელოზობა"[2]. ამ დღესასწაულში ცხვრის კერპი დაკავშირებულია წვერის ანგელოზის კულტთან, რომელიც ალპური საძოვრების მფარველს წარმოადგენდა. ამრიგად, აქ გვაქვს ორი საღმერთებელი ძალა, რომელიც ხალხის წარმოდგენით, მისი ეკონომიური კეთილდღეობის შემოქმედი იყო: ერთი მაიგანი — ცხვარი კვირია ხელს უწყობდა ცხვრის მომრავლებას, ხოლო მეორე კი ცხვარს აძლევდა საკვებს და მფარველობდა მას. ამგვარად არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები ავსებენ ერთმეორეს და აშკარად მიგვითითებენ, რომ მოხევეებში ცხვრის კულტი უძველესი დროიდან მომდინარეობს, რაც თავის მხრივ სამეურნეო ცხოვრების სპეციფიკური პირობებიდან მომდინარეობდა. თბილისის არქეოლოგიურ მასალებში არსებული ცხვრის გამოხატულებები ზემოაღნიშნული გარემოების მომასწავებელი უნდა იყოს.

მეორე მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იქნებოდა ცალმხრივი გაშუქება, მისთვის ნახევრად შინაარსის გამოცლა, თუკი ხხოლოდ საკულტო დანიშნულებით აეხსნიდით იმ შესანიშნავ სახეებს თუ გამოსახულებებს, ანდა თვით ფიგურულ ჭურჭლებს, რომლებსაც ჩვენი უძველესი წინაპრები აკეთებდნენ. იმ პერი-

---

[1] С. Макалатия. Культовие места и связанные с ними ритуальные обряды у Грузин-Мохевцев. Академия Наук СССР, XLV, академику Н. Я. Марру. Москва—Ленинград, 1935 г., გვ. 517—522.

[2] ს. მაკალათია. დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდში მცხოვრები ადამიანები ქმნიდნენ რა მაღალი გემოვნების საგნებს, აკეთებდნენ რა იარაღთა და სამკაულთა შედეგრებს, შესანიშნავ თიხის ჭურჭლებს მრავალი გამოხატულებებით, ამით ქმნიდნენ გარკვეულ ტრადიციებს, რაც გამომდინარეობდა მათი ესთეტიკური გრძნობებიდან.

რაც შეეხება განხილული ჭურჭლის წარმოშობის საკითხს, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ჭურჭელი ადგილობრივი ხელოსნის ნაკეთებია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება; პირველი: ჩვენ არსად არ მოგვეპოვება ამ ჭურჭლის ზუსტი პარალელი; მეორე: თიხა და დამუშავების ტექნიკა თბილისია ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკის შესატყვისია და მესამე — ცხოველთა გამოსახულებიანი ჭურჭელთა ტრადიცია თბილისის მიდამოებში მცხოვრებთ ადრე საფეხურიდან (თითქმის ე.ვ. წ. 11 ათასწლეულის შუახანებიდან) მოსდევთ.

დათარიღებისათვის

ნავთლუღის მცირე, მაგრამ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის ზუსტი თარიღის გარკვევა ჩვენთვის მრავალ საინტერესო საკითხს მოჰფენდა ნათელს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ № 1 სამარხის ინვენტარი შერეული კომპლექსია და შეიცავს ისეთ მასალას, რომელიც გვიანბრინჯაოს ან უფრო ადრეული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი (თავხვია საკინძი, მასრაგასხსნილი შუბისპირი, ნაჭედი, თხელფირფიტოვანი სპილენძისა).

მეორე მხრივ, ბრინჯაოს მასალასთან ერთად ნავთლუღში აღმოჩენილი მრავალფეროვანი კერამიკა საშუალებას გვაძლევს დავსვათ საკითხი თბილისის ტერიტორიის იმდროინდელი მოსახლეობის და მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებთა შორის არსებული ურთიერთობის შესახებ.

კავკასიის არქეოლოგიური, კერძოდ, ბრინჯაოსა და რკინის კულტურის დათარიღებისა და წარმოშობის საკითხებზე არა ერთ უცხოელსა და ჩვენს სპეციალისტ არქეოლოგს გამოუთქვამს მოსაზრება. ამ საგანზე გამოთქმულ შეხედულებათა შორის ხშირად დიდი სხვადასხვაობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მოწინავე არქეოლოგიურმა მეცნიერებამ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში თავისებურად დააყენა და გადაჭრა კავკასიის სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების დათარიღების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძხელებული და გაკრიტიკებულია ზოგიერთი უცხოელი ბურჟუაზიული მეცნიერის მოსაზრება კავკასიის მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაცემების დათარიღების და წარმოშობის საკითხის შესახებ, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებები, რადგან ისინი პირდაპირ, თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ჩვენს მასალებთან.

ეკ-დე-მორგანი წინა აზიის და მის მოსაზღვრე რაიონების ბრინჯაოს კულტურის თარიღს დიფერენცირებულად იძლევა: როგორც ჩანსო,—აღნიშნავს იგი, — ელამსა, ქალდეასა და ეგვიპტეში ბრინჯაოს ინდუსტრია წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე ათასწლეულის დასასრულს, გალილეაში კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინ, ხოლო ჩრდილო ირანსა და კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიაში ათასწლეულით ადრე[1]. მაშასადამე ჩრდილო ირანისა და კავკასიის ბრინჯაოს კულტურის თარიღად იგი ძვ. წ. 3000 წ. სდებს.

ფრ. ჰანჩარი მრავალგზის იხილავს კავკასიის ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ ცალკე ნივთების ასაკს. მან შეისწავლა კავკასიის საკინძები და აღნიშნა, რომ აქ აღმოჩენილ საკინძთა შორის თავხვია საკინძები შეიძლება ჩათვალოს ამ ტიპის სამკაულის ადრეულ, მარტივ ფორმად, თუმცა, როგორც ვიცით, იგი თავხვია საკინძებს საერთოდ არ თვლის ადგილობრივ წარმოშობილად[2]. სხვა შრომაში იგი იხილავს კავკასიის კულტურის თარიღს და მრავალგზის მიუთითებს, რომ განჯა-ყარაბაღული კულტურის ყველაზე ადრეული თარიღად შეიძლება მიღებულ იყოს ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებიო[3]. იგი განჯა-ყარაბაღული კულტურისათვის დამახასიათებელ მახვილებს თვლის აღმოსავლურ-ქართული მახვილების პროტოტიპად და, იხილავს რა ორივე მხარის არქეოლოგიურ მოხაცებებს, თვლის, რომ განჯა-ყარაბაღული და აღმოსავლურ-ქართული ეობმპლექსების შედარება ნებას გვაძლევს ეს უკანასკნელი პირველის თანადროულად თუ არა, ოღა უფრო ახალგაზრდად ჩავთვალოთ, ხოლო განჯა-ყარაბაღული კულტურის საერთო თარიღად ძვ. წ. XIV—XIII სს. დავდოთ[4]. რუსმა არქეოლოგმა გოროდცოვმა პროფ. გ. ნიორაძისადმი მოწერილ პირად წერილში გამოთქვა მოსაზრება, სამთავროს უძველესი ორმოსამარხების ძვ. წ. XV საუკუნით დათარიღების შესახებ[5].

უვაროვი[6] სამთავროს კულტურის ზემო საზღვრად ძვ. წ. VIII საუკუნეს იღებს, ისე როგორც ფილიმონოვი[7]; ორივენი სამთავროსა და ყობანის ნივთებში ასურულ გავლენას ხედავენ.

ბ. კუფტინი ნავთლულის არქეოლოგიური მასალების თანადროულ ძეგლებს რამდენიმე ნაშრომში იხილავს. ერთ შემთხვევაში ბეშთაშენის სამარხების ინვენტარის თარიღის დადგენის დროს, მას იგი სამთავროს სამაროენის ქვედა სართულის სამარხების ინვენტარს ამსგავსებს, მაგრამ ამ უკანასკნელზე „ხნიერად" თვლის. იგი აღნიშნავს, რომ ბეშთაშენის სამაროენის ინვენტარი რკინას სრულებით არ შეიცავს, არ შეიცავს აგრეთვე ბრინჯაოს მახვილებს და სარდონის ძეძვებს. ამ სამაროენის აბსოლუტური თარიღად იგი ძვ. წ. XII—XI სს. თვლის[8]. ის, რომ თითქოს ბეშთაშენის სამარხები სამთავროს უძველეს ორმოსამარხებზე „ხნიერია", მეცდარ მოსაზრებად მიგვაჩნია. ეს შეცდომა იმის შედეგია, რომ, ალბათ, ავტორი არ იცნობდა სამთავროს უძველესი ორმოსამარხების ინვენტარს, თუმცა ბაიერნისეული მასალებიც შეიცავს სამთავროს უძველე-

---

[1] Жак-де-Морген. Доисторическое человечество. Общий очерк доисторического периода. Перевод с французского В. Хуладова, Москва, 1926, გვ. 128.

[2] F. Hančar. Die Nadelformen des prähistorischen kaukasus gebietes ESA. VII, Helsinki, 1932.

[3] F. Hančar. Kaukasus Luristan ESA. IX, Helsinki, 1934.

[4] ფ. ჰანჩარი. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

[5] G. Nioradse. Der Verwahrfund von Kvemosasirethi. ESA VII, Helsinki, 1932, გვ. 97.

[6] Уваров. Труди арх. С'езда в Тифлисе. Приложение, 1867, გვ. 1.

[7] Филимонов. О доисторической культуре Осетий. Изв. общест. антр. и этногр., т. XXX, Москва, прилож., გვ. 33.

[8] ბ. კუფტინი. დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეს ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ მასალებს (ტარშეურჩენელი ფოთლისებრი სატევრები, თავხვია საკინძები, მასრაგახსნილი შუბისპირი და სხვა). ასეთი მასალები თვით ბორის კუფტინსაც აქვს გამოქვეყნებული[1].

ბ. კუფტინი რომ დაკვირვებოდა, ერთი მხრით, ბაიერნის მიერ გათხრილ ე. წ. მეოთხრის სამარხის (№ 591) ინვენტარს, რომელიც მრავალრიცხოვან ბრინჯაოს ნივთებთან ერთად აგრეთვე ტარნის შუბისპირს შეიცავს, ხოლო, მეორე მხრით, № 583 სამარხში აღმოჩენილ წმინდა ბრინჯაოს შემცველ, არქაული იერის მქონე ნივთებს[2], მაშინ მისთვის აშკარა გახდებოდა, რომ სამთავროს ორმოსამარხები არ არის ერთი ფენისეული და რომ სამთავროს უძველესი ორმოსამარხები უფრო არქაული ელემენტების შემცველი, ვიდრე ბეშთაშენისა. კუფტინი არა ერთგზის იხილავს კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელ ფორმებს და, არჩევს რა აღმოსავლურ და დასავლურ-ქართულ კულტურათა ურთიერთობის საკითხს, ცდილობს განსაზღვროს ამ ორი კულტურის წამყვანი იარაღების ხნოვანება. ბ. კუფტინის ცალკეულ შრომებში ამ კულტურების დათარიღების საკითხში წინააღმდეგობაცაა; ერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ბეშთაშენის არქეოლოგიური ძეგლის თარიღს გვიანბრინჯაოს პერიოდით ძვ. წ. XII—XI სს. განსაზღვრავს, ხოლო შეიძლება ითქვას, მის თანადროულ კოლხურ-ყობანური კულტურის თარიღს ვანის სამეფოს ეპოქას უკავშირებს და ამ კულტურას ვანის ეპოქის სინქრონულად მიიჩნევს[3]. იგი ამის დამადასტურებლად მალაქლუში აღმოჩენილ ბრინჯაოს ჯურჭლის (სატელას) ყურს მიიჩნევს. ბ. კუფტინი პირდაპირ მიუთითებს, რომ ერთად ერთი ნივთია—ბრინჯაოს სატელას ყური, რომელიც ტიპიერია ყობანის კომპლექსისა და დასავლეთ საქართველოსათვის, ურარტული კოლუმბარიუმის კომპლექსს კავკასიის კულტურასთან აერთიანებს.

ეს მონაპოვარი ახალ უტყუარ მასალად ჩაითვლება „ყობანის“ და კოლხეთის ბრინჯაოს თარიღის დასაზუსტებლად[4].

რა თქმა უნდა, ვერაკითარ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს ამ კულტურათა თარიღის ამგვარად დაზუსტებისა და სატელას საშუალებით კოლხურ-ყობანური კულტურის ამგვარად „გაახალგაზრდავების“ საკითხში[5].

კოლხური ცულის თარიღისა და მისი გაჩენის შესახებ, იგი მიუთითებს, რომ

---

[1] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 71, სურათი 76, ბაიერნისეული სამარხი 583.

[2] თუმცა ერთ-ერთ თავის შრომაში „К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии“ იგი პირდაპირ აცხადებს, რომ, როდესაც საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოსაწყობად მიმდინარეობდა მუშაობა, მის მიერ დაჯგუფებული იყო მუზეუმის არქეოლოგიური მასალები სამარხებად და კომპლექტებად—სამთავროს (ბაიერნის მიერ გათხრილი მასალები), რედკინლაკერისა და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[3] Б. А. К у ф т и н. Урартский „колумбарий“ у полошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII-B, 1947, გვ. 26, 27, 68.

[4] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[5] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე თავის შრომაში „კოლხური ცული“ სწორად შენიშნავს, რომ ბ. კუფტინის ცდა კოლხური კულტურის „გაახალგაზრდავებისა“ არ უნდა იყოს სწორი. იხ. ო. ჯაფარიძე. კოლხური ცული. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხური ცული ყალიბდება ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე. კავკასიის მთიან რაიონებში,—აღნიშნავს იგი,—რკინა გაცილებით გვიან ჩნდება, არა უადრეს II და I ათასწლეულთა მიჯნისა. ამავე ქრონოლოგიურ ზღვართან მიკუეკარნი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში კოლხურ-ყობანური ცულის გაფორმებას[1]. თუ სწორია, რომ კოლხური ცული ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა, ან კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს კულტურაა, თავისი წაძყვანი სამარი ცულებით ურარტუ-ვანის სამეფოს დროინდელია, კოლხური ცული როგორღა მოხვდა გვიანბრინჯაოს პერიოდის ბეშთაშენის სამარხებში?

ამრიგად, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ერთისა და იმავე დროისა და ხასიათის ძეგლის დათარიღებისას ბ. კუფტინი სხვადასხვა შრომაში სხვადასხვა თარიღს იძლევა, უფრო სწორად წინააღმდეგობაში ვარდება ერთი ხასიათის სხვადასხვა ძეგლების ნნოვანების განსაზღვრის დროს.

პროფ. გ. ნიორაძე არაერთხელ შეხებია ისეთი ინვენტარის დათარიღების საკითხს, რომელიც ჩვენი მასალის ახლო პარალელს წარმოადგენს. ათარიღებს რა სასირეთის განძს, იგი მას სამთავროს ორმმსაბარხთა ინვენტარს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ იგი ძვ. წ. XIII საუკუნეზე ადრეული არ იქნებაო[2]. გომნაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნიეთებსაც გ. ნიორაძე სამთავროს „ქვენიადაგის“ სამარხების სინქრონიულად თვლის და მათაც იმავე აბსოლუტურ თარიღს აძლევს[3]. დმანისის ნეკროპოლს კი ავტორი ძვ. წ. X—IX საუკუნეებს მიაკუთვნებს[4].

შრომაში „ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები“ პროფ. გ. ნიორაძე აღნიშნავს, რომ „სოფ. ქვიშარის განძი (ე. წ. ყობანის ტიპის ცულები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნივთები) არ უნდა მივაკუთვნოთ XII საუკ. უფრო ადრეულ დროს ჩვენს წელთაღრიცხვამდეო“[5].

ივანოვსკი არჩევს რა მის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ მასალებს (ქედაბეკის, ყალაქენტის, ყარა ბულაღსა და სხვა ადგილებში მოპოვებულს), რომელთაგან ზოგიერთი (განსაკუთრებით კერამიკა) ახლო პარალელს პოულობს ჩვენს მასალებთან, მიუთითებს, რომ ქვაყუთებში აღმოჩენილი (როგორც ქალთა, ისე მამაკაცის სამარხების) ინვენტარი თითქმის მთლიანად ბრინჯაოსია, ეს ბრინჯაოს ხანაა, მაგრამ იგი დასასრულს უახლოვდება, რადგან დროდა დრო ბრინჯაოს ინვენტართან სამარხებში რკინის ტლანქი ნაკეთობაც ჩნდებაო[6].

ე. ი. კრუპნოვი ცდილობს რა მოგვცეს ა. კავკასიის ბრინჯაოს კულტურის თარიღი, მიუთითებს ორ მომენტს; ერთია ხოჯალის № 11ყორღანში აღმოჩენილი მძივი, რომელზედაც ადადნირარის სახელია ამოკვეთილი. ამ ასურულ მძივს ავ-

---

[1] Б. А. Куфтин. Арх. рас. в Триалети. გვ. 72.

[2] გ. ნიორაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 97.

[3] გ. ნიორაძე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B, თბილისი, 1947, გვ. 211.

[4] გ. ნიორაძე. დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბილისი, 1947, გვ. 56.

[5] გ. ნიორაძე. ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, თბილისი, 1948 წ. გვ. 20.

[6] ივანოვსკი. დასახ. ნაშრ., გვ. 170.

6. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი უკავშირებს მეფე ადადნირარ მეოთხეს, რომელიც მეფობდა 911—891 წლებში, და დასაკვნის, რომ ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთი ყველაზე ადრეული თარიღი ძვ. წ. VIII საუკუნეაო.

მეორე მაგალითად მას კარმირ-ბლურზე აღმოჩენილი აღმოსავლურ-ქართული ცულის ტუფისაგან გაკეთებული ყალიბი მოაქვს, რომელთანაც თითქოს ყოფილა ურარტეს მეფე რუსა II-ის ლურსმული წარწერიანი ფრაგმენტი (ძვ. წ. VII საუკუნე) და დასაკვნის—ეს არის ა/კავკასიის ბრინჯაოსათვის მეორე დასაყრდენი თარიღიო[1]. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს ამ საკითხში. არავითარ შემთხვევაში მის მიერ მოტანილი მასალები არ არის დასაყრდენი ამ კულტურის თარიღის დასადგენად. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ არ არის გარკვეული, რომელი ადადნირარის სახელია მძიფზე ამოკვეთილი; აკად. მეშჩინნოვმა შეცვალა თავისი ძველი მოსაზრება ადადნირარ IV-ით, რომ თვლიდა მძიფზე ამოკვეთილ სახელს.

მეორე მხრივ, აღმოსავლურ-ქართული ცული ა/კავკასიაში დიდი დროის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას. იგი გეხვდება, როგორც გვიან ბრინჯაოს პერიოდში (როდესაც კავკასიაში ჯერ კიდევ არ არის შემოსული რკინა) ისე ისეთ სამარხებშიაც, სადაც რკინა ბატონობს. რა თქმა უნდა, დროს ამ დიდ მონაკვეთზე (ძვ. წ. XIII-VII სს.) თავიდანვე საგულისხმებელია ცულის ჩამოსასხმელი ყალიბიც, ამდენად მისი აღმოჩენა VII ს. ლურსმულ წარწერასთან ერთად არ იქნებოდა გასაკვირველი. მეორე მხრივ, არც ის არის ზუსტად დადგენილი, ნამდვილად იყო თუ არა წარწერა და ცულის ყალიბი ერთ ფენაში. ამდენად ა/კავკასიის ბრინჯაოს კულტურისათვის ე. კრუშპოვის მიერ დადგენილი თარიღი შემცდარი გვგონია. არქ. გობეჯიშვილი თავის საკანდიდატო დისერტაციაში ჩუგუფგა ცულის ფორმის საკიდების განხილვისას აღნიშნავს, რომ „როგორც ზემოთ დასახელებული განძები, აგრეთვე სომხეთში აღმოჩენილი ყალიბები, იმაზე მიგვითითებს, რომ ამაზონური ტიპის ნაჯახები გავრცელებული ყოფილა კოლხურ-ყობანური უძველესი კულტურის პერიოდიდან და არსებობას განაგრძობდა ვანის სამეფოს დასასრულამდე"[2].

ს. მაკალათია ერთ-ერთ თავის შრომაში ერთსა და იმავე დროს განიხილავს სასირეთის განძსა და გოსტიბეში აღმოჩენილ იმ არქეოლოგიურ მასალებს, რომელიც შედგება კოლხური ცულისა, მასრაგახსნილი შუბისპირისა და ბრინჯაოსტარიანი აღმოსავლურ-ქართული სატევრისაგან. მოჰყავს რა რიგი ანალოგიები სამთავროდან, ყობანიდან და სხვა ადგილებიდან, ის ასკვნის, რომ ქვემო გოსტიბესა და სასირეთის აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლები შეიძლება მივაკუთვნოთ ყობანურ-სამთავროულ კულტურათა ჯგუფს, ე. წ. კავკასიური ბრინჯაოს ხანას. რომელიც დათარიღდება ჩვენს ერამდე დაახლოებით XIII საუკუნითო[3]. ხოლო ფლავისშანის ნეკროპოლის არქეოლოგიურ მასალებს იგი ყობანის, დელიჯანის, სამთავროს, ახტალა-ალიევრდის არქეოლოგიურ მასალებს უკავშირებს და ასკვ-

---

[1] Е. И. Крупнов. Казкентский могильник—памятник древней Албании. Труды гос. истор. музея, вып. XI, сборник статей по арх. СССР, Москва, 1940, გვ. 15.

[2] ვ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 142.

[3] S. Makalatia. Decouvertes archeologiques en Georgie en 1930. Sonderabdruck aus den Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien. Bd 62, Wien, 1932, გვ. 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, რომ ყველა ეს მასალები ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას [illegible] და რომ ეს სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. XIII—IX საუკუნეებით[1]. სამთავ-როში, ყობანსა და სხვა ადგილებში არა მარტო გარდამავალი პერიოდის სამარხე-ბია, არამედ უფრო ადრეული და გვიანიც. ამდენად ამგვარი ზოგადი დათარი-ღება ამ ძეგლებისა, ეფექრობთ, დღეს უკვე უარყოფილ უნდა იქნეს. რაც შეეხე-ბა ფლავისმანის ნეკროპოლის არქეოლოგიურ მასალებს (თავხვია საკინძი, ფოთ-ლისებური ტანშეურჩენელი სატევარი, თიხის სადღეგებლები და ზოგიერთი სხვა ნივთები), მათი შედარება სამთავროულ და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებთან უფ-ლებას გვაძლევს ისინი სამთავროს უძველესი ორმოსამარხების თანადროულად ჩავთვალოთ.

არქ. ა. აფაქიძე ბაკურციხის არქეოლოგიურ ძეგლთა დათარიღებისას ასკვნის, რომ ბაკურციხის, ზემოავჭალისა და სამთავროს ორმოსამარხები შეე-ეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის დასასრულსა და პირვე-ლის დასაწყისს, როცა ბრინჯაოს კულტურა თანდათანობით გზას უთმობდა ახ-ლად აღმოჩენილ რკინის კულტურას[2].

ალ. კალანდაძე, როდესაც სამთავროს სამაროვანის ჩრდილო უბნის სამარ-ხების ზოგად მიმოხილვას იძლევა, შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს: ჯერ-ჯერობით კი ჩვენთვის დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს დებულება (სანამ უადრესი პერიოდების აშკარა და ყოველმხრივ შესწავლილი დოკუმენტები არ გაგვაჩნია), რომ მცხეთის ისტორია განვითარებული ბრინჯაოს ხანით, შეიძლება, მისი უკანასკნელი საფეხური უნდა დაიწყოს და შემდეგ, ეხება რა უშუალოდ სამარხების ტიპებს, სამარხებიდან დაახლოებით ერთ მეექვსედზე ცოტა ნაკლებს გამოყოფს, რომლებსაც განვითარებულ ბრინჯაოს აკუთვნებს[3].

გ. ლომთათიძე სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან იარაღთან ერთად თვით სამარხებსაც იხილავს და ამ უკანასკნელთა მიხედვით იარაღთა ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფის თარიღსაც იძლევა.

ერთადერთ ყორღანული ტიპის სამარხს, რომელშიაც ოთხწახნაგოვანი საგ-მირავი მახვილი იყო აღმოჩენილი, იგი შუაბრინჯაოს ხანით თარიღებს. მომ-დევნო პერიოდის მასალების დაჯგუფებას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

„სამთავროს ორმოსამარხთა უძველესი ფენა და მასში წარმოდგენილი ფოთ-ლისებური სატევრის პირები განვითარებული ბრინჯაოს ხანის და II ათასწლე-ულის ბოლო ორიოდე საუკუნის კუთვნილად უნდა ჩავთვალოთ, მომდევნო ფე-ნები ბრინჯაოსტარიანი სატევრებისა და მახვილების შემცველი, II და I ათას-წლეულთა მიჯნისა და მიჯნის აქეთ სამიოდე საუკუნის კუთვნილად, ხოლო რკი-ნის სატევარმახვილთა შემცველი სამარხების ასაკი I ათასწლეულის VII საუკუ-

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. საკ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბილისი, 1930.

[2] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე. ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1940, გვ. 187.

[3] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილო ჯგუ-ფის 1938—39 წწ. მუშაობის წინასწარი მოკლე ანგარიში. თბილისი, 1940.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდან აქეთ უნდა ვიანგარიშოთ"[1]. ჩვენ ვიზიარებთ გ. ლომთათიძის მიერ ორმოსამარხთა ამგვარად დაჯგუფებას, მაგრამ შეიძლებოდა მის მიერ წარმოდგენილი შუაფენის კიდევ უფრო დიფერენცირება, უფრო დაზუსტება და ვიწრო მონაკვეთების მიხედვით ცალკე ფენების გამოყოფაც კი. საქმე იმაშია, რომ ავტორის მიერ წარმოდგენილი შუა ფენა, რომლის თარიღი XII-დან VIII საუკუნემდე მოდის[1], სამთავროს სამაროვანის ორმოსამარხთა ძირითადი ფენაა და შეიცავს დიდძალ და მრავალრიცხოვან მასალას, არა მარტო სამარხთა რაოდენობის თვალსაზრისით, არამედ თვით ნივთების სიმრავლით, მისი სხვადასხვაობით; ამავე დროს ამ პერიოდში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი, მეტ-ნაკლები რაოდენობით, რკინის ნივთების შემცველი სამარხები.

სხვადასხვა სამარხების კომპლექსების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ დიდი მონაკვეთის ფარგლებში მოქცეულ მასალებში დიდი და აშკარა განსხვავებაა. ჩვენ შევეხებით მთლიანადსხმული სატევრიანი სამარხების განხილვას, რადგან ამ უკანასკნელს უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენს მასალასთან. ექვსჯერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს სამაროვანზე ბრინჯაოს ტარიანი 6 სატევარი გამოავლინა. ასეთი სატევრის შემცველი სამარხები აშკარად ოთხ მომენტზე მიუთითებს: ერთი, რომ ჯერ კიდევ სატევრის შემცველ ორმოსამარხებში არ ჩანს რკინა. მეორე — უძველესი ორმოსამარხების „ტრადიციების" საფუძველზე ჯერ კიდევ სამარხთა ინვენტარი ერთფეროვანია, არ არის ე. წ. მდიდრული მრავალი ინვენტარის შემცველი სამარხები, რაც შემდეგ პერიოდში აშკარად ჩანს. მესამე—ჯერ კიდევ სამარხებში არქაულობის მომასწავებელი ელემენტებია შემორჩენილი და მეოთხე—ბრინჯაოს ტარიანი სატევრები ჩნდება უძველესი ორმოსამარხების „წიაღში", იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას ფოთლისებური ტარშეურჩენელი სატევრები, თავზეა საკინძები და სხვა. საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი. სამთავროს სამხრეთ უბანზე გათხრილ № 44 სამარხში ბრინჯაოსტარიან სატევართან ერთად აღმოჩნდა თავზეა და სოკოსებურთავიანი საკინძები. ასევე № 87 და სხვა სამარხები, რომლებშიც აღმოჩენილია ბრინჯაოსტარიანი სატევრები, შეიცავენ ისეთ მასალებს, რომლებიც გვხვდება ფოთლისებურ ტარშეურჩენელ სატევრებთან და სხვა ასეთ მასალებთან ერთად. № 263 სამარხში ფოთლისებურ ტარშეურჩენელ სატევართან ერთად აღმოჩნდა თავზეა და სოკოსებურთავიანი საკინძები. №№ 284, 261, 232, 5, 22, 228 და სხვა სამარხებშიაც ასეთივე რიგის ნივთებია აღმოჩენილი.

ამრიგად, როგორც ჩანს, არა ერთეული შემთხვევაა სამთავროში, როდესაც ნამდვილად ადრეული პერიოდის სამკუთხა ფოთლისებურ ტარშეურჩენელ სატევართან ერთად ზუსტად ისეთივე ინვენტარი გვხვდება, როგორიც ბრინჯაოსტარიან მთლიანადსხმულ სატევრებთან სამთავროსა და თბილისის სამარხებში.

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სამთავროში აღმოჩენილი ბრინჯაოსტარიანი სატევრების წარმოშობა სამთავროს უძველეს სამარხთა იმ ეტაპს უნდა დავუკავ-

[1] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. საკ. ნდიდატო დ-სერტაცია, თბილისი, 1944, გვ. 335—356.

[2] მ ი ნ ი ვ ე, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიროთ, როდესაც ამ სამარხების შემცველი ინვენტარი ნელ-ნელა გზას უთმობს უფრო განვითარებულ იარაღ-სამკაულებს, რომ, სწორედ, ამ უძველესი ორმოსამარხების უკანასკნელ ეტაპზე წარმოიშობა ბრინჯაოსტარიანი სატევრები, რომლებიც სამთავროს ფოთლისებური ტარშეურჩენელი სატევრების უშუალო შემცველელია. მთლიანადლხმული სატევრები არსებული მასალების მიხედვით განვითარებული ბრინჯაოს პერიოდის ნაყოფია, იმ პერიოდისა, როდესაც აღმოსავლურ-ქართული კულტურა ჯერ კიდევ არ იცნობს რკინას, არ იცის მისი დამუშავება და მოხმარება, მაგრამ, მეორე მხრივ, არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ სამთავროსა და სხვა ადგილებში იგი დიდხანს არ ყოფილა ხმარებაში, როგორც გარკვეულად ჩამოყალიბებული იარაღი, იგი მალე გამოსულა ხმარებიდან და გზა დაუთმია დიდი ზომის სატევრებისათვის, რომლებიც მოყვანილობით ისეთებია, როგორიც მთლიანადლხმული სატევრები, იმ განსხვავებით, რომ პირველები უფრო დიდებია, ამიტომ სხვა სახელით — მახვილადაა წოდებული.

გვიანბრინჯაოს მასალებიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა იმის საჩვენებლად, რომ მთლიანადლხმული სატევრის მალე ცვლის შედარებით მოკლე მახვილები (45,00, 45,46 სმ სიგრძისა). ამ მასალებში ^ არ გვაქვს არც **ერთი ისეთი** შემთხვევა, რომ მთლიანადლხმულ სატევართან ერთად სამარხში ძახვილი ყოფილიყოს, ისევე, როგორც ფოთლისებურ სატევართან ერთად მთლიანადლხმული სატევარი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი ერთი დანიშნულების და ერთიმეორის შემცველელი, სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული იარაღებია.

ასეთივე სურათი გვაქვს იმ ადგილებშიც, სადაც კი მთლიანადლხმული სატევარი ჩნდება.

ნავთლუღის № 1 სამარხის ინვენტარი მხარს უჭერს და სავსებით დასტურებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას.

როგორც არქეოლოგმა ა. აფაქიძემ გადმოგვცა, ბაკურციხის სამაროვანის გათხრის დროს აღმოჩენილია რამდენიმე სატევარი და მთლიანადლხმული სატევრის შემცველ სამარხებში რკინის რაიმე ნიშანი არ ყოფილა. ასეთივე მდგომარეობაა გონჭაშიც. ქვემო გოსტიბეში, სატევართან ერთად, კოლხური ცული და მასრაგასხნილი შუბისპირია აღმოჩენილი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აღმოსავლურ-ქართული ტიპის მთლიანადლხმული სატევრები იმ პერიოდის ნაყოფია, როდესაც საწარმოო და საომარ იარაღად ადამიანებს მხოლოდ ბრინჯაო აქვთ გამოყენებული. მას მალე გზა უნდა დაეთმო უფრო მნიშვნელოვან, ხალხთა ცხოვრების წინსვლისათვის უფრო გადამწყვეტი ფაქტორისათვის, რკინისათვის, რომლის შესახებ ენგელსი წერს: „რკინა უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი იყო იმ ნედლ მასალათა შორის, რომელნიც ისტორიულ რევოლუციურ როლს ასრულებდნენ"[1].

განხილული მასალა უფლებას გვაძლევს მთლიანადლხმული სატევრების არსებობისა და გამოყენების პერიოდად ვიგულისხმოთ არა მთლიანად XII—VIII სს. (რომელთა მთელ მანძილზე მათ ფაქტიურად არ უარსებიათ), არამედ

[1] ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბილისი, 1933, გვ. 194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ვიწრო ჩარჩოებით შემოვფარგლოთ დრო, სახელდობრ, ძვ. წ. XII — XI სს.

ო. ჯაფარიძე ცხინვალისა[1] და ბეჟათუბნის[2] განძში შემავალ ნივთებს (რომელებსაც ჩვენ ნავთლუღის არქეოლოგიური მასალების თანადროულად ვთვლით) გვიანბრინჯაოს პერიოდს აკუთვნებს. იძლევა რა კოლხური ცულის განვითარების სქემას და კლასიფიკაციას, ო. ჯაფარიძე, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, კოლხურ კულტურას განვითარებულ ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს, რაც ქრონოლოგიურად II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით შემოიფარგლება. კოლხური კულტურის შემცველი კომპლექსები თითქმის მხოლოდ ბრინჯაოს ინვენტარისაგან შედგება და მათში სრულებით არ ვხვდებით რკინას[3]. ამ მოსაზრებას აშკარად მხარს უჭერს ბეშთაშენის № 11 და სამთავროს № 260 სამარხებში აღმოჩენილი კოლხური ცულები. ასევეა სასირეთის განძში, ახალქალაქისა და ცაგერის განძის მასალებში და სხვა.

ბოლოს ო. ჯაფარიძე ასკვნის, რომ გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური და აღმოსავლურ-ქართული კულტურები სინქრონულად არსებობდნენო; მას კოლხური კულტურის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. XIII საუკუნემდე დაჰყავს[4].

ამრიგად ჩვენ მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვადგინეთ ის მოსაზრებები, რაც ნავთლუღში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების თანადროული ძეგლების დათარიღებას შეეხებოდა და ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენი მოსაზრებაც გამოვთქვით.

ზოგიერთი არქეოლოგი აღმოსავლურ-ქართული გვიანბრინჯაოს პერიოდის კულტურისა და ამ კულტურის თანადროულ კოლხურ-ყობანური კულტურის დათარიღებისას, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა შრომაში ერთმანეთის საწინააღმდეგო თარიღებს იძლევა (პროფ. კუფტინი).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების შესწავლამ ზოგიერთი სხვა მკვლევართან ერთად იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის აყვავება კოლხური კულტურის არსებობის პერიოდს ემთხვევა.

როგორც დავინახეთ, აღმოსავლურ-ქართული ტიპის, მთლიანადსხმული სატევრები ხმარებაში მცირე დროის განმავლობაში ყოფილა (თუ ძირითადად სამთავროს არქეოლოგიური მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ). აშკარაა, რომ ეს იარაღები ფოთლისებური ტარშეურჩენელი სატევრის შემცვლელია და მას უშუალოდ უძველეს ორმოსამარხთა მომდევნო სამარხები შეიცავენ. დღესდღე-

---

[1] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ცხინვალის განძი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბილისი, 1950, გვ. 99—109.

[2] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ბეჟათუბნის განძი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბილისი, 1950, გვ. 217—221.

[3] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. კოლხური ცული. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950. გვ. 82.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 85.

ობით არც ერთი შემთხვევა არ არის ცნობილი, რომ მთლიანადსხმული სატევრის შემცველი სამარხის კომპლექსი რკინას შეიცავდეს. მახვილების გაჩენასთან ერთად მთლიანადსხმული ბრინჯაოს სატევრები ქრება და ამ დროიდან სამთავროს სამაროვანზე ნელ-ნელა იწყებს შემოსვლას რკინა.

არც ერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული, რომ მთლიანადსხმული სატევრების არსებობის და გამოყენების დროს, რომელიმე სხვა ტიპის მახვილს ეარსება. ამიტომ გვსურს გამოვყოთ მახვილების შემცველი სამარხებიდან მთლიანადსხმული სატევრებიანი სამარხები, ჩავთვალოთ ისინი შუალედად უძველეს ორმოსამარხებსა და მახვილების შემცველ ორმოსამარხებს შორის და მათი თარიღი მიახლოებით ძვ. წ. XII—XI საუკუნეებით განვსაზღვროთ.

ამასვე უუერს მხარს მთლიანადსხმულ სატევრებთან ერთად თავხვია საკინძის თანამგზავრობა.

ფოთლისებური ბრინჯაოსტარიანი სატევარი აშკარად უფრო ადრეული პერიოდის სამარხშიაც შეგვხვდა (ღრმა-ღელე), მაგრამ ეს არ გამორიცხავს მომდევნო პერიოდში ასეთი იარაღის შემონახვის შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ნავთლუღის ორმოსამარხთა თარიღი ძვ. წ. XI საუკუნის აქეთ არ უნდა გადმოვწიოთ. იგივე შეიძლება ითქვას მასრაგახსნილ შუბისპირზე, რომელიც ჩამოსხმული კი არ უნდა იყოს, არამედ ნაჭედი. ბოლოს, აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთი წამყვანი იარაღი — საომარი ცული, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ხანგრძლივ გამოყენებაშია, რომლის დროსაც იგი თანდათანობით იცვლის ფორმასა და წონას. იგი გვხვდება ისეთ სამარხებში, სადაც ჯერ კიდევ რკინა არა ჩანს და ისეთ სამარხებშიც სადაც რკინისა მხოლოდ ნიშანია, ან უკანასკნელი ბატონობს კიდეც.

ეს დიდი, ყუაზე შვერილიანი, აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულები სამარიგის ცულთა ყველაზე ადრეული სახე ჩანს.

ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ კერამიკის შესახებ, რომლის ირგვლივ ძუნწად, მაგრამ მაინც გვქონდა საუბარი. მოტანილი მასალის შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნავთლუღში აღმოჩენილი ნივთები განვითარებული ბრინჯაოს პერიოდისაა, რომ ამ მასალის ასაკის ზედა საზღვარი არ უნდა გადმოცდეს ძვ. წ. XI საუკუნის მიწურულს, ხოლო ქვედა საზღვარი შეიძლება მიტანილ იქნეს ძვ. წ. XII საუკუნის საწყისამდე.

ამრიგად, ნავთლუღში აღმოჩენილი მცირედი, მაგრამ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, კერძოდ, № 1 სამარხის საინტერესო კომპლექსი, აღმოსავლურ-ქართული კულტურის გვიანბრინჯაოს ხანის შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. იგი, ალბათ, დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარ არქეოლოგებს აღმოსავლურ-ქართული კულტურის, მისი ერთი მონაკვეთის გვიანბრინჯაოს პერიოდის კულტურის შესწავლის საქმეში. მეორე მხრივ, იგი იძლევა საშუალებას ნაწილობრივ მაინც დავაზუსტოთ ჩვენი წარმოდგენა აქაური მოსახლეობის და მის მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობაზე. კერძოდ, ნავთლუღში აღმოჩენილ მასალებში ვხვდებით ისეთ ნივთებს (ფოთლისებური ბრინჯაოსტარიანი სატევარი), რომლის მსგავსს ჯერჯერობით არ იცნობს თბილისიდან აღმოსავლეთით აღმოჩენილი კომპლექსები და დასავლეთითაც მისი გავრცელების საზღვარი შორს არ მიდის (წეროვანი), საომარი ცულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტი პარალელი ძირითადად შიდა ქართლშია მოპოვებული (სასირეთი, მეტეხა, მეჯვრისხევი), თუმცა ერთი ასეთი ცული ცაგერის განძშიც არის. აღმ. ქართული სატევრის უახლოესი პარალელები მოპოვებულია როგორც კახეთში, ისე სამთავროში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნავთლუღის საკინძი, რომელიც ბოლოვდება ცხერის თავის სტილიზებული გამოსახულებით, ზუსტ პარალელს ჯერჯერობით ვერსად ვერ პოულობს. საინტერესოა აგრეთვე კერამიკული ნაწარმის ცალკეული სახეები, სახელდობრ, ნავთლუღში არის ისეთი ჭურჭელი, რომლის ზუსტი პარალელი არ შეგვინშნავს თბილისის მოსაზღვრე, თუ არამოსაზღვრე რაიონებში (ფეხებიანი ჭურჭელი). ჭურჭელთა დიდი ნაწილის პარალელები უმთავრესად მცხეთასა და ავჭალაში გვხვდება. აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი იმ ჭურჭლის ახლო პარალელები, რომელსაც ორი ყური და სადგამიანი ჰორიზონტალური ზვერილები აქვს. როგორც მოტანილი შესადარებელი მასალა გვიჩვენებს, ნავთლუღის არქეოლოგიური ნივთები ყველაზე მახლობელ ანალოგიებს ზემო ავჭალის, მცხეთის, გორისა და კასპის რაიონის არქეოლოგიურ მასალაში პოულობს.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა გზაჯვარედინზე მას უძველეს პერიოდშიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

განხილული არქეოლოგიური მასალა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აქაური მესაქონლე და მიწათმოქმედი მოსახლეობა იმ ძველ ხანაშიც ჰქმნიდა ოთარაღ-საბურველის თუ სამკაულის და კერამიკული ნაწარმის ორიგინალურ სახეებს, უხვად უზიარებდა მეზობლებს თავის კულტურულ მონაპოვარს და მეზობელ ტომების მიღწევებითა და გამოცდილებებითაც საკმარისად სარგებლობდა.

Д. КОРИДЗЕ

ПОЗДНЕБРОНЗОВЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИЗ ТБИЛИСИ (НАВТЛУГИ)

Резюме

Автором монографически исследованы археологические материалы, добытые им на юго-восточной окраине гор. Тбилиси, в Навтлуге.

Материалы эти происходят из 8 грунтовых погребений некрополя; количество предметов доходит до 55, из коих керамика—в наиболшем количестве, исключительно интересна; бронзовые предметы—имеются в малом количестве и сердоликовые бусы.

Изучив немногочисленный, но исключительно многообразный инвентарь, в частности инвентарь погребения № 1,—бронзовый топор и кинжал с рукояткой, наконечник копья с открытой втулкой, глиняный сосуд с ножками в виде человеческих обутых ног и ручками в виде фигурок барана, бронзовый крюк, бронзовую булавку с закрученной головкой, медный котел,—автор приходит к выводу, что Навтлугский некрополь должен быть отнесен к восточно-грузинскому культурному кругу периода

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

3

2

6

4

5

1

2

3

4



6

5

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბ. V

1

4

2



3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

2

3

4

5

6


7


8

9

10


11

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

1

2


3

4

5

6

7


8

9

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

1

2

3

4

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბ. XVIII, 2

поздней бронзы и что, таким образом, он умещается в рамках XII—XI в. до н. э.

Изучение этого материала имеет весьма важное значение, оно, с одной стороны, устанавливает факт заселения и этой части территории столицы Грузии еще в XII в. до н. э., с другой—дает возможность проследить связи, имевшие место между населением этой территории и других отдельных областей, а также дает твердо установленные положения для определения памятников позднебронзовой эпохи.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б, 1956
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1956

ნ. რეხვიაშვილი

ქართული სამეურნეო იარაღი

ქსნური ქარჩი[1]

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ ხანებამდე შემოინახა ძველი სამეშაო იარაღების საყურადღებო ტიპები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ქარჩი". იგი გვხვდება უმთავრესად მთიანეთში, კერძოდ იმ ადგილებში, რომელთაც მიწისპირისა და ნიადაგის ნაირობა ახასიათებთ.

ქარჩის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მიწის დამუშავება სათესავად[2]. ამ დანიშნულებით მისი გამოყენებენ ერთ-ერთ ბუდედ უნდა მივიჩნიოთ ქსნის ხეობა, კერძოდ, ამ ხეობის ზემო მხარე—ახალკორის რაიონი, სადაც ქარჩი ფართოდ იხმარებოდა.

„ქსნური ქარჩი" (იხ. სურ. 1) წარმოადგენს წერაქვის მსგავს ვიწროპირიან თოხს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: თავისა და ტანისაგან. თავი შეიცავს—„ყუას", „ყვრიმალთ" და „სატარეს". ტანი—„პირს", „ფხას", „ნიღრს" და „გვერდებს". ქსნური ქარჩის „ყუა-ყვრიმალი" ერთი სისქისაა. მოყვანილობით „ლულაა" (ოვალური) და „ქეჩო"[3] არ გააჩნია. ტანი—დაქნილი აქვს სოლივით, რომელიც სისქით თანდათან თხელდება, ხოლო სიგანით უფრო და უფრო იშლება და წამახულია. ახასიათებს: „მოქანდული" აღნაგობა, „უფახო" პირი, თანაზომიერი და „მრგვალი" ფორმის „სატარე" (შდრ. სურ. 1 a და 1 b, ქსნური ქარჩის სახეცხვეოობები).

ქარჩის დამზადება-ბაბეედვა

ქარჩის გაუმდვას აწარმოებს მუშედელი. გაუმდვა იმავე წესით წარმოებს, რა სახითაც სხვა სამეურნეო იარაღის—თოხის, წერაქვის, ღორეჩოს და სხვ.

მუშედელი იღებს საქარჩედ განკუთვნილ რკინას, რომლის წონა უდრის დაახლოებით ორ კილოგრამს, ახურებს ქურაში საჭირო დონემდე და კვერავს მას, ვიდრე დაიგვარებდეს. კვერვის გზით ჯერ „შოლტად" გაიყვანს, შემდეგ „ორტოლად" მოხრის, ტანს შუა ნაკეცში „სარჩულს" დაუდებს[4], რათა ქარჩის

---

[1] ქსნის ხეობაში ქარჩს ეწოდება—„ქოჩი", „ქორჩი", ხოლო მის ნაქნარს—ქორჩნა, შდრ. „ხაჩქუა" (მეგრ.), „აცქუ" (სვან.).

[2] „სათესავი ყანა და სათიბელი ქვეყანა" (ცხვ გ'გლ ხნძთლსა, იხ, 50).

[3] ქეჩო—ამოზეული კისერი (საბ).

[4] ამასთანავე, სწარმოებს ქარჩის დაფილადება, ე. ი. ფოლადის დართვა იმ შემთხვევაში, თუ მთელი ტანი მაღალი ხარისხის რკინას, ან ფოლადს არ წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოყალიბება—მისი ტანის „დაქნა“ სოლურად შესაძლებელი გახდეს. ამგვარად გამართულ ქარჩის „დედანს“ კვლავ მიაბრუნებს ქურაში, შეუდღებს სარჩულს, შემდეგ პირს და როდესაც ჯარგად შეამტკიცებს გამოკვეთს, გამოსახავს ქარჩს. გასრულებული ქარჩი საბოლოოდ „გაიკაზმება“, მჭედელი მას სისწორეში მოიყვანს, „მოკანდავს“, აწრთობს და ქარჩი უკვე „ჭედამოთავე-



სურ. 1. ჭსნური ქარჩი

ბულ ხელადს“ წარმოადგენს. მას ტარის დაგებაღა აკლია, რაც მჭედლის საქმეს არ შეადგენს [1].

აღსანიშნავია, რომ ქარჩის გაჭედვა იმეორებს ძირითადად ძველი ქართული მჭედლობის დამახასიათებელი რკინეულის დამზადების წესებს, რომლის მიხედვითაც პირველად კეთდება გასაჭედი ნივთის „დედანი“, ხოლო შემდეგ ყალიბდება თვით საგანი. მეორე მხრივ, ქარჩის სატარე, მსგავსად ძველი ქართული ნაჭედი ხელადისა, ხასიათდება თავისებური ფორმით [2]. სატარის ასეთი აგებულება იმდენად ტიპიურია და დამახასიათებელი ქართული მჭედლობის ნახელავისა, რომ იგი ერთნაირად ახასიათებს როგორც გაჭედილ, ისე ჩამოსხმულ რკინისა და ბრინჯაოს იარაღს. სატარის თავისებურება შეპირო-

---

[1] ანეული მიწის სახნავად და ყამირში ფესვის ამოსაყრელად ვაკეთებდით ორგვარ ქარჩს. ერთი ბარიერთია—იმას მოხრილი ტარი ეგება და მეორე წერაქვიანთია, იმას სწორი ტარი უნდა (ს. იკოთი, ნასყიდა ზაქარიას-ძე მელაძე, მჭედელი, 75 წლისა).

[2] მეხედველობაში გვაქვს სატარეს ტიპიური, განსაკუთრებული აღნაგობა, რასაც საფუძველად უდევს ტარის დაგების გარკვეული პრინციპი. სატარეს ეს სახე მოითხოვს თავმსხვილ ტარს და მის „გაგებას“ სატარეში ბოლოთი, რადგანაც „სატარეს ხანი“, ანუ ნახვრეტი პირგანიერია ბოლოდან წინამხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებულია, კერძოდ, „მუშა-რკინის“ სიმარჯვითა და მოქმედების ეფექტიანობით. ქართული „ხელადის“ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სატარეს აგებულე-



სურ. 1 a. ქარჩი (მთიულეთი), საქ. ეთნ. განყ. კოლ., № 148—13/35



სურ. 1 b. ქარჩი გუდამყრიდან

ბის პრინციპი ითვალისწინებს არა მარტო ტარის მყარად დაგებას, არამედ სიმძიმისა და ძალის წონასწორობის მოწესრიგებას იარაღის მოქმედების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ქარჩის გაკეთება, რომელიც ერთი შეხედვით მარტივი ჩანს, საკმაოდ ძნელი და რთული საქმეა. მისი დამზადება გამოცდილ და დახელოვნებულ მჭედელს მოითხოვს. რაც მთავარია, სამეურნეო იარაღი საერთოდ „შეთაბუნებული“ უნდა იყოს იმ გარემოსა და ფუნქციას, რომელიც მის პირ-



სურ. 2. „ჩენგი“ (ქარჩი) სამეგრელოდან

დაპირ დანიშნულებას წარმოადგენს. ამ მიმართულებით გარკვეულ როლს თამაშობს როგორც მჭედელი, ისე „მემჭედური“, ვინაიდან ადგილის შესაფერი „მუშა იარაღის“ გაკეთება მოითხოვს არა მხოლოდ გამოცდილ მჭედელს, არამედ საქმისმცოდნესა და დაკვირვებულ „მემჭედურსაც“[1], ეს მომენტი „ხელადის“ დამზადების ვითარებაში არსებით მხარეს წარმოადგენს და ამა თუ იმ იარაღის ფორმა-შინაარსს ძირითადად განსაზღვრავს. მჭედელს მოეთხოვებოდა როგორ გამოეკეთა ქარჩი, მაგრამ, თუ როგორი გაეკეთებია, ამას-

[1] „მემჭედური“ ხალხური ტერმინია და მნიშვნელობით უდრის მომზმარებელს, შემკვეთელს. იგი ამავე აზრითაა ნახმარი ჩვენ მიერაც. შდრ. „მაშინ სად იყავ ძმა ბადრო, როს ჩემი ხმალი წკლეპებოდა: მჭედელი, მემჭედურ„ დედაბოძს ეტოლებოდა“ (ნ. რეხვიაშვილი. ხევსურული თქმულებანი. ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანავე მემეკედურს ეხებოდა. ჩვეულებრივ, იმ მეკედლის ნახელავი რკინეული, რომელიც მემეკედურთა მიერ შემოწმებული და „დაცდილი“ იყო, ბარკვეული უპარატესობით სარგებლობდა, მეტი წონა და ფასი ჰქონდა.

ᲥᲐᲠᲩᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲝᲑᲐ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქარჩი განეკუთვნება „მუშა“ იარაღს. მის „საქნარს“ წარმოადგენდა საყანე მიწის ქარჩვა [1], ერთგვარი ხვნა. ამ მხრით ქარჩი დამოუკიდებელი, სპეციალური ფუნქციის სამეურნეო იარაღად გვევლინება. განსაზღვრულ პირობებში—მძაფრად დაქანებული გვერდი ადგილები, „ახალპირი“ [2], უსწორო ზედაპირის მქონე ან ქვიანი ნიადაგის შემცველი მიწები და სხვა—ხვნა-თესვა მხოლოდ ქარჩით წარმოებდა, ვინაიდან მიწის რელიეფისა და ნიადაგის თავისებურება მიწის დამუშავების სხვანაირ ტექნიკას ვერ მოირგებდა. ჩვეულებრივი ხარსახვნელით ხვნა და ხვნის წესი არ გამოდგებოდა. ეს რეალური ვითარება განაპირობებდა ქარჩის სამეურნეო დანიშნულებასა და კონკრეტულ ფუნქციას.

საერთოდ, „საქარჩავი“ მიწები უმთავრესად მთის ზოლში ექცევა, თუმცა ზეგანისა და ბარის ფარგლებშიაც ამგვარი „ლაკადა“, „კოდი“ ადგილები საკმაოდ მოიპოვება. როდესაც სათესი მიწები შედარებით ვაკეა და მათ ხარსახვნელითა ხნავენ, ქარჩი დამხმარე იარაღის ფუნქციას ასრულებს. იგი, ნახნავში დარჩენილი ყამირის მოსათოხნად იხმარება. მაგრამ იქ, სადაც ნიადაგისა და მიწის ზედაპირის განსხვავებული პირობებია მოცემული—ძლიერ დაქანებული ფერდობები, ოღრო-ჩოღრო ადგილები, ქვიანი ნიადაგი და სხვ.—ხვნა-თესვა მხოლოდ ქარჩით [3] წარმოებდა. ამ შემთხვევაში იგი ასრულებდა „ხარ-სახვნელის“ როლს და წარმოადგენდა ერთგვარ „ხელსახვნელ“ [4] იარაღს.

სახვნელის როლს ასრულებდა ქარჩი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სათესავი მიწა „ახალპირს“, ახალ გატეხილ ახოს წარმოადგენდა, ან ქვიანსა და

---

[1] „ქარჩვა“ ნასახელარი ხმნაა, ქარჩისაგან ნაწარმოები. მნიშვნელობით იგი შეესატყვისება „ხვნას“, ხოლო შინაარსით—„თოხნას“. გარკვეული გაგებით „ხვნა“ გულისხმობს მყარი, უბარი მიწის დაშლასა და მის შემზადებას დასათესად. თოხნა კი—დარღვეული, დახნული მიწის დაფშვნასა და ნათესის გამარგვლას. ამ მიმართულებით ქარჩვა წარმოადგენს თავისებურ ხვნას, თუმცა გარეგანი შესრულების მიხედვით უფრო თოხნას წაგავს. ამიტომ ქარჩი პირველ რიგში სახვნელ იარაღად უნდა მიეკნინიოთ.

[2] „ახალპირი“ ეწოდება ახლად გატეხილ ახოს, რომლის დახვნა პირველ ორწელიწადს მაინც მხოლოდ ქარჩით შეიძლებოდა. შდრ. „ახალი ნაკვარი“ (მეგრ.), „ახალნატეხი“ (ქართლის მთიანეთი), „ახალნანყალი“ და სხვ.

[3] საყურადღებოა, რომ ძველადაც მთიანი და მიეფალი „ჯორტოხი“ ადგილების დამუშავება თოხითა და ორთოხითა სწარმოებდა. გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს: „ბერძულთაგან (შდრ. „ბერძული“) ყოველნი სოფელნი ჯორსა შინა იყენეს დაკანონება უკაცრელ და ჭირისა მაგიერ ფიროსნისა სათესავი მთასა შინა იქნებოდა თოხითა“ (ცხ-ი-ე და ეფთვსო, 48).

1639—40 წწ. რუსეთის მეფის მიერ სამეგრელოში წარმოგზავნილ დესპანს თ. ელჩინს თავის მოხსენებაში დასახელებული აქვს, რომ, „ტაბუ თოხებით სთესენ მთებსა და ბორკვებზე“ (4, გვ. 337); (იოტა ფიროო მოგვიანებით, 1650—1652 წწ. იგივე ფაქტი აღნიშნული აქვთ რუსეთის ელჩებს—ნიკიფორე ტოლოჩანოვს და დიაკი ივანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პირგაბმულ“ კორდს. ხარსახვნელით ასეთ ადგილებს ვერ ხნავდნენ და ბაზ-აქაც ქარჩი ცვლიდა. ქარჩი შეპირობებული იყო ნიადაგისა და რელიეფის თავისებურებებით, ამ შემთხვევაში სამეურნეო ზონას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ამგვარად, ქარჩი ასრულებდა სახვნელის ფუნქციას ხან დამოუკიდებლად და ხან ხარსახვნელთან ერთად. მართალია, ქარჩით მიწის „ქარჩვა“ და სახვნელით ხვნა მიწის დამუშავების განსხვავებულ ტექნიკურ წესს წარმოადგენს, ისევე როგორც თითოეული ეს იარაღი სამეურნეო განვითარების სხვადასხვა საფეხურს გამოხატავს. „ქარჩვის“ დროს ხვნა, მიწის ნგრევა სწარმოებს „ცერად“. ქარჩის კეფთება დარტყმითი ხასიათისაა, რომლის დროსაც მქარჩავი პირი, მონგრეულ მიწას თავისკენ აქცევს და აბრუნებს აღმა. ჩვეულებრივი ხვნისას მიწის გარღვევა გასწვრივად სწარმოებს. სახვნელი მორღვეულ მიწის ბელტებს აღმა-დაღმა აგებს და ხვნას უწყვეტელი თანმიმდევრობით ახორციელებს. პირველის ხნებელი ამოქმედებს, მეორეს—ამასთანავე გამწვევი ძალა. ქარჩი კორტნის, „ჩეკავს“ მიწას; სახვნელი—„თინგავს“ და აპობს მას. ქარჩი უფრო თოხის, წერაქვის და მათ თანაგვარ სამუშაო იარაღებს უახლოვდება, ვიდრე გამწვევი ძალით მოქმედ სახვნელს. ეს პრინციპული განსხვავება არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს იმ შეხედულების მიმართ, რომლის მიხედვითაც სახვნელი იარაღის შემუშავება უშუალოდ თოხიდან მომდინარეობს[1].

საყურადღებოა, რომ მეგრულში ჩვენ გვაქვს თოხნის აღსანიშნავად ორი ტერმინი: „ხაჩკუა“ და „ბარგუა“, როგორც პირველი, ისე მეორე ამჟამად დაკავშირებულია ძირითადად სამინდის კულტურასთან, მაგრამ ახლო წარსულამდე ეს სახელები უფრო ფეტვისა და მის თანაგვარ მარცვლეულის ხვნა-თესვასთან იყო შეთვისებული. სახელები: „ხაჩკუა“ და „ბარგუა“ რომ ყოველთვის სინონიმური მნიშვნელობისა არ უნდა ყოფილიყვნენ, ჩანს იქიდან, რომ „ხაჩკუა“ დღესაც ზოგადი შინაარსის მატარებელი ცნებაა. იგი აღნიშნავს არა მხოლოდ საკუთრივ „თოხნას“ (მიწის გაფხვიერებას, არამედ—ხვნა-თესვას ზოგადად. „ოხაჩკალი ღიხა“ ნიშნავს საერთოდ სახნავ-სათესად განკუთვნილ და გამოსადეგ მიწას (იქნება იგი დახნული, თუ უხნავი), პარალელურად იგი შეიძლება აღნიშნავდეს საკუთრივ „თოხნას“ („ბარგუას“), ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. უეჭველია, ძველად ტერმინი—„ხაჩკუა“ უფრო კონკრეტული მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. შეიძლება ვივარაუდოთ, იგი ქართული „ქარჩვის“[2] სატყვისი მეგრული ტერმინი იყო და თავისი პირდაპირი მნიშვნელობით იმასვე აღნიშნავდა, რასაც—„ჩენგერუა“ აწინდელ სინამდვილეში. ამ მოსაზრებას ამაგრებს და ნიშანდობლივსა ჰხდის ის გარემოებაც, რომ სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ერთი საყურა-

[1] აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით საქართველოში უძველეს დროშივე ორი ტიპის სახვნელის შეერთების საფუძველზე, რომელთაგან ერთი წერაქვნაირი, ვერტიკალურად გამკვეთი, ხოლო მეორე თოხნაირი ჰორიზონტულად მჭრელი უნდა ყოფილიყო, შემუშავდა ერთი სახვნელი, რომელსაც შეეძლო ერთდროულად შეესრულებია ორივეს ფუნქცია (7, 257).

[2] „ხაჩკუა“ და „ქარჩის“ ურთიერთკავშირი ქართველთა და მეგრული ენის კანონზომიერების მიხედვით ქართველ ენათმეცნიერთ შესაძლებლად მიიჩნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოცმო ხალხური თქმულება გუგულის შესახებ სიტყვა—„ხაჩკუას“ სწორედ ამგვარი მნიშვნელობითა ხმარობს: ამ თქმულებით, ახალგაზაფხულზე თბილი ქვეყნიდან დაბრუნებული გუგული მხვნელ-მთესველს მიმართავს პირველი მოწოდებით: „ხაჩკუშ“, „ბარგეშ“-ით. სადაც სიტყვა—„ხაჩკეშ“ არ წარმოადგენს „ბარგეშ“-ის უბრალო განმეორებას და პარალელური მნიშვნელობით ნახმარს. საფიქრებელია, იგი ქართული „ქარჩ“ (ხანის) სატყვისი ტერმინი იყოს, რომელსაც თან სდევს შემდგომი სიტყვა „ბარგეშ“-ი (თოხნე), როგორც „ხაჩქეშ“-ის ლოგიკური გაგრძელება.

ქარჩვითი წესით მიწის დამუშავება ნაკლებად ინტენსიური იყო. მიწის, შედარებით დიდი ნაკვეთის დამუშავება მხოლოდ მქარჩავთა რიცხობრივი გადიდების გზით შეიძლებოდა. თუ დასახნავი ნიადაგი საკმაოდ უხვიერი, რბილი და ქვიშნარი იყო, ქარჩის ნამუშევარს ერთგვარი ხვავი ჰქონდა, მაგრამ როდესაც იგი „მძიმე“, „ლაზე“, „ყაალო“, თიხნარი, „ნეკეზი“, ქვიანი, „მელქვილი“, „კიეხი“ და მაგარი იყო ქარჩით მუშაობას სრულიად მცირე ეფექტი გააჩნდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გამწვავი ძალით მოქმედი სახვნელი იარაღების გვერდით, რომელნიც ტექნიკური აგებულებითა და მუშაობის პრინციპით ძირეულად განირჩევიან უბრალო, მარტივი „ხელსახვნელისაგან“, ქარჩისათვის ფართო ასპარეზი არც შეიძლებოდა დარჩენილიყო. მხოლოდ უწინარეს ხანში—„ქარჩვითი მეურნეობის“ პერიოდისათვის უნდა ჰქონოდა ქარჩს წამყვანი სამუშაო იარაღის მნიშვნელობა. საქარჩავი იარაღების საქართველოში დამოწმებული ტიპები ადასტურებს მიწათმოქმედების მაღალ კულტურას ძველიდანვე.

აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. გ. ჩიტაიას ნაშრომებში ფაქტიური მასალის ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე გარკვეულია საქართველოს სინამდვილეში სახვნელი იარაღებისა და მიწათმოქმედების დაწინაურებული ფორმების შემუშავების საკითხი ისტორიული ხანისათვის [1].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილია ნაირსახისა და სახელწოდების რიგი სხვა „ხელსახვნელი“ ქარჩ: „ჩ ე ნ გ ი“, წარკატი (სამურზაყანო, სამეგრელო), „თოხწალატა“ (გურია), „ბერჯუგი“, „კაფია“, „თოხწერაქვა“ (რაჭა), „თოხრა“, „ბართოხა“, „კეკოთოხი“ (იმერეთი), საკოდელი, „წალკარტი“ (ლეჩხუმი), „ლაბარჯა“, „ოკრიპული (სვანეთი), „ჩერკნი“, „ცულწერაქვა“ (ლიახვის ხეობა), „ახოსთოხი“ (ბორჯომის ხეობა), „ეიჩი“ „ქორჩი“ (ქსნის ხეობა), „ქარჩი“, „ცულქარჩი“ (ხევსურეთი, გუდამაყარი, მთიულეთი), „თაძინ“ (სამხ. ოსეთი) და სხვ.

„ჩენგი“ (იხ. სურ. 2) [2], რომელიც ჩრ. სამეგრელოსა და აფხაზეთის მთიან, „ლაკადა“ ადგილებსა შემორჩა, გარეგნულად ქსნური ქარჩისაგან

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფ., 1930. გ. ჩ ი ტ ა ი ა. რაჭული სახვნელი. ენიმკ-ს ძმ.მბე, ტ. I, 1937.

[2] „ჩენგი“ ეწოდება ეგრეთ ვიწრო-პირიანი (ულს, რომელსაც მეტოდები ხმარობენ უმთავრესად. ტერმინოლოგიურად „ჩენგი“ დაკავშირებული უნდა იყოს სახელთან—„ჩენგუასთან“, რომელიც საერთოდ რისამე ტლანქად, ბლაგვ. დ. „უაზიოდ“ შესრულებასა და ასევე ფშნო და ხოფურნელ შენსრულებელსა ნიშნავს. ჩენგი ნაღვაწვარ-ნახნავს ეწოდება „ჩენგეფილი“, ხოლო თვით პროცესს—„ჩენგერეფა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად არ განსხვავდება. ეს ის იარაღი უნდა იყოს, რომლის შესახებაც ოუსეთის მეფის მიერ 1639—40 წწ. სამეგრელოში წარმოგზავნილი დესპანი თეოდორტე ელჩინი თავის მოხსენებაში აღნიშნავს: „სამეგრელოში ჰურს თოხებით სთესავენ, ისე რომ საამისოდ სახნავ მიწებს წინასწარ ასუფთავებენ ტყისა და ქვებისაგან (იგულისხმება მოახოება—ნ. რ.)“ [4].

საქარჩავი წალკატი[1] (სურ. 3) წარმოადგენს ძირითადად ორპირ წერაქვას, თუმცა შეიძლება იგი ორმხრიანიც იყოს და ერთმხრიანიც. ცალი პირი საკრეი აქვს, ცალი „საკორტნი“. მუშაობისას მქარჩავს იგი ორივე ხელით უჭირავს და ამოქმედებს საჭიროებისამებრ — ხან ერთი პირით და ხან მეორეთი. წესით ბრტყელი და სოლური პირი მიწის მოსაპრელად გამოიყენება, ხოლო წამახული, წვეტიანი თავი—ქვიანი, პირგაბმული მიწის მოსანგრევად. ამ მხრით წალკატი ასრულებს ორმაგ სამუშაოს ქარჩვის საქმეში. განსაკუთრებით ქვიან ნიადაგში, სადაც „ხარსახვნელს“ ძლიერ უჭირდა მუშაობა, წალკატი კარგად მოქმედებდა. იგი უკანასკნელ დრომდე შემოინახა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.



სურ. 3. წალკატი (რაჭა), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 63—39—54

„ბერჯუგი“ || ბარჯუკი დიდად საყურადღებო იარაღია (სურ. 4). იგი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი „მტკიცე“ და წარმოსადეგი ტანაღობით. ბერჯუგი ფუნქციით ორპიროვანი იყო, სოფლისმეურნეობაში იხმარებოდა სათესი მიწების სახნავად, ხოლო მეღვინეობაში—მადნის შემცველი ქანების სანგრევად. ამჟამად, ბერჯუგი ხმარებაში არ არის.

კაფია[2] წარმოადგენს მაღალმხრიან თოხს, რომელიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ტიპის თოხისაგან დიდად არ განსხვავდება (სურ. 5). მის დამა-

---

[1] სტუდენტი გიორგი ბათლომეს-ძე გოგუაძის ცნობით, სათოხნი „წარკატი“ გურიაშიც იციან. იგი ჩვეულებრივი ტიპის თოხზე უმძიმესი და უმტკიცესია. იხმარება საბარავ-საქარჩავად მთაგორიან „ლაკადა“ ადგილებში.

საბას მიხედვით—„წალკატი ორწეროსანი წერაქვია“ [1]. საბას ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ „წალკატი“ „ორწვერის“, ორთვიანი წერაქვის სატყვისი სახელია. საყურადღებოა, რომ ხალხური ეტიმოლოგიით ამ სიტყვის პირველი ნაწილი—„წალ“ წყალს, ორსა ნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილი—„კატი“ ანუ „კარტი“—წვერს, ნიღრს, ჭიმს რისამე. ამ შემთხვევაში „წალკატი“ უდრის ორწეროსან წერაქვს, რაც რეალურ ვითარებას კარგად გამოხატავს და საბას განმარტებას არ ეწინააღმდეგება. შდრ. ფშაური ტერმინი „წაწალი“ (წალ-წალი), ხევსურული „სწორფერი“, რომელიც საერთო ახრით „და-ძმობილს“, ტოლებს, წყვილთ აღნიშნავს.

[2] *კაფია*, ზოგიერთი ცნობით (ს. ბიძიშვილი, ს. გლოლა), ეწოდებოდა ხის თოხს, რომელიც ერთიანი ხისგან იყო გაჭოკვეთილი. მისი წინა თავი მოკაული, პირგაშლილი და თოხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მაღალი, მკვეთრად ჩამოქნილი მხრები, ვიწრო და შვეტი ტანი, სქელი და მძიმე ყუა—ყვრიმლები. ამგვარი აღნაგობისა გამო იგი „ხელმარჯვე“ იარაღი იყო და თავის საქმეს ზედიზეგენით ასრულებდა.



სურ. 4. „ბერეჯუგი“ (რაჭა), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 61—39—38



სურ. 5. „კაფია“ (რაჭა), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 63—39—28

„თოხ-წერაქვა“ (იხ. სურ. 6), როგორც სახელიდანაც ჩანს ორმხრიანი საქარჩავი იარაღი იყო. იგი თავს ფურიდა ფუნქციის მიხედვით ბარჯუკისა და კაფიას საქნარს. მხმარებელი თოხწერაქვას ორივე ხელით ხმარობდა. ცალ პირს მიწის „საკაფავად“ იყენებდა, მეორე პირს—ფესვთა და ქვათა საწვდელად.

აღსანიშნავია, რომ სატარეს მოყვანილობის მიხედვით თ ო ხ-წ ე რ ა ქ ვ ა ს ა კ მ ა ო სიძველის ნიშან-კვალს ატარებს.

ბ ა რ თ ო ხ ა წარმოადგენს ჩვეულებრივი სახის მიწის საბარავი იარა-

---

ვით წამახული იყო. ულანა მხარე კი ტარს წარმოადგენდა. კაფიას საერთოდ მაგარი ჯიშის ხისას აკეთებდნენ, ცეცხლით შეოჯაჯებდნენ და ისე ხმარობდნენ ბოლმე მიწის დასამუშავებლად. ხის ქარჩი დამოწმებულია სვანეთშიაც. ალ. დავითულიანის (ენის ინსტიტუტის მეცნ. მუშაკი) ცნობით, ასეთი ხის თოხი სახელად ატარებდა „ლაბარჯს“ და იხმარებოდა ახიოებში სამუშაოდ. ხემო რაჭის რიგ სოფლებში კაფია ეწოდებოდა ბოსტნის სამარგელ თოხს ასევე რკინის საკოდელს, რომელიც წისქვილის ქვათა მოსაკოდად იხმარებოდა.

აღსანიშნავია, რომ მიწის სანგრევი იარაღები, მთლიანი ხისა: „ჩეკი“, „ბარული“ (რაჭა), „წუმ.“ (სვან.), სულ ბოლო დრომდე შემორჩა საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღის—„ბარის“ მსგავს ქარჩს. მოადგენს მაღალი, განიერი და

სურ. 6. „თოხწურაქვა“ (რაჭა), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 63—39—38



სურ. 7. „კეკო“ (იმერეთი), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ. № 30—40—5

მის დამახასიათებელ თავისებურებებ[illegible] „მწყაზარი“ მხრები. სამკუთხი მოყვანილობის ტანი და წამახული პირი (შდრ. ჩრდ. კავკასიური წერაქვი, საქ. სახ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ. № A 232—89, სურ. 8).

„კეკო თოხი“ (სურ. 7) რაკეული კაფიასაგან მხოლოდ ჩამოკვეთილი მხრებითა და სამკუთხა მოყვანილობის ტანით განირჩევა. ახასიათებს ბასრი და წვეტიანი ნიღრები. სქელი და „ქეჩოიანი“ ყუა. მცირედით მოქანდული აღნაგობა. პირველი დახვნა, ანუ „ამზადება“, როგორც ამას იმერეთში უწოდებენ, კეკო თოხით წარმოებდა მიწის მოახოებისას.

ქარჩის სახესხვაობას წარმოადგენს იმერული „თოხ-წალკარტა“ (სურ. 7 a), სვანური „ოკრიბულაჲ“ (სურ. 9, საქ. სახ. მუზ. სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა, ფარი № 5), ქართლური „ჩერკნი“ ‖ „ჩეკი“ (სურ. 10), აფხაზური „აჩაგა“ (შდრ. „ჩინგი“, მეგრ.), „აწრკანტ“ (სურ. 11), მრგვალპირიანი წერაქვი (სურ. 12), „იმერული თოხი“ (სურ. 13), რომელიც ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით (ანკამად ისმარება სიმინდის სათოხნელად) შედარებით დიდი ზომისა და „პირგორდა“ კეთდება (შდრ. „იმერული თოხი“, გურიიდან, სურ. 14; ლეჩხუმიდან, სურ. 15; სამეგრელოდან, სურ. 16; იმერეთიდან, სურ. 17 და სხვ.). განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრით მესხური „ყაზმა“ (სურ. 17 a) სოფ. უდედან.

ქარჩი ანალოგს პოვებს ძველი ხანის სამუშაო იარაღთან, კერძოდ, წინა აზიის მასალასთან (სურ. 18, ბრინჯაოს „ქარჩი“, ტეპეგავრა, E. Speiser-ის მიხედვით, სურ. 19, სპილენძის „ცულწერაქვა“, მესოპოტამია, G. Childe-ის მიხედვით; სურ. 20, ბრინჯაოს „წალკტი“ (წერაქვი), G. Contenau-ს მიხედვით). ოსური „თაძინი“ ქსნური ქარჩისაგან თითქმის არ განირჩევა. იგი განეკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნება ცალთავიან ქარჩთა წყებას და რაიმე განსაკუთრებული თავისებურება არ ახასიათებს.

ამგვარად, ქსნური ქარჩი განმარტოებით კი არ დგას, არამედ წარმოდგენილია მრავალი სახესხვაობით. ყველა ისინი ძირითადად ერთი დანიშნულებისაა. ფუნქციათა ამ ერთობლიობის ნიადაგზე იქმნება „ხელსახვნელი“ იარაღების წყება, რომელთა შორის ქსნურ ქარჩს გარკვეული ადგილი უჭირავს.



სურ. 7 a. „თოხ-წალკატა“ (იმერეთი), საქ. მუზ. კოლ. № 30—40—3

სურ. 8. წერაქვი (დალესტანი), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 232—89

სურ. 9. „ოკრიბულაჲ“ (სვანეთი)



სურ. 10. „საჩერკნი“, ანუ „ჩერკნი“ (ქართლი), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ., № 21—48—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ დასახელებული და რიგი სხვა საგულვებელი საქარჩავი იარაღები, გარეგანი მოყვანილობის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე ძირითად ტიპად დანაწილდეს. ეს საქიროცაა, ვინაიდან ნაირსახისა და სახელწოდების ქარჩთა არსებობის ფაქტები სიცხადესა და გარკვეულობას მოითხოვს.

საერთოდ ქარჩი ბერნაირი გვხვდება: „ცალთავიანი", „ორთავიანი", მათგან—„პირგამახული", „ბლაგვპირიანი", ტანდამბით—„მოქანდული", „მყაფრი" (ვერტიკალური) მათგან: „პირბრტყელი", „წვერიანი" და სხვ. სატარეს მიხედვით [1]: ბრგვალი, კუთხედი, „ლულუა" (ოვალური); მათგან — „გულღია", „სარჩილიანი", „ბუდიანი", „ყუამაღალი", „ქეჩოიანი" და სხვ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედის ღრმა დაკვირვებით ,,ძელი'' (წმინდა) და ქვიშნარე ნიადაგის დასამუშავებლად უმჯობესია საშუალო ტანის, მხარგაშლილი და მცირედით წამოხრილი თოხი, მძიმე, ლამიანი ნიადაგისათვის—დიდი ტანის, ბეჭმაღალი თოხი, ხოლო კორდი, ქვიანი ნიადაგის გასატეხად—მძიმე ტანის, პირვიწრო და მხრებდაქნილი თოხი. ამას გარდა, მძაფრი ,,გამბული'' და ,,ჯილგი'' მიწების დასამუშავებლად განკუთვნილია „ბასრნიღრიანი" სამკუთხი მოყვანილობის თოხი, ხოლო ფხვიერი, მოსახვეტი ნიადაგისათვის—,,კუტი'', ,,გულჩადრეკილი თოხი''.



სურ. 13. „იმერული თოხი" (ზემო იმერეთი)

ამგვარად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქ, სადაც გამწევი ძალით მოქმედი სახვნელი ვერ უდგებოდა ხვნა-თესვას თოხ-წერაქვებით აწარმოებდნენ. ამ უკანასკნელთ საერთო სახელად ქარჩები ან ,,ხელსახვნელები'' უწოდეთ. თითოეული ქარჩის დამახასიათებელი თავისებურება ნაკარნახევი იყო



სურ. 14. „იმერული თოხი" (გურია), საქ. მუზ. კოლ. № 7—40—7

კონკრეტული ფუნქციით. მაგალითად, როდესაც ნიადაგი ქვიანი და პირმტკიცე იყო, მიწის მუშაკს სათანადო ქარჩი სჭირდებოდა, სახელდობრ—სქელტანიანი და პირწამახული ქარჩი და ა. შ.

დიფერენცირებული ფუნქციის შესრულების საჭიროებით იყო გამოწვეული ორი ცალკეული ხასიათის ქარჩის გადაბმა და ერთ იარაღში მოქცევა, შერწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული ქარჩის შემუშავება. ამგვარი ორმაგი იარაღი ადრეეე უნდა ,,ოფიციალურ პრაქტიკაში. სერაპითონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენებული ,,ორთოხი'' [1]— ,,...აღიღო ხელითა თვისითა ორთოხი რკინისა და გამოჭანდაკნა ჯვარნი ლოდთა რათმე ზედა დიდთა''—ნიშანდობლივად მიგვითითებს, რომ წმ. მამას ქვაზე ჯვარის გამოსაჭანდაკებლად ორთავიანი თოხი, საკოდელი ჰქონია ხელთ. ორთავიანი სამუშაო იარაღების აღსანიშნავად კომპოზიტური ტერმინების გამოყენება დღემდე შემონახა, მაგალითად, ,,თოხ-წერაქვა'', ,,ბართოხა'', ,,ცულ-ქარჩი, ,,თოხწალკატა'', ,,ცულ-წერაქვა'' [2] და სხვ...

სერაპითონ ზარზმელის ცხოვრებაში (160, 20) მოხსენებული ,,ორთოხის'' გარეგანი ფორმის შესახებ გარკვეულად რაიმეს თქმა შეუძლებელია. არავითარი ცნობები მისი მოყვანილობის შესახებ, სამწუხაროდ, არ დაცულა. სახელწოდების მიხედვით ,,ორთოხი'' ნაწარმოები სახელი ჩანს. იგი, როგორც „სათხროლი", ორთავიან თოხს უნდა გულისხმობდეს. ამიტომაც ეს ტერმინი რეალურად აღარ ჩანს, მხოლოდ მოიპოვება მნიშვნელობის მხრით მისი სატყვისი იარაღი და ასევე სახელი: ,,თოხწერაქვა'', ,,ბართოხა'', ,,ცულ-ქარჩი'', ,,თოხწალკატი'' და სხვ. მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ,,ორთოხი'' ნაწილობრივ მაინც განსხვავებული ხასიათისა და ფორმისა იყო, მაგრამ ძირითადად რომ ისიც ორთავიანი იარაღი იყო, ამას მისი სახელიც ადასტურებს. მეორე მხრით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საერთოდ სახელი ისტორიულად იცვლება შინაარსს და ახალი ცნების აღმნიშვნელი ხდებოდა, გამორიცხული არ არის, რომ ტერმინი ,,ორთოხი'' ხმარებიდან გავიდა და იგი სხვა სახელით შეიცვალა [3].

ის მცირე ცნობები, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ძველ წერილობით წყაროებშია დაცული, სამწუხაროდ, უფრო ფართო მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

ამგვარად, ორმაგი ხასიათის ქარჩები წარმოადგენს, ძირითადად, შერწყმის სხვადასხვა ხასიათის მიწის ,,სათხრელ'' იარაღთა. ამ ნიადაგზე თითოეული მათგანის თითოეული მხარე განსხვავებული ფორმა-მოყვანილობისაა. ერთი თავით რომ მიწას თხრის, მეორეთი—ქვათა ამოწევდას, ან ფეხვთა აშოკვეთას აწარმოებს. ამ მხრით საინტერესოა ხევსურული ორთავიანი ქარჩი—„ცულქარჩი", რომელიც ცალი მხრით მიწასა ხნავს, ცალით—საკვეთლის როლს ასრულებს. ხევსურული „ცულ-ქარჩი" თავისი მოქმედებით მიწის მუშაობისას ახლო დგას ერქვნის იმ ტიპთან, რომელიც თავს უყრის სახნის-საკვეთლის ერთობლივ მოქმედებას და საქმიანობას გარკვეული მიზნით.

---

[1] ცხ—ცხრა-ნ ზ'რზ'ლისაგ. 17—18.

[2] „...სამყინვარი ვერცხლისა უნდა ტაპაკი, ცულწერაკჭი პატარა კვერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოჭედილი, ტარმოყალე, მოჭედილი მას ტაპასა ზე ძეს"... (იხ. ხელშეწყობის კარის გარიგება, პროფ. ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1920, გვ. 10 (20, 223—5).

[3] „ორთოხთან" დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ტერმინი „თოხი" ამჟამადაც ნაირ მნიშვნელობით იხმარება. თოხი ეწოდება ქვის საკოდ იარაღს (გუნია, თუშეთი), წისქვილის რკინას—„არქა" (ბევსუფოეთი) და საერთოდ მიწის გასათხრ იარაღს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში, თუ მათი ამგვარი სიახლოვე ცალმხრივი არ არის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახნის-საკვეთლიანი ერქვნის იდეა, წინამორბედი, ქარჩის ნიადაგზე წარმოსდგა. ამ მიმართულებით ერქვანი, საზოგადოდ, წარმოგვიდგება ქარჩის ლოგიკურ გაგრძელებად. კულტურულ-ისტორიული განვითა-



სურ. 15. „იმერული თოხი" (ლეჩხუმი), საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ. № 62—39—22

რების თვალსაზრისითაც ქარჩვითი „მიწარობა" ერქვნით მეურნეობის უძველეს ფორმას წარმოადგენს. ასევე, თოხწერაქვა (იხ. სურ. 6) ერთი თავით „კორტნის", მეორეთი „თიღავს" მიწას. არსებითად იგი წარმოადგენს თანა-



სურ. 16. „მეგრული თოხი". საქ. მუზ. ეთნ. განყ. კოლ. № 51—39—141

ბედროვე თოხისა და წერაქვის შეერთებას ერთობლივი მოქმედებისათვის. მხმარებელი იმის კვალობაზე, რომელი სახის მუშაობასაც ცნობს მიზანშეწონილად, იცვლის ხელს და ხან ერთი თავით ხნავს, ხან მეორეთი.

როგორც ცნობილია, ქარჩვითი „მიწარობა" წინ უსწრებდა საერთოდ საყანური მიწის ხვნას ერქვნით (გამწევი ძალის საშუალებით მოქმედი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხენელი). ამ მიმართულებით ქარჩი, საერთოდ, ერქვანთა უწინარეს ნაციონალად უნდა იქნეს მიჩნეული[1]. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს—მიწის ქარჩეა ყველგან და ყოველთვის საყანური მიწის დამუშავების უმარტივეს და უწინარეს წესს წარმოადგენდა. დადასტურებულია, რომ კულტურის დაბალ საფეხურებზე მყოფი ხალხები მიწარობის დაბალ ფორმებს იცნობენ[2]. ამასთანავე, ამ საქმეს, უმთავრესად, დედაკაცი უძღვება. მიწარობის ეს თავისებური ფორმა არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს განვითარებული წესებით მიწის დამუშავების გვერდით არსებულ საყანური მიწის დაქარჩვის წესებთან. უკანასკნელი მოვლენა არსებითად განსხვავებული ხასიათისაა და იგი პირობადებულია გარკვეული ფაქტორებით.

ამგვარად, ქარჩვითი „მიწარობის" ჩვენ მიერ დამოწმებული ფაქტები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხთა ანალოგიურ საქმიანობასთან, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი გარეგანი მსგავსება მათ შორის არსებობს, მაგრამ მსგავსება, როგორც ითქვა, იგივეობას არ ნიშნავს. პირველ შემთხვევაში მიწის დამუშავების აღნიშნული წესი მეურნეობის დაბალი დონის მაჩვენებელია და იგი ხალხის ტექნიკური ჩამორჩენის შედეგია. მეორე შემთხვევაში დიამეტრალურად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. დიდად განვითარებულ მიწის დამუშავებასთან ერთად ადგილი აქვს ძველი, პრიმიტიული სახის მიწარობას. ეროთი სიტყვით ქარჩვის წესით დამუშავება მიწისა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაბალი, ეტსტენსიური მეურნეობის გამომხატველად, რამდენადაც ობიექტური პირობები—მიწის რელიეფის და კონფიგურაციის თავისებურება—ინტენსიური სახით ნიადაგის დამუშავების საშუალებას არ იძლევა. ეს გარემოება ქარჩისა და ქარჩვითი მიწარობის შესახებ მსჯელობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ხმარებაში შემოდის თანდათანობით სრულყოფილი სახის სახვნელები, ქარჩი არ გადის ხმარებიდან და კვლავინდებურად განაგრძობს არსებობას. რიგ შემთხვევაში იგი ერთადერთს სახვნელს წარმოადგენს გარკვეულ უბანზე მიწის სახნავად. მდგომარეობა ისეთია, რომ ადგილობრივი ნიადაგის მოურგებელი ბარათუ სახვნელი, ჩვეულებრივი თოხი და წერაქვი ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას. ყველა ეს მდგომარეობა განსაზღვრავდა ქარჩთა ფორმა-შინაარსს და აქცევდა მათ ამა თუ იმ კუთხისათვის „შეთაბუნებულ" სამეურნეო იარაღად. საბოლოოდ, ამ ნიადაგზე ყალიბდებოდა და იქმნებოდა ნიარსახის ქარჩი, რომელსაც გარკვეული ასპარეზი მოეპოვებოდა, განსაკუთრებით „ლაკადა" ადგილების სახით, როგორც მთის, ისე ზეგანის ზოლში. ამგვარად, ქარჩვითი მიწარობა, ვითარცა პირველი საფეხური ხვნა-თესვის კულტურისა[3], საერთოდ,

[1] მოკმედდებისა და ხმარების პრინციპით, ეგრეთვე აღნაგობის სიმარტივის მიხედვით, ქარჩი ერქვანთა მწკრივში უკვედეს ფორმად უნდა ჩაითვალოს.

[2] Ф. Ратцель. Народоведение. Т. I.

[3] საქართველოს ისტორიაში, სადაც ადრინდელი მიწათმოქმედების საკითხის შესახებაა მსჯელობა, შემდეგს ვკითხულობთ: „...თანდათან შეიცვალა ადამიანმა მიწათმოქმედება, ფეტალი ჯოხისა და სადა თოხის (ქარჩის) საშუალებით ამოშავებდნენ მიწას და სთესდნენ ქეოს, ფეტეს, ბარბალეს" (3, 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ უსწრებდა ერქვნითი მიწარობას, შემდეგშიდაც გაუმჯობესებული სახვნელი იარაღების გვერდით და მათ პარალელურად ქარჩი თავის დანიშნულებას ასრულებდა, რადგანაც ქარჩვით მიწარობას განსაზღვრულ უბანზე თავისი



სურ. 17. „ჯალის თოხი" (იმერეთი)

სამოქმედო ასპარეზი გააჩნდა და მასზე აღმომფხვრელ ზეგავლენას ვერ ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი სამეურნეო ცვლილებანი და ტექნიკური წინსვლა. თავისი ტექნიკითა და ორგანიზაციით მეურნეობის ეს ერთ-



სურ. 17 ა. „ყაზმა" (თოხი), მესხეთიდან

ერთი არქაული ფორმა — ახოს აღების წესი („Подсечное земледелие") საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ კუთხეებში მე-20 საუკუნემდე აღწევს[1].

[1] იხ. П. Н. Третьяков. Подсечное земледелие в Восточной Европе. Известия ГАИМК, т. XIV, вып. I, 1932, стр. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი დასაწყისი ფორმით ქარჩითი მიწარობა სოციალურად დედამთავრულ ხანას ემთხვევა, როდესაც წამყვანი როლი მეურნეობაში ქალს ეკუთვნის [1]. შემდეგში, როგორც ცნობილია, მიწარობის საქმე მამაკაცმა დაიჭირა და ხელით ხვნა-ქარჩვაც, როგორც წესი, მუშა პირუტყვის საშუალებით ხვნამ შესცვალა. ამ ვითარებაში ქარჩი თანდათანობით ადგილს უთმობდა „სა-



სურ. 18. წერაქვი ბრინჯაოსი, ტეპეგავრა, E. Speiser-ის მიხედვით

სურ. 19. წერაქვი სპილენძისა, მესოპოტამია, V. Gordon Childe-ს მიხედვით

ხვნელს“ და საქარჩავი მიწის ფარგლები ნელ-ნელა წვიწროდებოდა საბოლოო საზღვრამდე, რომლის იქით სხვა სახვნელს, გარდა ქარჩისა, ხელი არ ჰქონდა.



სურ. 20. წალატი ბრინჯაოსი, G. Contenau-ს მიხედვით

ამ მიმართულებით საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული საყანური მიწის ქარჩა, ვითარცა გადმონაშთი ერთ დროს საყოველთაოდ გავრცელებული მიწარობის წესისა, საყურადღებოა კულტურულ-ისტორიული

[1] უნდა ვივარაუდოთ, რომ ქარჩვა საქალებო მიწარობასთან ერთად დაკავშირებული იყო გენეტიურად გარკვეული პურეული კულტურის განვითარებასთან. ქარჩვას ამჟამად საპაკეტები აწარმოვენ, მაგრამ ეს საქმიანი არც ქალებისთვისაა მორგული. საქ-ოს ზოგიერთ კუთხეში (ხევსურეთი, ხემო რაჭა) ქარჩვის სამუშაოებს უმთავრესად ქალი ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისით, კერძოდ, ქართველ ტომებში შემუშავებული მიწურობა-[illegible] სტადიალური განსხვითარების გასაკვლევად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ქართველი მიწის მუშაკი უბირი მიწის დახვნის, დახნულის ხელმეორედ გადახვნის და გადახნულ დარეცვეულის დაშლა-გაფხვიერების არსებითად განასხვავებდა და თითოეულ მათგანს თავისებური ხასიათის სამუშაოთ თვლიდა, მასთან თითოეულ ამ სამუშაოს განსხვავებული ტერმინით აღნიშნავდა. პირველს უწოდებდა—„მიწის გატეხვას", მეორეს—„ათშვას", მესამეს—„თოხნას", თავისმხრით „გასატეხი მიწა" შეიძლებოდა ყოფილიყო:

„ახო", თუ იგი „ახლად მოქნილი" ნატყეევარი იქნებოდა, „კორდი", თუ იგი თავიდანვე უხნავი იქნებოდა, ყამირი—თუ ერთი, ან რამდენიმე წლით დასვენებული მიწა იყო და სხვ... ხალხური ემპირიული ცოდნა-გამოცდილების მიხედვით მიწის „გატეხვის" მთავარ მიზანს წარმოადგენდა ნიადაგის შემზადება სათესად („დაწვა", „მონამბილება", „მომწიფება", „მოყვანა", ფესვთა და ხის ძირთაგან გაწმენდა). მიწის გასატეხად საჭირო იყო შემდეგი საუშაო იარაღი: „საურა"[1], რკინის კტი, ქარჩი. პირველი მიწის

[1] „საურა" მარტივი აგებულების იარაღია. გარეგნულად ახალი წაგაგის სახელელ კაეს, რომლისაგანაც ქუსლის უკანლობით განირჩეგა. იგი შედგება „შოტტასა", საკეთილსა და ხელსახსაგან. შოტტა და ხელნა ხისაა, საკეთილი—რკინისა. ეს უკანასკნელი ჩასმულია შოტტაში კუთხეში „ხანის" (ნახერტის) საშუალებით ცერად, მახვილი პირით წინისაკენ მიმართული ისე რომ საკირიბების შემოხვევაში მისი აწევა-დაწევა და აქეთ-იქით მიხვრა-მოხვრა შეიძლება. მოსაამართავად იხმარება ხის სოტები. ამავე ბოლოზე შოტტას მიმაგრებული აქვს, რიგ შემოხვევაში, „სატერფე" ლელეკი, რომელის საშუალებითაც „აწერიავი" აწეყრიგებს საურას მოქმედებას ფეზით.

ამგვარი აგებულების გამო „საურა" მიწის პირს კი არ ანგრევს, არამედ სერავს და „ფაორავს" მას. საურას ნაკვალევი წარმოადგენს არა „ორნარს", არამედ „ნაწერს", რომელშიც მომდევნო სახნისიან სახვნელს გზა უნდა გაეწყოფოს. ამ მიმართულებით მიწის გაგრეგა არ ჩაითვლება დასრულებულ ხვნად. ეს საქმე სხვა სახვნელ იარაღმა უნდა განაპირეველოს და მოათავოს (5,286).

საურას სინონიმური სახელებია: „საურა" (მთიულ.), „კაეს-აკეეთი" || „საკეეთი" (რაჭა, ლეჩს.), „კაეწერა" (ბეკსურ.) და სხვ. მათგან ძირითადია „საურა" და საკეეთი. როგორც ეროთი, ისე მეორე წარმოდგენს ნასმენო სახელს და მიღებულია პირველი ტერმინი ზმნა „წერა"-საგან, ხოლო მეორე—„კეეთა"-საგან. ორივე ეს სახელი, თუ ზემოხსენებული იარაღის ფუნქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ზედმიწევნით გამოსატაეს ცნების შინაარს.

საყურადღებოა, რომ ტერმინი—„წერა" იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით: მაგალითად, „წერეა" ერთ შემთხვევაში აღნიშნავს დაბრეცილებს, დასახეს (დაწერილი დედაბოძი—დაკრეცილებული დედაბოძი და სხვ.), მეორე შემთხვევაში—რისამე ბეღდვას შავად (შდრ.: „წერი, საწერავი, ამოწერილის საღებავი", საპა; დაწერილი ფალი—შავად შეღებილი ფალი; დაწერილი ჯადომა=დაბნეწარეტული, შავებში მყოფის მდგომარეობა, ბალ.); სხვა შემთხვევაში „წერეა", „წერა" შეიძლება ნიშნავდეს ბოძკილი და ანად შეკრული ეტრის ბობვას „მიმთხვევას" სარხე (შდრ.: „წერი"=ზეინი, მოწერეა=დაზეინეეა, „აწერიავი"=მეკინავი) ან ფსაროდ მის შეკნნას „სერკეად" (ზვინად), ასევე კვალის, ხასის გავლებას (საქონლის ტყაეის გაწერეგა შოლტების მისალებად, დასახერხი ან გასაკოპიტებელი ხის მორის დალარეეა და სხვ.). ან ბზარს საეროოდ („გაწერილი" ქვაბი, ფიცარი და სხვ. შდრ.: „წერილი"=გაბზარული, მეგრ.). ამ მიმართულებით საინტერესოა ჩანს ხელეკეერის სვანური სახელი—„წერილა" და გურული სასიმღერო ყანურისა—„წერიოდია". ამგვარად, ტერმინი—„საურა" მრავალმხრივ საინტერესოა ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,გასაწრარდ'' (ვინაიდან სახვნელი პირველ ორ წელიწადს მაინც ახოს სანნაყალ ვერ მუშაობდა), მეორე-ქვათა და ფესვთა ამოსაწვდელად, მესამე—დასაქარჩად, დასახნავად. ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, თთავარ როლს ასრულებდა ქარჩი, რომელსაც საჭირო შემთხვევაში დახმარებას უწევდა კავწერა და რკინის კეტი.

ლეჩხუმში სისო ასათიანის (სოფ. ალპანას მცხოვ.) ცნობით ხშირი იყო ახოს „მოქნა" და მისი „დაწალკატება". უკანასკნელ დროამდე ისეთი „მამუ-ლები", რომლებიც ახოს წარმოადგენდნენ ან მიუდგომელ ადგილას იდვნენ, წალკატის საშუალებით მუშავდებოდა, რაც შეეხება დიდი ხნის უხნავ მიწას —„უსს" (კორდი), მას ჯერ საკეთით („კავწერათი") ,,დაასაკეთილებდნენ'' (დასერავდნენ) და შემდეგ სახვნელით ხნავდნენ. ასევე სვანეთში ახალ ახოს სპეციალური იარაღით — ,,ლაბარჯა''-თი გადახნავდნენ, რასაც „ლიბარჯი" ეწოდებოდა. „ლაბარჯა" ხისა იყო. ამისათვის საგანგებოდ შეარჩევდნენ მა-გარი ჯიშის ხეს, რომელიც „მუხლმოდრეკილი" უნდა ყოფილიყო და მისგან „ლაბარჯას" გამოთლიდნენ (შდრ. რაჭული „კაფია")[1].

ქარჩვითი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ქარჩოა ნაირობასთან ერთად აღსანიშნავია საყურადღებო და მდიდარი ტერმინოლოგია. ქართველი მიწათმოქმედის პრაქტიკულ ცხოვრებაში ცხოველად შემონახული სამიწათმო-ქმედო ემპირიული ცოდნა და მისი მკაფიო სიტყვიერი გამოსახულება მეურ-ნეობის მაღალ და ღრმა ტრადიციებს მოწმობს, საერთოდ, ქართული სამეურ-ნეო იარაღები და მათი მოქმედების ყველა ცალკეული პროცესი წარმოდ-გენილია საგანგებო და განსხვავებული სახელით. ხშირად ესა თუ ის ტერმინი იმდენად ნიშნდობლივად გამოხატავს ცნების საგანს, რომ შესაძლებელი ხდება რეალური ნივთის თავისებურების წარმოდგენა. ეს გარემოება მნიშვნე-ლოვანია იმ მხრივაც, რომ სინამდვილიდან აწგადასული ესა თუ ის სამეურ-ნეო იარაღი შეიძლება დაახლოებით მაინც აღვადგინოთ ამ ნიადაგზე. ამ მიმართულებით საყურადღებო სახელებია შინაარსის მხრით: „კაფია", ,,ბარ-ჯუკი", „ჩერკანი", „ჩინგი" და სხვ. აგრეთვე—„დაქარჩვა", „ჩანგარა'', ,,მო-ბართოხება'', ,,მოკაფიავება'', ,,დაჩოჩკნვა'' და სხვ.

ამგვარად, როგორც ცალთავიანი, ისე ორთავიანი ქარჩის ტიპები, რომელ-ნიც დანიშნულებით ერთნი არიან, ფორმა-შინაარსით გარკვეულ თავისე-ბურებებს ამჟღავნებენ და სპეციფიკური ხასიათის ნიშნებით ხასიათდებიან.

ამგვარად, ქარჩი წარმოდგენილია ნაირი ქვესახითა და სახელწოდებით. ხელსახნელი იარაღების ეს ტიპები და მასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია მკაფიოდ გვისურათებს მიწათმოქმედებისა და მეურნეობის განვითარებულ წესებს—ძველადვე საქართველოში.

---

[1] საყურადღებოა, რომ კლასიკური ქვეყნების მწერალთა ცნობის მიხედვით (11,142) ძველად ალბანეთში ხენას აწარმოებდნენ ხის სახვნელით, რომელსაც რკინის სახნისი არ გა-ჰქონდა. შდრ. „შვეპმა" დიხას ჯვეშო ხაკალიში ჯათ ნოხორტდდეს, კინახონა ვანოჩქედეს"... (ი. ჯალაღანია, 69 წლ., სოფ. სყურიდია, წალენჯ. რაიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. Б. РЕХВИАШВИЛИ

ГРУЗИНСКОЕ СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННОЕ ОРУДИЕ—„КАРЧИ“

Резюме

В фонде металла отдела этнографии Музея Грузии им. акад. С. Джанашиа хранятся старые орудия интересных типов. Среди них обращает на себя внимание земледельческое орудие особого характера „карчи“, которое известно под многими названиями: „корчи“, „окрибулай“, „барджуки“, „цалкати“, „тохи“, „ченги“ „церакви“, „барула“, „цулкарчи“, „тохцеракви“ и др. В грузинской этнографической действительности вообще засвидетельствовано „карчи“ различного вида и характера.

„Карчи“ изготовлялось кузнецом с соблюдением специальных условий.

Основной функцией карчи являлась обработка земли, особенно в таких местностях где невозможно было применение тягловой силы (тесные и крутые склоны) или же когда эти местности представляли из себя впервые обрабатываемую целину или же многолетний пар.

Карчи представляло из себя единственное орудие с помощью которого земледелец мог в особых географических условиях производить посевы. Этим самым карчи заменяло обработку земли с помощью быка и выполняло функцию сохи. Карчи представляло из себя некоторого рода „ручную соху“.

Выработка карчи и его разновидностей была обусловлена своеобразностями местности и функций. В отношении устройства карчи были одинарные и двойные. В свою очередь как первые, так и вторые могли быть разного рода: лезвиеобразные, с острым концом, плоские, круглые, подогнутые, изогнутые и т. д.

Разного вида и характера карчи и связанные с ними приемы работ, терминология и др. засвидетельствованные в этнографической действительности Грузии говорят о высокой культуре обработки земли в Грузии.

В истории развития земледелия обработка земли мотыжением является одним из древнейших способов, предшествующим, как известно, обработке земли с использованием тягловой силы.

Использование некоторых особенностей „карчи“ для нового социалистического сельского хозяйства в деле выработки соответствующих рабочих орудий имеет практическое значение и может принести определенную пользу.

ლიტერატურა—ЛИТЕРАТУРА

1. სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გ. ჩიტაია. რაჭული სიტყვანი. ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937.
3. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. აკად. ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1943.
4. С. Белокуров. Материалы для русской истории. М., 1888.
5. გ. ჩიტაია. ქსნის ბეღლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ენიმკი-ს მოამბე, ტ. IV.
6. მ. პოლიევქტოვი ტ. ტოლოჩანოვისა და დიაკი ივანეს ელჩობა ირანში 1640—1652. ტფ. 1926.
7. ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფ., 1930.
8. Сборник сведений о Кутаисской губернии. Вып. IV, Очерк имеретии.
9. П. Н. Третьяков. Подсечное земледелие в Восточной Европе, Известия ГАИМК, т. XIV, вып. I, 1932.
10. ხელმწიფის კარის გარიგება, პროფ. ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1920.
11. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. СПБ., 1893.
12. E. Speiser. The historical significance of Tepe Gowra, repart of the Smithsonian Institution. 1933.
13. G. Contenau. Manuel d'archeologie orientale. T. I, Paris, 1927.
14. V. Gordon Childe. The Aryans, a study of Indo—European, origins. London, 1926.

ნ. ფოფიაშვილი

XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის

(XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი)

XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგია არ არის დადგენილი. ამ პერიოდის ფაქტიური მასალა შედარებით უკეთ არის შესწავლილი, ვიდრე ქრონოლოგია. მკვლევართა მიერ ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებები ხშირად არ ეთანხმება ერთიმეორეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ პერიოდიდან ჩვენ არ გვაქვს შემონახული არც ერთი თანადროული ნარატიული წყარო. მისი შესწავლა გვიხდება XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსის ყამთაღაშწერლის თხზულების მიხედვით, რომელშაც ფაქტიური მასალა იცის, მაგრამ მოვლენათა თანმიმდევრობას ხშირად ურევს, ამასთან არ იძლევა თარიღებს. XIII ს-ის ყველა დღემდე შემონახული საბუთიც უთარიღოა. ამდენად, XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის კვლევა (ისევე, როგორც სხვა პერიოდისაც) მნიშვნელოვანი ამოცანაა. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს დაადგინოს XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი. XIII ს-ის საბუთებში, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, უთარიღოა, მოხსენებულია რამდენიმე კათალიკოსი. მათი კათალიკოსობის დროის დადგენა თავის მხრივ არკვევს XIII ს-ის მრავალ ქრონოლოგიურ საკითხს.

— : —

XIII ს-ის I ნახევრის კათალიკოსთა რიგზე მოსაზრებები გამოთქმული აქვთ თ. ჟორდანიას[1] და ს. კაკაბაძეს[2].

თ. ჟორდანიას ქრონოლოგია XIII ს-ის I ნახ-ის კათალიკოსებზე დამყარებულია მოძველებულ და მეცნიერების მიერ უარყოფილ მოსაზრებებზე.

ს. კაკაბაძეს თავისი სქემა XIII ს-ის კათალიკოსთა რიგზე ერთხელ შეცვალა[3], ხოლო შემდეგ მთლიანად უარყო ეს სქემა „ძველ კათალიკოსის დაწერილის“ ახლებური დათარიღებით[4]. ახალი მოსაზრებები მას ამ საკითხზე აღარ წაპოუყენებია.

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 94—97; 108; 125—126; 152.

[2] ს. კაკაბაძე. XIII ს-ის I ნახევრის კათალიკოსები; აგრეთვე, საისტ. მ-ბე, II, 1925, გვ. 124, 131.

[3] ს. კაკაბაძე. საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 124, 131.

[4] საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის შრომაში „საკვლევი ფეოდალურ საქართველოში“ არსენ ჭყონდიდელთან დაკავშირებით, რომელიც შემდეგ კათალიკოსიც გახდა, შეეხო XIII ს-ის არსენ კათალიკოსებს და გააკრიტიკა ს. კაკაბაძის მოსაზრებები მათ შესახებ [1].

სანამ ჩამოვაყალიბებდეთ ჩვენს მოსაზრებას XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგზე, საჭიროა გავითვალისწინოთ თ. ყორდანიას და ს. კაკაბაძის სქემები XIII ს-ის I ნახ-ის კათალიკოსთა რიგზე და აკად. ნ. ბერძენიშვილის კრიტიკა ს. კაკაბაძის მოსაზრებებისა არსენ კათალიკოსებზე.

თ. ყორდანიას სქემა XIII ს-ის I ნახ-ის კათალიკოსთა რიგზე:

1. ა რ ს ე ნ ი
   კათალიკოსობს 1218—1227 წლებში;
   1227—1240 წლებში შიო მღვიმელია ბერად აღკვეცილი;
   დათარიღების საფუძველი:
   ა. 1218 კათალიკოსად ჩანს ეპიფანე;
   ბ. 1227 წელს, ან ცოტა ადრე, კათალიკოსადაა გიორგი — ამას მოწმობს გიორგის მოხსენება ვაჰანის ტიბიკონში, რომელიც დაწერილია 1227 წელს (რადგან ამ წელს გარდაცვალა ივანე მხარგრძელი — ავტორი ამ ტიბიკონისა);
   გ. შიომღვიმის „ზატიკის“ კათალიკოსთა სიაში გიორგი არსენისშემდეგაა მოხსენებული;
2. გ ი ო რ გ ი
   კათალიკოსობდა 1227 წ-დან;
3. ნ ი კ ო ლ ო ზ ი
   კათალიკოსად გახდა 1246 წლის ახლოს, გადადგა 1282 წლის ახლოს;
   დათარიღების საფუძველი:
   ა. კათალიკოსი ნიკოლოზი ქართლის ცხოვრებაში იხსენიება 1246 წლის ახლოს;
   ბ. ქართლის ცხოვრების ცნობითვე ნიკოლოზი 1280 წლის ახლოს გადადგება და თავის მაგივრად აკურთხებს მეფის ჯეარისმტეერთველს აბრაამს.

თ. ყორდანია შეცდომით თვლის ივანე მხარგრძელს ვაჰანის ტიბიკონის აღმრცველად და, ამდენად, შეცდომით განსაზღვრავს გიორგის კათალიკოსობის დროსაც. გარდა ამისა, ის არსენი, რომელიც თ. ყორდანიას აზრით კათალიკოსობდა 1218—1227 წლებს შორის, მისივე აზრით, იყო შიომღვიმის „ზატიკში“ დართულ კათალიკოსთა სიის „ყოველად განთქმული სალმრთოთა წიგნთა თარგმანი“ არსენი — თ. ყორდანიას ყურადღება არ მიუქცევია ამ ფაქტი-

[1] ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 398—409.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, რომ ეს უკანასკნელი არსენი აღნიშნულ სიაში გიორგის შემდეგაა მოხსენებული და, ამდენად, განსხვავდება იმ არსენისგან, რომელიც ამავე სიაში გიორგის წინაა მოხსენებული; არსებობს არსენ ბულმაისიმის-ძეც [1], მაგრამ თ. ჟორდანია ამაზე არაფერს ამბობს. შესაძლოა მასაც იგივე 1218—1227 წლებს შორის მყოფ კათალიკოსად თვლის. გარდა ამისა, თ. ჟორდანიას, როგორც შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ყურადღება არ მიუქცევია, რომ გრიგოლ სურამელის დაწერილს, სადაც კათალიკოს — მწიგნობართუხუცესს-ყოფილი არსენი ურთავს ხელს, ხელს ურთავს აგრეთვე სხვა არსენ კათალიკოსი [2].

თ. ჟორდანიას მოსაზრება, რომლის თანახმად ნიკოლოზი კათალიკოსად ჩანს 1246 წლის ახლოს, შემცდარია: მართალია ქართლის ცხოვრება ნიკოლოზის მიერ ყაენისგან „იერლაყის“ ჩამოტანას ავაგ ათაბაგისა და დავით მეფეების ყარაყორუმიდან დაბრუნების წინ აღნიშნავს, მაგრამ ეამთააღმწერელი აქ ცდება: გვიან მომხდარი ფაქტი გადაადგილა წინა ხანებში (ისე, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში). ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნიკოლოზი მიდის ულლისთან (ჰულაგუ), ხოლო ეს უკანასკნელი ერანის ილხანია 1256 წლიდან [3]. შესაძლოა გეფიქრა, რომ ეამთააღმწერელი სწორად აღნიშნავს ნიკოლოზის გამგზავრების დროს, მაგრამ შეცდომით ასახელებს ჰულაგუს. მაგრამ ასეთი შემთხვევაში გამოდის, რომ ნიკოლოზს საქართველოს ეკლესიის დაცვის „იერლაყი“ მიუღია ნონისგან (ჰულაგუ პირველი ილხანია). ეს კი, როგორც წყაროებიდან ჩანს, ნონის კომპეტენციაში არ შედიოდა და იგი საქართველოს კათალიკოსს ასეთი „იერლაყის“ მისაღებად ყარაყორუმში გგზავნიდა დიდ ყაენთან, ან ყოველ შემთხვევაში ბათუ ყაენთან [4]. ნიკოლოზი კი არც ბათუსთან წასულა და არც ყარაყორუმში, არამედ მხოლოდ ერანში. ამიტომ ამას, ალბათ, მართლაც ჰულაგუს დროს ჰქონდა ადგილი, ე. ი. არა უადრეს 1256 წლისა.

ს. ბაბაბაძის სქემა XIII ს-ის I ნახევრის კათალიკოსთა რიგზე

I ვარიანტი

1. იოანე
   XIII ს-ის დასაწყისში (ქართლის ცხოვრება, 313—317);
2. ეპიფანე
   ჩანს 1218 წელს (ანისის ქართ. წარწერა);
3. არსენი III
4. გიორგი

} 1218—1224 წლებში.

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II, 103—111.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 393.

[3] C. Л е и-П у л ь. Мусульманские династии, ст. 182.

[4] ისე, როგორც, მაგალითად, კილიკიის მეფემ მსგავსი „იერლაყის“ მისაღებად ჯერ თავის ძმა გაგზავნა ვეფუქუთან, ხოლო როცა ყაენად მანგუ დაჯდა (ე. ი. 1251 წელს), თვით გაემგზავრა მასთან იმავე მიზნით (იხ. კირაკოს კანძაკელი, *Պատմութիւն հայոց*, 1909, გვ. 350—357).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათარიღების საფუძველი: შიომღვიმის „ზატიკში“ დართულ კათალიკოსთა სიაში ეპიფანეს შემდეგ არსენი და გიორგი არიან მოხსენებული, ხოლო გიორგი ვაჭანის ტბიკონში იხსენიება 1224 წელს;

5. ა რ ს ე ნ IV
„ზატიკთან“ დართულ სიაში იხსენიება გიორგის შემდეგ, ე. ი. 1224 წ ლ ი დ ა ნ;
1233 წ ე ლ ს იხსენიება უნივერსიტეტის სიძვ. საც. საბ. № 85-ში (იხ. ქრონიკები, II, გვ. 103—111), სადაც იწოდება არსენ ბულმაისიმისძედ;
1236 წ ე ლ ზ ე არა უადრეს დაწერილ „გრიგოლ სურამელის დაწერილში“ მოხსენებულია კათალიკოს-მწიგნობართუხუცესყოფილად, შემონაზვნებულად;
ცოცხალია 1249 წ ლ ა მ დ ე — ამას მოწმობს ამ წელს დაწერილი „მიქელ კათალიკოზის დაწერილი“, რომელსაც ის (არსენი) ხელს ურთავს;

6. ა რ ს ე ნ V
მოხსენებულია „გრიგოლ სურამელის დაწერილში“;

7. მ ი ქ ე ლ
ცნობილია მის მიერ 1249 წელს დაწერილი საბუთიდან;

8. ნ ი კ ო ლ ო ზ ი
ხელს ურთავს 1250 წელს დაწერილ „გრიგოლ მსახურთუხუცესის დაწერილს“.

II. შ ე ს წ ო რ ე ბ უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი:

1. ი ო ა ნ ე
XIII ს-ის დასაწყისში;

2. ე პ ი ფ ა ნ ე
ჩანს 1218 წელს;

3. ა რ ს ე ნ ი III
4. გ ი ო რ გ ი } 1218—1224 წლებში;

5. ა რ ს ე ნ ი IV ბულმაისიმისძე
ჩანს შიომღვიმის „ზატიკის“ სიაში გიორგის შემდეგ, ე. ი. 1224 წლიდან; 1233 წელს იხსენიება უნივ. სიძვ. საც. საბ. № 85-ში (ქ“ბი, 11, გვ. 103—111);

6. ა რ ს ე ნ ი V—ჭყონდიდელი—კათალიკოსი (შემდეგ შემონოზნებული): 1242—1245 წლებში ჩანს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად—„არსენ ჭყონდიდლის დაწერილში“;
1245—1245 (? — კორ. შეც.) წლებში უკვე შემონოზნებული ჩანს „გრიგოლ სურამელის დაწერილში“, სადაც თავის თავს უწოდებს მიქელ კათალიკოსის „მრწემს“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ე

1242—1245 წლებში ჩანს „არსენ ჭყონდიდლის დაწერილში“— როგორც ჩანს, მეორედ გამხდარა კათალიკოსად; შემდეგ, ხელს ურთავს „გრიგოლ სურამელის დაწერილს“;

8. მ ი ქ ე ლ ი

ცნობილია მის მიერ 1249 წელს დაწერილ საბუთიდან;

9. ნ ი კ ო ლ ო ზ ი

ხელს ურთავს 1250 წელს დაწერილ „გრიგოლ მსახურთ უხუცესის დაწერილს“.

აკად. ნ. ბერძენიშვილის კრიტიკა არსენ კათალიკოსთა შესახებ
ს. კაკაბაძის მოსაზრებებისა

I. ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ე

1. 1224 წ ე ლ ს ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ე ა რ ყ ო ფ ი ლ ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს ა:

ა. „ზატიკის“ სიით უკანასკნელი კათალიკოსი გიორგია, ხოლო მის შემდგომი არსენი აშიაზე სახარების გადამწერის ხელით 1270 წელს მიწერილი და ალბათ მისივე ჩამატებულია;

ბ. თუნდაც აშიაზე მიწერილი არსენი ტექსტში შედიოდეს, ის მაინც ვერ იქნება არსენ ბულმაისიმისძე, რადგან: 1. აშიაზე მინაწერის არსენი გარდაცვლილი ჩანს (ე. ი. 1224 წელს), ხოლო არსენ ბულმაისიმისძე უნივ. სიძვ. საც. საბ. № 85-ის ცნობით ცოცხალია 1233 წელს (და ს. კაკაბაძის აზრით — 1245 წელსაც); 2. აშიაზე მინაწერის არსენი განთქმულია როგორც „საღმრთოთა წიგნთა თარგმანი“, ხოლო ბულმაისიმისძე, უნ. სიძვ. საც. საბ № 85-ის მიხედვითა, ცნობილია მხოლოდ როგორც ჰიმნოგრაფი (იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., 1,343—346);

2. 1233 წ ე ლ ს ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ე ქ ა რ თ ლ ი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ა რ ყ ო ფ ი ლ ა:

ა. ხელნაწერში ბულმაისიმისძე ქართლის კათალიკოსად ერთხელ იხსენიება აშიაზე რაღაც ანაფხეკის ადგილზე სხვა ხელით გაკეთებულ მინაწერში; მეორედ მართალია თვით ტექსტში, ტექსტისვე ხელითაა მოხსენებული, მაგრამ „ქართლის კოკ“ ანაფხეკზეა დაწერილი. შესაძლოა ანაფხეკის ადგილზე აქ იყო „აფაზათა“ ან „იმერთა“ კათალიკოსი.

3. ა რ ს ე ნ ბ უ ლ მ ა ი ს ი მ ი ს ძ ი ს ს ა ე რ თ ო დ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ო ბ ა ს ა ე ჭ ვ ო ა რ ა ა:

ა. ტექსტში ის კათალიკოსადაა მოხსენებული.

დ ა ს კ ვ ნ ა: ს. კაკაბაძის სქემის როგორც ის ნაწილი, სადაც ის ბულმაისიმისძეს 1224 და 1233 წლებში ქართლის კათალიკოსად მიიჩნევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ის ნიწილიც, სადაც მას 1240—1245 წლებში მეორედ გაკათალიკოსებულად აღიარებს, სადაო და საეჭვოა.

II. არსენ ჭყონდიდელი

1. არსენ ჭყონდიდლის მწიგნობართუხუცესობას 1242—1245 წლებში საფუძველი არა აქვს:

ა. „არსენ ჭყონდიდლის დაწერილი“ შედგენილია არა 1242—45 წლებში, არამედ—1241—42 წლებში;

2. არსენ ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესად შეიძლება გამხდარიყო 1235—38 წლებში დაახლოებით (წლოვანების მიხედვით);

3. არსენ ჭყონდიდელი შემდეგში (ე. ი. 1242 წლის შემდეგ) კათალიკოსიც გამხდარა („გრიგოლ სურამელის დაწერილში“ ის უკვე კათალიკოსყოფილია), მაგრამ არ ჩანს როდის;

4. 1249 წლის „მიქელ კათალიკოსის დაწერილში“ ხელის ჩამრთველი არსენი არის არა მწიგნობართუხუცესყოფილი არსენი, არამედ აფხაზთა კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე:

ა. საბუთის მინაწერი, სადაც აღნიშნულია: „ამის ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზებთა დაწერილისა“, ეკეს იწვევს: 1. „ღმრთისა მიერ“ შეუფერებელია — უნდა იყოს „ქს მიერ“; 2. „კათალიკოზებთა“ გრამატიკულად არაა სწორი; 3. მინაწერი საბუთის ავტორებად ორივე კათალიკოსს თვლის, ხელრთვაში კი არსენი მხოლოდ დამამტკიცებლად ჩანს საბუთის და არა ავტორად;

ბ. ხელრთვაში არსენი თავის თავს ეწოდებს: „მრწემი სიწმინდისა მათისა“ (ე. ი. მიქელ კათალიკოზისა)—ასე კი არ შეეძლო თავის თავისთვის ეწოდებინა არც ქართლის კათალიკოსს, არც მწირად შემდგარ ქართლის კათალიკოსყოფილს. ასეთი თქმა შეჰფეროდა მხოლოდ კათალიკოსს, მაგრამ უმცროსს — ე. ი. აფხაზთა.

გ. როგორც უნივ. ხელნაწ. № 85-დან ჩანს, ბულმაისიმისძე უნდა ყოფილიყო აფხაზთა კათალიკოსი (ეს ზემოთ იყო აღნიშნული). ამდენად, „მიქელ კათალიკოსის დაწერილის“ დამამტკიცებელი არსენი ალბათ სწორედ ის იყო;

5. „არსენ ჭყონდიდლის დაწერილში“ ბასილ ჭყონდიდელს ხელი ჩართული აქვს გვიან (იხ. ამის შესახებ ი. ცინცაძე. „არსენ ჭყონდ. სიგელი“, საქ. არქ. 11, 1927 წ. გვ. 14—28); ამასთან, არსენ კათალიკოსთან ერთდროულად; ეს ხელრთვა არ შეიძლება მოხდარიყო 1249 წელზე გვიან, რადგან ამ წელს კათალიკოსად მიქელია.

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა განვიხილოთ XIII ს-ის 40-იანი წლების რამდენიმე საბუთი. განვსაზღვროთ მათი დაწერისა და მათში კათალიკოსთა ხელრთვის თარიღები. ეს საბუთებია:

1. „მიქელ კათალიკოსის დაწერილი“ [1];
2. „გრიგოლ სურამელის დაწერილი“ [2];
3. „არსენ ჭყონდიდლის დაწერილი“ [3];
4. „მსახურთუხუცეს გრიგორ სურამელის დაწერილი“ [4];

ამ საბუთების განხილვა და დათარიღება, გარდა XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგის დადგენისა, როგორც აღვნიშნეთ, გაარკვევს XIII ს-ის ზოგიერთ სხვა ქრონოლოგიურ საკითხსაც.

„მიქელ კათალიკოსის დაწერილი“

საბუთი წარმოადგენს კათალიკოს მიქელის წყალობის წიგნს მის მსახურთუხუცეს ვაჩე გვარამაძისადმი, რომლითაც მიქელი გვარამაძეს განუჩენს ეკლესიის „სასამსახურო“ სოფელს ორომაშენს.

საბუთს ხელს ურთავენ შემდეგი პირები:

1. კათალიკოსი;
2. დავით მეფე;
3. „მრწემი სიწმინდისა მათისაი გლახაკი არსენი კათალიკოზიეე“;
4. ავიგ ათაბაგ-ამირსპასალარი;
5. შაჰანშა მანდატურთუხუცესი;
6. იოანე მაწყვერელი;
7. ბასილი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი;
8. გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესი [5].

საბუთი სამჯერ იქნა გამოცემული; ორჯერ არასრული სახით და მესამედ — სრული სახით.

საბუთის პირველმა გამომცემელმა თ. ჟორდანიამ შეცდომით მიიჩნია ის XIV საუკუნისად და დათარიღა 1310—1318 წლებით [6]. საბუთის შემდგომმა გამომცემელმა ს. კაკაბაძემ დათარიღა ის 1249 წლით; აკად. ნ. ბერძენიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია ს. კაკაბაძის დათარიღების სისწორე, თუმცა გადაჭრით აზრი ამ დათარიღებაზე არ გამოუთქვამს [7].

---

[1] ქრონიკები, II, 176; ს. კაკაბაძე. XIII ს-ის I ნახ-ის კათალიკოზები; ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 3; დედანი იხ. საქ. ცენტრ. არქ., ფ. 226, № 9253.

[2] ქრონიკები, II, 97; შიომღვიმ. ისტ. სახ., გვ. 52—58; დედანი, იხ. საქ. მუზ., ფ. Ad, № 1.

[3] ს. კაკაბაძე. შიომღვიმ. 3 ისტ. სახ., 1913; ს. კაკაბაძე. საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 123—133; საისტ. კრ., II, 1928; საქ. არქ., II, 1927, გვ. 14—28; დედანი იხ. საქ. ცენტრ. არქ. ფ. 226, № 5003.

[4] ქრონიკები, II, 127—128; შიომღვიმ. ისტ. სახ., 63—65; ს. კაკაბაძე. სიგელი მსახ. უხ. გ'ელ სურ-სა; დედანი, იხ. საქ. მუზ., ფ. Ad, № 4.

[5] ხელრთვათა თანმიმდევრობა დაცულია საბუთის დედნის მიხედვით.

[6] ქრონიკები, II, გვ. 176.

[7] ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 409.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. კაკაბაძემ საბუთი ორივე დავით მეფის ხელჩართულად მიიჩნია და დათარიღებისას დაემყარა სწორედ ამას. მაგრამ, 1945 წელს ს. კაკაბაძემ დაბეჭდა ეს საბუთი მის მიერ აღმოჩენილი დედნის მიხედვით, საიდანაც ცხადი გახდა რომ საბუთს ხელს ურთავს მხოლოდ ერთი დავითი. ამის გამო, ს. კაკაბაძეს უარყო თავისი ძველი დათარიღება და შეცვალა ის 1241 წლით [1]. საბუთის ამ ახალი დათარიღებისას ს. კაკაბაძეს, გარდა იმისა, რომ ხელჩაჭრთველად გვევლინება მარტო ერთი დავითი, ყურადღება აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი ხელჩამრთველი ამ დავითს ისსენიებს არა მეფედ, არამედ მეფის ძედ. მეფედ კი, ალბათ, გულისხმობს რუსუდანს.

ჩვენი აზრით, ს. კაკაბაძის ახალი დათარიღება „მიქელ კათალიკოზის დაწერილისა" სწორია. ამ დათარიღების ზემოაღნიშნული დასაბუთება დამაჯერებლად მიგვაჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ საბუთის ასეთი დათარიღება ხსნის უამისოდ გაუგებარ ერთ ფაქტს: რომელსაც ადგილი აქვს მის ხელრთვაში: ბასილ ჭყონდიდლის ხელრთვა მოთავსებულია იოანე მაწყვერლის ხელრთვის შემდეგ. წესით კი ბასილს, როგორც ჭყონდიდელს და ვაზირთა უპირველესს, ხელი უნდა ჩაერთო როგორც იოანე მაწყვერლის, ისე შაწშა მანდატურთუხუცესის და ავაგ ათაბაგის წინ. ეს უადგილო ხელრთვა ახსნილი იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ბასილ ჭყონდიდლის ხელრთვა არ არის საბუთის დაწერის თანადროული, რომ მისი ხელრთვის დროს საბუთი კარგა ხნის წინ დაწერილი და განსაზღვრულ პირთა მიერ ხელჩართულიც იყო. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბასილი თავისთვის შესაფერის ადგილს ვეღარ ჩაურთავდა ხელს [2].

ამასთან, შესაძლოა საბუთი დაიწერა სწორედ იმ დროს, როცა ბასილის წინამამადგილე არსენ ჭყონდიდელი ბათოსთან იყო გაგზავნილი (საბუთის დაწერის აღნიშნული თარიღი — 1241 წელი და არსენ ჭყონდიდლის ბათოსთან გამგზავრების დრო მართლაც ემთხვევა ერთმანეთს) და ამიტომ მან ვერ ჩაურთო საბუთს ხელი სხვა ვაზირებთან ერთად.

„გრიგოლ სურამელის დაწერილი"

ამ საბუთით გრიგოლ სურამელი ქართლის ერისთავი უსამართლოდ დაკისრებულ გამოსაღებებისაგან ათავისუფლებს შიომღვიმის მონასტრის მიერ ფავნელთაგან ნასყიდ სოფელს.

საბუთს ხელს ურთავენ შემდეგი პირები:

1. ივანე მეამბჯრეთუხუცესი (გრიგოლ სურამელის ძმა);
2. ბეგა ქართლის ერისთავი (გრიგოლ სურამელის ძე);
3. ქართლის კათალიკოსი არსენი;
4. ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი;
5. იოანე ალავერდელი;
6. არსენი მანგლელი;

---

[1] საისტ. მოამბე, I, 1945, გვ. 3.

[2] მართლაც, თუ საბუთის დაწერის თარიღად 1241 წელს მივიღებთ, მაშინ, ცხადია, ბასილი ჭყონდიდლის ხელრთვა გვიანდელად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ წელს, როგორც ჭეშმოთ დვინახავთ, ჭყონდიდლად არსენი იყო და არა ბასილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. „სამნივე უდაბნონი გარესჯისანი“;
8. კათალიკოს და მწიგნობართუხუცესყოფილი არსენი, შიომღვიმეში მწირად შემდგარი [1].

როგორც ვხედავთ, საბუთს ხელს ურთავენ კათალიკოსი არსენი და კათალიკოს მწიგნობართუხუცესყოფილი არსენი. საჭიროა ამ ხელრთვათა დათარიღება.

ჩვენი აზრით, „გრიგოლ სურამელის დაწერილის“ ყველა ხელრთვა საბუთი დაწერის თანადროულია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ყველაზე ბოლო ხელრთვა საბუთში ეკუთვნის კათალიკოს და მწიგნობართუხუცესყოფილ არსენს, რომლის შუამდგომლობის შედეგად დაიწერა სწორედ ეს საბუთი. ცხადია, მისი ხელრთვა საბუთის დაწერის თანადროულია და, ამდენად, მასზე წინ მოთავსებული ხელრთვებიც არ შეიძლება საბუთის დაწერის თანადროული არ იყოს. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ საბუთის ხელჩამრთველთა თანმიმდევრობა წესიერად ჩანს დაცული, რაც, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა, ეს ხელრთვები რომ სხვადასხვა დროს იყოს საბუთზე მოთავსებული. ამდენად, საბუთის დაწერის თარიღი იქნება არსენ კათალიკოსისა და არსენ მწირად შემდგარის ხელრთვათა თარიღიც.

საბუთს მისი გამომცემელი თ. ჟორდანია თვლის 1227—30 წლებში დაწერილად [2]; ს. კაკაბაძე ათარიღებს მას 1245—45 (კორ. შეკდ.?) წლებით [3]; აკად. ნ. ბერძენიშვილი საბუთს თვლის 1245 წლის შემდეგ დაწერილად [4].

თ. ჟორდანიას დათარიღება ემყარება, ერთი მხრივ, მის მცდარ სქემას XIII ს-ის კათალიკოსთა რიგისას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მოსაზრებას, რომ დაწერილში აღნიშნული „მეოთხედ წასვლა თათართა შიგან ქრისტეს სჯულის დასაცავად“ გულისხმობს ან ჯალალედინის წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლას მისი მეორედ შემოსვლის დროს, რაც თ. ჟორდანიას აზრით 1230 წ. მოხდა, ან მონღოლთა წინააღმდეგ ქართველთა პირველ გალაშქრებას, რაც, მისივე აზრით, 1217—19 წლებს შორის უნდა მომხდარიყო [5].

ს. კაკაბაძე გრიგოლ სურამელის „მეოთხედ თათართა შიგან წასვლას“ რატომღაც თვლის დიპლომატიური მიზნით მონღოლებთან მის მეოთხედ წასვლად. ეს კი, ს. კაკაბაძის აზრით, უნდა მომხდარიყო 1245—45 წლებს შორის [6] (არ ჩანს, თუ რატომ ათარიღებს ს. კაკაბაძე გრიგოლის „თათართა შიგან წასვლას“ ამ წლებით).

გრიგოლ სურამელის „თათართა შიგან წასვლის“ შესახებ ჩვენ ვიზიარებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად აქ იგულისხმება გრიგოლის წასვლა იმ სამხედრო სამსახურის მოსახდელად, რომელიც

---

[1] ხელრთვათა თანმიმდევრობა დაცულია საბუთის დედნის მიხედვით.
[2] ქრონიკები, II, 97; შიომღ. ისტ. საბ., გვ. 52
[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. არსენ ბერნაძ. სიგ., საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 131.
[4] ენიმეის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 405, 406.
[5] ქრონიკები, II. 97.
[6] საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს მონღოლებმა დააკისრეს მათი დუმნებად დაყოფის შედეგად, ეს კი რუსუდანის სიკვდილის შემდეგ მოსდა, ალამეტის წინააღმდეგ საქართველოდან დამსმარე ჯარის გამოყვანის მიზნით[2].

მაგრამ საბუთის დასათარიღებლად, გარდა იმისა, თუ რას გულისხმობს გრიგოლ სურამელის „თათართა შიგან ქრისტეს სჯულის დასაცავად მეოთხედ წასვლა", გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ერთ ფაქტს: საბუთს ხელს ურთავს გრიგოლ სურამელის ძე ბეგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბუთის ყველა ხელოვნება თანადროულია საბუთის დაწერისა, ბეგა კი პირდაპირ იხსენიება თვით საბუთის ტექსტში, როგორც დამსწრე მისი დაწერისა („ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია... მე გ^ბ^ელ ქ^ს ე—ვ^სა ველითა ჩემითა... მარჯუენით დგუმასა ძმისა ჩემისა ივნესსა და წინა დგუმასა ძისა ჩემისა ბეგასსა")[3]. ამავე დროს, ქამთაალმწერელი გვაუწყებს, რომ ბეგა სურამელი თან გაჰყვა ნარინ-დავითის მონღოლთა ურდოში, როგორც მისი თანშეზრდილი[4]. როცა ულუ-დავითი ყარაყორუმში ჩავიდა, აქ ნარინ-დავითის ამალაში სხვა ქართველთა შორის, მას ბეგა სურამელიც დახვდა[5]. როცა საქართველოში დაბრუნებული ნარინ-დავითი იძულებული იყო გაქცეულიყო დასავლეთ საქართველოში, მას აგრეთვე თან ახლდა ბეგა სურამელი (თუმცა შემდეგ, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი აღარ დარჩენილა დასავლეთ საქართველოში და ისევ დაბრუნებულა უკან — თავის საგვარეულო მამულში[6]). უნდა ვიფიქროთ, რომ ბეგა სურამელი ურდოდან საქართველოში დაბრუნებულა ნარინ-დავითთან ერთად.

ამდენად ცხადია, რომ „გრიგოლ სურამელის დაწერილი" შედგენილია ან ნარინ-დავითის მონღოლთა ურდოში წასვლამდე, ან მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

თუ მივიღებთ, რომ „თათართა შიგან მეოთხედ სალაშქროთ წასვლა" გულისხმობს იმ სამხედრო ბეგარის მოსახდელად წასვლას, რომელიც ქართველებს დუმნებად დაყოფის შემდეგ დაეკისრათ და რაც თვით საბუთში „ჯერით ლაშქრათ წასვლად" იწოდება, მაშინ თავისთავად იხსნება იმის შესაძლებლობა, რომ საბუთი დაწერილიყო ნარინ-დავითის წასვლამდე (რომ საბუთი ნარინ-დავითის წასვლამდე ვერ დაიწერებოდა, ამას მოწმობს კიდევ ერთი ფაქტი: საბუთის დაწერის დროს არსენ კათალიკოსი და მწიგნობართუხუცესი უკვე ბერადაა შემდგარი, ხოლო 1241—42 წლებში, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ, ის ვეზირია და ჯერ კათალიკოსობაც კი არა აქვს ნიღებული. საეჭვოა,

---

[1] ენინგის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 405—406.

[2] ქართლ. ცხ. (მარიამ.), გვ. 622—624.

[3] შიომღვიმის ისტ. საბუთი, გვ. 54.

[4] ქართლ. ცხ. (მარიამ.), გვ. 620—621.

[5] დასახ. წყარო, გვ. 642: მიუხედავად იმისა, რომ ქამთაალმწერელი ფაქტების თანმიმდევრობას ხშირად ჯრღვევს, მისი ცნობების სხვა, როგორც ქართულ, ისე სომხურ, წყაროებთან შედარებით ირკვევა, რომ თვით ფაქტები ქამთაალმწერელმა იცის და ამდენად სს. ცნობები ნდობის ღირსია.

[6] დასახ. წყარო, გვ. 655.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1241—42 წლებიდან 1242 წლის ბოლომდე, ან 1243 წლის დასაწყისამდე მას მოესწრო კათალიკოსობის მიღებაც და შემდეგ გადადგომა და ბერად შედგომაც).

ე. ი. საბუთი დაწერილია ნარინ-დავითის საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ივ. ჯავახიშვილი დავით მეფეების საქართველოში დაბრუნებას ვარაუდობს 1248 ან 1249 წელს[1], თ. ყორდანია—1247—48 წლებს შორის[2], ს. კაკაბაძე—1249 წელს[3].

იმისათვის, რათა გავარკვიოთ საქართველოში დავით მეფეების დაბრუნების დრო, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როდის დამტკიცეს ყარაყორუმში ისინი მეფეებად.

3. კარპინი, რომელიც ყარაყორუმში იმყოფებოდა 1246 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე, ნოგვითსოოს დავითების ძეფეებად დამტკიცების ამბავს გუიუკ ყაენის შიერ. ამდენად, დავითები მეფეებად დაუმტკიცებიათ 1246 წლის აგვისტოსა და ნოემბერს შორის. ამის შემდეგ ისინი დიდხანს აღარ დაყოვნებდნენ და გამოემგზავრებოდნენ საშობლოში. თუ მხედველობაში მივიღებთ მგზავრობის მაშინდელ ტემპებს, საქართველოში დაბრუნებულად ისინი უნდა ვიგულვოთ 1247 წელს.

ე. ი. „გრიგოლ სურამელის დაწერილი“ შედგენილია არა უადრეს 1247 წლისა. ყველა მისი ხელმოწერები საბუთის დაწერის თანადროულია. ამდენად, არსენ კათალიკოსისა და არსენ კათალიკოს-მწიგნობარ-ეუხუცესყოფილის ხელმოწერებიც უნდა მივაკუთვნოთ 1247 წლის აღაუადრეს ბანას.

„არსენ ჭყონდიდლის დაწერილი“

ამ საბუთით არსენ ჭყონდიდელი, ბათუ ყაენთან მოციქულობიდან დაბრუნებული, ამ მოციქულობის დროს მისთვის ერთგულად სამსახურისათვის აბულახტარისძეს უწყალობებს თავის „ჭყონდიდლისა კონებასა შიგა“ სოფ. ღუერკს.

საბუთს ხელს ურთავენ შემდეგი პირები:

1. არსენ ჭყონდიდელი მწიგნ. უხ.;	
2. რუსუდან მეფე;	II კეფი;
3. დავით მეფე;	
4. ქართლის კათალიკოსი არსენი;	
5. მასალი ჭყონდიდელ მწიგნ. უხ. და პროტოიპერტიმოსი;	III კეფი
6. დიდი მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ;	
7. ავაგ ათაბაგი;	
8. ზაპანშა მანდატურთუხუცესი;	IV კეფი
9. ამნჩელეყოფილი და საჭურჭლისა მწიგნობარი ანტონი;	

[1] ე. ი. ნარინ-დავითის წასვლის დროზედ. იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 403.
[2] ქართვ. ერის ისტ., III, 1949, გვ. 137.
[3] ქრონიკები, II, 125.
[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მსახურთუხ. გრიგოლ სურამელის სიგელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მმრჩაი მეპუტრკლეეთუხუცესი [1]

საბუთის გამცემმა არსენ ჭყონდიდელმა შემდეგ კათალიკოსობაც მიიღო, როგორც ამას მოწმობს ზემოთ განხილული „გრიგოლ სურამელის დაწერილი". აქ კი, როგორც ვხედავთ, ის მხოლოდ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია. ამდენად, საბუთის დათარიღება დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ როდის მიიღო კათალიკოსობა არსენ ჭყონდიდელმა.

საბუთის პირველ გამომცემელს ს. კაკაბაძეს ის მიაჩნია 1242—45 წლებს შორის დაწერილად [2].

აკად. ნ. ბერძენიშვილი საბუთს ათარიღებს 1241—42 წლებით[3]: და ამასთან იქვე აღნიშნავს, რომ ამ თარიღის მეტი საფუძვლიანობით დასაზუსტებლად საჭირო მთელი ეპოქის ასეთი კრიტიკული შესწავლა. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი საფუძველი ამ დათარიღების უეჭველსაყოფად მაინც ვერ მოვიპოვეთ. მაინც საბუთის დაწერის თარიღად ჩვენ ვიღებთ 1241—42 წლებს, როგორც არსებული მასალების მიხედვით ყველაზე სარწმუნოს. მაგრამ ჩვენი მიზნისთვის საინტერესოა არა მარტო საბუთის ტექსტი, არამედ მისი ხელრთვითი ნაწილიც, სადაც ხელს ურთავს კათალიკოსი არსენი. საჭიროა გაირკვეს ამ ხელრთვის თარიღიც.

პროფ. ი. ცინცაძემ ცხადყო და აკად. ნ. ბერძენიშვილმაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ იმ 4 კეფისგან, რომელთაგანაც შედგება საბუთი, 2 უკანასკნელი კეფი გვიანაა მიკერებული საბუთზე და ამდენად ამ კეფებზე მოთავსებული ხელრთვებიც არ არიან საბუთის დაწერის თანადროული. ამ ხელრთვებში შედის არსენ კათალიკოსის ხელრთვაც (ის მოთავსებულია მესამე კეფის თავში).

III კეფზე, გარდა არსენ კათალიკოსისა, ხელს ურთავენ აგრეთვე ბასილი ჭყონდიდელი და დიდი მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზი. ეფიქრობთ, შეცდომა არ იქნება, თუ სამივე ამ ხელრთვას, ან ყოველ შემთხვევაში პირველ ორს მაინც ერთდროულად მივიჩნევთ: საეჭვოა, რომ მარტო ერთი ხელრთვისთვის საკმაოდ დიდი ზომის კეფი მიეკერებინათ საბუთზე, მით უმეტეს, რომ როგორც დედნის შემოწმებისას გამოირკვა, წინა კეფზე საკმაო ადგილია დარჩენილი ერთი ხელრთვისთვის, ე. ი. არსენ კათალიკოსის ხელრთვა თანადროულია მასალი ჭყონდიდლის ხელრთვისა.

როგორც დაინახეთ, ამ საბუთის დაწერისას, ე. ი. 1241—42 წლებში, ჭყონდიდლად ყოფილა არსენი, შემდეგ მას მიუღია კათალიკოსობაც და ბოლოს ბერად შემდგარა. კათალიკოსობის მიღებას და შემდეგ ბერად შედგომას არსენი 1244 წელზე ადრე მაინც ვერ მოასწრებდა: არაბუნებრივი იქ-

---

[1] ხელრთვათა თანმიმდევრობა დაცულია საბუთის დედნის მიხედვით (იხ. საქ. ცენტრ. არქ., ფ. 226, № 5003).

[2] საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 131, XIII ს. I ნახ. კათალიკოსები; შიომღვ. 3 ისტ. საბ.; საისტ. კრებ., II, 1928.

[3] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 409.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა, რომ არსენს კათალიკოსობა მიეღო და მაშინვე გადამდგარიყო. ამ-რიგად, ბასილი 1244 წელზე ადრე მაინც ჭყონდიდლად ვერ გახდებოდა და ამდენად მისი ხელრთვაც „არსენ ჭყონდიდლის დაწერილში" ამაზე ადრინდელი ვერ იქნება.

1244 წელი იქნება არსენ კათალიკოსის ხელრთვის ქვედა ზღვარიც (terminus ante q. n).

არსენ კათალიკოსზე ქვევით (IV კეფის თავში) საბუთში ხელი ჩართული აქვს ავაგ ათაბაგს. ამდენად, არსენ კათალიკოსის ხელრთვის ზედა ზღვრად (terminus p. q. n.) შეგვიძლია ავიღოთ ავაგის გარდაცვალების თარიღი. ეს თარიღი ზუსტად გაურკვეველია. სომხური წყაროები ასახელებენ 1249[1] და 1250 წლებს[2].

არსენ კათალიკოსის ხელჩართვის ქვედა ზღვარი უფრო დაზუსტდება, თუ დავუშვებთ, რომ ავაგ ათაბაგსა და არსენ კათალიკოსს ერთდროულად აქვთ საბუთში ხელი ჩართული[3], რადგან ავაგის ხელრთვისთვის ამ ზღვრის დადგენა უფრო ზუსტად ხერხდება.

როგორც ყამთაალმწერელი იუწყება, ავაგი მონღოლთა ნოინმა გააგზავნა ბათუ ყაენთან, იქიდან ის გიმგზავრა ყარაყორუმში, საიდანაც მეფეებზე ადრე დაბრუნდა საქართველოში[4]. ჩვენი აზრით, ავაგმა საბუთს ხელი ჩაუთო მონღოლთა ურდოდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ და არა საქართველოდან წასვლამდე — შემდეგი ფაქტების საფუძველზე:

ა. საბუთი დაწერილია 1241—42 წლებს შორის. ამ დროს ავაგი ან უკვე წასული იყო ბათუ ყაენთან, ან ძალიან მცირე ხნის შემდეგ წავიდა (ნარინდავითი ურდოში წვიდა 1242 წლის ბოლოს, ან 1243 წლის დასაწყისში[5], ხოლო ავაგი ამაზე ადრე). თუ ავაგი წავიდა საბუთის დაწერამდე, ცხადია, თავისთავად იხსნება შესაძლებლობა მის მიერ წასვლამდე საბუთში ხელის ჩართვისა, ხოლო, თუ ავაგი საბუთის დაწერიდან მცირე ხნის შემდეგ წავიდა, მაინც არ არის დასაშვები წასვლამდე ავაგის ხელჩართვის შესაძლებლობა: ავაგზე წინ (გვიან მიკერებულ III კეფზე) საბუთს ხელს ურთავს ბასილი ჭყონდიდელი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1244 წელზე ადრე მაინც ჭყონდიდლად ვერ იქნებოდა.

ბ. როგორც „გრიგოლ სურამელის დაწერილიდან" ჩანს, არსენ ჭყონდიდელს კათალიკოსობაც მიეღია, შემდეგ გადამდგარა და შიომღვიმის მონასტერში აღკვეცილა ბერად. „არსენ ჭყონდიდლის დაწერილის" გვიან მიკერებულ კეფებს ხელს ურთავს კათალიკოსი არსენი, რომელიც, ცხადია, სხვა არ-

---

[1] კირაკოს განძაკელი. *Պատմ. հայոց*, 1909, გვ. 377.

[2] სტეფანოს ორბელიანი. *Նահանգին տան Սիսական*, 191C, გვ. 398, 412; ვარდანი, *Պատմ. տիեզերական*, 1861, გვ. 194.

[3] ამ დაშვებას მხარს უჭერს აკად ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ III და IV კეფები საბუთზე ერთდროულადაა მიკერებული (იხ. სავაზირო, ენიმკის მოამბე, V—VI).

[4] ქართლ. ცხ. (ბარიამ), 607, ყამთაალმწერლის ამ ცნობას კირაკოს განძაკელიც ადასტურებს. იხ. *Պատմ. հայոց*, გვ. 248—253.

[5] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 403.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენია და არა ქყონდიდელყოფილი (ჯერ ერთი, ერთი და იგივე პირი საბუთს ორჯერ ხელს არ ჩაურთავდა და, მეორეც, ეს არსენი არსენ ქყონდიდელს მესამე პირში იხსენიებს); ე. ი. საბუთის დაწერიდან მასზე გვიანდელი კეფების მიკერებამდე არსენ ქყონდიდელს მოუსწრია კათალიკოსობის მიღებაც და გადადგომაც — მის მაგიერად ამ დროს სხვა კათალიკოსი ყოფილა. ეს კი, ცხადია, ვერ მოესწრებოდა ავაგის წასვლამდე (რაც, როგორც ალვინშნეთ, თუ არ დამმოხვა საბუთის დაწერის დროს, ბევრით მაინც ადრე გადასცილდა მას).

მაშასადამე, ავაგს საბუთში ხელი ჩაურთავს ყარაყორუმიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

ეამთაალმწერლის ცნობით, ავაგი ულუ-დავითს ყარაყორუმში დახვდა [1]. შემდეგ ის სხვა დიდებულებთან ერთად მონაწილეობს იმ ცილობაში, რომელიც აქ ქართველებს გამართული ჰქონდათ მეფის კანდიდატურის საკითხზე. შემდეგ „ეითარ განგრძელთა მათ შორის ცილობა, მაშინ ავაგ ათაბაგი წარმოავლინეს და მისცეს იერლიყი შეწყალებისა“ [2]. ე. ი. ავაგი ყარაყორუმიდან წამოსულა დაახლოებით 1246 წლის შუა ხანებში (თუ ნიეიღებთ, რომ დავითები მეფეებად ამ წლის ავგისტოდან ნოემბრამდე დაამტკიცეს). საქართველოში ის 1247 წლის დასაწყისს უნდა ვიგულოთ ჩამოსულად.

ამრიგად, ავაგის ხელრთვის ქვეშ ხელავრი „არსენ ქყონდიდლის დაწერილში“ იქნება 1247 წელი. ხოლო, თუ ავაგისა და არსენ კათალიკოსის ხელრთვები თანდართულია, მაშინ ამ უკანასკნელის ხელრთვის ქვეშ ხელავრიც 1247 წელი იქნებოდა და არა 1244.

ამგვარად, „არსენ ქყონდიდლის დაწერილის“ ტექსტი და ხელრთვები II კეფაზე მიეკუთვნება 1241—1242 წლებს. III კეფაზე მოთავსებული ხელრთვები უნდა დათარიღდეს 1244—1250 (ან იმ შემთხვევაში, თუ III და IV კეფები ერთდროულადაა საბუთზე მიკერებული — 1247—1250) წლებით.

„მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელის დაწერილი“

საბუთი დაწერილია შიომღვიმის მონასტრის კრებულის სახელით, მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელისათვის. საბუთიდან ირკვევა, რომ გრიგოლ სურამელს აუშენებია შიომღვიმის მონასტრისთვის ნასქვილი, ხოლო მეწისქვილედ შეუწირავს მონასტრისადმი ნასყიდი ვლეხი [3].

საბუთს ხელს ურთავენ შემდეგი პირები:

1. კათალიკოსი ნიკოლოზი;
2. დემეტრე მოძღვარი;
3. ქართლის მთავარეპისკოპოზი გიორგი.

---

[1] ქართ. ცხ. (მარიამ.), გვ. 642.

[2] შევს. ქართ. (ცხ., გვ. 381.

[3] ეს საბუთი ორიგინალურია იმით, რომ იგი წარმოადგენს შეწირულობას „დაწერილს“ და, ამავე დროს, ამ „დაწერილს“ შეშწირველი კი არ წერს (ის ხელსაც კი არ ურთავს), არამედ მონასტერი თვით უშვრს შემწირველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჭიროა გამოვარკვიოთ კათალიკოს ნიკოლოზის ხელრთვის თარიღი. ნიკოლოზის ხელრთვა საბუთის დაწერის თანადროულია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ნიკოლოზი თავის თავს უწოდებს „მოწამეს და დამამტკიცებელს". ამასთან, ნიკოლოზის შემდეგ ხელჩამრთველი დემეტრე მოძღვარი თავის თავს უწოდებს „მოწამეს და თანადამჭდომს" — ცხადია, მის წინ ხელჩამრთველი ნიკოლოზიც „თანადამჭდომი" იქნებოდა საბუთის დაწერისა. ამდენად საბუთის დაწერის თარიღი იქნება ნიკოლოზის ხელრთვის თარიღიც.

საბუთი მის პირველ გამომცემელს თ. ჟორდანიას დათარიღებული აქვს 1246—1257 წლებით[1].

საბუთის შემდგომ გამომცემელს ს. კაკაბაძეს 1249—50 წლებს შორის დაწერილად მიაჩნია ის[2].

თ. ჟორდანია დათარიღებისას ემყარება, ერთი მხრივ, იმ მოსაზრებას, რომ კათალიკოსი ნიკოლოზი, მისი აზრით, პირველად იხსენიება ქართ. ცხოვრებაში 1246 წლის ახლოს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მოსაზრებას, რომ გრიგოლ სურამელი ქართ. ცხ-ში უკანასკნელად იხსენიება 1257 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კათალიკოს ნიკოლოზის პირველი მოხსენება ქართლის ცხ-ში ეკუთვნის არა 1246 წელს, არამედ 1256 წლის შემდგომ ხანას. რაც შეეხება გრიგოლ სურამელს, ჯერ ერთი, მისი უკანასკნელი მოხსენება ქართ. ცხ-ში ეკუთვნის არა 1257 წელს, არამედ 1250 წელს (ეგულისხმება ეგვიპტეზე ლაშქრობის დროს საქართველოს მეფესა და დიდებულებს შორის განსეთქილების დრო). მეორეც, ქართ. ცხ-ში მისი უკანასკნელი მოხსენება არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ ამის შემდეგ ის ცოცხალი აღარ იყო.

ს. კაკაბაძე დათარიღებისას გამოდის იქიდან, რომ, როგორც ის ფიქრობს, მასში ხელი ჩართული აქვს ორივე დავით მეფეს.

ჩვენი აზრით, საბუთის ორი პირველი ხელრთვა, სადაც პიროვნებები დასახელებული არ არიან[3], მართლაც, ეკუთვნიან დავით მეფეებს. აშკარაა, რომ ნიკოლოზი სჩვის არაფერს შეიძლება გულისხმობდეს, თუ არ დავით მეფეების ხელრთვას, როცა აღნიშნავს: „ესე ვითა წ-თა და ღმერთ შემოსილთა მამათა მემღუმეს... დაეწერია და პატრონთა საუფლოითა ჴელითა დაუმტკიცებია..."

დავითების თანამეფობის ხანას ს. კაკაბაძე საზღვრავს 1249 წლის პოლოდან ავაგის სიკვდილამდე[4]. ს. კაკაბაძე რატომდაც ასკვნის ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით, რომ როცა ნარინ-დავითი დასავლეთ საქართველოში გაიქცა, ავაგ ათაბაგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მაგრამ ეს სრულიადაც არ ჩანს ქართლის ცხოვრებიდან — აქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ დავითმა გაიარა ავაგის მამულზე[5]. მართალია, ეს ცნობა მოწმობს, რომ ეს მა-

---

[1] ქრონიკები, II, 127: შეიმლე. ისტ. საბ., გვ. 63.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელის სიგელი. გვ. 4.

[3] იხ. დედანი საბუთისა — სუ. მუზ., ფ. Ad. № 4.

[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელის სიგ., გვ. 4.

[5] ქართლის ცხოვრება (მარიამ.), გვ. 655.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული ჯერ კიდევ ავაგის სახლს ეკუთვნოდა, მაგრამ სრულიადაც არ შეუთ-ოებს იმაზე, რომ ავაგი მაინცდამაინც ცოცხალი იყო.

ნარინ-დავითის დასავლეთ საქართველოში გაქცევის დროზე ჩვენ ვიზიარებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას—იმ საფუძველზე, რომ სტეფანოზ ორბელიანი სუმბატ ორბელის ყაენთან წასვლას უკავშირებს ნარინ-დავითის დასავლეთ საქართველოში გაქცევას; ეს გაქცევა უნდა მომხდარიყო 1250—51 წლებში[1]. ჩვენი აზრით, ამ გაქცევით, თუ ფორმალურად არა, ფაქტიურად მაინც, დასრულდა დავითების თანამეფობის პერიოდი (ე. ი. ეს პერიოდი გრძელდებოდა 1247 წლიდან — 1250—1251 წლამდე). ქამთაიღწერელი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: გაქცეული ნარინ-დავითი სუმბატ ორბელისგან წამოსული მივიდა თორში ლიპარიტ თორელთან, ხოლო მან „უძღვნა ცხენნი და შესამოსელნი და წარჰყვა ქუთაის, ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სვანთა, დადიანთა, ბეღიანშან, რაჭის ერისთავთან და სრულიად ლიხთ-იმერთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ჰყვეს დავით რუსუდანის ძე აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე. აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავრო. გარნა, ეგრეცა იყუნეს სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა დავით და დავით. და დარჩა ლიხთ-აქათი ლაშას ძესა და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა. და მოიწყო ყოველი ქვეყანა და მოიგო სიმდიდრე უზომო ლაშას ძე მან და წარმართა სახლი თჳსი სამეფო კეთილად და მონებდა ულო-ყაენსა“[2]. შესაძლოა, საქართველო მაინც ერთ მთლიან სამეფოდ, ითვლებოდა ნარინ-დავითის დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგაც, ხოლო ორივე დავითი—ამ მთლიან სამეფოს მეფეებად 1260—1261 წლამდე, როცა, ქამთაიღწერელის ცნობით, მეფეებმა გაიყვეს ქვეყანა და საჭურჭლე ორად[3]. მაგრამ, ცხადია, რომ ეს თანამეფობა რეალური არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ნარინ-დავითის გაქცევის შემდეგ მეფეები ერთად ველარ ჩაერთვაოდნენ საბუთს ხელს. ამიტომ „ესახურთუუცეს გრიგოლ სურამელის დაწერილი“, სადაც ეს ერთობლივი ხელრთვაა, უნდა მივიჩნიოთ 1247—1251 წლებში დაწერილ საბუთად (ცხადია, ეს საბუთი დაწერილია არა უადრეს 1247 წლისა, რადგან, ჯერ-ეროი, ამაზე ადრე მეფეები დაბრუნებული არ იყვნენ საქართველოში და, მეორე, ამ წელზე არა უადრეს, როგორც დავინახეთ, „არსენ ჭყონდიდლის დაწერილ“ ხელს ურთავს არსენ კათალიკოსი.

განხილულ საბუთებზე დაყრდნობით, XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

მიქელი
კათალიკოსად ჩანს მის მიერ 1241 წელს დაწერილ საბუთში.
არსენ ჭყონდიდელი

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან. თ. ს. უ. შრ., VII, 1938, გვ. 106, შენიშ. 2.

[2] შევს. ქართლ. ცხ., 383.

[3] დასახ. წყარო, 393.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1241—42 წლებში მის მიერ დაწერილ სატუთში ჩანს მხოლოდ „ბერ-
დიდლად; 1247 წელზე არა უადრეს დაწერილ „გრიგოლ სურამელის
დაწერილში“ ის უკვე კათალიკოს-მწიგნობართუხუცესსოფილია და
ბერადაა შიიმღვიმეში შემდგარი;

ა რ ს ე ნ ი

1244 (1247)—1250 წლებს შორის ხელს ურთავს „არსენ ჭყონდიდლის
დაწერილს“, როგორც კათალიკოსი; 1247 წელზე არა უადრეს ხელს
ურთავს „გრიგოლ სურამელის დაწერილს“;

ნ ი კ ო ლ ო ზ ი

ხელს ურთავს 1247—1250 წლებს შორის „გრიგოლ მსახურთუხუცე-
სის დაწერილს“.

(ქართლის ცხოვრების ცნობით 1282 წლის ახლოს ნიკოლოზი გა-
დადგა[1]).

რაც შეეხება არსენ ბულმაისიძის ძეს, მის შესახებ ჩვენ ვიზიარებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ ის იყო აფხაზეთის კათალიკოსი და რომ „ბიბელ კათალიკოსის დაწერილში“ მოხსენებული „სიწმინდისა მათისა მრწემი“ კათალიკოსი სწორედ ეს ბულმაისიძის ძე აფხაზთა კათალიკოსია[1].

[1] დასახ. წყარო, 418.

ბ. ზაქარაია

ჭსნის, მჭადისჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები

შესავალი

ქართული მონუმენტალური ხუროთმოძღვრების ერთი ნაწილი—ციხე-სიმაგრეები თითქმის არაა შესწავლილი და ფიქსირებულიც ცოტაა. საქართველოს რთული რელიეფის მქონე ტერიტორია დაქსელილია სხვადასხვა ეპოქისა და ტიპის ციხე-კოშკებით.

1948/49 წლებში საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილების მიერ ციხეების შესასწავლად ჩატარებული მუშაობის შედეგის ერთი ნაწილია აქ წარმოდგენილი. ჩვენ, ამ შემთხვევაში, ვარჩევთ უახლოესი ეპოქის ძეგლების შესწავლა, რადგანაც მათ შესახებ მეტი ისტორიული საბუთები გვაქვს და ძეგლებიც საკმაოდაა შემორჩენილი [1].

ჩვენ აქ ვიხილავთ არა მარტო ერთი ეპოქის ძეგლებს, არამედ ერთისა და იმავე ადამიანის მიერ ათი წლის განმავლობაში აგებულ სამ ციხეს. ასეთებია: ჭსნის, მჭადისჯვრისა და მუხრანის ციხეები. მათ ამგვარად გვეელინება XVIII ს. მეორე მესამედის სახელგანთქმული სარდალი და ქართლში თეიმურაზის მეფობისას სახლთუხუცესი და ქალაქის მოურავი კონსტანტინე მუხრანბატონი.

ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, დიდი მშენებლობის შედეგად წარმოშობილმა სამუხრანბატონოს ამ ციხეებმა ძალიან დაზიანებული სახით მოაღწიეს ჩვენამდე, მაგრამ მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი საკმაოდ მტკიცე ნაგებობას წარმოადგენდნენ და მშენებლობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლები არიან.

აღებული ძეგლებიდან პირველი—ჭსნის ციხე მდებარეობს დღევანდელი მცხეთის რაიონში, მდ. ჭსნის მარცხენა ნაპრეს სარკინეთის მთაზე; იგი ამ

---

[1] ეს ძეგლები ჩვენ შევიესწავლეთ აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მიერ მოწყობილი ექსპედიციების შედეგად. ჭსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლების შემოწმებელ ექსპედიციაში 1948 წ. ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ: არქიტექტორები ვ. წ ი ლ ო ს ა ნ ი, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. ა. ა მ ბ რ ი ა ბ ვ ი ლ ი და ფოტოგრაფი ვ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხოლო არაგვი-თერგის ხეობების ძეგლების შემსწავლელ ექსპედიციაში 1949 წ. მონაწილეობდნენ: არქიტექტორი ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე და ფოტოგრაფი ი. გ ო გ უ ა ძ ე.

აქ წარმოდგენილი ნახაზებიდან სურ. 2 და 20 ამ შრომის ავტორის მიერაა შესრულებული, სურ. 1, 7 და 8—ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ი ს მიერ, ხოლო დანარჩენი—ვ. წ ი ლ ო ს ა ნ ი ს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილიდან დარაჯობდა ნტკერისა და ქსნის ხეობებს (ტაბ. I და II). მეორე—ჭალისჯვრის ციხე დუშეთის რაიონში. იგი ცენტრიდან დაცილებულია 5—6 კმ. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და დგას მდ. ნარეკვავის ნაპირას (ტაბ. III). ბესამე ციხე—ბუხრანისა მათ შუა მდებარეობს (სურ. 1), ისევე ქსნის მარცხენა მხარეს (ტაბ. IV).



სურ. 1. რუკა

აღწერა

ქსნის ციხე შეიცავს ძირითადად ორი პერიოდის ნაგებობას (სურ. 2). თავდაპირველი ციხის კედლებიდან ძალიან ცოტაა გადარჩენილი და მოლიანად აბრისის აღდგენაც კი არ ხერხდება. მაშინ, როდესაც კონსტანტინე სახლთუხუცესი შესდგომია მის მეორედ აგებას, იგი მცირე ზომისა და მარტივი აგებულების ყოფილა. დავიწყებთ პირველი ფენის აღწერით.

მთის წვერზე წამოდგმული ციხის კედლები მისდევს მთის რელიეფს და ცხოველხატული სურათი იქმნება. ციხის შიგნითა ტერიტორია სწორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედაპირს წარმოადგენს. ციხის გეგმა რელიეფით არის ნაკარნახევი, ოთხ მოსაზღვრეთ ეზოებად ეყოფა. ეზოებიც ერთმანეთისგან დაგრძელებული. გალავანი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბურჯებით ყოფილა გამაგრებული.



სურ. 2. ქსნის ციხე. გეგმა

ციხეს მხოლოდ ორი კოშკი ჰქონია: ერთი წრიული გეგმისა ჩრდილო-აღმოსავლეთით და მეორე —სწორკუთხა ჩრდილო-დასავლეთით. არც ერთსა და არც მეორე კოშკს თავდაპირველი სახე არ შერჩენია და ამიტომ მათ საერთო ფორმაზე და ფუნქციაზე მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ.

ცილინდრული კოშკი ოთხ მეტრამდეა შერჩენილი. მას შესასვლელი ეზოდან ჰქონია და პირველი სართული ეზოს დონეზე დაბლაა. მის კედლებში სარკმლებისა და სათოფურების კვალი არ ჩანს. იგი, შეიძლება, საწყობად იყო გამოყენებული და არც ისაა გამორიცხული, რომ საპყრობილედ ყოფილიყო.

ჩრდილო-დასავლეთის კუთხის კოშკის შიდა კედლები მთლიანად მოშლილია. ჩანს, ნაწილობრივ, მხოლოდ მისი კვალი. შერჩენილი ნაწილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ის რამდენიმე სართულიანი ყოფილა. სართულშუა გადახურვა ხისა იქნებოდა, მაგრამ კედლებში კოჭების ბუდეები არსად ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხის კედლებიდან ყველაზე მეტად დაზიანებულა დასავლეთისა. დღეს მისი კვალის აღდგენა მხოლოდ მიახლოებით ხერხდება და რადგან სხვა კედლების ქვედა ნაწილები ყველგან შემონახულია და შემოსასვლელი კი არსად არ ჩანს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ციხეში შესასვლელი, თუ იგი მიწის დონეზე იყო, სწორედ ამ დასავლეთის მონაკვეთში იქნებოდა. დანარჩენი კედლებიდან, სამხრეთისა ორ მეტრამდეა, აღმოსავლეთის კედელმა კი მის მარცხენა ნაწილში 7—8 მეტრის სიმაღლით მოაღწია, ხოლო მარჯვენა ნაწილი გადაკეთებულია შემდეგი დროის კოშკში შესასვლელის მოსაწყობად. ამ კედელში ხუთი მეტრის სიმაღლეზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის სათოფურები ყოფილა მოწყობილი (სურ. 3). ამათგან ხუთი—მარცხენა მონაკვეთშია, ორი (გარეთ შეერთებული)—მარჯვენაში (იგი დღეს დიდი კოშკის ტერიტორიაზეა).



სურ. 3. ქსნის ციხე. განაკვეთი ჩრდილო-დასავლეთით

ჩრდილო კედლის ბოლოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოშკებია და თვით კედლის თითქმის ერთი მესამედი მარჯვენა ნაწილში შემდეგი დროისაა. ძველ ნაწილში კი ორი მაღალი სათოფურია, თითქმის იმავე ჰორიზონტზე, როგორც აღმოსავლეთით.

ციხის მეორედ აგების დროს გალავნის შემორჩენილ ნაწილს სპირდებოდა გამაგრება და კედლების დამატება. აღმოსავლეთით და სამხრეთით ამოუყვანიათ დამატებითი კედლები, რის გამოც ძველი კედლები გარედან სრულებით არ ჩანს, ხოლო დასავლეთისა და ჩრდილო კედელი გაუმაგრებიათ და ზედაც დაუშენებიათ. ამ ახალ ნაწილებში ყველგან სათოფურ-სალოდღეებია მოწყობილი, მაგრამ გარკვევით არ ჩანს, თუ როგორ იყო მოწყობილი მებრძოლთა ჩამოსადგომი, არა მარტო ახალი ფენის ზედა ნაწილში, რომელიც მიწის დონიდან ცხრა მეტრზეა, არამედ ქვედა ნაწილებშიც, სადაც სათოფურების დონე 4—5 მეტრზეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ადგილებში ხისგან გაკეთებული ჩამოსადგომი იქნებოდა. ასეთი ჩამოსადგომი მიჰყვებოდა, ალბათ, გალავანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგნიდან და შეერთებული იქნებოდა კოშკების შიგნითა ხის შვერილ აივნებთან. აღმოსავლეთის კედლის ზედა ნაწილის სათოფურებისათვის კი ჩამოსადგომად ძველი კედელი გამოუყენებიათ. შესაძლოა, ასეთი კომბინირებული, უწყვეტი გარსშემოსავლელი ჰქონოდა გალავანს. ციხის ძველი კედლები მთლიანად რიყისქვით არის ნაგები.

როგორც აღწერიდანაც ჩანს, თავდაპირველი ციხიდან ძალიან ცოტაა გადარჩენილი. არანაკლებადაა დაზიანებული მეორე ფენაც, მაგრამ აქ შედარებით უკეთ ჩანს ფორტიფიკაციული ნაგებობის სისტემა და ზოგიერთი დეტალი.

კონსტანტინე სახლთუხუცესს დიდი მასშტაბით უწარმოებია მშენებლობა და მთლიანად სახე უცვლია ამ ციხისათვის. უპირველეს ყოვლისა, მას გაუმაგრებია გალავანი და აუგია ოთხი სხვადასხვა ზომისა და ფორმის საომარ-საცხოვრებელი კოშკი.



სურ. 4. ქსნის ციხე. განაკვეთი ჩრდილო-აღმოსავლეთით

აღმდგენელს კოშკები გალავნის ირგვლივ შემდეგნაირად განულაგებია: ერთი, ყველაზე დიდი, მოთავსებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, მეორე—სწორკუთხა გეგმის მქონე — დასავლეთის კედლის თითქმის ცენტრში, მესამე — ცილინდრული, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში და მეოთხე — ისიც ცილინდრული—აღმოსავლეთის კუთხის ძველ კოშკზე შემოშენებული.

კ ო შ კ ი I ყველა კოშკზე მაღალია და გეგმით კვადრატს უახლოვდება. აქვე ბანზე იქნებოდა მოთავსებული სათვალთვალო პუნქტი, რაც გამართლებულია მისი მდებარეობით. სწორედ ეს კუთხე გადაჰყურებს მტკვრისა და ქსნის ხეობებს. ციხეში შესასვლელიც აქედანვე იყო მოწყობილი.

კოშკის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებიდან კვალიც კი არ დარჩენილა (ჩამოზვავებულ ფერდობს გაჰყოლია), დასავლეთის კედლის ჩრდილო ნახევარიც ნაწილობრივაა დარჩენილი. ჩრდილო კედელი კი შედარებით დაცულია (სურ. 2, 3 და ტაბ. V). ამ ექვსსართულიანი კოშკის (სიმაღლე 16 მეტრს აღწევს) პირველი სართული, როგორც ეტყობა, ყრუ კედლებიანი ყოფილა და ჩასვლა მეორე სართულის იატაკიდან ხდებოდა. ასეთი სადგომი, ალბათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყობად თუ გამოდგებოდა. ზედა ოთხი სართული საცხოვრებელ-საბრძოლო იყო და ბოლო, მეექვსე — ჩვეულებრივ ბანს წარმოადგენდა.

მეორე სართულის ჩრდილო კედელში (კედლის სისქე 1,7 მ) მოთავსებულია კარი, რომელიც შიგნით გადახურულია ხის კოჭებით და გარედან ისრული ფორმის თაღით. გვერდითა დასავლეთის კედლის მთელ სიგანეზე ერთი თაღია, რითაც იქმნება ღრმა ნიშა. ამ ნიშის ზედა ნაწილში რადაც ოთხკუთხედი ფორმის საგანი ყოფილა ჩასმული, დღეს მხოლოდ მისი ბუდე ჩანს. თუ ვიმსჯელებთ ამ თაღის მიხედვით, ეს სართული ყველაზე მაღალი ყოფილა (მისი სიმაღლე 4 მეტრია, მაშინ როდესაც დანარჩენი 2 ან 2,5 მეტრია), რაც გამართლებულია იმ გარემოებით, რომ ციხეში შემომსვლელი პირველად სწორედ ამ სადგომში ხვდებოდა და იგი სხვებისაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო.

მესამე სართულს საცხოვრებელ ელემენტებთან ერთად საბრძოლოც აქვს. ჩრდილო კედელში განლაგებულია ქვედა სართულში მდებარე შემოსასვლელის დასაცავი ელემენტები. კარის ღერძზე მაღალი და განიერი ნიშაა, რომელიც გარეთ გამოკეთ სარკმლის სახით და ზოგიერთ შემთხვევაში სალოდგადაც გამოდგებოდა. მის ორივე მხარეს ნიწებია: მარცხნივ წვრილი და მაღალი, მარჯვნივ იმავე სიმაღლისა, მაგრამ ორჯერ განიერი. ამ ნიშებში მოთავსებულია ოო-ორი სათოფური. ერთი მათგანი ოდნავ გადაქანებულია და იქიდან შორს შეიძლება დამიზნება, მეორე კი თითქმის ვერტიკალურია და კოშკის ძირს იცავდა. გვერდითა კედლებზე, დაახლოებით თანაბარი ზომის სამი ღრმა ნიშაა. ცენტრალური ნიშას ზედა ნახევარში პატარა სარკმელია. მარჯვენა კედელში კი ცარიელ მადის სათოფური და გარედან ძალიან შეიმჩნევა. განაპირა ნიშებშიც უნდა ყოფილიყო სათოფურები, მაგრამ მარცხენა მორღვეულია, ბოლო მარჯვენის დათვალიერება ქვემოდან შეუძლებელია (ზემოთ ასვლა კი სპეციალური მოწყობილობის გარეშე არ ხერხდება). ნესაძლოა დანარჩენი ორი კედელიც ასე რთულად ყოფილიყო მოწყობილი. ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კარი ან სარკმელი იყო მოთავსებული.

მეოთხე სართული უფრო რთული და უკეთ მოწყობილი ყოფილა. ქვედა სართულები შელესილი არ იყო, მაგრამ ამესამე სართულის კედლების ზედაპირი მოსწორებულია ხსნარით; მეორე და პირველ სართულს ესეც არ გაჩნია. მეოთხე სართულის კედლების ნალესობა მოსართავადაც ყოფილა გამოყენებული. ამ სართულის დასავლეთის კედლის ცენტრში ნახევარწრიული გეგმის ბუხარი ყოფილა. მისი მარჯვენა მხარეა გადარჩენილი და აქ შემონახულა ბათქაშით გამოყენებული რთული პროფილის მოჩარჩოება. ბუხრის ორივე მხარეს და ჩრდილო კედელში მთელი სიმაღლის კარებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარედან აქ შვერილი ივანი იქნებოდა. ამავე კედელზე ორი კვადრატული ნიშაა მაღლა. ამ ორი კედლის ფრაგმენტში სათოფური და სალოდე არ ჩანს და არც იყო მოსალოდნელი, თუ იქ ივანის არსებობას დაეუშვებთ. სათოფურები და სალოდეები შეიძლება ყოფილიყო დანარჩენ ამ-ქამად არარსებულ კედლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე სართული უფრო მეტადაა დაზიანებული. შემორჩენილია ორ-ლოდ ჩრდილო კედლის ნაწილი. ამ კედლის ცენტრში სარკმელია (და არა კარი მეოთხე სართულის მსგავსად) გვერდებზე ქვადრატული ნიშებით. ეს სართულიც ისევე ყოფილა შეღებილი, როგორც მეოთხე.

მეექვსე — უკანასკნელი სართული, როგორც ადენიშნეთ, ბანს წარმოადგენდა. შერჩენილია მხოლოდ ჩრდილო კედლის ნაწილი სამი ქონგურით. კოშკის სართულებშეა ხის გადახურვა არ შერჩენილა.

კოშკის კედლები შიგნიდან ნაწყობია რიყისქვით, მაგრამ ყველა საპასუხისმგებლო ადგილი, როგორიცაა თაღები, კარ-სარკმლები, თახჩები, სათოფურები და ქონგურები ამოყვანილია აგურით (აგურის ზომები, როგორც აქ ისე სხვგან მერყეობს 20 და 24 სანტ. შორის, სისქეც 4 ან 5 სანტ.).

კოშკი II. ამ ციხის ყველაზე რთულ ნაწილს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კოშკი წარმოადგენს. იგი დანარჩენ კოშკების მსგავსად, საბრძოლო-საცხოვრებელია და ზომით დიდი და ფორმით ორიგინალურია. მისი გეგმა გრძელი უწესო ოთხკუთხედია სამხრეთით ნახევარწრით დამთავრებული (სურ. 2, 4, ტაბ. VI).

კოშკის სართულები დიფერენცირებულია დანიშნულების მიხედვით. ხუთი სართულიდან, მხოლოდ მესამე ჩანს საცხოვრებლად განკუთვნილი. ქვედა სართულებს დამსმარე დანიშნულება ჰქონია და ზედა ორი საომარი იქნებოდა.

კოშკი, როგორც უკვე ადენიშნეთ, მთლიანად მეორედ აგების პერიოდისაა. იგი გალავნისთვის გარეშეა მიუდგამთ და მასში შესასვლელის მოსაწყობად ძველი კედელი გაუჭრიეთიათ (ეს ადგილი ისევ დაზიანებული, რომ არ ჩანს, თუ როგორი არქიტექტურული ფორმა ჰქონდა კედელს გადაკეთების შემდეგ). ციხის ეზო სამი მეტრით მაღლაა, ვიდრე კოშკის ქვედა სართული დონე და კაკუჩარი როგორც ეზოთან, ისე სართულებს შორის ხის კიბით უნდა ყოფილიყო.

კოშკის ქვედა ნაწილში სამხრეთის მხარე კედლთან ყოფილა გამოყოფილი და მოპირდაპირე ეზოსკენ მდებარე ორი სართულის დონეზე აქ ერთი სართულია. ამ მაღალი საფეხმის იატაკის ქვეშოთ მოთავსებულია ცილინდრული ფორმის დიდი წყალსაცავი. მისი კედლები შელესილია და სხსარი ისეთი მაგარი ყოფილა, რომ დღეაც კარგადაა დაცული. წყალსაცავი დაახლოებით 30 კუბ. ტეტრადმისია (ჩვენ შიგ ჩასვლა ვერ მოვახერხეთ, ხოლო მიწის ზეპოთ ორსად შეგვინიშნავს წყალსადენის მილები. თუ წყალსაცავი წყალსადენით მარაგდებოდა, მაშინ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რადგან მხოლოდ ამ მხრიდანაა მაღალი მოგები).

პირველი სართულის ორი ნაწილის გამოყოფ კედლიდან, მხოლოდ კვალია შემორჩენილი. მაგრამ კარის მდებარეობის გარკვევა მაინც ხერხდება. წყალსაცავის მხარე ნათდებოდა ნახევარცილინდრული ფორმის, კედლის ცენტრში და ზემოთ, დას. კუთხეში გაპრილი მაღალი „აშვერილი“ სარკმლებით. კედლების დანარჩენი ნაწილი დაუნაშენერებელ სიბრტყეს წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს, გარდა აღმოსავლეთის ზედა მხარისა, სადაც სამი პატარა ნიშაა მოთავსებული.

ამ სადგომის მოპირდაპირე მხარე, როგორც აღვნიშნეთ, ორსართულიანია. პირველი სართულის იატაკქვეშ სხვადასხვა ზომის თხუთმეტი ქვევრია ჩადგმული, რის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ მარანი ყოფილა. ამ სართულს მხოლოდ ერთი სათოფური ჰქონია აღმოსავლეთ კედელში და მოპირდაპირე მხარეს—ერთი სარკმელი. ამ სართულსაც სარკმელი მაღლა ჰქონია, ჭერის სისქეში, აღმოსავლეთიდან. იმავე მხარეს, ქვემოთ სხვადასხვა ზომის სამი ნიშაა. მარჯვენა ნიშა ქვევრის მსგავსადაა და შელესილია, მეორე ჩვეულებრივია და მესამეში კი სათოფურიცაა. სართულშუა გადახურვა როგორც ამ სართულებს, ისე დანარჩენებსაც არ შერჩენია, ეტყობა კი რომ ყველგან ხისა ყოფილა.

მესამე სართული, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ამ კოშკის ყველაზე რთულ ნაწილს და იგი, ძირითადად, საცხოვრებლად ყოფილა განკუთვნილი. სამხრეთით, ცენტრში, მორთული ბუხარია, მის გვერდებზე კი ღრმა და მაღალი ნიშებია თითო სათოფურით. სამხრეთის ნაწილი მთლიანად, განსხვავებით ზედა და ქვედა სართულებთან, წახნაგოვანია. გვერდის კედლები ერთნაირადაა დანაწევრებული ვერტიკალურ მონაკვეთებად, მაგრამ თითოეული მონაკვეთის შიდა გადაწყვეტა განსხვავებულადაა მოცემული. დასავლეთის კედელში დიდი ზომის ოთხი სარკმელია, ამათგან სამი—ქვედა ჰორიზონტზეა, თითო—ცალკეულ მონაკვეთში და მეოთხე—ცენტრალურ მონაკვეთში, ზემოთ. მოპირდაპირე მხარეს ქვედა რიგის დიდ ნიშებში სათოფურებია, ზოგში სამი და ზოგში ოთხი, ზედა რიგზე კი ფიცრით გამოყოფილი თარობები ყოფილა განლაგებული. ამავე კედლის მარცხენა მონაკვეთში ხის კიბე ყოფილა მოთავსებული, რომლითაც, ალბათ, ასელა ხდებოდა ზედა სართულში და ციხის აღმოსავლეთის გალავანზე.

კოშკის მეოთხე სართული მთლიანად საბრძოლოდ ყოფილა განკუთვნილი. სალოდეები და სათოფურები თითქმის თანაბარი ინტერვალით ყველა კედელზეა განლაგებული, ხოლო სამხრეთითა და დასავლეთით ამათ გარდა სამი საზარბაზნეცაა (ამ სართულის გადახურვა შესაძლოა სხვადასხვა დონეზე იყო, რადგან კოჭების ბუდეები არაა ერთ ჰორიზონტზე).

უკანასკნელი, მეხუთე სართული მხოლოდ ქონგურებიანი ბანი ყოფილა და აღმოსავლეთის მხარე უფრო მაღლაა, ვიდრე ორი დანარჩენი.

კოშკის აგებისას, როგორც სხვაგან, ისე აქაც, ნახმარია აგური და ქვა. სარკმელ-სათოფურების ხვრელობების გადასახურავად კი ხის მასალა გამოყენებული.

კ ო შ კ ი III. ამ კოშკში, როგორც ვწერდით, ორი სართულია გადარჩენილი. მათ არც სარკმელი და არც სათოფური არ გააჩნიათ და დღეს ძნელი დასადგენია, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ ორი მეტრის დიამეტრის მქონე ცილინდრულ ნაგებობას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ციხესთან არსებული საპყრობილე იყო (სურ. 5, 3 და 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხის მეორედ მშენებელმა კოშკს ირგვლივ შემოაშენა კედლები ძველი ფორმის დაცვით, რითაც მისი შიდა დიამეტრი ორი მეტრით გადიდდა. ეს ახალი კოშკი ოთხსართულიანია, ამათგან სამი საბრძოლო-საცხოვრებელი ყოფილა, მეოთხე კი ქონგურებიანი ბანი.

ამ ახალი კოშკის პირველ სართულში, შემოსასვლელის პირდაპირ, ნახევარწრიული გეგმის მქონე ღრმა ბუხარია და მის გვერდებზე კი სათოფურებია,



სურ. 5. ქსნის ციხე. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკის გეგმები

თითქმის თანაბარი ინტერვალით განლაგებული, მარჯვენით სამი და მარცხნივ ოთხი. მეორე სართულსაც მხოლოდ იგივე ელემენტები აქვს (განსხვავებით, ბუხარი თაღოვანია და იგი კონსტრუქციულ მოსაზრებათა გამო მოწყობილია ქვედა ბუხრის ვერტიკალური ღერძის მარცხნივ). მის მარჯვენივ სამი და მარცხნივ ორი მარტივი სათოფურია. მესამე სართულზე ხხოლოდ საბრძოლო ელემენტებია განლაგებული. აქ მოწყობილია სათოფურიანი სამი სალოდე, ორი საზარბაზნე და ორიც ცალკეული სათოფური. უკანასკნელ მეოთხე სართულზე ისევ ქონგურებიანი ბანი ყოფილა. ნაგებია იმავე წესით, როგორც პირველი და მეორე კოშკი. სართულშუა გადახურვა აქაც ხისა ყოფილა, რომელიც არ შერჩენილა.

კ ო შ კ ი IV. ყველაზე მცირე ზომის ეს კოშკი, მიდგმულია გარედან გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე. კოშკი ცილინდრულია, მაგრამ იგი ისეა მოდგმული, რომ გალავნის კუთხე შიგ იჭრება ცილინდრში (სურ. 2 და ფასადები). ეს კოშკი ორსართულიანი ყოფილა და მესამე ჩვეულებრივ ქონგურებიანი ბანი იქნებოდა. ხის მასალის სართულშუა გადახურვა აქაც არ შერჩენილა. საბრძოლო ხვრელობები კოშკს არ გააჩნია. პირველი სართულის ჩრდილო კედელში ბუხარია მოთავსებული ოთხკუთხა გეგმით და მის გვერდებზე, საკმაოდ მოგრძო თითო სარკმელია. მეორე სართულზე სარკმლები მეორდება ქვედა სარკმლების ასწვრივ, ხოლო ბუხარი კი არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პატარა კოშკში შესასვლელის მოსაწყობად თავდაპირველი კოშკის ჩრდილო კედლის კუთხე გაუჭრიათ და დაბალი კარი დაუტანებიათ. ამ კოშკის პირველი სართულის იატაკში ქვევრებია ჩამარხული, რაც აქაც მარნის არსებობაზე მიგვითითებს.

გარე მასები. მაღალი მთის წვერზე წამოდგმული ციხის გარე მასები რელიეფთან შეხამებულადაა განლაგებული. მისი სიხე ბრტყელი კედლებისა და ცილინდრული და პრიზმული კოშკებისაგან ყოფილა მიღებული.

როგორც ზიდა ნაწილების აღწერისას აღვნიშნეთ, გარედანაც ციხის კედლების ორი ფენა ჩანს. პირველი, — XVI ს. დასაწყისის კედელი ჩანს ჩრდილოეთით და დასავლეთით, ორი დანარჩენი კი XVIII საუკუნისაა. თავდაპირველი კედლები ოყისქვითაა ნაგები და არავითარი გაფორმება არ გააჩნია, მეორე ფენა კი უდაოდ დიდი გეზოვნების მქონე ხეროთმოძღვრის მიერაა აგებული.



სურ. 6 ქონი ციხე. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი

ახალი, XVIII ს. გალავნისა და კოშკების რიყისქვის კედლები მთლიანად ერთი სისტემითაა ნაგები: 30—50 სანტიმეტრის დაცილებით მასში ჰორიზონტალურად აგურის ფენებია დაყოლებული (სურ. 6 და ტაბ. I, II, VII). აგურის ჰორიზონტალურ რიგებს ან შემთხვევაში კონსტრუქციულ-დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა. კედლების ზედაპირი მოსწორებულია და მასალა—ქვა და აგური ყველგან ჩანს.

ფასადებზე წმინდა დეკორატიული ელემენტი თითქმის არ არის, მაგრამ აუცილებელი საბრძოლო ელემენტი მაატერულადაა გადაწყვეტილი. კედლებს სხვადასხვა სიმაღლეზე ამოვრებდა ნახევარწრიული ფორმის ქონგურები (დღემდე ცოტაა შერჩენილი). მათ ქვემოთ ერთი-ორი მეტრის დაცილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰყვებოდა ნისკარტივით გამოშვერილი სალოდგები და ისევ ქვემოთ კი — თოფურები (მათი რიგების რაოდენობა დამოკიდებულია კოშკების სართულების რაოდენობაზე).

ციხეში შესასვლელი კი, განსხვავებით ფასადების სხვა ნაწილებთან, დეკორირებულია და არა ბარტო შესასვლელი, არამედ ეს პრიზმული კოშკი სხვებზე მეტად ყოფილა მორთული, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად სწორედ ესაა დასიანებული. კოშკის შერჩენილი ჩრდილო-დასავლეთის წიბო სიმაღლის ნახევრამდე მომრგვალებულია და გადასვლის ადგილი ოგურის კბილანა წყობითაა მორთული. თვით შესასვლელი კი, როგორც ეტყობა, ისრული ფორმის თაღით ყოფილა გადახურული, მაგრამ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რადგან თაღი განსრახ ვიღაცას ჩამოუნგრევია და მხოლოდ მისი ზედა მოხაზულობაა დარჩენილი. კარი და თაღი მთლიანად ოთხკუთხედში ყოფილა ჩასმული და ზედა ჰორიზონტზე ოგურის ორი კბილანა წყობა გასდევს. კარის ღერძზე ზემოთ მცირე ზომის ოთხკუთხა ქვაა ჩასმული, რომელზედაც მოთავსებულია სამშენებლო წარწერა.



სურ. 7. მჭადისჯვრის ციხე. გეგმა

მჭადისჯვრის ციხე. ეს ციხე განსახილავი ციხეებიდან ყველაზე მეტადაა დაზიანებული და ამიტომ ზოგიერთი საკითხი გაურკვეველი რჩება.

ციხის გეგმა მოგრძო სწორკუთხედია კუთხეებში ცილინდრული კოშკებით (სურ. 7 და ტაბ. III). პირველად ამ ადგილას ოგურით ნაშენი დიდი ზომის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია მდგარა და მისი აღმოსავლეთისა და სამ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხრეთის კედლების ჩატანებით აუგიათ ციხე. ციხეში შესასვლელი სამხრეთ კედლის თითქმის ცენტრში ყოფილა (დამატებით შესასვლელად შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიის სამხრეთის კარი, გარედან ეკლესიის დასავლეთის კარში შემოსული სამხრეთისას გამოიცვლიდა).

ციხის დაბიანება, როგორც ეტყობა, ერთი და ორი დღის საქმე არ არის, ის მრავალი ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. განსაკუთრებით იგი დაზიანებულა XIX ს. ბოლოს და მის მომდევნო პერიოდში, მაშინ, როდესაც დაუწუყიათ კედლებისათვის შიგნით და გარეთ საცხოვრებელი სახლების მიშენება-დაშენება. ამ ნგრევის პროცესში სულ დაკარგულა ციხის აღმოსავლეთის კედელი (მისი კვალი ზოგან ძლივსღა ირკვევა). მოპირდაპირე დასავლეთის კედელი ორივე მხრიდან მიშენებულ სახლებს დაუფარავს, სამხრეთის კედელზე კი შიგნიდან და ზემოდანაა დაშენებული, ხოლო ჩრდილო მოკლე კედლიდან ნაწილი, კოშკის ირგვლივ დაფარულია მინაშენით, შუაში კი იგი გარღვეულია და ეკლესიის კედელთან ორ მეტრამდეა დარჩენილი.

ციხის კედლების სიმაღლისა და ფორმების დადგენა არ ხერხდება. ცხადია, რომ მას ექნებოდა სათოფურები და, შესაძლოა, ქონგურებითაც იყო დამთავრებული. ცილინდრული კოშკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ გალავანი მაღალი არ უნდა ყოფილიყო. ერთგან, ეკლესიასთან მომიჯნავე ჩრდილო კედელში დარჩენილია პატარა ზომის სამი სათოფური, მაგრამ სხვაგან ამ სიმაღლეზე სათოფურები არ ჩანს.

ციხის კედლები მთლიანად ნაგებია რიყისქვით სქელ დულაბზე. აგური ცოტაა ნახმარი შესასვლელის ირგვლივ და სხვაგანაც (აგური კვადრატულია, მათი გვერდების ზომები მერყეობს 22 და 24 სანტ. შორის, სისქე კი 4 სანტ.).

გალავანში სამხრეთის შესასვლელი მცირე ზომისაა (სიგანით 120 სანტ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხეში საურმე შესასვლელიც უნდა ყოფილიყო (საურმე შესასვლელი ყველა ციხეში არაა საგალდებულო, მაგრამ ვაკე ადგილას აგებულ „სათემო“ ციხეებში თითქმის ყველგანაა). თუ ასეთი შესასვლელი არსებობდა, იგი არ ყოფილა სამხრეთით და ჩრდილოეთით, ორი დადანარჩენი მხრიდან მოსალოდნელია იგი დასავლეთისაში ყოფილიყო.

სამხრეთის კარი მარტივადაა გადაწყვეტილი. მშვილდივით მოხრილი თაღოვანი გადახურვის მქონე კარი სწორკუთხა ჩარჩოშია ჩამჯდარი. გვერდითა პილასტრები ვერტიკალურად აწყობილი რომბებითაა დამუშავებული. კარის ზემოთ კი სპეციალურ ჩარჩოში ღრმად ჩასმული ორი ქვაა სამშენებლო წარწერით.

ციხის ოთხი კოშკიდან სამი თანატოლია, მეოთხე—ჩრდილო-დასავლეთისა ერთნახევარჯერ აღემატება თითოეულ მათგანს და მიდგმულია არა გალავანზე, არამედ ეკლესიის კუთხეზე.

აღნიშნული სამი ერთნაირი კოშკი შემდეგში საცხოვრებლად და სხვადასხვა დანიშნულებისათვის ისე გადაუკეთებიათ, რომ დღეს არ ჩანს კარ-სარკმლებისა და საბრძოლო ელემენტების განლაგება. ერთი რამ კი ცხადია: ისინი ორ-ორი სართულიანები ყოფილა ბანით. სართულშუა გადახურვა ხისა იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. კარი თავდაპირველი სახით შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკის ქვედა სართულში გალავნის შიგნიდან, ასე უნდა ყოფილიყო ორ დანარჩენშიაც. მეორე სართულზე ასასვლელიც გარკვევით არ ჩანს. ერთგან სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკში შემორჩენილია კედლის სისქეში მოთავსებული ვიწრო კიბე, იყო თუ არა სხვაგან ასეთი კიბე, ვერ ვიტყვით.

კოშკების სამხრეთი ელემენტებიდან მხოლოდ სათოფურები და სალოდეები ჰქონია. პირველი სართული, როგორც მოსალოდნელი იყო, გარედან ყრუა, მეორე სართულზე თითქმის სიმეტრიულადაა განლაგებული სამ-სამი სალოდე და სათოფური, ზედა უკანასკნელი კი მხოლოდ ქონგურებიან ბანს წარმოადგენდა.

საშენ მასალად აქაც რიყისქვა და აგურია ნახმარი. კედლის მასა მხოლოდ რიყისქვითაა ამოყვანილი, ხოლო აგური გამოყენებულია შესასვლელისა და სათოფურ-სალოდეების წრეთხლებზე და ქონგურებზე.

მეოთხე კოშკი, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე დიდი და რთულია (სურ. 8). იგი მიდგმულია ეკლესიის კუთხეზე და გალავანთან უშუალო კავშირი არა აქვს. ეს კოშკიც დაზიანებულია, მაგრამ არც ისე, როგორც დანარჩენი სამი.

კოშკი სამსართულიანია. ამათგან პირველი დამხმარეა, მეორე საცხ.-საბრძოლო და მესამე ბანია. შესასვლელი მხოლოდ მეორე სართულზეა, აღმოსავლეთით, მაღლა, ეკლესიის კედელთან. ამ პატარა კარიდან შეიძლებოდა მოხვედრა როგორც მეორე სართულზე, ისე ბანზე, იქვე, კედლის სისქეში დატანებული კიბით. აღნიშნული კარი კოშკს აკავშირებდა მხოლოდ გალავნის გარეთა ნაწილთან, რაც მიზანშეწონილი არ იყო მტრის ალყის დროს, რადგან მაშინ კოშკი მოწყვეტილი იქნებოდა ციხისგან, ამიტომ კოშკის მეორე სართულის სამხრეთ კედელში მოქცეული მეორე კიბე კოშკს აკავშირებდა ეკლესიასთან (ეს საიდუმლო კარი დღეს ამოქოლილია და ცუდად ჩანს).

კოშკის პირველი სართული თითქმის ამოვსებულია, იგი დამხმარე დანიშნულების სადგომი იქნებოდა. მეორე სართული ისრული ფორმის კამაროვანი გადახურვის მქონე სადგომია. მას ხის იატაკი ჰქონია და ჩაქცეულია. ამ სადგომის უწესო ფორმის ცილინდრულ კედლებში სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნიშებია განლაგებული. ნახევარწრიული გეგმის მქონე ნიშა მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით, მის ორივე მხარეს ორ-ორი დიდი და მცირე ზომის ნიშაა განლაგებული. მათ კედლებში კი განსხვავებული ზომისა და ფორმის სათოფურებია მოთავსებული, ზოგში ორი და ზოგში სამი. ორი სათოფური ბუხრის კედელშიცაა დატანებული. ამათ გარდა, სამხრეთის კედელში, ეკლესიის მომიჯნავედ, პატარა სათაცსოა მოწყობილი, რომელსაც საწყობის დანიშნულება ენენებოდა. ამ სართულის კამარა და წრეთხლები აგურითაა ამოყვანილი, სხვაგან რიყისქვა და აგურია ნარევი.

კოშკის მესამე სართული, როგორც აღვნიშნეთ, ბანს წარმოადგენს და მხოლოდ საბრძოლო ხვრელობებითაა აღჭურვილი. ამ სართულის ფართობი თითქმის ოთხკუთა აღემატებოდა ქვედას, რადგან კედლის სისქე ნახევრდება (ქვემოთ საშუალოდ ორი მეტრი იყო, აქ კი ერთი მეტრია მხოლოდ). ამ ეკლესიის კუთხეზე შემორკალულ კედელში, თითქმის თანაბარი ინტერვალით, განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგებულია ექვსი სალოდე და ორი საზარბაზნე. ამათ გარდა, მთელი კედელი დასეულია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და მიმართულების სათოფურებით (მათი საერთო რაოდენობა ოცდახუთს აღწევს). ამათ ზემოთ კიდევ მცირდება კედლის სისქე და თანაბარი სიმაღლის ქონგურების წყრიგის წინ მებრძოლთა ჩამოსადგომი სეფეხური კეთდება.



სურ. 8. ჭკადისჯერის ციხე. ჩრდილო-დასავლეთის კოშკი

საშენ მასალად აქაც აგური და ქვაა გამოყენებული, აგურით ისევ ქონგური და წირთხლებია ამოყვანილი, დანარჩენგან კი ნარევია. შელესილი არამც თუ ეს სართული, არამედ ქვედაც არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანის ციხე. ეს ციხე განსახილავი ციხეებიდან ყველაზე რთულად აგებულია. გეგბობაა და მრავალი სხვადასხვა სახისა და დროის ძეგლისაგან შედგება. ციხეში ერთმანეთისაგან გამოყოფილი ორი ეზოა და საერთო ფართობი 2,5 ჰექტარს მოიცავდა (სურ. 9). პირველი მათგანი შედარებით პატარაა, მისი გეგმა თითქმის კვადრატია (56×54 მეტრ.) და კუთხეებში თითო ცილინდრული კოშკია



სურ. 9. მუხრანის ციხე. გეგმა

მოთავსებული, ხოლო შიგნით ერთი ცალნავიანი ეკლესია დგას. მეორე გალავანი დიდია (160×155 მეტრ.) და იგი მიდგმულია პირველზე ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ამ ტერიტორიაზე კი ორი ეკლესია მდებარეობს. ერთი მათგანი, ჩრდილოეთით მდგარი, შვერილფსიდიანი ცალნავიანი ეკლესიაა, მეორე კი ტიპით ცენტრალურ-გუმბათოვანია, მაგრამ თვით გუმბათი არ გაჩნია, დაუმთავრებელია.

პირველ, კვადრატული გეგმის მქონე ციხეს შესასვლელი აღმოსავლეთის კედლის ცენტრში აქვს, დანარჩენი კედლები ყრუა და ერთი სი აღლისაა. კუთხის კოშკთაგან ჩრდილო-აღმოსავლეთისა ყველაზე დიდია, დანარჩენები კი პატარები და თანატოლებია.

ციხის კედლები ორ იარუსიანია: ქვედა—სქელი ნაწილი 4—4,5 მეტრი სიმაღლისაა და ზედა ნაწილი 50—70 სანტიმეტრით თხელია ქვედასთან შედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით და ამ განსხვავებაზე იქმნება მებრძოლთა ჩამოსადგომი ანუ ბილიკი, რაც მთელ სიგრძეზე შიგნიდან მიჰყვება კედლებს (სურ. 10, 11 და ტაბ. IV). კედლის ქვედა ნაწილი მთლიანად ყრუა და საბრძოლო ხერელობები მხოლოდ ზედა იარუსზეა. აქ არის თითქმის თანაბარი ინტერვალით (4—5 მეტ. დაცილებით) ერთ ჰორიზონტზე განლაგებული სათოფურები. ციხის კედლებს ამთავრებდა ნახევარწრიული მოყვანილობის ქონგურები. დღეს ამ ქონგურების მხოლოდ კვალია აქა-იქ შერჩენილი, დანარჩენი დაუნგრევიათ.



სურ. 10. მუხრანის ციხ განაკვეთი ჩრდილოეთით

გალავანი ნაგებია რიყისქვით კირის სქელ დუღაბზე და ზედაპირი თითქმის მოსწორებული აქვს. აგური კი ნახმარია სათოფურებზე და ქონგურებზე როგორც გარედან, ისე შიგნიდან (აგურის ზომები მერყეობს 21—25 სანტიმეტრს შორის).



სურ. 11. მუხრანის ციხე. აღმოსავლეთის ფასადი

გალავნის ჩრდილო კედლის მარცხენა ნაწილში სამი ნიშაა, ერთი დიდი და ორი პატარა. ამათგან დარჩენილია მხოლოდ დასავლეთისა, რომლის წირთხლებიც აგურითაა ამოყვანილი და ისრული თაღით—გადახურული.

გალავანში შესასვლელი საკმაოდ გემოვნებით ყოფილა ძორთული. გარდა თაღის საბრჯენი პილასტრებისა ეს ნაწილი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. ნახევარწრიული თაღი პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობოდა და თაღის არე მთლიანად მაღალ ოთხკუთხედშია ჩასმული, რომელიც ზემოთ ხერხისებრ ნაწყობი აგურის კარნიზით მთავრდება. შესასვლელის ღერძზე, უშუალოდ კარნიზს ქვემოთ, ცხრასტრიქონიანი სამშენებლო წარწერის შემცველი სწორკუთხა ქვაა ჩატანებული. თუ როგორ მთავრდებოდა ეს შესასვლელი არ ჩანს, შეიძლება ფრონტონი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გადავალთ კოშკების აღწერაზე, უნდა დავიწყოთ ყველაზე სანიტერესო და უკეთ შემონახულ ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკიდან.

კ ო შ კ ი I. როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ეს კოშკი ოთხსართულიანია. ამითგან პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, ზედა ორი საცხოვრებელია და მეოთხე ბანია, საბრძოლო (სურ. 12, 13 და ტაბ. IV).



სურ. 12. მუხრანის ციხე. მთავარი კოშკის გეგმა

კოშკში შედიოდნენ მეორე სართულიდან, ეზოს მხარეს მდებარე კარით (იქამდე ასვლა მისადგმელი კიბით იქნებოდა). პირველ სართულში კედლის სისქეში ჩაყოლებული კიბე ჩადის. ამ სართულის იატაკის დონე მიწის ზედაპირზეა და ცენტრში ჭაა მოთავსებული (დღეს ქვები ყრია და მხოლოდ სამი მეტრის სიღრმეზე ჩანს). მისი კედლები ქვემოთკენ განიერდება და საკმაოდ რთული პროფილისაა. თვით სადგომი დაბალია, ცილინდრული მოყვანილობის კედლებითა და გადახურული „დამჯდარი“ ფორმის კამაროვანი გუმბათით. იგი ნათდება მაღლა 45° „ამართული“, სამი სარკმლიდან შემოსული შუქით.

მეორე სართული დაბალი რვაგვერდა პრიზმია სხივისებრ-კამაროვანი გადახურვით. იგი ნათდება კამარებში მოთავსებული ოთხი სარკმლით, ბუხარი კი ჩრდილოეთის ერთ-ერთ წახნაგშია. ღრმა ოთხკუთხა ნიშებში წყვილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვილად ისეთი სათოფურებია მოწყობილი, რომლებიც გარეთ ერთიანდებიან. დანარჩენი სათოფურები განლაგებულია მესამე სართულზე ასასვლელი კიბის გარე კედელში.

მესამე სართულის გეგმაც ოქტოგონურია, მხოლოდ გაცილებით უკეთაა მოწყობილი. პრიზმის წახნაგები სხივისებრ-კამაროვანი გადახურვისაგან კარ-



სურ. 13. მუხრანის ციხე. მთავარი კოშკი

ნიზეთაა გამოყოფილი. როგორც ზედა, ისე ქვედა ყველა წახნაგში მოთავსებულია სხვადასხვა ელემენტი. ერთ წახნაგში კიბიდან შემოსასვლელი კარია, მის მარცხნივ—ღრმა ნიშა, ხუთი წვრილი სათოფურით, შემდეგ ორ წახნაგში სწორკუთხოვანი სარკმლებია ორ-ორი სათოფურით. ასეთივე სისტემის სარკმლები სამია კიბის მარჯვენა მხარეს. ამათგან ცენტრალური წახნაგი მაღალ, მორთულ ბუხარს უჭირავს. თვით მორთულობა ბათქაშზეა შესრულებული და რთული პროფილისაა, გეომეტრიული და ფოთლოვანი ჩუქურთმით (სურ. 14).

კამარის წახნაგებზე სქელი ბათქაშით რვა ფართო სხივია გამოყვანილი ცენტრში მედალიონით. ოთხ წახნაგში სიმეტრიის დაუცველად მაღლა „ამართული“ სარკმლებია განლაგებული, დანარჩენებზე კი ნიშებია. ყველა ესენი ოთხკუთხა პროფილირებულ ჩარჩოშია ჩასმული და თვით ნიშებისა და სარკმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების თაღებს ისრული ფორმა აქვს. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კოშკში მხოლოდ ეს სართული ყოფილა შელესილი.

მეოთხე სართულზე — ბანზე ასვლა ისევ კედელში დატანებული კიბით ხდება. ამ სართულზე მხოლოდ რთული სისტემის საბრძოლო ხვრელობებია.



სურ. 14. მუხრანის ციხე. მთავარი კოშკის მესამე სართულის ტუბარი

აქ ძირითადად სამი საბრძოლო ელემენტია გამოყენებული: სალოდე, საზარბაზნე და სათოფური (კოშკის დამაგვირგვინებელი ქონგურებიც, განსაკუთ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რებულ შემთხვევებში, შეიძლებოდა გამოეყენებინათ ყველა ამ დანიშნულებით).

სათოფურები მოწყობილია როგორც ცალკე კედლებში, ისე სალოდეებსა და საზარბაზნეების კედლებშიაც და მათი რიცხვი ოცდათამდე აღწევს. უმრავლეს მათგანს ჰორიზონტალური მიმართულება აქვს, მაგრამ ნაწილი დახრილია კოშკის ძირში მოსული მტრის დასაზიანებლად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კოშკი მთავრდება ერთ ჰორიზონტზე განლაგებული თანატოლი ქონგურებით. განსხვავებით კედლებისაგან, ისინი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი და ზემოდან ნახევარწრიული ფორმა აქვთ (დღეს ქონგურების ნახევარზე მეტი მორღვეულია). კოშკის კედლები, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვემოთ სქელია და ზემოთკენ ვიწროვდება (კედლის სისქე: პირველ სართ. 2,5 მ, მეორე სართ. 2,3 მ, მესამე სართ. 1,75—2,2 მ-მდე და მეოთხე სართულზე 1,25 მ ქვედა ნაწილში, ხოლო ქონგურებთან 0,5 მ).

ეს კოშკი გარედან, ოდნავ, ზემოთკენ დავიწროებულ ცილინდრულ მასას წარმოადგენს. მისი ფასადები მარტივია და სიბრტყის ერთიანობას არაფერი არღვევს, გარდა შვერილი სალოდეებისა (სარკმლებისა და სათოფურების ხვრელები მკრთალი აქცენტებია ასეთ დიდ მასივზე). კოშკი ნაგებია განსაზღვრული წესით აგურისა და რიყისქვის მორიგეობით. ასეთ წყობას კონსტრუქციული მნიშვნელობა უფრო ენიჭებოდა, ვიდრე დეკორატიული, რადგან ზემოდან ნაღესობა ისე ჰფარავდა კედლის ზედაპირს, რომ წყობა ძალიან მკრთალად მოსჩანდა (წყობის წესი ასეთია: აგურის ჰორიზონტალური ფენები 30 — 40 სანტიმეტრითაა დაცილებული ერთმანეთს, მათ შუა კი ქვების ორორი ან სამ-სამი რიგია ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ცერად — ფხურად ნაწყობი).

დანარჩენი სამი კოშკი ერთი ტიპისა და ერთი სიმაღლისაა, მაგრამ განსხვავება მაინც არის, ამიტომ მათ ცალ-ცალკე აღვწერთ.

კ ო შ კ ი II. შესასვლელი პირველ და მეორე სართულს ეზოდან ჰქონდა ცალ-ცალკე. ქვედა სართულის შესასვლელის კედლები შემდეგში გაუგანივრებიათ და ამიტომ არ ვიცით, თუ როგორი ფორმა ჰქონდა მას თავდაპირველად (სურ. 15 და 16). ეს სართული პირველი კოშკის პირველი სართულის ფორმას იმეორებს: ზუსტ ცილინდრზე დაბალი კამაროვანი გუმბათია დადგმული, ყოველგვარი შვერილებისა და დეკორის გარეშე. განათება გუმბათის საწყისში მოთავსებული სამი ვიწრო, მაღლა „ოშვერილი“ სარკმლით ხდებოდა (ამ უკანასკნელ წლებში იქვე მდგომ მოსახლეს კედელი სამხრეთით გაუნგრევია მისი საწყობად გამოყენების მიზნით).

მეორე სართული რვაგვერდა პრიზმაა კამაროვანი გადახურვით. აქაც, ყველა წახნაგი დაკავებულია რომელიმე ელემენტით. ერთში ეზოდან შემოსასვლელი კარია (ასევა მისადგმელი კიბით ხდებოდა), მის მარჯვნივ მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა, პირდაპირ კი ბუხარია, დანარჩენი ხუთი წახნაგი თაღოვანი გადახურვის ღრმა ნიშებს უჭირავს. ამ ნიშების ასეთი სიღრმე გამოწვეულია კოშკის კედლებში სათოფურების მოწყობის აუცილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით; კედლის სისქე ორი მეტრია, საჭირო იყო მისი შემცირება, თანაც ორმა ნიშების გამოყენება შეიძლებოდა კოშკში ცხოვრების დროს სხვადასხვა დანიშნულებისათვის. განათება აქაც კამარაში ჩოთავსებული სამი მაღლა აშ-



სურ. 15. მუხრანის ციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკის გეგმები

ვერილი, ასიმეტრიულად განლაგებული სარკმლით ხდებოდა. ეს სადგომი შელესილია და არავითარი დეკორი არ გაჩნია, გარდა ბუხრის ზედა ნაწილისა, სადაც ჩაღრმავებული ოთხკუთხედია ისრული თაღით.

ზედა სართულზე ასვლა ხდება კედლის სისქეში მოთავსებული კიბით. კოშკის ბანს, როგორც ეტყობა, მხოლოდ საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. ქონგურების ქვედა ნაწილში რთული საბრძოლო ელემენტებია განლაგებული. აქ, წრეზე არათანაბარი ინტერვალით ოთხი სალოდე, ორი საზარბაზნე და ჩვიდმეტი სათოფურია მოწყობილი (დამატებით თითო სათოფურია სალოდეს ქვედა ნაწილში, დახრილად). ამ ელემენტების სისტემა იგივეა, როგორიც პირველ კოშკზე ვნახეთ. ფასადზედაც პირველი კოშკის მსგავსი მდგომარეობა გვაქვს: წყობა—რიყისქვა და აგურის ზოლები, ნალესობის თხელი ფენა, ზედა ნაწილში დაზიანებული ქონგურები და მათ ქვემოთ შვიერილი სალოდეები, რასაც ერთვის სარკმლების ვიწრო ზოლები და ოდნავ შესამჩნევი სათოფურები.

დიდ კოშკთან განსხვავებით, აქ შესაძლებელია აღვწეროთ მეორე სართულის კარის დეკორი (იქ ამის საშუალება არ გვქონდა, რადგან კარს შემდეგში მიდგმული სახლი ჰფარავს). კარის არე მთლიანად აგურისაგანაა ამოყვანილი, ამიტომ მისი დეკორიც აგურის წყობის კომბინაციითაა მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრული თაღოვანი კარი მაღალ სწორკუთხედშია ჩასმული და [illegible] ვერტიკალურად განლაგებული რომბებია, თვით სწორკუთხედის ზედა ნაწილი კი აგურის ჰორიზონტალური კბილანებითაა დამშვენებული.



სურ. 16. მუხრანის ციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი

კოშკი III. ამ სამსართულიან კოშკს განსხვავებით წინა ორთან ჰორიზონტალური სართულშია გადახურვა აქვს. პირველი სართული უფორმო წრეა, ერთი კარით ეზოსკენ და მის პირდაპირ ბუხრით. განათება არა აქვს (სურ. 17 და 18).

მეორე სართული რთულია. შესვლა ისევ ეზოდან ხდებოდა მისადგმელი კიბით. კარის პირდაპირ ბუხარია, მარჯვენა გვერდზე კი კიბეა ბანზე ასასვლელი. ამ წრიული გეგმის სართულიდან ორი საზარბაზნე ორივე მხრიდან დარაჯობს გალავანს. მათ გვერდებზე კი თითო ღრმა ნიშაში განლაგებული სათოფურებია. სათოფურები მოწყობილია აგრეთვე კიბის კედელში და სახარბაზნეების გვერდებზე (სულ ოცდაერთი სათოფურია).

მესამე სართულზე აქაც ბანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისეა გადაკეთებული და დაზიანებული, რომ ძნელია ფენების გამოჯვენა და თავდაპირველი ფორმების დადგენა. ფასადზე გარკვევით ჩანს, რომ მშენებელს კედლები სხვა კოშკების მსგავსად აქაც ქონგურებით დაუმთავრებია და მათ ქვეშ სალოდენები მოუთავსებია. შემდეგ, ერთიცა და მეორეც ამოუღესიათ და შიგნით, შელესვის გამო, მათი კვალი ზოგან არ ჩანს. ამ ნაწილის გადაკეთება მოუხდარა მისი საცხოვრებლად გამოყენების მიზნით. ბუხარი აქაც თითქმის ქვედა ბუხრის ვერტიკალზეა მოთავსებული და საკვამლე მილებიც ერთმანეთს უერთდება.

ჩრდილოეთის მხარეს, ერთმანეთისაგან დაცილებით, ორი განიერი სარკმელია მოთავსებული. მარჯვენა სარკმელი, შეიძლება, კოშკს ციხის დასავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთის კედელთან აკავშირებდა, მეორე სარკმლის დანიშნულება კი გაურკვეველია, რადგან ასეთი განიერი სარკმლის მოთავსება გალავნის გარეთ საშიში



სურ. 17. მუხრანის ციხე. სამხრეთ-დასავლეთის კოშკის გეგმები

იყო იმ დროისათვის (ალბათ გადაკეთებულია). ორი საზარბაზნე, რომელთაგან პირველი მოთავსებულია კარის ზემოთ და მეორე სამხრეთით, გადაკეთე-



სურ. 18. მუხრანის ციხე. დასავლეთის კოშკების განაკეთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შედეგად უნდა იყოს მიღებული, ყოველ შემთხვევაში, პირველი მათგანის ადგილას სალოდე იქნებოდა თავის დროზე.

სართულშუა გადახურვაც ატარებს გადაკეთების ნიშნებს. ის, რაც დღეს არის, ხის კოჭებზე ფიცრების დაწყობითა და მიწის დაყრითაა მიღებული. ჭერი, შეფიცრული და შელესილია.

ფასადი აღწერილი კოშკების ფასადების მსგავსია, ისეთივე მეორე სართულის მორთული კარით და სხვ.

კ ო შ კ ი IV. ეს კოშკი განხილულებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი სართული ნახევარსფერული გადახურვითაა, მეორე კი — ჰორიზონტალური—ხის კოჭებზე (სურ. 19 და 18).

კოშკის ქვედა სართული მეორე კოშკის მსგავსია: კარი—ეზოდან და სფეროს დასაწყისში თითქმის თანაბრად განლაგებული სამი მაღლა „აშვერილი" სარკმელია. კედელი რიყისქვითაა ამოყვანილი, გადახურვა კი — აგურით. მეორე სართულის გეგმაც წრიულია. ეზოსთან დამაკავშირებელი კარის მარცხნივ



სურ. 19. მუზრანის ციხე. ჩრდილო-დასავლეთის კოშკის გეგმები

მესამე სართულზე ამავალი კიბეა, მოპირდაპირე კედელზე კი ისევ ბუხარია მოთავსებული; მათ შორის სამ-სამი ღრმა ოთხკუთხა ნიშაა, თითოში ორი ან სამი სათოფურით. თუ პირველი და მეორე კოშკის ასეთი ნიშები თაღოვანი გადახურვით იყო, ორ უკანასკნელში იმავე დანიშნულების ხის ძელით ჰორიზონტალურადაა გადახურული. კარი ხისა ყოფილა და, ისე როგორც დანარჩენებშიც, აქაც შიგნიდან ურდულით იკეტებოდა. მესამე სართულის მეტი ნაწილი მორღვეულია, მაგრამ საბრძოლო ელემენტების განლაგების სისტემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგენა მაინც ხერხდება. მას ჰქონია სხვების მსგავსად სათოფურები, საზარბაზნე და სალოდეები, ქონგურებით, მებრძოლთა ჩამოსადგომები და სხვ.

ფასადებზეც დანარჩენი კოშკების მსგავსი სურათი გვაქვს. აქაც მთავარ, მორთულ ნაწილს ეზოში გამავალი ვიწრო მხარე წარმოადგენს, სადაც ერთ ღერძზე განლაგებულია ორი კარი და ზემოთ მათი დამცველი, დახრილი სათოფური და სალოდე (ასეთი სისტემაა ყველა კოშკზე). კედელი ნაწყობია ქვისა და აგურის მონაცვლეობით (ქვედა კარის წირთხლები აქაც მოშლილია და ამიტომ არ ვიცით, თუ როგორ იყო მორთული.

ისეთ დიდ ციხეს, როგორიც მუხრანის ციხეა, უნდა ჰქონოდა თავისი ეკლესია. ასეთს წარმოადგენს გალავნის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი საყდარი.

გარე სწორკუთხედში მოქცეული ცალნავიანი ეკლესიის გეგმა მარტივია. შიდა ოთხკუთხა გეგმის დარბაზი გადახურულია ორი გამბრჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით. ღრმა აფსიდი ორიგინალური გადაწყვეტითაა, რადგან დარღვეულია სარკმლების განლაგების ჩვეულებრივ მიღებული წესი. აქ არსებული სამი სარკმლიდან ერთი მოთავსებულია აფსიდის ცენტრში და გადის აღმოსავლეთის ფასადზე, ხოლო თითო—გვერდებზეა და გადის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე. აფსიდის ვერცელ სიბრტყეზე სამ სწორკუთხა ნიშას ცენტრალური ადგილი უჭირავს, ორ-ორი დიდი და პატარა კი გვერდებზეა.

თვით ეკლესიის დარბაზის კედლებში ხუთი სარკმელია. სამი მათგანი ჩრდილო კედელზეა სამეტრიულად განლაგებული, ორი კი — სამხრეთის კედლის განაპირა არეებში. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, ერთი დასავლეთით და მეორე სამხრეთით. ეკლესია შიგნით მთლიანად შელესილია და უკანასკნელ წლებში ისე შეუთეთრებიათ, რომ შეუძლებელია მისი თავდაპირველი სახის აღდგენა.

ეკლესიის ფასადები აგურისა და რიყისქვის მორიგეობით, საკმაო რთულადაა მორთული. ეკლესიის ცოცოლი არ ჩანს, ხოლო ორფერდა სახურავს აგურის ორმაგი კბილანა კარნიზი გასდევს. ფასადების დეკორი ორი ელემენტის კომბინაციითაა მიღებული. ესენია—კედლის სიღრმეში ჩაპრილი ჯვარი და რომბი, რომლებიც განლაგებულია კედლების შუა ჰორიზონტის ზემოთ. მაგ. აღმოსავლეთის ფასადი ამ ელემენტებით შემდეგი სახითაა მორთული: ცენტრალური, ერთადერთი სარკმლის ირგვლივ სამი ჯვარია: ერთი—დიდი, ზემოთ ღერძზეა და თითქმის თოელი ფრონტონის არე უჭირავს, ორი თანატოლი კი გვერდებზეა. რომბების ერთი მწკრივი გასდევს თოელ ფასადს სარკმლის ქვედა ჰორიზონტზე და სამ-სამი რომბი ორ რიგად ჯვრებსა და კუთხეებს შორისაა ვერტიკალურად განლაგებული. სამხრეთის ფასადზე დეკორის ეს სახე ისევე კუთხეებშია გამოყენებული და ერთი რიგი რომბებისა მიჰყვება კარის ოთხკუთხა მოჩარჩოებას. ორი ჯვარი, მსგავსი და თანატოლი აღმოსავლეთის ქვედა ჯვრებისა, მდებარეობს მარჯვენა სარკმლის გვერდებზე. თვით სარკმლები მარტივია, საკმაოდ განიერი და მაღალი, ნახევარწრიული გადახურვით, კარის არე კი რთულია. სწორკუთხა კარს მაღალი სწორკუთხა ჩარჩო გაჰყვება და მათ შუა ისრული ფორმის არეა ცენტრში პატარა ღრმა ნიშით. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მოჩარჩოებას, ეკლესიის კარნიზის მსგავსად, ორმაგი კბილანა აბთავრებს. როგორც ეტყობა, ეკლესიის ფასადები შელესილი არასოდეს არ ყოფილა.

შემდეგში, ეკლესიის დასავლეთით, კვადრატული გეგმის ღია, თაღოვანი კარიბჭე მიუშენებიათ და ეკლესიის სახურავთან შეერთების ადგილს კეხზე პატარა სამრეკლო დაუდგამთ.

სამრეკლო საკმაოდ კოხტაა. ეს ექვსწახნაგა ფანჩატური ცილინდრულ საფუძველზე დგას და პირამიდული გუმბათით მთავრდება.

ციხის სამხრეთ გალავნის გაყოლებაზე, ცენტრალურ ნაწილში, მარანი მდებარეობს. ეს დიდი მარანი (36×5 მ) თავდაპირველადვე კედლებით შემოზღუდული და გადახურული იქნებოდა, მაგრამ არ შერჩენია (ახლა არსებული კედლები, სახურავიანად, ამ უკანასკნელ წლებშია აგებული ადგილობრივი კოლმეურნეობის მიერ). მიწაში სხვადასხვა ზომის ორმოცდაათამდე ქვევრია ჩადგმული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კვადრატულ ციხეს მეორე გალავანი აკრავს აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით. ამ ციხეს დიდ ტერიტორიაზე დღეს საცხოვრებელი სახლებია გაშენებული და ციხის კედლები ისეა დანგრეული და სახეცვლილი, რომ გარკვეული დასკვნების გამოტანა შეუძლებელია.

ამ ციხის გეგმა თითქმის კვადრატს უახლოვდება (155×160 მ). შედარებით კარგად არის მოღწეული დასავლეთის კედელი, რომლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გალავანი თავისი სიმაღლით არ ჩამოუვარდებოდა ძირითადი ციხის კედლებს. კედლის მცირე ნაწილი და გადარჩენილი სამხრეთის მხარის დაახლოებით ცენტრში და აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნახევარში. კედლების დანარჩენი ნაწილიდან მხოლოდ კვალიღა დარჩენილი, რის მიხედვითაც იტყვეკა, რომ გალავანის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში ცილინდრული ფორმის კოშკები მდგარა. ციხის კედლები ნაგებია რიყისქვით, ისევ აღმაცერი წყობით. თუ რას წარმოადგენდა კედლის ზედა ნაწილი, არ ჩანს.

მუხრანის ციხის გარე გალავნის ტერიტორიაზე მდებარე ორი ეკლესია ამჟამად ჩვენ მიერ აღებულ თემასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული და ამიტომ მათ აქ არ ვიხილავთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „გუმბათოვანი ეკლესია" აგებულია 1843 წ., ხოლო მეორე ეკლესიის თარიღი არ გაჩნია, მაგრამ ეტყობა, რომ იგი ციხეზე ადრეა აგებული.

ძეგლების ისტორია

განსახილველი სამი ძეგლის შესახებ მეცნიერული ლიტერატურა არ არსებობს და, სამწუხაროდ, არც ისტორიულ ცნობებში ეპოულობთ ამომწურავ მასალას.

ერთი მხარე მათი ისტორიისა, სახელდობრ, აგების თარიღი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, მოცემულია ციხეების კედლებზე, მათი ამგების კონსტანტინე სახლთუხუცესის სამშენებლო წარწერებში. მაგრამ მეომინდელ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით.

ამემამდე, ჩვენ ვიხილავთ კონსტანტინე მუხრან-ბატონის მიერ აგებულ სამ ციხეს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი — **ქსნის ციხე**, როგორც აღწერიდან ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცით, მეორედაა აგებული და მის კედლებში მოქცეულია ძველი ციხის ნაშთები. განსიღვეაც სწორედ ამ ძველი ციხიდან უნდა დავიწყოთ.

სხვადასხვა მატიანეებში ვკითხულობთ, რომ ქართლის მეფის დავითისა (1505—1525) და კახეთის მეფე ალ-გიორგის შორის ბრძოლების დროს აგებულ იქნა ციხე, რომელსაც ერთი სიტყვით[1] „მტკერის ციხე" ეწოდება, ხოლო სხვა საბუთების მიხედვით „მტკერის ციხე". არსებული ცნობებით ამ ციხის ლოკალიზაცია ზედმიწევნით ხერხდება, რითაც იჩვეევა, რომ აქ საქმე გვაქვს ქსნის ციხესთან.

ალ-გიორგის შემოტეევები როდესაც გახშირდა და მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ქართლის დაპყრობასაც ლამობდა, დავით მეფეს მისმა ძმებმა მოსთხოვეს ენერგიული მოქმედება და ბოლოს მოღება კახეთის მეფის თარეშისათვის. მაგრამ როდესაც ამით მიზანს ვერ მიაღწიეს, მაშინ ბაგრატ ბატონიშვილს თვით უკისრია ალ-გიორგისათვის წინააღმდეგობის გაწევეა: „ესთხოვა უმრწემესმან ძმამან მისმან მეფესა დავით მუზრანი საუფლისწულოდ და დროშა" და „არაგვისა და ქსნის ხეკნი მთიულ-ძოხეევთურთ თუსს მორჩილებას ქვეშ", ამის შემდეგ „მე აღუდგები მტრად ალ-გიორგისო". მაშინ მეფე იძულებული გამხდარა დაერთო ნება ბაგრატისათვის. „წარმოვიდა ბაგრატ, აღაშენა მუზრანს ციხე მტკვრისა",... „რომელი არს ციხისძირის თავსაო"[2]. ან, როგორც ვახუშტი განმარტავს: „ციხის-ძირის (სოფ. ციხისძირი ამჟამადაც იქვეა)—სამკრით არს ციხე მტკვრისა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელიც აღაშენა ოთმეფის კონსტანტინეს ძმანბაგრატ"[3].

ციხის აგების თარიღი პირდაპირ არსად არაა მითითებული, მაგრამ სხვადასხვა საბუთების შეჯერებით შეიძლება მიახლოებით მისი დადგენა.

ალექსანდრე I, კახთა მეფე (1466—1511) და მისი უმცროსი შვილი დიმიტრი ულოდნენ გიორგის ქართლის რბევასა და დაპყრობის განზრახვას, მაგრამ მან არამცთუ შეისმინა და დაიჯერა მამისა და ძმის დარიგება, არამედ „აღიესა შურითა გიორგი და ღალატი მოკა მამა თავის ალექსანდრე" და აგრეთვე: „შეიპყრა ძმა თჳსი დიმიტრი და დასთხარა თვალები"[4]. ეს საშინელი ბოროტმოქმედება მოახდარა 1511 წ. ამის შემდეგ მამისმკვლელს კახეთში დამშვენული არაკინ ჰყავდა და ქართლში მოწინააღმდეგე და დღეს უმწარებდა დავით მეფეს და მის ძმებს. ხოლო, როდესაც ბაგრატის მიერ მის საწინააღმდეგოდ მტკვრის ციხის აგების ამბავი გაიგო, მაშინვე გამოეშურა ჯარით და ახლად აგებულ ციხეს ალყა შემოარტყა. გარემოცვა სამი თვე გრძელდებოდა, მაგრამ მას ციხისთვის ვერაფერი დაუკლია და უკანვე გაბრუნებულა. დიდხანს უქმად ხომ არ დადგებოდა ძმათ წოიკობას მიჩეეული ალ-გიორგი და ისევ შემო-

---

[1] ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელება, 1906, გვ. 907 (სხვა ისტორიული წყაროებით „მტკვრის" ანუ „მტკურის" ციხე ხუნანის გეოდება).

[2] ქ'ცის დამატ. II, გვ. 907; ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება. ბეჟანიძის გამოც., გვ. 26.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწ. სამ. საქ. 1941, გვ. 63.

[4] ქ'ცის დამატ. გვ. 906.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესია ქართლს „ვითარ არა ვისი აქუნდა შიში“. მაგრამ ამჯერად ბედმა უმუთხლა. როდესაც გათამამებული მცირე სპითა ნადირობას შეექცეოდა „იცა ჟამი მარჯვე ბაგრატ, მიეტეეა და მოსრნა მისთანნი და შეიპყრა ავ-გიორგი და პატიმარ-ჰყო მტკვრის ციხესა შინა და იქვე „მოაშ-თვეს ანუ მოკუდა“ [1]—გვატყობინებს ვახუშტი.

ეს ამბავი სხვადასხვა მატიანეებსა და ქრონიკებში მცირე განსხვავე-ბითაა გადმოცემული, მაგრამ ცხადი ის არის, რომ ავ-გიორგი 1513 წ. თუ 1514 წ. მოკლეს [2].

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო საკითხი—ციხის აგების თარიღი ამ ორ მიჯნას შორის თავსდება. ერთი მხრივ, 1511 წელსა და, მეორე მხრივ, 1513—14 წლებს შორის, ე. ი. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ მტკვ-რის ციხე ბაგრატს აეგო 1512 წელს.

პირველი, მუხრან-ბატონის მიერ აგებული ციხე, როგორც იმავე მატია-ნეთა ცნობებიდან ირკვევა, საკმაოდ მაგარი ნაგებობა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაუძლებდა სპეციალურად ციხის ასაღებად მოსული მტრის დიდი ხნის ალყას. ციხის აუღებლობის ერთ-ერთი მიზეზი ამ შემთხვევაში ისიც ყოფილა, რომ იგი დიდი ტევადობისა იყო და სანოვაგის მარაგიც საკ-მაო ჰქონიათ. თუ სხვადასხვა ცნობები სიმართლეს შეიცავს, მაშინ ეს შემ-დეგნაირად დასტურდება: „ავ-გიორგი მოვიდა სპითა თვისითა და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს სამ-თთუ და შეამჭიჟვა ფრიად ბაგრატ: მაშინ ავ-გიორგიმ წარუვლინა ღვინო ლიტრითა ბაგრატს: „ხარ ძე მეფისა და არს ჟამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აწ იქმენ“. ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავ-გიორგის იგი და მოუთხრა: სამ-თთუ მყოფ ქსანსა ზედა და არა გიგემია, იგემე, რამეთუ ცოცხალ არს“ [3]. გიორგიმ „მაშინ ჰსცნა სიმრავლე საზრდელთა, და სიმტკი-ცე ციხისა მის“ [4], „უკუნ იქცა, მოაოხრა ქვეყანა და შთავიდა კახეთად“ [5]. აქ მოთხრობილი ამბავი დაუჯერებელს არაფერს შეიცავს, პირიქით, იგი გვად-ლევს საშუალებას, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ყოველმხრივ მოწყობილ ციხეზე.

თუ რა ბრძოლები გადაიხადა „მტკვრის ციხემ“ მომდევნო პერიოდში ჩვენ-თვის უცნობია, მაგრამ, ცხადია, რომ იგი მრავალი ომის მომსწრეა და მათ შედე-გად ისე დაზიანებულა, რომ XVIII ს. დასაწყისში საბრძოლველად არ ეარ-გებულა და მის ნანგრევებზე თითქმის ხელახლა აუგია ციხე მუხრან-ბატონ სახლთუხუცეს კონსტანტინეს, რასაც თვით გვაუწყებს სამშენებლო წარწე-რაში.

---

[1] ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება ჰეპინაძის გამ. გვ. 26.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბილისი, 1948, გვ. 222—225.

[3] ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება. გვ. 26; ქართლის ცხოვრების დამატება, გვ. 908.

[4] ქ-ლის ცხ-ბის დამატება, გვ. 908.

[5] ვახუშტი. საქ. ცხ-ბა. გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა მოთავსებულია, როგორც აღწერაში ვნახეთ, შემოსასვლელის ზემოთ, სპეციალურად დამზადებულ მოგრძო ქვაზე. წარწერას წვრილი ღარი გასდევს ირგვლივ და ბოლოში მარტივი ექვსყურა როზეტი უზის. ეს მხედრული წარწერა შემდეგს შეიცავს:

„ქ. ღოთს მინდობით ჩვენ მუხრანბატონმა
სახლთუხუცესმან კონსტანტინემ აღვაშე
ნეთ ციხე ესე დავსდევით სახელათ კო
ნსტანტილაბათი მტერთა მბრძოლთა
განმაბნეველად რათა მკვიდრნი მამუ
ლთანი არ წარტყუენილ იქმნენ
ქს აქათ ჩმვ ქქს ულდ“

აქ ყველაფერი გარკვეულია: აგების მიზეზი, ამგები და თარიღი. წარწერა კარგადაა შენახული და ნაწერიც მკვეთრადაა შესრულებული [1], წარწერაში თარიღი ორი სახითაა მოცემული: „ქრისტეს აქეთ“ და ქორონიკონით ორივე 1746 წელს იძლევა.

საინტერესოა ის გარემობა, რომ ამგებს ამ ციხისათვის სპეციალური სახელი შეურჩევია თავისი სახელისათვის „აბათის“ დამატებით („აბად“ სპარსულში გეოგრაფიული სახელების კომპონენტად ნახმარი სიტყვაა და იმ მნიშვნელობისაა, როგორც ქართულში: ახალშენი, რევაზაშენი, თამარაშენი და სხვ.).

წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ ამ ციხეს მესამე სახელიც ჰქონია და იგი ძველზე დანამდვილებითაა დოკუმენტირებული, მაგრამ ეს სახელი, როგორც ჩანს, არ გავრცელებულა. სხვა საბუთებში ჯერჯერობით იგი არსად შეგვხვედრია და ახლო-მახლო მოსახლეობამაც არ იცის ასეთი სახელი. წარწერის გაცნობის შემდეგ გარკვევით ჩანს, რომ ეს ციხე ოთხი სახელის მატარებელია: „მტკვრის ციხე“, „მტკვრის ციხე“, „კონსტანტილაბათის ციხე“ და „ქსნის ციხე“. სამი პირველი სახელწოდება მხოლოდ ისტორიულ მასალებშია შემონახული, ხოლო ხალხი მას დღეს ქსნის ციხეს ეძახის [2].

ამავე წელს კონსტანტინე სახლთუხუცესს მეორე ციხეც აუგია სოფ. **მჭადისჯვარში**. მას გამოუყენებია არსებული ეკლესია და მის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების ჩაყოლებით აუშენებია ოთხკუთხა გალავანი კუთხის კოშკებით. თავისი საქმიანობა კონსტანტინეს გადმოცემული აქვს გალავანში სამხრეთის შესასვლელის ზემოთ ორ ქვაზე მოთავსებულ წარწერაში. მხედრული წარწერა შესრულებულია დაბალი რელიეფით უწესრიგოდ, ქვაც ცუდი ხარისხისაა და იგი გვიან შეულესიაათ. წარწერის გაშენდის შედეგად ამოვიკითხეთ შემდეგი:

---

[1] ეს წარწერა მკირეოდენი შეცდომებით გამოქვეყნებულია ჟურნ. „მოგზაურში“ 1901 წ. № 5, გვ. 398—402.

[2] ქსნის ციხის დამცავი სახელი, რომელიც ხალხშია გავრცელებული, ზემომყვანილი ღვინისა და ორაგულის ურთიერთ მიძღვნასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქ. ოდეს ჭამთა ქცეულებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ
მო[ო]ხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რომელ არიან
კავკ[ა]ს[ს]ა
შინა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არც
თუ ერ
თსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილიყო, რომელ
არარასა
ცნობილ იყო თუცაღა სოფელსა ამას პირველ შენობა ყოფილი
ყო თვინიერ ეკლესი[ი]სა ამის, რომელი აღშენა ბატო-
ნიშვილსა კა
თალიკოზსა დომენტის. აწ ჩვენ მეხრანის ბატონმა კონსტა-
ნტინე
ველეყავ აღშენებად ციხისა ამის სამკ
ვიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქნას და და[ე]შენონ კაცთა
და მტერთა და მარბ[ი]ელთაგან უვნებელად დაშთენ.
აღვაშენე მეფობასა ცხებულის პორფიროვანის
[მე]ფის თეიმურაზისა. ქრისტეს აქეთ ჩღმ, ქკს უ[ლდ]“

წინა წარწერის მსგავსად აქაც გარკვევითაა მოცემული: აგების მიზეზი, ამგები და თარიღი. თარიღი აქაც ორი სახითაა მოცემული. ამათგან „ქრისტეს აქეთ ჩღმ“ კარგადაა შემონახული, ხოლო „ქკს...“ ორი ასო გადაშლილია. იგი შეიძლება აღსდგეს პირველის გამოყენებით. რის მიხედვით ვღებულობთ, რომ ციხე აგებულია: „მეფობასა ცხებულის პორფიროვანის მეფის თეიმურაზისა“ 1746 წ.

წარწერის ავტორი გვატყობინებს, რომ მას ამ ადგილს „თვინიერ ეკლესიისა“ სხვა ნაგებობები არ დახვედრია. ეკლესია კი მისივე ცნობით აუშენებია ბატონიშვილ დომენტი კათალიკოსს. ამ ცნობას ზედმიწევნით ადასტურებს თვით ეკლესიაზე არსებული ორი წარწერა. ერთი მათგანი ასომთავრული წარწერაა, მეორე კი ხეცდრული. პირველი მოთავსებულია დასავლეთის კარის ტიმპანის ქვაზე, მეორე კი—სამხრეთის ტიმპანზე. ამ წარწერების მიხედვით ეკლესია აგებულია 1668 წ.

ეს ორივე წარწერა, ისე როგორც ზემომოყვანილი ციხის წარწერა ბროსეს გადმოუწერია 1848 წ. და გამოცემულიც აქვს[1] (მის წაკითხვაში მცირე შეცდომებია). ეკლესიის წარწერები ამჟამად ჩვენ უშუალოდ არ გვქონდება და ამიტომ არ მოგვყავს.

აღნიშნული საყდარი ვახუშტის დროს, ე. ი. აგების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს გაუვლია და უკვე უმოქმედოდ მდგარა. იგი გვატყობინებს: „ტყვილიანის ჩრდილოთ არს მონასტერი მუჰადისჯვრისა, საბურდიანოსა შინა, გუმბათიანი აწ უქმი“.

[1] M. Brosset. Voyage archéologique. VI rapp. SPb, 1850, გვ. 86—88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ დომენტი კათალიკოზის მიერ აგებული ეს დიდი ზოვის გუმბათოვანი ეკლესია გამოუყენებია კონსტანტინეს და, როგორც ვწერდით, მისთვის ირგვლივ კოშკოვანი გალავანი შემოუფლია.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე თუ მოვიყვანთ საქ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ სამდივნო წიგნში მოცემულ ტექსტს (H 18, გვ. 78 Ბ), სადაც პირდაპირ არაა მითითებული, რომ ის ჩვენს ციხეებს ეხება, მაგრამ ეს აშკარად ჩანს.

ტექსტი შემდეგი სახისაა:

„ქ: მადლობა, ქება ყოველთა ზედა ღ~თსა ძესა და ღ~თსა სულსა წმიდასა, რომლისა მიერ შეწევნითა და ჩვენ მიერ თაყუანისცემითა სასოებით მოქენენთა და მეფეღრეველთა ვიგულსმოდგინეთ და აღვაშენეთ ციხე ესე, წმიდის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავნად ჩვენ მუხრანბატონის კონსტანტინეს ძემან ბატონის შვილმა მუხრანბატონმა კონსტანტინემ, რათა მარად მფარველ გვექმნეს ორთავე ცხოვრებათა შინა. რ~ფ~დ მწუხარე იყუნეს აქა მკვიდრნი მტერთა და მოლაშქრეთა მარბიელთაგან და აისნგამო იქმნებოდეს მრავალთა წარტყუენა სულთა. ამისთვის აღვაშენეთ ესე რათა ამათ მიერ განერნეს ტყვეობისა და მოოჯრებისაგან მბრძოლთა ჩვენნი მკვიდრნი ყმანი. ქ~ს აქათ ჩღმე, ქ~ს ულ~დ.

გინა ესე სხვა დაწერეთ:

ქ. ღ~თის საფარველის მინდობით და მის მიერვე ძალმწეობით აღძრულ ქმნილმან, ჩვენ მუხრანის ბატონმა სახლთუხუცესმა კოსტანტინემ, ქ~ს ძლით ვიგულმოდგინეთ და ჭელეყავით აღშენებად ციხისა ამის, სამკუიდროთა მამულთა ჩვენთა ზედა, რომელ ესდევეთ სახელად კოსტანტილაბათი, ციხესა ამას და აღვაშენეთ მტერთა მწყობრთა მბრძოლთა წარმართთა განმაბნეველად, რათა მკვიდრნი მამულთანი არა წარტყუენილ იქმნენ მტერთა და მარბიელთაგან და ფუენებლად განერნენ მკვიდროვანნი მას შინა. აღეშენა მეფობასა ქართლ(ი)ს მპყრობელის ცხებულის მეფის თეიმურაზისსა.
ქ~ს. აქათ, ჩ. ღ. მ. ქ~ს ულდ“.

ტექსტის ორივე ნაწილს ცალ-ცალკე თარიღად 1746 წ. უზის, ე. ი. იგივე თარიღი, რაც მჭადისჯვრისა და ქსნის ციხეებს აქვთ. ამას გარდა, პირველ ტექსტში ნათქვამია, რომ ციხეს აგებს კონსტანტინე მუხრან-ბატონი „წმიდის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავნად“. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მჭადისჯვრის ციხე თავისთავად დომენტი კათალიკოზის მიერ აგებული მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანს წარმოადგენს. მაშ, ეკვს გარეშეა, რომ

11. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲪᲐᲓᲘᲡᲯᲕᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲥᲕᲔᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲜᲘᲨᲘᲐᲜᲓᲝᲑᲚᲘᲐ ᲨᲔᲘᲛᲔᲠᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲚᲘᲡᲚᲘ ᲪᲘᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡᲐᲪ ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲐᲒᲠᲔᲑᲡ: „ᲕᲡᲓᲔᲒᲓᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲚᲐᲑᲐᲗᲐ ᲪᲘᲮᲔᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ“, ᲩᲐᲜᲘᲡᲗᲣᲚᲘᲐᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲛᲔᲑᲔ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ—1746 Წ. ᲓᲐᲣᲬᲧᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲒᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲠᲐ ᲪᲘᲮᲔ.

ᲘᲛᲐᲕᲔ, ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲣᲒᲘᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲪᲘᲮᲔ ᲨᲘᲝᲡᲔᲑᲐᲜᲨᲘ. ᲐᲛ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲛᲐ ᲛᲝᲛᲐᲯᲘᲦᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲗᲐᲡᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲠᲔᲕᲔᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ, ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲭᲗᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ[1]. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲔᲡᲔᲪ ᲛᲑᲔᲓᲠᲣᲚᲘᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲥᲕᲘᲨᲐᲥᲕᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲓᲐᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲤᲘᲗᲐᲐ ᲜᲐᲙᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲪᲣᲓᲐᲓᲐᲪᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ. ᲑᲔᲠᲘ ᲪᲓᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲗ:

„ᲥᲔ. ᲨᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲦᲛᲘᲡᲘᲗᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲓᲐ
ᲡᲐᲮᲚᲘ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲛᲐ
Ნ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲛᲐᲜ ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲛ ᲐᲦᲒᲐᲨᲔᲜᲔ ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲔ ᲔᲡᲔ
ᲓᲐ ᲑᲣᲠᲯᲘᲜᲘ ᲨᲘᲝᲡ ᲣᲑᲐᲜᲘ,
ᲬᲐᲠᲡᲐᲒᲔᲑᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲐᲡᲘᲗᲐ ᲩᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲐ,
ᲯᲐᲛᲡᲐ ᲐᲛᲐᲡᲐ ᲝᲓᲔᲡᲐᲪᲐ ᲛᲢᲔᲠᲜᲘ
ᲣᲡᲯᲣᲚᲝᲜᲘ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲡᲐ. ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲗᲘ
ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲯ
ᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲪᲐ ᲨᲘᲝᲡᲣᲑᲐᲜᲘ
ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐᲒ
ᲐᲜ ᲗᲕᲘᲡᲘᲗᲐ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲘᲓᲐᲑᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲔᲜᲔ
ᲛᲝᲡᲐᲑᲚᲔᲜᲘ ᲐᲛᲘᲡᲜᲘ
ᲓᲐ ᲛᲔ ᲨᲔᲛᲝᲕᲙᲠᲘᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲖᲚᲔᲓᲔᲜ ᲥᲕᲘᲗᲙᲘᲠᲗᲐ
ᲕᲘᲜᲔᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑ
ᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲩᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔ ᲕᲘᲧᲐᲕ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ
ᲛᲐᲗᲘ. ᲕᲘᲜᲪᲐ ᲐᲦᲛᲘᲐ
ᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲨᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲔᲜᲘᲗ [ᲦᲛᲠᲗᲡ ᲐᲥᲐᲗ
ᲩᲠᲜᲔ, ᲥᲙᲡ ᲣᲛᲓ]“

---

[1] ᲔᲡ ᲥᲕᲐ ᲐᲛ ᲝᲪᲓᲐᲗᲘᲝᲗᲔᲯᲔᲓ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲐᲛᲝᲣᲯᲔᲓᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ. 1949 Წ. 10 ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲚᲘ ᲘᲥ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲐᲛ ᲥᲕᲐᲖᲔ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲮ. ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წინა წარწერებში, ისე აქაც გარკვევით ჩანს ციხის აგების მიზეზი და ამგების ვინაობა, მაგრამ თარიღი, მოცემული ბოლო სტრიქონში, თითქმის სრულიად გადამლილია (ჩვენ 1948 წ. ციხის შესწავლისას საეკ-ვოდ ალვადგინეთ 1756 წ. მეორე წარწერის აღმოჩენამ ეს საეჭვო თარიღი დაადასტურა).

მეორე წარწერა მცირე ზომის მარმარილოს ქვაზეა მოთავსებული (ტაბ. VIII) და, პირველი წარწერის მსგავსად, ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი უზის. წარწერა ასე იკითხება:

„ქ. ჩენ, მუხრანის ბატონმან და
სახლთუხუცესმან, პატრონმა
კოსტანტინემ აღვაშენე გალა
ვანი ესე შოისუბანისა ბურ
ჯებითა და ამა ბურჯს უწო
დე მამა ბურჯი, ვინათგან უდ
იდეს არს სხვათა ბურჯთა და
უმრავლესთა დამტევნელ. ქ~კ ს (sic)
აქათ ჩღნვ. ქ~ეს უმდ“.

აქ გარკვევითაა მოცემული თარიღი: როგორც „ქრისტეს აქათ“, ისე ქრონიკონი 1756 წელს იძლევა. ასევე ორივე წარწერაში პირდაპირაა სამჯერ ნათქვამი, რომ ციხე აუგია შოისუბანში კონსტანტინე სახლთუხუცესს მრავალი შრომითა და საკუთარი ხარჯებით. სოფ. შოისუბანი დღეს არ არსებობს და ადგილზე არც არავინ იცის ასეთი სახელის არსებობის შესახებ. ვახუშტის რუკაზე და აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე სოფ. შოისუბანი მოთავსებულია სოფ. დამპალასა და ვარდისუბანს შორის. პირველში სოფ. მუხრანი სულ არ არის აღნიშნული, იგი მხოლოდ მხარის სახელწოდებაა, ე. ი. სოფელი მუხრანი ან მაშინ არ იყო ან ვახუშტის გამორჩა. რაც შეეხება შოისუბანს, იგი საკმაოდ ძველი ჩანს, ყოველ შემთხვევაში იგი იხსენიება 1170 წ. გიორგი III დროს[1]. დღეს კი ციხე მდებარეობს სოფ. მუხრანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ვფიქრობთ, რომ ამ ორასი წლის მანძილზე მდგომარეობა შეიცვალა; სოფ. მუხრანი გაიზარდა და შოისუბანი მის ფარგლებში მოექცა. მაგრამ ახლა გამოსარკვევია, თუ სად არის ის ციხე, რომელიც აქ ოსმალებმა აეშენეს?

ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი გვატყობინებს, რომ „შოისუბანს არს შენობა დიდი სასახლეთა, ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა ჩღლ (1730) აწ არს სახიზრად“[2]. შოისუბანში ჩვენ სასახლეების კვალი არსად შეგ-

---

[1] საქ. სიძველენი. ტ. III, დამატება, ტფ., 1926, გვ. 1—7.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწ. სამ. საქ. 1941, თბ., გვ. 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინიშნავს. ალბათ, ისინიც ისევე გაქრა, როგორც სხვა ბევრი სასახლე საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ოსმალთ მიერ 1730 წ. შიოსუბანში ციხის აგებას, ეს, უდავოდ, ღირსშესანიშნავი ცნობაა, მაგრამ საკითხავია, თუ რომელ ციხეზეა აქ საუბარი? შიოსუბანში დღეს მხოლოდ ერთი ციხეა და ის კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, კონსტანტინეს მიერაა აგებული 1756 წ. ამასთანავე აქვე უნდა დაესძინოთ, რომ სოფ. შიოსუბანი აოც ისე დიდი იქნებოდა, რომ მას ორი ციხე დასჭირებოდა (თუმცა აქ შეუძლებელიც არაფერია). საჭიროა ამ საკითხის გამორკვევა. შეიძლება აქ რაიმე გაუგებრობასთან გვქონდეს საქმე.

მემატიანე სეხნია ჩხეიძე ერთგან წერს: „ამავე ქორონიკონს (ე. ი. უკა— პ. ზ.) ააშენა ციხე მუხრანისა ისაყ-ფაშამ აპრილიდამ თიბა-თვის კ (20), იყო მუშა ექუსასი, ქართლი, თუ სომხითი საბარათაშვილო“ [1]. აქედან ვიგებთ, რომ ისაყ-ფაშას 1733 წ. აუგია ციხე მუხრანში. ახლა საკითხი ისმება: ვახუშტი და სეხნია ჩხეიძე ხომ არ წერენ ერთისა და იმავე ციხის აგებაზე?

შეიძლება ამ საკითხს ნაწილობრივ შუქი მოჰფინოს ს.ქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულმა ერთმა საბუთმა (Hd 4847). ეს საბუთი ციხეების მშენებლობასთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს, ამიტომ მას ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ. სამწუხაროდ, საბუთის დამწერმა, როგორც ეტყობა, ქართული ცუდად იცოდა და ხელიც მეტად გაურკვეველი აქვს. მაგრამ ძირითადის აღდგენა მაინც ხერხდება:

„ქ. მუხრანს. გალავანი. რომ. გაკეთოს ისაყი
ფაშამ. მამუკამ. მუხრანს. ბატონმა: სულ
ქართველთ: აპრილს (Ю) ქრისტეს. აქე
თ (ჩ.ღ.ლ.ბ)
ქ: სარდალი. ქიხოსრო. და: ვაჯუშტი. ა
ბაშიძე: იქი. ბძანდებოდა: ბორს:
ქ. მე. ლევან. მუხრანს. ბატონმ. გუგზენე-
და. მუხრანს. ბატონს. მამუკას. აზნაურ.
შვილები. გამოეგზავნა. ჩმთან: და: გო
რს იყვნენ: და ეთხოვა. ჩმთეის: გალა
ვნს. გაკეთებინებ. ფაშებს. და მახედ ფე
შქაშს. ვხარჯავ. და. შენც. ესენი. გა
მომიგზავნე. ამათი ხელით.
ქ. აზნაურ. შვილი. რტის. შვილი. ოთია.
ქ. შიოში. ზედგინიძე.
ქ. მუსხელას. შვილი. გივი.
ამათს. ხელით. გუგზვნე: და. მეც. მ
უხრანს. ბატონი. ლევან. წაველ. და წუღე
ქ. ხანჯალი. დ თვლით. შემკული.

[1] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ს. ბეჟანაძის გამ., თბ., 1913, გვ. 45

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. სყშეური (?) ასხმული: თვლით. რო
გორც. მართებული არის:
ქ. სიასამური. ერთი. ტანი. მეფის. ბაქ
რის. ნაბოძები.
ქ. ღილი. ოქროსი. ტანი. ერთი. ესეც.
მეფის. ვაბტანგის. ნაბოძები.
ქ. რხტი. დ. უნაგირი. ვერცხლის. ესე
ც. ბაქარის ნაბოძები.
ზევით. რომ. სწერია. თვალები. ამასთან. მიმი
რთმეცია. მუხრანს: ბტნს. მამუკასთ
ვინ. და იმას. მუხრანს. გალავანი. გაუკეთებ
ია: მე. ესე. მიმაცემინა.
შიოს: უბანს: გალავანი. აშენა: მუხრანს
ბტონმ. მამუკამ. მიერ. დ. სულ. ქართ
ველთ იმუშავეს: აპრილის (?) დიწყეს
მუშობა 1733: ჩლგ
ქ. ხადის. ციხე: და: წირის: გალავანი. გაკეთ
ა: მუხრანს: ბტონმა. მამუკამ მიერ: ქრ
ისტეს. აქათ. ჩღლა: 1731: მუხრნს
ბტონი. ლევან. აბუშელაშვილი. დადგინა
ცოლითა. და: შვილითა".

როგორც ჩანს, ამ საბუთში და სეხნია ჩხეიძის ცნობაში ერთისა და იმავე ციხის მშენებლობაზეა საუბარი.

ამ საბუთებში ზედმიწევნით კარგადაა ნაჩვენები როდის და ვისი თაოსნობით შენდება გალავანი, მაგრამ თუ სად შენდება, ამაზე ისევ გაურკვეველ ჰასუხს ვღებულობთ.

საბუთის თავსა და ბოლოში ორჯერაა მითითებული, რომ გალავნის მშენებლობა დაწყებულა 1733 წლის რვა აპრილს, მაგრამ არ ჩანს მისი დამთავრების დრო. თითქოს განგებ, სწორედ ამ ხარვეზის ამოსავსებად, მემატიანე ს. ჩხეიძე გვატყობინებს, რომ ციხე შენდებოდაო „აპრილიდან თებათვის კ", ე. ი. ციხე შენდებოდა აპრილის რვიდან ივნისის ოცამდე. თუ ეს ცნობები მართალია, მასში ეკვის შეტანის საბაბი კი არ გვაქვს, ციხე-გალავანი აუგიათ ორ თვესა და თორმეტ დღეში.

ახლა გასარკვევია, თუ ვინ არის მშენებელი. ამ საკითხს სხვადასხვანაირად პასუხობენ ჩვენი საბუთები. ს. ჩხეიძე მხოლოდ ისაყ-ფაშას იცნობს ციხის მშენებლად, ხოლო მეორე საბუთის დასაწყისში ვკითხულობთ: „გალავანი გაკეთეს ისაყ-ფაშამ, მამუკამ მუხრან-ბატონმა", და ბოლოში—„აშენა მუხრანს. ბატონმ. მამუკამ". ჩვენი აზრით, ამ ცნობებიდან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ციხეს აგებს ადგილობრივი მფლობელი მუხრან-ბატონი მამუკა, ხოლო ისაყ-ფაშა, მაშინ, როგორც „ქვეყნის გამგებელი", მბრძანებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსარკვევია აგრეთვე თუ სად იგება ეს ციხე. ამ კითხვაზეც განსხვავებულ პასუხს ვღებულობთ. ს. ჩხეიძე წერს: „აიშენა ციხე მუხრანისაო“, ხოლო მუზეუმში დაცული ხელნაწერის თავში წერია: „მუხრანს. გალავანი. რომ გაკეთეს...“ და შემდეგ იქვე ვკითხულობთ: „შიოს: უბანს: გალავანი. აშენა...“, ე. ი. ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ მამეკა მუხრან-ბატონი ციხეს აგებს მუხრანშია[1] და შიოსუბანშია, რაც ნაკლებად დასაჯერებელია, რადგან ასე ახლოს ორი ასეთი დიდი მასშტაბის ციხე არ იქნებოდა საჭიროდ და თანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთსა და იმავე დღეს,—აპრილის რვაში, ორივეგან დაეწყოთ მშენებლობა და, რაც მთავარია, ტექსტის განსილვა ასეთი ვარიანტის შესაძლებლობას თითქმის სპობს, პირიქით, ტექსტში სოფლების სახელები ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ შეგვიძლია დავასკვნათ: მუხრანი და შიოსუბანი ერთისა და იმავე ადგილის აღმნიშვნელია. ასეთი დასკვნა მით უფრო მისაღებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მუზეუმში დაცული ხელნაწერი ლევან მუხრან-ბატონს ეკუთვნის (თუმცა იმის ხელით არ უნდა იყოს დაწერილი), რომელმაც, ეჭვი არ არის, ძალიან კარგად იცოდა ციხის მშენებლობის ადგილი.

თუ ამ დასკვნას მივიღებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ვახუშტის შეცდა თარიღი: „ჩოლ“, უნდა იყოს: „ჩოლგა“, ხოლო რაც შეეხება ციხის აგების ადგილს, მასაც შიოსუბანი აქვს მითითებული.

მაშ, ზემონათქვამს თუ შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ მამეკა მუხრან-ბატონი ლევან მუხრან-ბატონის დახმარებით და ისაყ-ფაშის მონაწილეობით აგებს ციხეს შიოსუბანში (მუხრანში). ახლა საკითხავია, სად არის ეს ციხე დღეს?

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, დღევანდელ სოფ. მუხრანში მხოლოდ ერთი ციხეა, მას კი ორი წარწერა აქვს, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ შიოსუბნის გალავანი ბურჯებით აუგია კონსტანტინე სახლუხუცესს 1756 წ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შიოსუბანში 23 წლის განმავლობაში ორი ციხე აგებულა მამეკა მუხრან-ბატონისა და კონსტანტინე მუხრან-ბატონის მიერ. პირველი ციხე, როგორც ეტყობა, მთლიანად დანგრეულა, ან ისე დაზიანებულა, რომ მისი გამოყენება აღარ შეიძლებოდა და ახალი ციხე-გალავანი აუგიათ. შეიძლება დავუშვათ, რომ პირველი ციხე იქ თუ იდგა, სადაც დღევანდელი ციხეა, მაშინ მის ნარჩენად მივიღოთ გარე დიდი გალავნის ფრაგმენტები (შერჩენილი ნაწილები იმდენად უსახოა, რომ დაბეჯითებით ამის მტკიცება არ ხერხდება[2]).

ზემომოყვანილი ლევან მუხრან-ბატონის ნაწერი სხვა მხრივაცაა საინტერესო. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის მდგომა-

---

[1] შეიძლება „მუხრანში“ იგულისხმებოდეს ამ მხარის საერთო სახელი და არა სოფელი.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი ს თავის „ისტორიაში“ ერთგან მოთხრობილი აქვს ბრძოლა შიოსუბანში, მაგრამ თარიღი არ აქვს მოცემული, დაახლოებით კი 1733 წ. უნდა ყოფილიყო. „ხოლო ესმა ესუფ-ფაშს ძესა ისაყისასა გამოსვლა ლეკთა, წარმოვიდა სპითა ოსმალ-ქართველთა და ტკბეთა მუხრანს ლეკთა, მოსრნა იგინი და ნიშტნი შვიდნენ შიოს-უბანშნი, მოადგა გარს და შეესვენენ და სერიდნენ ლეკთა“ და სხვ., ეს ბრძოლა, როგორც ეტყობა, გამაგრებულ ციხეში ხდება (ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხ-ბა, ს. ბიბინაძის გამოც., 1913, გვ. 137).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობა მეტად რთული ყოფილა და საჭიროება მოითხოვდა ჩქარი ტემპით მოქმედებას. ასეთი საგანგაშო მდგომარეობისას საჰანადო ზომები მიუღიათ. საკმარისი არ ყოფილა მარტო მუხრან-ბატონის ხელქვეითნი და, როგორც ს. ჩხეიძე გვიუწყებს, მობილიზაცია უქნიათ მთელი „ქართული თუ სომხითი საბარათაშვილო“-სთვის და „იყო მუშა ექვსასი“. იმავე ავტორის ცნობით ციხე ააგეს 72 დღეში, ე. ი. ამ ციხის აშენებისათვის დაახლოებით 40000 შრომა დღე დახარჯულა. ეს რიცხვი იმ დროისათვის გრანდიოზულია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით იმ ციხის ზომები, თორემ ბევრ საინტერესო დასკვნას მივიღებდით.

როგორც ეტყობა, ასეთი გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობა ერთი ფეოდალისათვის, თუნდაც ისეთი, როგორიც მამუკა მუხრან-ბატონი იყო, ძნელი ყოფილა და მის შესაძლებლობას აღემატებოდა. ამიტომ მას ეხმარება ლევან მუხრან-ბატონი, რომელსაც სახლიდან გამოაქვს ძვირფასი ნივთები, საგვარეულო საგანძური, რასაც იგი ხაზს უსვამს: „მეფე ვახტანგის ნაბოძები“ და სხვ. ამ საბუთში ერთი ადგილიცაა გაუგებარი, იქ, სადაც ნათქვამია: „გალავანს ვაკეთებინებ ფაშებს და მასზედ ფეშჭაშს ვხარჯავ“. ორიეე საბუთში კი წერია, რომ „სულ ქართველთ იმუშაეესო“. როგორ შეეთავსოთ ამასთან ვახუშტის ცნობა: „... ოსმალთა აღაშენეს ციხე“ და ს. ჩხეიძის თითქმის იგივე ცნობა: „ააშენა ციხე... ისაყ-ფაშამ“? როგორც ზემოთ ვნახეთ, ციხეს ქართველები აშენებდნენ. მაშ, რა დარჩა ოსმალთ გასაკეთებელი? თაოსნობა და ბრძანებლობა? მაშინ რაღა საჭირო იყო „ფეშჭაში“? (ნებართვისათვის?). ყოველ შემთხვევაში, სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებული მუხრანის ციხის არც ძველი და არცახალი ნაწილი არ ატარებს სტილისათვის დამახასიათებელ რაიმე „ოსმალურს“; ციხე მთლიანად, იმ პერიოდისათვის მიღებული, ქართულ-ახური ტიპის მატარებელია.

ზემომოყვანილ საბუთს ერთი ღირსშესანიშნავი ცნობაც აქვს შემონახული. იმავე მამუკა მუხრან-ბატონმა ორი წლის უწინარეს „ხადის ციხე და წირის გალავანი გა[ა]კეთა“. ხადის ციხე დღესაც ცნობილია, ხოლო სად არის „წირის“ ციხე ჩვენთვის უცნობია (შეიძლება აქ წირქოლის ციხე იგულისხმებოდეს?!

იმ წლებში, ლეკთა თარეშის გამო, მდგომარეობა საგანგაშო რომ იყო ეს ჩანს თუნდაც 1734 წ. ს. ჩხეიძის ცნობაშიც: „ააშენა ისაყ-ფაშამ ციხე ავჰალასა, კოშკები დიდმის ბოლოდამ ატენის წყალმდის თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკთ გამოსავალი“[1]. ამ ციხე-კოშკების უმნიშვნელო ნაწილია გადარჩენილი, მაგრამ თავისთავად ფაქტი მათი აშენებისა მეტად მნიშვნელოვანია, კოშკების ტიპი კი ისევ, უცილობლად, ქართულ-ახურია.

როგორც ვხედავთ, მამუკა მუხრან-ბატონს საკმაო ენერგიითა და დიდი ტემპით უწარმოებია მშენებლობა, მაგრამ მისი მშენებლობის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი საბუთით ვიცით, ისიც სამ წელიწადს მოიცავს და არ გვაქვს ცნობა არც მანამდე და არც მის შემდეგ. ასევე, ცოტა რამ მოგვეპოვება მისი

[1] ს. ჩხეიძე გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრე კონსტანტინეს მშენებლობის შესახებ, მაგრამ ის, რაც არის, უდავოდ, ღირსშესანიშნავ ცნობას წარმოადგენს.

ჩვენი განხილვის ობიექტის—მეჯდისჯვრის, ჭსნისა და მუხრანის ციხეების მშენებელი კონსტანტინე ჰუხრან-ბატონი ქვეყნისათვის დიდი მოამაგე და თეიმურაზ მეფის მებრძოლებში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. მან 1747 წ. ქალაქის მოურავობაც მიიღო. სამწუხაროდ, დღემოკლე გამოდგა მისი სიცოცხლე. მცირე რაზმით მომავალ კონსტანტინეს, მოულოდნელად, ღართისკარს დაუხვდა ოიხეტიაილე ლეკის ჯარი და „მოკლეს მუხლად". ეს უნდა მომხდარიყო პ. ორბელიანის ცნობით 1756 წ.[1], ხოლო ხერხეულიძის მიხედვით 1758 წ.[2].

კონსტანტინე სახლთუხუცესის მიერ თავისი სამფლობელოს გამაგრება ზემოაღწერილი სამი დიდი ციხით, როგორც რამდენჯერმეც აღენიშნეთ, გამოწვეული იყო არა სამუხრანოს განსაკუთრებული მდგომარეობით, არამედ საერთოდ ქვეყნის მძიმე პირობებით. ქართლ-კახეთის მოსახლეობა კარგა ხანი იყო, რაც დღეგნიადაგ ხმალ ამოწვდილი იდგა ყოველმხრივ მოძალებული მტრების წინააღმდეგ. ომსაღები და ყიზილბაშები საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ უპირებდა ქვეყანას შთანთქმას. რაც მათ დააკლეს, იმას მოთარეშე ლეკები ამოავრებდნენ. განსაკუთრებით კი XVIII ს. მეორე მესამედში ლეკიანობა წალეკვას უპირებდა ქვეყანას. იმ დროის მემატიანეთა ნაწერებში მწარე სანამდილეა გადმოცემული. 1740 წ. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გარდარჩომალია, ითი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა ითათს ცოდვაში ჩავდგები, ბატონო"[3]. ყველაზე მეტი ცრობა პაპუნა ორბელიანსა აქვს შემონახული: „გამოეგზავნა ხელმწიფეს აქავ ნაციზირალნი მირზა აშუმა: „ქართველნი ჩივიან ქვეყანა სარბი (ხარაბა—პ. ხ.) არიანო და მიდი, დაწერე და მართალი მომახსენეო: მოვიდა, დაიარა, დაწერა, მაგრამ არა თუ ციხეში შენობა ვერსად დაახელა... ქართლი გათავებულ-იყო თავად ლეკისაგან, მერმე ბევრის სათხოვარისაგან, რომ არას ხელმწიფის დროს ეს არ გარდახედოდა"[4]. მემატიანეთა ცნობებს ზედმიწევნით ადასტურებს და ავსებს განსახილავი ციხეების წარწერებიც. იმათში პირდაპირაა მითითებული სიმაგრეთა აგების მიზეზი. როგორც ზემოთაც ვნახეთ, მჯდისჯვრის ციხის 1746 წ. წარწერაში ნათქვამია: „ოდეს ქართა ქეეულებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ მო[ო]ხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რო�არიან კაცკასს[ს]ა შინა და თვინიერ ციხეთა არსად ეგებოდა გეგბა კაცთა არც თუ ერთსს სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილიყო... ველვყავ აღშენებად ციხისა ამისა სამკიდროსა ჩემსა, რათა კაცრიელ იქნას და და[ე]შენოთ კაცთა და მტერთა და მარბიელთაგან". ათი წლის შემდეგ აგებულ ზოსოუბნის ციხის წარწერებ-

---

[1] პ. ორბელიანი. სპ. ცხ-ბა. ხ. ჭიკინაძის გამ., 1913, გვ. 237.

[2] ი. ხერხეულიძე. იქვე, გვ. 261

[3] სპ. სიძველენი. ტ. III (ე. თაყაიშვილის რეკ[ციით), თბილისი, 1910, გვ. 456.

[4] პ. ორბელიანი. გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც ანალოგიური ამბავია მოთხრობილი: „აღვაშენე... ჟამსა ამასა, ოდესაცა მტერნი უსჯულონი მძლავრებდნენ ქკეყანასა ქართლისასა, ადგილითი ადგილად მო[ო]ვრებულ იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა შიოსუბანი მკვიდრთაგან თვისთა ცარიელ იყო და მიმოდაბნეულ იყვნენ მოსახლენი ამისნი და მე შემოვკრიბენ და მოვზღუდენ...“

პაპუნა ორბელიანს 1746 წელს, მაშინ, როდესაც მჭადისჯვრის ქსნის ციხე ააგეს, ქართლში ლეკების შემოსვლა თერმიტჯერ აქვს აღნუსხული. ისედაც დასუსტებულ ქვეყანას მათი ასეთი მასშტაბით თარეში, ცხადია, მოსახლეობას სიცოცხლეს უმზარებდა და მეურნეობა ეცემოდა. ლეკების ერთ ჯარს ერთ მხარეში რომ დაამარცხებდნენ, მეორენი მეორე მხრიდან შემოვიდოდნენ და, როგორც ეტყობა, მათი მცირე ჯგუფი მაინც სადღაც საქონელს, ან ქალებსა და ბავშვებს იტაცებდა. პ. ორბელიანს ერთგან საინტერესო ცნობა აქვს შემონახული: „გაბძანდნენ ორივ მეფენი ბორჩალოსა მხარეს და მოვლეს სომხითისა ქვეყანა, მტერი ვერსად დაახელეს და ინადირეს და შემობძანდნენ ისევ ქალაქსა თბილისისასა“ [1]. აქედან, როგორც ზემოთ ვწერდით, ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ლეკები თითქმის ყოველთვის იმყოფებოდნენ აქ და თეიმურაზი და ერეკლე მიდიან ქვეყნის მოსახილავად, ლეკები ხომ არსად არიანო, და რა დარწმუნდნენ ისინი ამ მხარეში ახლა არ იყვნენ, ნადირობას შეეტკნენ.

მუხრან-ბატონის მიერ აგებული ციხეების მიერ გადატანილ ომებზე ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ერთი, 1754 წ. მჭადისჯვრის ციხის მიერ გადახდილი ომის ილუსტრაციაც საკმარისია მათი სიმაგრის საჩვენებლად [2].

ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა ლეკის დიდი ჯარი გადმოიყვანა: „რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი ჯარები (sic) კაცები იყვნენ, თან-გამოყოლოდნენ“... „ამისთანა ლეკის ჯარი ქართლსა და კახეთში არ ჩამოსულ�ო“—გვიყვება მემატიანე.

ერეკლემ და თეიმურაზმა ქართლ-კახეთის მოსახლეობა სულ ციხე-სიმაგრეებში შეიყვანეს. ხუნძახის ბატონმა კახეთი გადმოითარეშა, ჯარი ოთხად გაპყო, არაფერი გადმოლახა და არაგვის საერისთავო ანანურს აქეთ სულ მოიოხრა. „მივიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთვისა, შეეხლეწეს მონასტერი, ჩამოხდენ იქ დიდის ნაშოვრითა“. შემდეგ „აიყარა ხუნძახის ბატონი დუშეთიდამ თვესა აგვისტოსა ი(10), გარდმოვიდა, შემოაყენა ჯარი ციხესა მჭადისჯვრისასა, რომელი აღეშენებინა მუხრანის ბატონს სასლთუხეცეს კონსტანტინეს, ჩამოსდა თითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს ჭალაში, გაეკეთებინა სანგარი მაგარი, დაადგეეინა კარავნი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხესა ჯარი ლეკისა. იყო დღედაღამ ბრძოლა და ომი გაუწყვეტელად: არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანი, მრავალი ლეკი მოუკლეს და დიდადაც გულმამაცად იყვნენ ციხის კაცნი, უგზავნიდა მუხრან-ბატონი ყოველ დღე კაც-

[1] პ. ორბელიანი. გვ. 211—215.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქ. ისტორია, 1948, ნაწ. I, გვ. 380—381; პ. ორბელიანი. გვ. 211—215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ტყვია-წამალსა, აძლიერებდა, უთვლიდა იმედსა, დაპირდებოდა ეუბ-ლობასა და მოხმარებასა“ [1].

ასეთი დიდი ჯარის მიერ ციხის გარემოცვა და ბრძოლა ექვსი დღე გრძელდებოდა. მეშვიდე დღეს ქართლ-კახეთის შეერთებული ჯარი მოვიდა. შეიქნა ფიცხელი ომი. ლეკები რიცხვით მეტად სჭარბობდნენ ქართველებს. რა მისჭირდა „ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა, გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბძანა გარდახდომა ყოველთა: „ესე არის დღე ვაჟ-კაცობისაო და სიყვარული რჯულისაო“. „შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომ-ლისაგან კაცი აღარა ჩნდა... შეუტიევეს ქართველთა და კახთა გულ-სრულად, და-ეშინეს ზამბურაკნი და ზარბაზნნი, გაქცევეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჭირეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა, აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ, შეუტიევეს ხმალ და ხმალ, დაეოცვნენ შიგ, რომ ვითა კატა ეკრე ხოცდენ, ლეკთა. თითონ მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალ და ხმალ, მიყვ-ნენ ხოცით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღვის ტყე და ველი, ვინ-ა მოო-ჩა მათი ცხენიც და იარაღიც ჩვენს ჯარს დარჩაო“ [2].

როგორც მოსალოდნელი იყო „იმ დღეს მამაცად და ლომ-გულად მუხ-რან-ბატონი კონსტანტინე, სარდალი რევაზ ორბელიანი“ და სხვები გაი-სარჯნენ.

მეკვდისჯვრის ციხე დანარჩენ ორ ციხეზე ნაკლებად მაგარ ციხეს წარ-მოადგენს. მისი კედლები თხელია და დაბალი. მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგი აკმაყოფილებდა მაშინდელ ომისა და ტექნიკის მოთხოვნილებებს. წინააღ-დეგ შემთხვევაში იგი ვერ გაუძლებდა ისეთი დიდი ჯარის ალყას, რომელთა-ნაც შებმა ძლიერ გადასწყვიტა ქართლ-კახეთის შეერთებულმა ჯარმა.

ციხეების საბრძოლო ელემენტები

ციხის საბრძოლო ელემენტებს განსაზღვრავს ბრძოლის საშუალებები; როგორიცაა ტექნიკის დონე და რა სახის იარაღებიც არსებობს იმისდა მი-ხედვით კეთდება ციხეც.

იმ ეპოქაში, როდესაც შენდებოდა განსახილველი ციხეები, ძირითადად ცეცხლსასროლელი იარაღი იყო ხმარებაში. მაგრამ ლოდს, როგორც საბრ-ძოლო იარაღს, ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც ჩვენი ციხე-ებიც აღჭურვილია სათოფურებით, საზარბაზნეებითა და საlოდეებით.

სათოფურები ჩვეულებრივ მაღლა კეთდებოდა ისე, რომ გარედან მტრი-სათვის ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო. ამიტომ კოშკის ქვედა სართულში სათოფური ან სულ არ არის, ან გვხვდება როგორც გამონაკლისი შემთხვევა,

[1] პ. ორბელიანი. გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწვეული ნაგებობის ხელსაყრელი მდებარეობით. შემდეგ სართულებში მატულობს სათოფურების რიცხვი და უკანასკნელ, ზედა სართულზე ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი. ელემენტთა განლაგების მსგავსი წესი მეორდება ციხის გალავნის გადაწყვეტისას.



სურ. 20. საბრძოლო ელემენტები

განსხვავებით სათოფურებთან საზარბაზნეები მოთავსებულია ყოველთვის ზემოთ, ბანზე, ან უკანასკნელ სართულზე და ისიც თითქმის ერთ რიგზე.

ასევე, უფრო ხშირად, ერთ რიგზეა განლაგებული სალოდეებიც, საზარბაზნეების მსგავსად უკანასკნელ სართულზე, ან ბანზე და გალავნის ზედა ჰორიზონტზე, ქონგურებს ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილავ ციხეებზე ზემონახსენები საბრძოლო ელემენტები მსგავსი სისტემითაა მოცემული, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. სათოფურები ისე ეწყობა, რომ იქიდან შესაძლებელი ყოფილიყო დამიზნება, როგორც შორს, ისე ახლოს. ამისთვის სათოფურების მიმართულება კედლებთან როგორც ჰორიზონტალური, ისე დახრილი, იმ ვარაუდით, რომ მსროლელს კედელთან ახლო მოსული მტერი დაეზიანებინა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აჯობებდა მტერი ან მოპარვით მივიდოდა ციხის კედელთან, მაშინ სათოფურები არ გამოდგებოდა, როგორ ვერტიკალურად მათი მოწყობა შეუძლებელი იყო. ამ შემთხვევისათვის არსებობდა სალოდე, რომელიც კედლიდან წინაა გამოშვერილი და მისი ქვედა ღრუდან შეიძლებოდა როგორც ქვების ჩამოყრა, ისე ცხელი სითხის გადმოსხმა და თოფის სროლაც კი (სურ. 20).

ციხეების მესამე საბრძოლო ელემენტი — საზარბაზნე სათოფურისა და სალოდესთან შედარებით ნაკლები რაოდენობით იყო საჭირო, ამიტომ ისინი თითოეულ კოშკზე ორიდან ოთხამდეა. საზარბაზნე კონსტრუქციულად მარტივია. ფართო ხვრელების გვერდითი კედლები შუაში გამოწეულია. საზარბაზნეს ასეთი ფორმა სჭირდებოდა მოქმედების კუთხის გასაადიდებლად (სურ. 20).

როგორც აღნიშნული იყო, ციხეებზე ყველაზე მეტი რაოდენობით სათოფურები ეწყობოდა. მაგ., მჭადისჯვრისა და მუხრანის დიდი კოშკების ბანზე ოცდაათ-ოცდაათი სათოფურია, ე. ი. კოშკების ამ ნაწილიდან ერთდროულად 20—25 მებრძოლს შეეძლო სროლა. ამას თუ დავუმატებთ სალოდეებსა და საზარბაზნეებს, მაშინ მივიღებთ, რომ აქ ერთსა და იმავე დროს მოქმედებდა არა ნაკლებ ოცდაათი მებრძოლისა. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია 7 მეტრის დიამეტრის მქონე კოშკის ბანისათვის. მაგრამ ჩვენს მიზანს ამჟამად არ წარმოადგენს მებრძოლთა რაოდენობის დადგენა. აქ ვიძლევით მხოლოდ საბრძოლო ელემენტთა სახეობას (სურ. 20).

წარმოდგენილ ტაბულაზე ჩვენ მოცემული გვაქვს საბრძოლო ელემენტთა ყველაზე გავრცელებული სახეობანი. ისინი აღებულია არა მარტო განსახილველი ციხეებიდან, არამედ იმ ეპოქის, ჩვენთვის ნაცნობ ქართლ-კახეთის ციხეებიდან.

სათოფურები სამ ჯგუფად დაყოფილი. პირველში ვიძლევით ყველაზე გავრცელებულ სახეს, მეორეში — გამონაკლისს და მესამეში — ნიშების სიღრმეებში განლაგებულს (ასეთი სათოფურები ეწყობოდა სქელ კედლებში).

სალოდეებიდან მხოლოდ ორი სახე ავიღეთ: მარტივი და რთული. ამ შემთხვევაში მარტივს ჩვენ ვუწოდებთ ისეთს, სადაც მხოლოდ სალოდეა და რთულს ისეთს, სადაც ერთი ან რამდენიმე სათოფურია დამატებული. ხოლო რაც შეეხება საზარბაზნეს, ისინი საერთოდ მარტივია და აქ წარმოდგენილი ორი სახეც უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ციხეების განხილვა

XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთგზის შემოსულან სპარსეთის და ოსმალეთის ჯარები. ცხადია, ასეთ მდგომარეობისას დაქუცმაცებული საქართველო წარმოადგენდა თავდამცველ მხარეს და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, თავდამცველ მხარეს ყოველთვის უხდება ციხეების აგება. ასეთ პირობებში საჭირო ხდება ციხეების აგება არა მარტო საზღვრებზე და მთავარ საკვანძო ადგილებზე, არამედ, საჭირო ხდება მთელი ტერიტორიის ციხე-სიმაგრედ გადაქცევა და კიდევაც ფეოდალური საქართველო დაიქსელა ციხე-კოშკებით ქალაქებს მანამდეც ჰქონდათ გალავანი; მოთხოვნილების მიხედვით ხდებოდა მათი გადაკეთება და შეფარდება თანამედროვე საბრძოლო იარაღებთან. მაგრამ ძირითად საზრუნავს ქალაქების გამაგრებასთან ერთად წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებიდან მომავალი გზების გადაკეტვა და შენდება ქვეყნის შიგნით მომავალი ხეივების გამაგრება. ამ გრანდიოზული სამუშაოს პირნათლად შესრულება დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლების პირობებში მთლიანად არ ხერხდებოდა. მაგრამ ქვეყნის მესვეურებს როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდათ, ისინი ამ საქმეს აკეთებდნენ.

ფეოდალური წყობილების დროს, როგორც ცნობილია, ციხეები მარტო გარეშე მტრების წინააღმდეგ კი არ იგება, არამედ ციხეებს არანაკლებ მონდომებით აგებს თითოეული ფეოდალი საკუთარი მეზობლების წინააღმდეგ. იმ ეპოქაში, როდესაც „ყველა ყველას წინააღმდეგ“ იბრძვის, ცხადია, ციხე-კოშკები ნეტარ რაოდენობითაა საჭირო.

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს. დასაწყისიდან განსაკუთრებულ სახეს ღებულობს ლეკების თარეში. საჭირო შეიქნა ციხე-სიმაგრეების აგება, არა მარტო გზებზე და ძნელად მისავალ მთებზე, არამედ შიგ სოფლებშიც, ვაკე ადგილებზე, რომ მტრის მოულოდნელი შემოსევების დროს მთელ სოფელს შეძლებოდა იქ თავის შეფარება. ამ გარემოებამ გამოიწვია ციხის განსაკუთრებული ტიპის შექმნა.

ამ ტიპის ციხეები შენდებოდა, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, ვაკე ადგილას და გეგმით წარმოადგენდა კვადრატს ან კვადრატს მიახლოებულ სწორკუთხედს, მაღალი გალავნით და კოშკებით. ციხის ასეთ ტიპს ჩვენ ვხვდებით მთელ XVIII ს. მანძილზე. მაგ., უკანასკნელი პერიოდის სანიმუშო ძეგლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1788—98 წლებში ერეკლე მეორის მეუღლის დარეჯან დედოფლის მიერ აგებული ქოლაგირის ციხე[1]. იგი წარმოადგენს ვაკეზე მდგარ გრანდიოზულ სიმაგრეს კვადრატული გეგმით, მაღალი გალავნითა და კოშკებით.

ასეთი სახის ციხე გალავანი „სათემოს“ წარმოადგენდა. „სათემო“ ციხის შესახებ საინტერესო ცნობას ვპოულობთ 1791 წ. მეფე ერეკლეს განწესების დოკუმენტში: „... სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონნი არიან, ჭართლში, თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის. ღმერთმან ნუ ქნას, მძლავრის მტერის შიშობა, რომ იქნება დასახიზნავად ახლო სოფლების ციზანი დახალხი შევა; როგორც დაჩემებული არის და განწესებული ისე უნდა შევიდნენ და დაიხიზნონ“[2].

ციხის გამოყენება ჩვეულებრივ ხდება ომის პირობებში. ომი კი ხომ ყოველდღე არ იყო და ციხე ამიტომ მხოლოდ დროებით თავშესაფარს

[1] ვ. ბერიძე. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 225—234.
[2] სპ. სიმკ., ტ. I, წ. I, თაყაიშვილის რედ., 1920, გვ. 205—206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ციხის მხატვრული გადაწყვეტა არასოდეს არ მდგარა პირველ რიგში. ამ შემთხვევაში მთავარი იყო ისეთი ნაგებობის შექმნა, რომ მის კედლებს ჰქონოდა სათანადო სიმტკიცე და ეპასუხნა საომარი იარაღების განვითარების ტექნიკისა და თავისებურებისათვის.

ციხისა და კოშკის ასაგები ადგილის შერჩევისას ყოველთვის, მთავარი ყურადღება ექცევა სტრატეგიულად გამართლებული ადგილის გამოძებნას და შემდეგ ხდებოდა მხატვრული მხარეების გადაწყვეტა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ოსტატისათვის, როგორც ამაში დარწმუნებნა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც კი ერთხელ მაინც გაუვლია რომელიმე ხეობაში, ან უნახავს სადმე რამდენიმე ციხე ან კოშკი, ადგილმდებარეობისა და კომპოზიციის შერჩევას არასოდეს მეორეხარისხოვანი ადგილი არ სჭერია.

XVIII ს. ქართლ-კახეთის სიმაგრეებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცილინდრული ფორმის კოშკები. როგორც ასეთი კოშკების, ისე ციხის კედლების ფასადების დამუშავებაში წმინდა დეკორატიული ელემენტი უმნიშვნელოდაა შეტანილი, მაგრამ კონსტრუქციული და საბრძოლო დანიშნულების ელემენტების გადაწყვეტაში მხატვრული ხერხები საკმაო სიძლიერითაა გამოყენებული.

ხეროთმოძღვარი, უპირველეს ყოვლისა, ციხისა თუ კოშკის დასადგმელ ადგილს არჩევს და შემდეგ ადგილმდებარეობის გათვალისწინებით აგგეგმარებს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს, უდავოდ, პროპორციების შეხამებით. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ყველა ტიპის სიმაგრის მშენებლობისას მასათა განლაგებისა და პროპორციების შერჩევას დიდი ყურადღება ექცეოდა.

განსახილავი ციხეების მხატვრული გადაწყვეტა ერთ პრინციპზეა აგებული. ეს იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მათი დამპროექტებელი თუ მშენებელი ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ყოფილიყო (მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა სათანადო მასალების უქონლობის გამო ნაადრევია). XVIII ს. ციხეებს და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მეორე და მესამე მეოთხედის ძეგლებში ადგილი აქვს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ერთიანი სტილისტიკურ მიდგომას. ციხის კედლები და კოშკები, ისე როგორც ცალკე მდგარი საყარაულო კოშკებიც, ამოყვანილია ძირითადად რიყისქვისა და აგურის მასალის გამოყენებით. ამ შემთხვევაში რიყისქვა ძირითად მასას წარმოადგენს და აგური კონსტრუქციულად მაკავშირებელია, მაგრამ იგი ამავე დროს გამოყენებულია, როგორც დეკორატიული ელემენტი, ციხისა და კოშკის კედლები მთლიანი სიბრტყეა და მას არიფერი აღლვევს გარდა ზედა ჰორიზონტზე ნისკარტივით გამოშვერილი სალოდგებისა. ყველაფერს ამას ამთავრებს თანაბრად განლაგებული ნახევარწრიული მოხაზულობის ქონგურები.

სალოდგებისა და ქონგურების ის სისტემა, რომელიც ამ ძეგლებზეა ნახმარი, ამ ეპოქაში გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს და ამიტომ მათი პარალელების ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შევუდგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილავ ციხეებს, როგორც აღენიშნეთ, განსაკუთრებით გამოყენებული, მორთული ადგილებიც აქვს. ეს დეკორი არც ისე მრავალფეროვანია, მაგრამ ის რაც არის ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაეუსვამ იმ გარემოებას, რომ სამივე ციხის ოსტატებისათვის გალავანში შესასვლელების გაფორმება, როგორც ეტყობა, აუცილებელს წარმოადგენდა. ცხადია, ამას თითოეული ოსტატი ასრულებდა საკუთარი შესაძლებლობის მიხედვით.

ამ მხრივ გამოირჩევა მუხრანის ციხის გალავნის შესასვლელი. კედლის სიღრმეში ჩამჯდარ მაღალ სწორკუთხედში, განიერი ნახევარწრიული თაღია გამოყვანილი. მარტივი პროფილის მქონე ბმოსტზე დაყოლნობილი აგურის თაღი ქვის პილასტრებზეა აღმართული. აღნიშნული ოთხკუთხედი ხერხისებრ ნაწყობი აგურის კარნიზით მთავრდება. აღწერილი არქიტექტურული ფორმა, ე. ი. კედლის სიბრტყის სიღრმეში ჩამჯდარი ოთხკუთხედში მოქცეული თაღი, ჩვენში მუშავდება XVI საუკუნეში და მას შემდეგ მას გამუდმებით ეხვდებით. შეიძლება ზუსტად დათარიღებული რამდენიმე ასეთი ძეგლის დასახელება. ასეთია ნინოწმინდის სამრეკლო[1] (აგებული XVI ს. შუა წლებში), თბილისის ანჩისხატის ეკლესიის სამრეკლო[2] (1675 წ.), წინარეხის „მაღალაღეთა ეკლესიის სამრეკლო“[3] (1716 წ.), ქსოვრისის რატიშვილების ეკლესია[4] (1712 წ.) და სხვ.

მოცემული არქიტექტურული ელემენტი ნახმარია სხვადასხვა გადაწყვეტით ორი დანარჩენი ციხის შესასვლელებშიც, როგორც ეს აღწერის დროს ვნახეთ. ამას გარდა, იმავე ელემენტი, მხოლოდ ისრული ფორმის თაღით, ხუხრანის ციხის ოსტატი კიდევ ოთხჯერ იყენებს კუთხის კოშკებზე, ეზოდან მეორე სართულის შესასვლელების მოწყობისას. იგივე ელემენტი გამოყენებულია ამავე ციხის ეკლესიის კარზე და შეცვლილი მარტივი ფორმით მას იყენებს ქსნის ციხის ოსტატი სამხრეთ-აღმოსავლეთის დიდი კოშკის მესამე სართულის ბუხარზე. ზუსტად ამავე სახით იგივე ფორმა განმეორებულია მუხრანის დიდი კოშკის მეორე სართულის ბუხარზეც.

მეორე დეკორატიული ელემენტი, რომელსაც უხვად იყენებს მუხრანის ოსტატი, ეს არის ისევ კედლის სიბრტყეში ჩამჯდარი აგურის წყობით მიღებული როშებების ჯაჭვი. იგი სხვადასხვა კომბინაციაში გამოყენებულია ციხის ეკლესიის ფასადზეც და კოშკების მეორე სართულის შესასვლელების გვერდებზე. ამ ელემენტს ქსნის ციხის ოსტატი, რამდენადაც ამის გარკვევა შეიძლება დღემდე შერჩენილ ნაწილებზე, სრულიად არ ხმარობს, მაგრამ მჭადისჯვრის ოსტატი მას იყენებს, ისევ გალავანში შესასვლელის მოსართავად.

---

[1] გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი. ქართული არქიტექტურის გზები. თბილისი, 1936, გვ. 137.

[2] იქვე, გვ. 141.

[3] ვ. ბერიძე. წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI—XVIII საუკ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 210.

[4] ა. ხაჭარია. არქიტექტურული ძეგლი სოფ. ქსოვრისში. საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, 1949, № 10, გვ. 635—642.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგურის წყობით მიღებული რომბები, როგორც ფასადების დეკორატიული ელემენტი, დამახასიათებელია ვვიანფეოდალური ეპოქის არქიტექტურული ძეგლებისათვის, ეს იქნება ეკლესია, ციხე, სამრეკლო თუ სხვ. იგი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გამომდგარა და მას ჩვენ ვხვდებით XVI საუკუნიდან (ნინოწმინდის სამრეკლო) მოკიდებული XVIII ს. ბოლომდე და, როგორც გამონაკლისი, XIX საუკუნეშიაც კი (მაგ., იქვე, გარე გალავანში მდგარი, 1843 წ. აგებული „გუმბათოვანი ეკლესია" და სხვ.).

ციხეების ფასადებს სხვა დეკორატიული ელემენტები არ გააჩნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქსნის ციხის შესასვლელი კოშკის ჩრდილო-დასავლეთის წიბოს დამუშავებას.

კოშკის ეს წიბო ქვედა ნაწილში მომრგვალებულია და გადასვლა მრუდე ზედაპირიდან კუთხოვანზე ხდება აგურის კბილანა სწორზედაპირიანი ჰორიზონტალების კომბინაციით. კუთხის ასეთი დამუშავებაც აღნიშნული დროის ძეგლებზეა შეჩნეული.

ციხეების კოშკების ინტერიერის მორთულობიდან, როგორც ეს უკვე აღწერილია აღვნიშნეთ, უმნიშვნელო ფრაგმენტებია გადარჩენილი. აქედან აღსანიშნავია მუხრანის მთავარი კოშკის მესამე სართულის გადაწყვეტა. ეს კამაროვანი ოთახი მოღიანად შელესილია სქელი ბათქაშით და ამ ბათქაშზეა გამოყვანილი დეკორის ყველა სახე. აქედან აღსანიშნავია გუმბათის ზედაპირის სხივისებრ დაყოფა და ბუხრის მორთულობა.

ვიწრო და მაღალ ბუხარს სწორკუთხედად რთული პროფილის მორთულობა აქვს შემოყოლებული. ამათში ორი ელემენტია აღსანიშნავი: ერთი გარეთა, რომელიც გრეხილოვანი კოლონის მიმსგავსებული ლილვს წარმოადგენს, მეორე შიგნითა, რომელიც უფრო ფართო ზედაპირიანი ამობურცული ლილვია, მის ზედაპირზეც მცენარეული ორნამენტია გამოყვანილი.

ინტერიერის სხვადასხვა ადგილების მორთვა ნალესობაზე გამოყვანილი ჩუქურთმით ისევე ამავე ეპოქის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს[1], რადგან სხვა დროის ძეგლებში მას ჩვენ ვერ ვპოულობთ.

ქსნის ციხის კოშკებიდან დეკორატიული ნალესობა, მხოლოდ შესასვლელი, მთავარი კოშკის მეოთხე სართულს ჰქონია. სამწუხაროდ, ამ სართულიდან ისე ცოტაა გადარჩენილი, რომ მიახლოებითაც არ ხერხდება თავდაპირველი სახის წარმოდგენა. დასავლეთით მდებარე ბუხრის ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ იგი რთული პროფილით ყოფილა დამუშავებული.

როგორც ენახეთ, ციხეების დეკორატიული ელემენტები არც ისე რთული და მდიდარია, მაგრამ ის, რაც არის, ღირსშესანიშნავია.

---

[1] ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა დავით-გარეჯის კომპლექსის ის ნაწილი, რომელიც შექმნილია XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის შუა წელებში და ბოლოში. აქ ნალესობით გამოყვანილი ორნამენტული მოტივებით მორთულია კანკელი, ნიწები, ბუხარი და სხვა ადგილები (Г. Н. Чубинашвили. Пещерные монастыри Давид-Гареджи. Тбилиси, 1948, табл. 30, 35, 74, 75, 125, 127 და სხვ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭსნის ციხე. ჩრდილო-დასავლეთის ხედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისი ციხე. ჩრდილო-აღმოსავლეთის ხედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცვდისუჯარის ციხე. ხედი სამხრეთიდან



მეხრანის ციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქაიის ციხე. დასავლეთის კოშკი აღმოდან



ჭსნის ციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი ეზოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსნის ციხე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი დასავლეთიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეხრანის ციხე. მთავარი კოშკის წარწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილული ციხეები, როგორც ვნახეთ, XVIII ს. ტიპიური წარმომადგენლებია. მათში მაღალი სამშენებლო ტექნიკის დონესთან ერთად ჩანს საკმაო გემოვნებაც. ამ ციხეების ამგები ოსტატები კარგად ყოფილან დაუფლებულნი იმ ეპოქის მიღწევებს და სანიმუშო სიმაგრეები შეუქმნიათ.

П. П. ЗАКАРАЯ

КСАНСКАЯ, МЧАДИСДЖВАРСКАЯ И МУХРАНСКАЯ КРЕПОСТИ

Резюме

1. В позднефеодальную эпоху Грузия защищалась от беспрерывных нападений с юга — персидских и турецких войск, и с севера — ютившихся в Кавказских горах лезгин. Это обстоятельство вынуждало местных царей и феодалов укреплять страну постройками многочисленных башен и крепостей.

2. Из рассмотренных крепостей Ксанская крепость («Мткврис цихе») была построена в 1511 — 1514 годах по повелению первого Мухран-батони царевича Баграта. В течение веков эта крепость превратилась в руины.

3. Константин Мухран-батони, один из видных исторических личностей середины XVIII века, строит на собственной территории три крепости. Две из них: Ксанская и Мчадисджварская были выстроены в 1746 году (остатки первоначальной Ксанской крепости были включены в новую постройку), а Мухранская («Шиосубнис цихе») — в 1756 году.

4. Ксанская крепость, расположенная на вершине высокой горы, защищала важный узел на перекрестке дорог, проходивших по ущельям Куры и Ксани.

5. В XVIII веке, при частых войнах, необходимость быстрого укрытия населения со всем имуществом в близлежащие укрепления породила тип крепостей громадных размеров, в плане квадратных или прямоугольных. К этому типу принадлежат Мчадисджварская и Мухранская крепости.

6. После рассмотрения архитектурного решения памятников со всеми деталями, крепости можно причислить к группе фортификационных сооружений, распространенных в восточной Грузии в середине XVIII века, а по качеству исполнения они являются первоклассными памятниками позднефеодальной Грузии.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII, 1953
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVII-Б, 1953

გ. ჩაჩაშვილი

ქართული ხალხური საქსოვი დაზგები

(საქართველოს მუზეუმის კოლექციების მიხედვით)

წარმოების იარაღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე — საქსოვი დაზგა მატერიალური კულტურის უძველესი მონაპოვარია. ი. სტალინი გვასწავლის, რომ წარმოების ყველა სხვა საშუალებასთან შედარებით წარმოების იარაღებს განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის[1]. წარმოებაში ცვლილებები და განვითარება იწყება ყოველთვის საწარმოო ძალთა ცვლილებებიდან და განვითარებიდან, უწინარეს ყოვლისა — წარმოების იარაღების ცვლილებებიდან და განვითარებიდან[2].

წარმოების იარაღებს ამოძრავებენ და განსაზღვრული საწარმოო გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების მეოხებით ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას უშუალო მწარმოებლები, მშრომელი მასები. ამ სტალინური დებულებიდან გამომდინარე საწარმოო ძალთა მდგომარეობის შესწავლისათვის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ წარმოების რა იარაღებით ამზადებენ ადამიანები მათთვის აუცილებლად საჭირო მატერიალურ დოვლათს. ამ თვალსაზრისით, სხვა წყაროებთან ერთად, მნიშვნელობა ენიჭება მუზეუმებში დაცული შრომის იარაღების შესწავლას.

ქართველი ხალხის შრომის იარაღების ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მონაცემია ქართული საქსოვი დაზგები, რომელთა საწყისი ფორმები საქართველოს უძველეს წარსულშია საძიებელი.

საქართველო უძველესი ხანიდანვე იყო ცნობილი მაღალხარისხოვანი ქსოვილებით და მათი დამზადების ხელოვნებით. ამ ხელოვნების აღმავლობა-დაქვეითების შესახებ წარსულში მეტ-ნაკლებად მეტყველებენ ისტორიულ წყაროებში შემონახული ცნობები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის სამარხებში, სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან ერთად, ნაპოვნია შინამოსაქმეობის ხელსაწყო: ნეკ-

[1] ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. თბილისი, 1953, გვ. 59.

[2] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, თბილისი, 1948, გვ. 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი, კვირისტაეი; სამოსელთან დაკავშირებული საგნები: სარტყლები, მათი ბალთები, აბზინდები, ღილები, შესაბნევები და სხვ.[1].

ანტიკური პერიოდის მონათმფლობელური ურთიერთობის დროს საქართველოში ქსოვილების დამზადების შედარებით მაღალი კულტურული დონის შესახებ მეტყველებს მრავალი ცნობა. ქართული ქსოვილების წარმოების შესახებ მდიდარი მასალა მოიპოვება ფეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურულსა და საისტორიო ძეგლებში. ამ წყაროებიდან ჩანს ქსოვილების წარმოების შემდგომი გაფართოება, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია საშუალო საუკუნოებრივი სახელოსნო და მანუფაქტურულ საწარმოთა გაჩენა. კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში კი სახელოსნოთა და მანუფაქტურულ საწარმოთა ნაცვლად ჩნდება მანქანებით შეიარაღებული მსხვილი საფეიქრო წამოწყებები. საზოგადოებრივი განვითარების ამ საფეხურების შესაბამისად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა საქსოვი დაზგებიც, უშუალო მწარმოებელთა შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების გამდიდრების საფუძველზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში XIX საუკუნის ბოლომდე შემონახული ძველი ქართული ხალხური საქსოვი დაზგების შესწავლა და მათი ტიპების დადგენა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული კოლექციების საფუძველზე.

ცნობილია, რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის ქსოვილები. თუ რა ტექნიკური საშუალებებით ხდებოდა ამ ქსოვილების დამზადება ხალხში, როგორი იყო უძველესი საქსოვი დაზგები საქართველოში, ეს საკითხი სათანადო კვლევას საჭიროებს. უკანასკნელ წლებში მოპოვებული განათხარი მასალა ამ მხრივ ბევრ საყურადღებო მონაცემს შეიცავს და ამის შესახებ სათანადო ადგილზე შეეჩერდებით.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ იმ საქსოვ დაზგებს, რომელთა საშუალებითაც შინამრეწველური წესით ჯერ კიდევ ახლო წარსულამდე მზადდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სელის, ბამბის, კანაფის, შალის, აბრეშუმისა და სხვა ქსოვილები. ამ ქსოვილების დასამზადებელი ქართული საქსოვი დაზგებისა და მათი შემადგენელი ცალკეული ნაწილების ძირითადი კოლექცია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული. ამავე განყოფილების ფონდებშია დაცული კავკასიის ზოგიერთი ხალხის საქსოვი დაზგებიც, უმთავრესად მოდელების სახით.

საქართველოს მუზეუმში დაცულ საქსოვ დაზგათა შორის ყველაზე ძველი კოლექციაა რაფიელ ეოისთავის მიერ იმერეთში 1856 წელს შეძენილი

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწილი I, თბილისი, 1946, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსლის მოდელი (კოლ. № A — 36 — 66/1). დანარჩენი კოლექციები მომდევნო ხანებშია შემოსული; სახელდობრ, ისტორიული სამხრეთ საქართველოს რაიონიდან — ორტაანიდან 1907 წ. (კოლ. № 85—07), სვანეთიდან „ლაჯშირ“ 1910 წ. (კოლ. № 825, $\frac{50-10}{71}$), ხევსურეთიდან „ქსლის ყდა“ (კოლ. № $\frac{12-27}{180}$), ფშავიდან „ქსლის ყდა“ (კოლ. № $\frac{13-29}{19}$), თუშეთიდან „აკაზმები“ (კოლ. № 27a — 32 — 153), აპარიდან (კოლ. № $\frac{27-33}{103}$), სამეგრელოდან „ოშუალე“ (კოლ. № 51 — 39/93), თიანეთიდან „ყდანი“ (ფარდაგების საქსოვი დაზგა) (კოლ. № $\frac{58-39}{11}$), გუდამაყრიდან (კოლ. № $\frac{28-45}{44}$ ა. ბ.) და ქართლიდან ჭილოფის საქსოვი ყდა (კოლ. № $\frac{19-47}{109}$). ყველა ამ კოლექციას განყოფილების საინვენტარო დავთარში ახლავს სათანადო აღწერილობა. განყოფილების ფონდებში დაცულია აგრეთვე საქსოვი დაზგების ნაწილებისა და ქსოვის კომპლექსთან დაკავშირებული შრომის იარაღების მდიდარი კოლექცია, **სახელდობრ:** 1) **დგიმ-სავარცხლები:** სამეგრელოდან — კოლ. № № $\frac{15-23}{23}$, $\frac{51-39,}{94-95}$, $\frac{14-40}{69}$, ქლუხორიდან—კოლ. № $\frac{10-45}{105}$ და სხვ.; 2) **ბეჭები:** ხევსურეთიდან—კოლ. № $\frac{12-27}{182}$, გუდამაყრიდან—კოლ. № $\frac{2--46}{4}$, მთიულეთიდან — კოლ. № $\frac{148-13}{86}$, ფშავიდან — კოლ. № $\frac{12-38}{4}$ და სხვ.; 3) **საშვერები:** მთიულეთიდან—კოლ. № $\frac{148-13}{85}$, თუშეთიდან—27a—32—66 და სხვ.; 4) **ფხინები:** ხევსურეთიდან—კოლ. № $\frac{12-27}{181}$, ფშავიდან — კოლ. № $\frac{13-29}{31}$, თუშეთიდან — კოლ. № № $\frac{35-17}{4}$, $\frac{27a-32}{64}$; 5) **სპენტლები:** სამეგრელოდან—კოლ. № 70—08, გურიიდან—კოლ. № $\frac{17-40}{42}$, სვანეთიდან — კოლ. № $\frac{50--10}{117}$, თიანეთიდან—კოლ. № $\frac{148-13}{56}$, ზაქათალიდან — კოლ. № $\frac{55-10}{133}$, აფხაზეთიდან — კოლ. № $\frac{22-26}{140}$ და სხვ.; 6) **თითისტრები:** თიანეთიდან—კოლ. № $\frac{148-13}{28}$, ხევსურეთიდან—კოლ. № $\frac{13-27}{93}$, რაჭიდან — კოლ. № $\frac{10-26}{17-18-19}$; გუდამაყ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. ხელსურული საკსოვი ყდანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქსოვი ყდის ნაწილებია: ორი თანაბარი სიმაღლის **ყდა** (სვეტი), ორი ლვილი, ორი **წკეპლა** (**სათხორე** და **საშვეარი**), ორი **გარა**, **სოლები**, ორი **ქიჩი**, **ბეჭი** (სავარცხელი), **ფხინი**, **წიწვ**, **ცხემლა** (მაქო) და **თხორნი** (სურ. 2).

ყდის სიმაღლე უდრის 3,65 სმ. ყდის ზემო ნაწილს ეწოდება **ყდის თავი**, ხოლო ქვემო ნაწილს **ყდის ძირი**. ყდებს ზემოთ სამ-სამი თვალი აქვს ამოღებული „ზეთა ლვილის“ გასაყრელად. მათი სახელებია—**წვერთით სალვილე**, **წვერთით ძირან სალვილე და დამლილი** ანუ **სადიაცოს სალვილე**. **ზეთა ლვილი** ყდებს ზემოდან კრავს. მას ქსელის დაგების წინ სალვილეებში გადებდნენ იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისა და ზომის ტოლის ქსოვა ჰქონდათ განზრახული. ასე, მაგალითად, **წვერთით სალვილედან**[1] იქსოვებოდა წყვილი **საპერანგე** ან **ქალის საქოქლოე** და კაცის **საჩოხე ტოლი**. **წვერთის ძირიდან** იქსოვებოდა **წყვილი საპერანგე** ან წყვილი საშარვლე ტოლი, ხოლო დამლილიდან 1 სადიაცო და 1 საშარვლე ტოლი.

ყდებზე ამოჭრილია ოთხ-ოთხი „საქჩიარი“ 5 სმ სიღრმეზე (სიგრძე 4 სმ, განი 1 სმ), რომლებშიც ქსოვის დროს **ქიჩებს-საშვერის** „გარის“ ჩამოსაკიდებელ, დაკბილულ და წვერწამახულ სოლებს გადაადგილებდნენ. ყდაზე ორივე ქიჩი საპარისპირო „საქიჩრებშია“ ჩასმული. „ქიჩებზე“ ჩამოკიდებულია **საშვეარის გარა**, **საშვეარითა** და ზედ ასსმული შე-თი, რომელიც უმოძრაო დგომის ფუნქციას ასრულებს და ამ ტიპის საქსოვი დაზგის თავისებურებას შეადგენს. „ყდის“ ძირზე გადგმულია „ქვეთა ლვილი“. ლვილის იმ ნაწილს, რომელიც ბრტყლად არის ჩათლილი და ყდის თვალშია გასული, **ფატარი** ეწოდება. **ქვეთა ლვილი** „ყდას“ ქვემოდან ჩარჩოსებურად კრავს.

ლვილი სალვილეებში სოლებითაა გამაგრებული, მათი დანიშნულება ქსელის ანუ თხორის დაკიმვაში მდგომარეობს. სოლებს სალვილეში **ჴვედათი** ამაგრებდნენ.

საქსოვ ყდაზე ორკეცად დაკიმულია უწყვეტი ქსელი. ასეთ დაზგაზე შეიძლებოდა მხოლოდ 7 მეტრამდე ზომის **ტოლის** ქსოვა. საქსოვზე გაბმული ქსელი ორწვერად ანუ **ორლოლად** დაძახული 222 ძაფისაგან შედგება და 25 სანტიმეტრის სიგანეზეა განლაგებული.

საშვერის ქვემოთ, ქსელის გახსნილ პირში — **ქირცში** გადებულია **ცხემლა**, ზედ დახვეული საზედაო ძაფით. საშვერის ზემოთ კი ქსელის ძაფების გამყოფი **სარჩევი გარაა** მოთავსებული. გარაზე კი მისი ამწევ-დამწევი ხელსაწყო **ფხინია** მომარჯვებული. როგორც აღწერილობიდან ჩანს, ამ დაზგის საქსოვი აპარატისათვის დამახასიათებელია ერთი უმოძრაო დგომი (საშვეარი)[2], „სარჩევი გარა“, ცხემლა, რომელიც მაქოს ფუნქციას ასრულებს და ბეჭი (სავარცხელი). ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას კი აქვს ქსლის გამყოფი ორი მოძრაკი დგომი, სავარცხელი, მაქო და „ფეხები“.

ჩვენ მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ძველად ხევსურეთში ცხვარს წლის განმავლობაში ორჯერ კრეპავდნენ, გაბაფხულზე

[1] საქსოვ ყდაზე ყველაზე გრძელი ტოლი „წვერთით“ იქსოვებოდა.

[2] მეორე დგომის ფუნქციას აქ „სარჩევი გარა“ ასრულებს, რომელსაც ქსოვის დროს ფხინით გადაადგილებენ „ქირცის მოსაყვანად“ (ქსლის გასაყოფად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მარტი, აპრილი) და შემოდგომაზე (ოქტომბერი). გაზაფხულის მატყლს **ოთხვა** ეწოდება, შემოდგომისას—**მატყლი**, ხოლო ბატკნისას—კოველი. თუ **ბატკანი** ადრეული იყო და მას მეორედ გაკრეჭდნენ — მეორე ნაკრეჭ კო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნართს პირველ წიპკარზე გადაიტანდნენ. ამ ორი ტარის ერთად დანეული ძაფს უკვე მიხვეული ტარი ეწოდებოდა. მიხვეული ტარებიდან ძაფი ჯარატარზე გადადჰქონდათ. ერთი ჯარატარის გავსებას რვა მიხვეული ტარი ჭირ-



სურ. 2. ვერტიკალურ საქსოვ დახვასთან დაკავშირებული კომპლექსი და ტოლის ნიმუშები (საქ. მუზ. ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა)

დებოდა. ჯარატარს ჯარათ ღვედს (ჯარის ბორბალზე წამოცმული ღვედია) გაუყრიდნენ და დვალებზე[1] გააწყობდნენ. მძახავი ჯარასა და ჯარატარს შუა ჯდებოდა. ერთი მიხვეული ტარი პირით ეჭირა, მეორე კი თავზე ჰქონდა დამაგრებული. ორივე მიხვეული ტარიდან შეტოლებული ძაფი ორ ლოლად (ორწვერად) მარცხენა ხელში ეჭირა. მარჯვენა ხელით ჯარას ბორბალს თავისკენ ატრიალებდა და ნართს ხელის დაყოლებით ჯარატარზე ახვევდა ორლოლად. ერთ ჯარატარზე 4 წყვილ ანუ რვა მიხვეულ ტარს დაახვევდა. ახლა უკვე ნართი დასაძახავად იყო შემზადებული. მძახავი ჯარის ბორბალს ისევ თავისკენ ატრიალებდა და ღვედის მეშვეობით ჯარატარს ამო-

[1] დვალი ორკაპა ჯოხია, წვეულად „ჯარათ წინა ფეხებში" გაყრილი. ფეხები კი ხუნდშია ჩასმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრავებდა. ჯარატარიდან მარცხენა ხელით ორლოლ ძაფს გამოსწევდა, ძაფი ერთმანეთზე იგრიხებოდა, ანუ იძახებოდა, და მძახავი მას გორგლად ახვევდა. ამ გორგალს **ამოხახნული თხორი**[1] ეწოდებოდა. დაძახვის შემდეგ გორგალს მძახავი ხელზე გადაიხვევდა და ხელახლა დაგორგლავდა, რის შედეგადაც ძაფი სწორდებოდა და იწმინდებოდა. გორგალზე ხელმეორედ დახვევისას ძაფს თანმიმდევრულად ჯვარედინად ანუ ულოგებად ახვევდნენ. ასეთ გორგალს უკვე ამოხსნილი თხორი ეწოდებოდა. ამგვარად დაძახულ თხორს, ანუ



სურ. 3. ქსელვის პროცესი ყდახე: 1. თხოროს დამაგრება სათხოვე წკეპლახე, 2. შეა ამოსხმა საშვერის წკეპლასა და საშვერის გარეახე, 3. საშვერის წკეპლა, სარჩვი გარა და საშვერის გარა, 4. ქსლის დაჭიმვა სოლებით, 5. ქიისაკრავი, 6. საშვერის ჩამოკიდება ქიებებე, 7. საშვეარი და სარჩვი გარა ამოშვების შემდეგ, ცხემლის გატარება ქირცხი, 8. მისაქსელის (სახე-დოს) დახვევა ცხემლეზე (მაკოხე).

წალმათ დაძახულს, ცალპირა და ორშიაში ტოლის საქსლედ ხმარობდნენ. ყველაზე **მაღალხარისხოვანი** ქსოვილი **წალმა-უკუღმა** ტოლის თხორს კი **უკუღ-მა** ძახავდნენ.

---

[1] აკად. ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ ხელნაწერში თხორის შესახებ აღნიშნავს: „ეგრულად „ოუხუა“ ოთვას. დართვას ხიშნავს. „ოუსალი“—ნოოთს, „ბათუხალი“ დამრთველს, „ოთხუალი“—სართავს (მ. გ. 245) აქვე ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ტერმინი „თხვირი“, რომელიც სელის სქელ ძაფსა ნიშნავს. იმგვარადვე, როგორც ძაფის გორგალის აღმნიშვნელი ქართული „თხორიც“ (მ. გ. 245). (ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ეთნო მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტო. № X, ნაკ. IV, ფოსკი ბ. ხელნაწერი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აკად. ივ. ჯავახიშვილის კაბინეტში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოხსნილი თხორიდან უკვე ქსელს გაამაგრებ, რასაც „ქსელის დაქსვას“ უწოდებდნენ (სურ. 3). „**ქსელის** დაქსვას“ ორი დედაკაცი აწარმოებდა: **შემმყრელი** და **მომწვდელი.** შემმყრელი სკამზე ჯდებოდა, მომწვდელი კი ოროვე ყელის შუაში დგებოდა. ქიჩებზე ერთმანეთზე მიჯრილ ორ გარას გადებდნენ: **საშევრისას** და **სარჩევს** ანუ **გამოსაწვდელს.** შემმყრელი თხორს (ქსელის ერთ ძაფს) ქვემო ლვილის წკეპლაზე, სათხორეზე დაამაგრებდა. **მოჰწვდელს** თხორი ზედა ლვილზე აჰქონდა და მას ქვემოდან ზემოთ გადმოიყვანდა, აქ უკვე ძაფს მოკეცავდა **და ყუს** შემმყრელს მიაწოდებდა. შემმყრელი ყუს სათხორეზე შემოაცვამდა. მომწვდელი თხორს ზევით აიტანდა და ლვილზე ქვემოდან ზემოთ გადმოიტანდა, კვლავ მოკეცავდა და ყუთთ შემმყრელს მიაწოდებდა. შემმყრელი **ყუს** სათხორეზე რიგრიგობით **ლვილის ზედაპირიდან** და **ლვილის ქვედაპირიდან** შემოაცვამდა. ამავე დროს შემმყრელი ქსელს **ამოშვენიდა. ყუას** ორი ძაფი აქვს: **ქვედა** და **ზედა.** შემმყრელი ქალი მარტო ქვეიდა მხარის ძაფებს ამოშვენიდა (ე. ი. ქსლის კენტ ძაფებს). ამოშვენა „ბაწრით“ ხდებოდა და **შე სათხორესა** და **საშევრის გარას** შუა ამოჭყავდათ. ამოშვენის შემდეგ **სარჩევ** ანუ **გამოსაწვდელ** გარას შედან გამოაცლიდნენ და **მას** სიფონე მიეცემოდა. ძაფების იმ წყებას (ლუწ ძაფებს), რომლებსაც შე არ უკეთდებოდა, **უშევარი** ეწოდება, ამოშვენილს კი **შიანი. გამოსაწვდელ გარის** გამოცალის შემდეგ **საშევარ გარას ქიჩსაკრავით** ქიჩზე დაკიდებდნენ, რის შედეგადაც **უშევარი** დაბლა ჩაიყრებოდა, **შიანი** კი მაღლა აიწევდა და ქსელი პირს გაიხსნიდა, რასაც **ქირცის მოყვანა** ეწოდებოდა. ქირცში **სარჩევ გარას** გაუყრიდნენ, რომლის მოძრაობითაც ხდებოდა მორიგი **ქირცის მოყვანა.** ქირცის მოყვანისას ქიჩსაკრავის ზომაზე დაყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ის ზომაზე არ იქნებოდა აწეული, ისე ძაფები ერთმანეთს არ დასცილდებოდა. ასეთ შემთხვევაში ამბობდნენ „ქსელს ქირცი არ უკეთდება და ქიჩი ამოუკარიო“. ქსლის „დაქსვის“ შემდეგ მქსოველი ქსოვას შეუდგებოდა. მისაქსელი ძაფი, ანუ **საზედა,** იხმარებოდა დაძახულიცა და ცალწვერიც. მქსოველი სამფეხა სკამზე ჯდებოდა, გორგალს, **ცხემლს, ფხინს, წიწუს** და **ბეჭს** მოიმარჯვებდა და ქსოვას იწყებდა. მქსოველი **სარჩევ გარას ფხინით** ზევით ასწევდა, რის შედეგადაც **შიანი** მაღლა რჩებოდა, **უშევარი** კი დაბლა ჩაიყრებოდა, **წიწუთი** ქსლის ზედაპირს გაასწორებდა და მარჯვენა ხელით **ცხემლას** მეშვეობით **საზედას ქირცში** გაატარებდა. ცხემლს გამობმული ჰქონდა **საკუდა ძაფი,** რომელიც მისაქსელის ზემოთ მოეკცეოდა. მქსოველი საზედას ბეჭით ჩაბეჭავდა. **ჩაბეჭვის** დროს **საკუდა ძაფი საზედა** ძაფის ჩაწყვეტას ხელს უშლიდა. **ჩაბეჭვის** შემდეგ **საკუდას** უკანვე **გამოაძრობდნენ.** მეორე **საზედას** გასაყვანად მქსოველი **ფხინით** გარას საშვრისაკენ ჩამოსწევდა. ახლა უკვე **უშევარი** მაღლა ამოწეულდა, **შიანი** კი დაბლა ჩაიყრებოდა და ქსლის ზედა ძაფების წიწუთი გასწორების შემდეგ მარცხენა ხელით ცხემლას ქირცში გამოატარებდა, **საკუდას** შიგ ჩატოვებდა და ბეჭით ჩაბეჭავდა. ჩაბეჭვის შემდეგ საკუდას გამოაძრობდა, ფხინით **სარჩევ** გარას ისევ ზევით ასწევდა და იმავე თანმიმდევრობით ქსოვას განაგრძობდა. როცა ნაქსოვი ტოლი პირველ საქიჩურთან მიაღწევდა, მაშინ მქსოველი **ქიჩს** მეორე **საქიჩურში შესდგამ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ე. ი. გადაადგილებდა; როცა ყველა საქიჩურს აათავებდა, მაშინ „ყდას სოლთ გაყრეედა“, ე. ი. ლვილებს სოლებს დააძრობდა, ქსელი მოფონდებოდა და ქსელს დაბლა ჩამოწევდა **ქვედა ლვილამდე**. ლვილებს ისევ სოლებით გაამაგრებდა და ქსოვას განაგრძობდა. ქსოვის დროს მქსოველი ქსელს ოთხჯერ მაინც დაატრუნებდა. აღნიშნული წესით მხოლოდ ცალპირა ტოლისჯქსელი იშვნებოდა და იქსოვებოდა.

სურ. 4. ფარდაგის ქსოვა ყდაზე (თინეთია რაიონი, სოფ. ორტანი)

ორშიანსა და წალმ-უკუღმა ტოლს სხვაგვარი სათვალავით, უფრო ნაკლები რაოდენობის შეთი ამოშვენიდნენ. ორშიანი ქსელის ძაფები სამი წყებისა იყო: **ზედა შიანი, ქვედა შიანი** და **უშეკარი**, დამზადებულ ტოლს ორი წესით თელავდნენ მკლავებითა და ფეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ხევსურეთში ტანსაცმელი ანუ „ტალავარი“ ძალიან ტესად საკუთარი, შინ ნაქსოვი შალისაგან — „ტოლისაგან“ მზადდებოდა, სხვა ქსოვილების, გინდ ფარდაგების დამზადებას, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ხევსურები არ მისდევდნენ. თვით ტოლის დამზადება ძირითადად საშინაო მოხმარებით იყო შემოფარგლული და იგი ხევსურეთის მიწა-წყალს არ სცილდებოდა. თუმცა ზოგ შემთხვევაში მქსოველი დაკვეთითაც ქსოვდა ტოლს და გარკვეულ საფასურსაც ღებულობდა. მაინც ძირითადად თითოეულ ოჯახში მოიპოვებოდა საქსოვი ყდა, რომელზეც ქსოვდა დედაკაცი იმ რაოდენობისა და იმ დანიშნულების ქსოვილს, რაც აუცილებელი იყო ოჯახის წევრთა შესამოსად. ამდენადვე, ბარისაგან განსხვავებით ხევსურეთში შალის წარმოებაც მეტად შეზღუდული იყო და მას აღებ-მიცემისათვის სარბიელი არ მოეპოვებოდა. სხვათა შორის, ამის მიზეზად ის ცნობილი ფაქტიც უნდა იყოს დასახელებული, რომ ხევსურეთის მეურნეობის გამძღოლ დარგს წარსულში მსხვილფეხა მესაქონლეობა შეადგენდა, მეცხვარეობას, განსაკუთრებით ბუდე ხევსურეთში, კი ნაკლებად ეტანებოდნენ. ხევსურთა თქმით, ისინი ცხვრის მოშენებას იმდენად მისდევდენ, რამდენადაც ცხვარი „ჯვართ ზღვნად და მატყლ-ტალვარისად“ ესაჭიროებოდათ. ამდენადვე ტოლის დამზადებისათვის საჭირო ნედლეული ხევსურეთში მეტად შეზღუდული იყო და მატყლი მათ ძირითადად მეზობელი კუთხეებიდან—ხევიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან შეჰქონდათ. ხევსურ ქალს ოჯახის სხვა სამუშაოსთან ერთად ტოლის ქსოვაც ძმიმე ტვირთად აწვა. იგი დღეში 3—4 **ქიჩამდე** ქსოვილსა ქსოვდა (ი0—80 სმ). ამ მხრივ საეჭვოა ს. მაკალათიას ცნობა, რომლის მიხედვითაც ხევსურეთში კარგი „მქსოველი ქალი“ დღეში 5—7 აღლ ტოლს ამზადებდა [1].

ამავე ავტორის ცნობით თუშეთში საქსოვ აკაზმაზე, რომელიც ხევსურული საქსოვი დაზგის ტიპისაა და თავისი ტექნიკური შესაძლებლობითაც თითქმის იგივე იყო, „დღეში კარგი მქსოველი ქალი ერთ მეტრ ტოლს მოქსოვს“ [2]. საეჭვოა, რომ თუშ და ხევსურ „კარგ მქსოველ“ ქალთა შორის ასეთი დიდი განსხვავება ყოფილიყო ხელით ქსოვის დროს.

ხევსურეთისაგან განსხვავებით ფშაეში ფარდაგებსაც ქსოვდნენ. ამ მიზნისათვისაც იმავე ტიპის საქსოვ ყდას იყენებდნენ. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1939 წელს ჩამოტანილია სოფ. არტანში შეძენილი ფარდაგის საქსოვი ყდა („ყდანი“) — კოლ. №$\frac{58-39}{11}$ (სურ. 4). ეთნოგრაფიის განყოფილების საინვენტარო დავთარში მის შესახებ შემდეგი სახის ჩანაწერია შეტანილი—„ყდანი—ფარდაგის საქსოვი იარაღი, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ა) ლვილი ორი, ზედა და ქვედა, ბ) წკეპლა ორი ცალი, გ) გარა, დ) ქიჩი ორი ცალი, ე) გარას საყვანელი [3], ვ) ცხემლა, ზ) ბეჭი, ი) თხორი, თ) საშეკარი.

[1] ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბილისი, 1935, გვ. 63.

[2] ს. მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1933, გვ. 70.

[3] გარას საყვანელი ხევსურული ფინის შესატყვისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყდანზე სანიმუშოდ დაწყებულია ფარდაგის ქსოვა სამ ფერად".

ამავე ტიპის საქსოვი დახგა გუდამაყრიდან დაცულია ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში. იგი ჩამოტანილია გუდამაყრის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1945 წელს. ამ კოლექციის ($\frac{№\ 28-45}{44\ ა.\ ბ.}$) აღწერილობა შემდეგნაირადაა მოცემული საინვენტარო დავთარში: „საქსოვი ყდა ხის, შედგება ორი სვეტისა, ერთი გამირისა და ორი სქელი სოლისაგან. სიგრძე სვეტისა 184 სმ".

განყოფილების ფონდებშივეა დაცული საქსოვი ყდის ბეჭი[1] სოფ. თორელაანიდან (გუდამაყარი), ჩამოტანილი 1946 წელს, ეთნოგრაფ ს. ბედუკაძის მიერ.

საქსოვი ყდის ტიპისაა თუშური „აკაზმებიც" კოლ. $№\frac{27a-32}{153}$, ჩამოტანილი თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1932 წელს ზემო ალვანიდან. ამავე ექსპედიციის მიერ ჩამოტანილია ზემო ალვანიდან „აკაზმების თითი" (კოლ. $\frac{№\ 27a-32}{65}$), რომელიც ხევსურული ყდის ქიჩს შეესატყვისება და „ჭოჭი"[2] (კოლ. $№\frac{27a-32}{64}$).

როგორც აღნიშნული გვქონდა, თუშური **აკაზმები** თავისი აღნაგობით და ტექნიკური შესაძლებლობით ფშავ-ხევსურული საქსოვი ყდის სახესხვაობაა.

ეთნ. მ. კედელაძის ცნობით მთიულეთში ორი ტიპის საქსოვი დახგა იყო ცნობილი: „ყდანი" (სურ. 5) და ე. წ. „ოსური სკამი".

ყდაზე იქსოვებოდა „ყდის შალი", რომელიც უფრო წმიდა და უკეთესი ხარისხისაც გამოდიოდა, ვიდრე „ოსურ სკამზე" ნაქსოვი შალი. ამავე ყდაზე მზადდებოდა **ჯეჯიმი, ფიჩხი, ფარდაგი, ხურჯინი**, ტომარა, ცხენის მოსართავი და სხვ. „ოსურ სკამზე" კი მარტოოდენ „ოსური შალი" იქსოვებოდა.

საქსოვი ყდა დამოწმებულია აგრეთვე დმანისში. მისი ფოტო-სურათი (კოლ. $№\frac{18-27}{101}$) დაცულია მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში (სურ. 6).

საქსოვი ყდა აჭარაშიც იყო ცნობილი. ასეთ დახგაზე იქ **თორს** (სარტყელს) ამზადებდნენ.

საქსოვი ყდა გამოყენებული იყო აგრეთვე საცერის ძირის მოსაქსოვად. ასე მაგალითად, ზემო რაჭაში, სოფ. გლოლაში საცერის მოსაქსოვად გამოყენებული ყოფილა ვერტიკალური დახგა, როგორც ამას ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილის მიერ მოწოდებული მასალა მოწმობს. საცერის საქსოვი „ყდანი" ორი თანაბარი სვეტისაგან შედგება, რომელთა თავსა და ბოლოზე განივად გადებულია თითო გამირი. დახგაზე დაგებულია ძუის ქსელი, იგი გაყოფილია

---

[1] კოლ. $№\frac{49-46}{6}$.

[2] ჭოჭი ხევსურული საქსოვი დახგის ფხინს შეესატყვისება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 5. შალის საქსოვი ყდა (მთიულეთი)



სურ. 6. საქსოვი ყდა (დმანისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორად საშეკარზე გაბმული შეს მეშვეობით, საზედაოს გასატარებლად, საშვერის ზემოთ ქსელში გამყოფი გარაა გადებული, რომლის მოძრაობითაც ქსელი პირს იხსნის და მქსოველი ცხენლაზე დამაგრებულ საზედაოს ქსელში ატა-

სურ. 7. საცერის საქსოვი ყდა (რაჭა)

რებს. საცერის ძირს, როგორც ცნობილია, მეჩიდრო ნაქსოვი არ ესაჭიროება და ამიტომ ასეთ ყდას არც ჩასაბეკი ხელსაწყო „ბეკი" მოეპოვება (სურ. 7).

ვერტიკალური ტიპის საქსოვი დაზგების რიგს განეკუთვნება ისეთი ყველაზეც, რომლებიც ქსოვილის ერთ-ერთი უძველესი სახის—ჭილოფის დასამზადებლად იყო გამოყენებული. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საქართველოში ჭილოფი იქსოვებოდა სხვადასხვაგვარი მცენარეულისაგან — ბალახის, ჭილის, ლელის, ჩალის, სიმინდის ფოჩის, ისლისა და სხვა ნედლეულისაგან. სიმინდის დაგრეხილი ფოჩისაგან დამზადებული ჭილოფის ორი ეგზემპლარი (კოლ. №№ $\frac{46-24}{30}$ და $\frac{46-24}{5}$) ჩამოტანილია ახალციხისა და ადიგენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების სოფლებიდან—სხვილისიდან და უდელან 1924 წ. პროფ. გ. ჩიტაიას მიერ.

ხობის რაიონში სოფ. შუა ქვალოსში დამოწმებულია ჭილოფის საქსოვი ვერტიკალური დაზგა, რომელსაც მეგრულად „რობაგი“ ეწოდება. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჭილოფის ქსელის გასაბმელად აღნიშნულ სოფელში სელის ნართს, ანუ „თხვირს“ იყენებდნენ, მისაქსელად კი **„ჭოლს“** [1] (ჭილს). ჭილს ქალები გლეჯდნენ ხელებით მაისის თვეში, როცა მცენარე ნამიანი იყო. სხვა დროს დაკრეფილი ჭილი საქსოვად არ ვარგოდა, შავდებოდაო—აღნიშნავდნენ მთხრობელები. ჭილს კონებად კრავდნენ, შინ მიჰქონდათ და ჩრდილში აწყობდნენ, სადაც ერთი კვირის განმავლობაში შრებოდა. ამის შემდეგ ჭილს მზეზე გაშლიდნენ, მზის სხივების მოქმედების შედეგად ჭილი ნაწ მოყვითალო ფერს ღებულობდა. ეს სოფელი ჭილოფის ქსოვით იყო ცნობილი და აქედან იგი მახლობელ ბაზრებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ გასაყიდად.

ეთნოგრაფ ს. ბედუკაძის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით ქართლში (სოფ. დიდი ბაზალეთი) ჭილოფებს ჩალისაგან ამზადებდნენ. **წვრილი ლელის ჩალას** საქსოვად იყენებდნენ, **მსხვილ ანუ დოყის ჩალას** კი საზედოდ [2]. ჭილოფებს საქსოვ ყდებზე ქსოვდნენ. ისინი სხვადასხვა ზომისა იყო 8,7, 6,2 და 2 $^1/_2$ არშინის სიგრძისაც. თითოეულ ზომას შესაფერი დაზგა შეესატყვისებოდა [3].

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცულია ქართლის ექსპედიციის მიერ 1947 წ. სოფ. მლაშედან ჩამოტანილი ჭილოფის საქსოვი ყდა (კოლ. № $\frac{19-47}{109}$). საქსოვი ყდა ჩარჩოს მოყვანილობისაა (სიმაღლე 194 სმ, განი 177 სმ). შედგება ორი ყდისა, წყვილი ლვიისა (ღერძისა) და სოლისაგან. მას საქსოვი აპარატი არა აქვს.

საქსოვ ყდაზე სანახევროდაა მოწნული ჭილოფი, რომლის ქსელიც ჩალის ორტოლად დაგრეხილი 85 წვერისაგან შედგება. ჭილოფის საზედაო ჩალა დაუგრეხავია და წვნის დროს ორწვერადაა გადაჭდობილი ქსელის თითოეულ გრეხილზე, ე. ი. ერთი ქვემოდან გადაუვლის მას, მეორე კი ზემოდან და ა. შ. აღნიშნული ყდა ორი სიგრძის ჭილოფის მოქსოვის შესაძლებლობას იძლევა—2 და 3 მეტრისას, სიგანე ნებისმიერად 190 სანტიმეტრამდე შეიძლება ცვალებადობდეს.

ქართლში ჭილოფის ქსელის დამზადების შემდეგი წესია დამოწმებული. ქსოვის წინ გამხმარი ჩალის კონებს ნელთბილ ან ცხელ წყალში აღობდნენ რამდენიმე წუთის განმავლობაში. დამბალ ჩალას ფეხზე დაიხვევდნენ,

---

[1] დოდ. ა. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში ჭოლის შესახებ აღნიშნულია: ჭილი **СИТНИК** რუ., ლსს. მათრახა, საჭილოფე; გურ., აჯ. ჭილოფა; იმ., ლჩხ. ჭილოფი; ჭან. სახი; მგრ. რჭოლი, ჭოლი, ჭოი (ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1949, სატყვასთან—ჭილი).

[2] ს. ბედუკაძე. ქართლის 1947 წლის ექსპედიციის დღიური. გვ. 185—189.

[3] იქვე, გვ. 190—196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით ორტოლად გრეხდნენ და გაშრობის შემდეგ გორგლად დაახვევდნენ. რვაარშინიან ჭილოფის ქსელს ორასი წვერი უნდა ჰქონოდა, ისე რომ წვერსა და წვერს შუა თითს თავისუფლად გაეკვლო; უფრო მეტიდრო ქსელი ქსოვის დროს თითებსა და ფრჩხილებს ძლიერ აზიანებდა. დაქსელვის დროს გორგალის საწყისი წვერი ძირა ლვიღზე მაგრდებოდა, ყდის ზედა ლვიღს გადაუვლიდა, ძირს დაეშვებოდა და ძირა ლვიღს ქვემოდან ამოუვლიდა და ა. შ.

საზედაო ჩალას დაგრეხა არ უნდოდა, იგი ქსოვის დროს „იწრიხებოდა". ქსოვის დროს ქსელს ოთხჯერ დაამრუნებდნენ. ქსოვის დამთავრების შემდეგ ყდას დაამწვენდნენ, ქსელს დაამრუნებდნენ ისე, რომ ჭილოფის მოუქსოველი ნაწილი, ორი ციდის ზომისა, შუაში მოქცეულიყო. მას შუაზე გაჭრიდნენ—ორ წვერს ერთად, ერთი მხრიდან ნაპირს ერთი დედაკაცი უკეთებდა ნაწიბურს, მეორე მხრიდან კი მეორე დედაკაცი. ჭილოფს ქართლში ირიბადაც ქსოვდნენ, ასეთ ნაქსოვს „გამრეკელა ჭილოფი" ეწოდებოდა[1].

ქართლის მსგავსად სამეგრელოშიც ხელით ქსოვდნენ ჭილოფს. ამისათვის იქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებდნენ „რობაგის" სახელწოდებით ცნობილ დაზგას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ვერტიკალური ჩარჩო და ქსლის გამყოფი მოწყობილობა „ორცხონდის" (სავარცხლის) სახით (სურ. 8). მიუხედავად თავისი სიმარტივისა, ეს საქსოვი მოწყობილობა უფრო დაწინაურებული ჩანს, ვიდრე ბერძნული ვერტიკალური საქსოვი დაზგის სახელწოდებით ცნობილი დაზგა, რომელზედაც ქსელის ძაფები საწყობით იყო დაქიმული (სურ. 9). „რობაგზე" ქსელის ძაფების დაქიმვა დაზგის ქვემო ხიდზე მოთავსებული კაუჭების მეშვეობით ხდებოდა და ქსელიც ზედვე უწყვეტად იქსელებოდა. საინტერესოა ისიც, რომ „რობაგზე" ქსელს სელის ნართისაგან ქიმავდნენ, რაც, საფიქრებელია, კოლხური სელის წარმოების უძველეს ტრადიციას უკავშირდება.

* * *

დგიმ-სავარცხლიანი ანუ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ერთ-ერთი ნაირსახეობაა სვანური „ლაჯშარ"[2] (კოლ. № $\frac{50-10}{71}$, ძველი ნომერი 825). იგი სვანეთიდანაა ჩამოტანილი 1910 წლის აგვისტოში ტარასი ნიეარაძის მიერ. გამოფენილი იყო სვანეთის ეთნოგრაფიის დარბაზში (ზომა: დედნის სიგრძე 98 სმ, განი 80 სმ, სიმაღლე 57 სმ) (სურ. 10, 11).

საქსოვი დაზგის დედანი შედგება ორბოძალა ხისაგან, რომლის კაპები განივადაა ჩასმული გამირში, ამავე გამირზეა დამაგრდარი ორი, თითოეული 55 სმ სიმაღლის ბოძი—„ბარჯგ", რომელთა თავები ნახევრად გულამოღებულია ლვიღის „ულუს" (უღლის) გასადებად. ლაჯშარ-ის უკანა მხარეს, ორბო-

[1] ს. ბ ე დ ო ვ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 196—200.

[2] სვანური საქსოვი დაზგისა და ქსოვის კომპლექსთან დაკავშირებული აქ მოტანილი მასალა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა მ. ჩართოლანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალის ყუაზე ჩამჯდარია იმავე სიმაღლის ბოძი, ოდნავ თავჩამოთლილი. დაზგაზე ჩამოკიდებულია სავარცხელი და ორი დგიმი—„ლაღაჯუმარ“. ისინი ერთმანეთთან „ჭუნთარ“-ის („ჩიტების“) საშუალებითაა დაკავშირებული.



სურ. 8. ქილოფის საქსოვი ყდა—„რობაგი“ (ზობის რაიონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქსოვ დაზგაზე გამართულია „ლეჯში“ — ქსელი, რომელიც წინასწარ მზადდებოდა აცინდული ხვიცელის სახით. ქსლის აცინდული ნაწილი თავისუფლადაა დაშვებული დაზგის დედანზე, შუა წელი კი დამაგრებულია უკანა ბოძზე, საიდანაც ქსლის ძაფები გატარებულია დგიმებში. ქსლის კენტი ძაფები უკანა დგიმშია გაყრილი, ლუწი ძაფები კი წინა დგიმში, ყველა ძაფი კი



სურ. 9. ბერძნული ვერტიკალური საქსოვი დაზგა (VI საუკ. ძვ. წ.)

ერთად სავარცელშია გატარებული და „ულუა“-ზე დამაგრებულ წკეპლაზეა გადაკედობილი.

დგიმი კანაფითაა ამოსხმული. იგი ქსელის გამყოფი მოწყობილობაა. აღნიშნულ დაზგაზე ბექის ფუნქციას სავარცხელი ასრულებს. საქსოვი დაზგა ზაფხულობით **დერეფანში** ჰქონდათ გამართული, ზამთარში კი **მაჩუბში**. ქსოვილების დამზადება ქალის მოვალეობას შეადგენდა სვანის ოჯახში. ასეთ დაზგებზე სვანეთში ძველად შალისა და კანაფის ქსოვილებს ამზადებდნენ. ამ უკანასკნელს უმთავრესად საცცლებისა და ტომრების მასალად იყენებდნენ.

ძველად სვანეთში გავრცელებული იყო უდუმო ცხვარი, მეტწილად შავი და რუხი ფერისა. ცხვრის გაკრეჭა ხდებოდა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. გასაკრეჭ ცხვარს წყალზე გაატარებდნენ გაბანვის მიზნით. როცა ცხვარს მატყლი შეაშრებოდა, მას **დუქარდით** კრეჭავდნენ. დაკრეჭილ მატყლს ფერისა და თვისების მიხედვით ახარისხებდნენ, ცალკე გამოყოფდნენ ზურგის, მუცლისა და გვერდების მატყლს. საუკეთესოდ ითვლებოდა ზურგის მატყლი, მდარე ხარისხოვნად კი მუცლისა და ბაყვების. დახარისხებულ მატყლს ცივ წყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში რეცხავდნენ და **დერეფანში** აშრობდნენ. გამშრალ მატყლს ხელით წეწავ-დნენ, რასაც ეწოდებოდა „**ლიბძღვნე**". მატყლის დამუშავების შემდეგი პროცესი იყო მისი გაპენტვა „**ლიბტყვნე**". გაპენტვას „ლაბტყნაარ"-ის (საპენტავი შვილ-



სურ. 10. „ლაჯშარ"—ჰორიზონტ. საკსოკი დახგა (სვანეთი)

დის) (კოლ. № $\frac{50-10}{117}$) მეშვეობით აწარმოებდნენ. გაპენტვის შემდეგ ხდე-ბოდა მატყლის გაჩეჩვა „**ლაფთირ**"-ზე (საჩეჩელზე) (კოლ. № $\frac{50-10)}{50}$). სვა-ნური საჩეჩლის თავისებურება მის მაღლა აზიდულ მხრებში მდგომარეობს, მას რკინის კბილები ორ წყებად უზის და სხვა ქართულ საჩეჩლებთან შედა-რებით ვიწროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩეჩილ მატყლს სამ სახედ ახარისხებდნენ: პირველი ანაჩეჩ მატყლს წვერისა იყო და მას „კაცხ“-ი ეწოდებოდა, მეორეს, ნაზურგალს, ნაზსა და რბილს—„ყუა“, ხოლო ნარჩენს კი „კვირტი“.

დაჩეჩილი მატყლიდან ფთილებს ამზადებდნენ და ძაფს ართავდნენ. ძაფის დართვა „ლილთე“ ხდებოდა „ჩერი“-თ (თითისტარი) და ზედ წამოცმული „ჩერშდა“-თი (კვირისტავი). ძაფის სართავი ტარი საძახავ ტართან შედარებით ტანმორჩილი იყო. ორი გავსებული თითისტარიდან ძაფი ორტოლად ძაფსახვევზე გადაჰქონდათ და შუალდ ანუ „კვიკე“-ად ახვევდნენ. ორტოლ ძაფს კი საძახავ ტარზე „ლანჩრიპლ“-ზე (კოლ. №№ $\frac{10-26}{19}$ და



სურ. 11. „ლაჯშარ“—ჰორიზონტ. საქსოვი დახვა (სვანეთი)

$\frac{50-10}{103}$) ძახავდნენ. ორწვერად დაძახულ ძაფს მეტწილად ქსლის გასამზადებლად იყენებდნენ. ქსლისათვის განკუთვნილ ძაფს „ლათხვი“ ეწოდებოდა, საზედაოსათვის განკუთვნილს კი „ლაჯიშ“ (სურ. 12).

ქსელის დასამზადებლად მიწაში 4 ცალ ჩხირს ჩაასობდნენ, ორ-ორს ერთად. წყვილები ერთმანეთისაგან იმ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი, რა სიგრძის ქსელის დაქსელვაც სურდათ. აიღებდნენ დაძახული ძაფით სავსე ორ „ლინჩრე“-ს და თითოეულისაგან ძაფის წვერს გაატარებდნენ დამქსელ ხელსაწყო „ლაშთხარ“-ის (კოლ. № $\frac{15-32}{50}$) ორ ნაჩვრეტში და დაქსელვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდგებოდნენ. დაქსელვის შემდეგ ხვიცელს აცინდავდნენ და ქსელზე გადაატარებ-დნენ. ხვიცელს სასურველ ზომაზე ხიხაზიდი (პატარა რიკი) ჭქონდა გაყრილი, რომ წნული თავისთავად არ დაშლილიყო.

საზედაოდ როგორც ცალწვერად, ისე ორწვერად დაძახულ ძაფს ხმარობდნენ. საზედაოსათვის განკუთვნილ დაუძახავ ძაფს თითისტრიდან ძაფსახვევეზე გადაიტანდნენ. ამ შულოების მიხედვით მქსოველი ქალი გამოიანგარიშებდა საზედაოს რაოდენობასაც და მოსაქსოვი ქსოვილის ზომასაც. შულოებიდან ძაფი მასრებზე



სურ. 12. სვანური საჩერლები, თითისტრები და ქსოვილის ნიმუშები (საქ. მუზ. სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა)

—„მასულ“ გადაახვევდნენ. მასრებად იყენებდნენ კანაფის ფუღუროვან ღეროს „ქანბ ღერ“, რომელსაც „ლამსულარ“-ზე ჩამოაცვამდნენ. „ლამსულარ“-ი (ალ. № $\frac{50-10}{104}$) გრძელი თითისტარის მოყვანილობისაა, ზედ წამოცმულია 20 სმ დიამეტრის კვირისტავი. ტარის მუხლზე ტრიალისას კვირისტავი მას დიდ სისწრაფეს მატებდა.

როცა მქსოველი დედაკაცი—„მეჯში“—საქსოვს გაიდგამდა და მასრებზე დახვეულ საზეიდაოს მოიმზადებდა, მაქოში მასრას გაუყრიდა, „ლაჯშირ“-ის წინ მოთავსებულ სამფეხა სკამზე ჯდებოდა, ფეხებს დგიმებზე გამობმული თოკის საფეხურებში გაუყრიდა და ქსოვას შეუდგებოდა. ქსოვის დროს მქსოველი ცალი ფეხით ერთ დგიმს დაბლა დასწევდა. ამის შედეგად ქსელს ერთი წყება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაფებისა ქვევით დაიწევდა, მეორე წყება ძაფებს კი მეორე დგომი იქერდა, ქსელი პირს გაიხსნიდა. ცალი ხელით სავარცხელს დგიმისაკენ გასწევდა და მეორე ხელით მაქოს მაოჯვნიდან მარცხნივ ქსლის გახსნილ პირში გაატარებდა. მაქოს გატარების შემდეგ მქსოველი სავარცხელს ღონივრად თავისაკენ გამოსწევდა და საზედაო ძაფს ორჯერ მობეჭავდა. მობეჭვის შემდეგ სა-

სურ. 13. ჩერქეზული ჰორიზონტალური საქსოვი დახვა (ერმაკოვით)

ვარცხელს უკან გასწევდა, მეორე ფეხით მეორე დგომს ქვემოთ ჩამოსწევდა და ახლა უკვე ქსლის ძაფების მეორე წყება ძირს დაიწევდა, პირველ წყებას პიოველი დგომი იქერდა და ქსელი კვლავ პირს გაიხსნიდა. მქსოველი მაქოს მარცხნიდან მარჯვნივ გამოატარებდა და სავარცხლით მობეჭავდა. ქსოვის პროცესი ამ მოძრაობათა თანმიმდევრულ განმეორებაში მდგომარეობდა[1].

[1] „ლპჯშრრ"-ის ტიპის საქსოვი დახვა დამოწმებულია აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ჭდინარე ბაქსანის ხეობაში. თუმცა აღნიშნული დახვის დედანი განსხვავებულია „ლპჯშრრ"-ის დედნისაგან. მათი ქსოვის აპარატის კონსტრუქცია სავსებით ეთხვევა ერთმანეთს. დედნების განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „ლპჯშრრ"-ის დედანი ორკაპა ბისაგანაა დამზადებული, ხოლო ზემოაღნიშნული საქსოვი დახვისა კი ერთი მოლიანი ფიცრისაგან. ამავე ტიპის საქსოვი დახვა ანალოგიურივე დედნით დამოწმებულია აგრეთვე ჩერქეზებშიც (შდრ. სურ. 13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ტიპის საქსოვი დაზგა „ქსელი"-სა და „საფეიქრო"-ს სახელწოდებით დამოწმებულია ზემო რაჭაშიც. ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილის ჩანაწერის მიხედვით სოფ. გლოლაში ზალის საქსოვად იხმარებოდა დაზგა, რომლის დედანი—„ყდა" ორკაპა ხისაგან შედგებოდა. ყდაში ჩამჯდარ წინა ორ ბოძს **ყდის ფეხები**, ხოლო უკანა ბოძს **დედაბერა** ეწოდება. ყდის ფეხებზე დამაგრებული იყო „რვილი" (ლეკილი), ხოლო „დედაბერაზე" კი საქსელი ანუ ქსელი. ეს უკანასკნელი დგიმ-საავარცხელში იყო გატარებული. დგიმ-საავარცხელი „თოკეებით" იყო ჩამოკიდებული. დგიმებს გამობმული ჰქონდა საფეხურა, რომელთა დანიშნულება დგიმების აწევ-დაწევაში მდგომარეობდა. ქსელის გამბმას **ქსელის გაწოფვას** ანუ **ქსელის გაკაზმვას** უწოდებდნენ. ასეთ დაზგაზე ქსოვდნენ **თხისურ** ზალს, მატყლის ზალს და ბამბის ქსოვილს [1].

ზემო იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, 1937 წელს, სოფ. **ხანში** დამოწმებულ იქნა „საქსელ"-ს სახელწოდებით ცნობილი საქსოვი დაზგა. ამ დაზგის დედანი ორი ფიცრისაგან შედგებოდა. დედანზე სამი წყვილი ბოძი იყო ჩასმული. წინა წყვილ ბოძზე **ლვილი** იყო გადებული, **შუა წელზე საწელურა**, ხოლო უკანა წყვილ ბოძზე კი **მახლახი** იყო მოთავსებული. დაზგა ჩვეულებრივად დაწოლილ მდგომარეობაში ჰქონდათ შენახული, მას მხოლოდ ქსოვის დროს გამართავდნენ ხოლმე. გამართულ დაზგას „დგებული საქსელი" ეწოდებოდა. საქსელს ზემოთ, ჯოხზე ჩამოკიდებული იყო ორი „ჩიტი" (მოძრავი ჭაღი), რომლებზეც დამაგრებული იყო დგიმები. საავარცხელიც ამავე ჯოხზე იყო ჩამოკიდებული. **საავარცხელს** ლერწმის ჩხირებისაგან აშზადებდნენ, ხედ კი **ლაფათინი** იყო ჩამოცმული **დასაკავებელი რიკების** მეშვეობით. ქსოვა, ე. ი. ქსლის ძაფებისა და საზედაო ძაფის გადაჯვარედინება, **ჩასრანი მაქოს** მეშვეობით ხდებოდა. ქსოვდნენ მატყლისა და ბამბის ქსოვილებს ნაირ-ნაირს—სადას, კუბოკრულს, ჭრელს. ქსოვას იმერეთში **აბეჟვა** ეწოდება, ხოლო ხვიცელის აცინდას კი **ათოკვა**.

დგიმ-საავარცხლიანი ტიპის საქსოვი დაზგა „საოშუალო"-ს სახელწოდებით (სამეგრელო, სოფ. კაწია) დაცულია ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში (კოლ. № $\frac{51-39}{93}$). საინვენტარო დავთარში აღნიშნული დაზგის აღწერილობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „საქსოვი იარაღი — „საოშუალო" წარმოადგენს ოთხ ბოძზე, რომელთაგან წინა ორი დაბალია, ხოლო უკანა ორი მაღალი, ჯაწყობილ საკსლეს. ბოძებში გაყრილია პარალელურად წყვილი გარეები (დირე); საქსლის უკანა მხარის დირეს დარჭობილი **აქვს** 19 ხის კბილი ძაფის განლაგებისათვის. უკანა ბოძებს თავი შეკრული აქვს ოთხკუთხედად სათაოის ჯოხით. წინისაკენ გამოშვერილია ორი ოდნავ მოხრილი მკვლავი, რომელზედაც-გადებულია ქსლის ჩამოსაკიდებელი ულე ორი ტაბიკით. სიმაღლე უკანა ბოძების 185 სმ, წინა ბოძის სიმაღლე 70 სმ, სიგანე—120 სმ" (სურ. 14).

[1] ცნობა მომაწოდა ეთნოგრაფმა ნ. რეხვიაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებაშივეა დაცული „ხაოშუალი“-ს დგომ-სავარცხელი (კოლ. № 51—39 / 94—95). საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით „დგომი წარმოადგენს ორ პარალელურ ჯოხზე გადაქსოვილს; ქსოვილი კანაფის ძაფისაა. სავარცხელი კი წარმოადგენს ჩალამ-კალმის წვრილ ჩხირებს, რომლებიც ჩამწკრივებული არიან ხის ყდაში; ყდა შეკრულია ხისავე მანქვალებით“.

„ხაოშუალი“-ზე ქსოვდნენ შალის, ბამბის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილებს. სელის ქსოვილების დამზადებას სამეგრელოში ძველი ტრადიცია აქვს და კოლხური სელის საკითხსაც ბუნებრივად უკავშირდება. ის ფაქტი, რომ უახლოეს წარსულამდე სამეგრელოში სელის ქსოვილებს დგომ-სავარცხლიან საქსოვ დახვეზე ამზადებდნენ, ძველი კოლხური საქსოვი დახვის ტიპის გათვალისწინებისათვისაც მნიშვნელოვანია.



სურ. 14. „ოშუალი“—ჰორიზონტალური საქსოვი დახვა (სამეგრელო)

დგომ-სავარცხლიანი ტიპის საქსოვი დახვის საყურადღებო ნაირსახეობაა დამოწმებული ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. შავშეთ-კლარჯეთში ქართველი მოსახლეობა საქსოვ დახვას „დეზგა“-სა და „საფოქროს“ სახელწოდებით იცნობდა[1]. „В импхреуле женщины ткут шерстяную материю и одевают мужчин. Импхреулец мне говорил: ქსოვა

[1] „Смотрел ткацкий станок сапіокро (საფოქრო); по тур. джулпатана (ჯულფა-ხანა)“. Н. Я. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. СПБ., 1911, ვ3. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ სახში არი წინდის, შალის ქსოვა თელმა იციან (sic), ამა ყველ სახში არ არის"[1].

ამავე ნაშრომში მოთავსებულია იმერხეული სახლის ზემოსართულის „დეფანის" ფოტოსურათი (№ 19). აღნიშნულ სურათზე სხვა საოჯახო-სამეურნეო იარაღებთან ერთად გამოსახულია—პირველი ნომრით „ჭახრაკი"—ძაფის დასაძახავი ხელსაწყო, მეორე ნომრით—„**საჩეჩელი**", მეოთხე ნომრით—„ხელწალი" კვერისტავით, მეხუთე ნომრით—„შვილდი" (ბამბის საპენტი), მეთერთმეტე ნომრით კი საქსოვი დაზგა—„დეზგა"[2].

იმერხეული საქსოვი დაზგა ქსნის ხეობაში სოფელ დადიანეთში „საფეიქრო"-ს სახელწოდებით ცნობილი დაზგის სახესხვაობა ჩანს. ეთნოგრაფმა მ. გეგეშიძემ ჩვენ გადმოგვცა ამ „საფეიქრო"-ს ჩანახატი, რომელზეც აღნიშნულია დაზგისა და მისი ნაწილების სახელწოდებანი. საფეიქროს დედანი ჩარჩოს მოყვანილობისაა, ზედ სამწყვადად წყვილ-წყვილი ბოძებია აღმართული. ლვიელს აქ **მახლახი** ცვლის. ჩანახატი ქსელის გაბმის სქემატურ სახესაც იძლევა. ხვიცელი ხისაზიდითერთ კედელზეა მიმაგრებული. აქედან ქსელი დგიმ-სავარცხლის პირისპირ ჭერზე ჩამოკიდებულ **ჯიდზე** გადმოდის და დედნის უკანა ჯიდზე ეშვება, მას ქვემოდან ამოუყვლის და **საწელურზე** გავლით დგიმ-სავარცხლში გადის ლვიელისაკენ. დგიმებს გამობმული აქვს საფეხურები, რომელშიც მქსოველი ქსოვის დროს ფეხებს გაუყრიდა[3].

ამავე ტიპისაა მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული საქსოვი დაზგის მოდელი (კოლ. № 754), მოდელს დედანი მოლიანი ხისაა. დედნის წინა ნაწილზე აღმართულია ორი ბოძ«, რომლებშიც გაყრილია მოძრავი ლვიელი. ლვიელს თავი კუთხური მოყვანილობისაა და გვერდები ორპირად აქვს გახვრეტილი. ამ ნაჩვრეტებში გაყრილია პატარა ჯოხი, რომლის მეშვეობითაც მქსოველი ლვიელს ატრიალებდა ქსოვილის დასახვევად. დედნის შუაწელზე აღმართულია ჩარჩოსებურად ორი მაღალი თავშეკრული ბოძი. ამ საწელურზე ჩამოკიდებულია დგიმ-სავარცელი. დედნის უკანა ნაწილზე აღმართულ ორ ბოძზე კი **მახლახია** გადებული, საქსოვზე ქსელიც არის გაბმული.

მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშივე დაცულია ნაკლული მოდელი საქსოვი მანქანისა ყოფ. ორტაანის ოლქიდან (ფოცხოვის უბანი), რომელიც საინვენტარო დაკთარში „ჯულუ"-ს სახელწოდებითაა აღნიშნული (კოლ. 165—89), დავთრის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ასეთი საქსოვი იხმარებოდა ტილოსა და შალის საქსოვად (სურ. 15).

დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი დაზგა დამოწმებულია აგრეთვე აჭარაში „სამექსლოს" სახელწოდებით. აღნიშნული საქსოვი დაზგის ერთი ნიმუში დაცულია ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში, ჩამოტანილია აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1933 წ. სოფ. ღორჯომიდან (კოლ. № 27—103 33). აჭარაშიე შემონახული იყო ქსლის საქსელავი მოწყობილობა, რო-

[1] Н. Я. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. СПБ., 1911, გვ. 41, შენიშვნა 1.
[2] იქვე, გვ. 71.
[3] მასალა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა მ. გეგეშიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელიც ორი, ჯვარედინად დამაგრებული ჩარჩოსაგან შედგება. ეს საქსოვი დაზგა ბოლო წყობილობა ქსოვის ტექნიკის შემდგომი განვითარების მაჩვენებელია და, საფექრებელია, იგი ფართოდ იყო გავრცელებული ხალხურ ფეიქრობაში. იმავე ტიპის



სურ. 15. „ჯრლუ"—ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის მოდელი
(ყოფ. არტაანის ოლქი, ფოცხვის უბანი)

საქსოვი დაზგა ცნობილი იყო გურიაშიც, სადაც შალეულის, განსაკუთრებით კი აბრეშუმის, ქსოვა ფართოდ იყო გავრცელებული შინამრეწველური წესით XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში. ამავე პერიოდში საქართველოში ჩნდება ქართულ ჰორიზონტალურ დაზგებთან შედარებით ტექნიკურად უფრო დაწინაურებული რუსული საქსოვი დაზგები, რომლებიც ფეხს იკიდებენ უპირატესად ქალაქურ შინამრეწველობაში.

* * *

წინამდებარე ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ძირითადად ორი ტიპის საქსოვი დაზგა იყო გავრცელებული—ბეჭ-საშეგრიანი და დგომ-საავარცხლიანი. პირველი ტიპის ნიმუშად აღებული იყო ფშავ-ხევსურული საქსოვი ყდა, ხოლო მეორე ტიპის ნიმუშად კი სვანური „ღაჯშირ"-ი. ამ საქსოვი დაზგებისა და მათი სახესხვაობათა შედარებიდან ირკვევა, რომ დგომ-საავარცხლიანი საქსოვი დაზგები თავისი აღნაგობითა და საქსოვი აპარატით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბეჭ-საშეგრიანი დაზგებისაგან. ამ დაზგების თანაარსებობა იმით იყო გამოწვეული, რომ ქსოვილების დამზადებასთან ერთად ხალიჩა-ფარდაგების წარმოებასაც შინამრეწველობასა და საოჯახო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ხოლო ამ უკანასკნელთა დასამზადებლად კი ბეჭ-საშეგრიანი დაზგა იყო საჭირო.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოში საქსოვი დაზგების შემდეგი სახელწოდებანია დამოწმებული — ვერტიკალური დაზგებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის—„ყდა“, „ყდანი“, „აკაზმები“, ჰორიზონტალურისათვის—„საქსელ“, „საქსელო“, „საფეიქრო“, „ოშუალე“, „ლაგაშარ“. პირველი ტიპის დაზგის საქსოვ აპარატურას შეადგენდა „საშეავრი“ და „ბეკი“, ხოლო მეორე ტიპისას კი დგომი და სავარცხელი.

საქსოვი დაზგების ასეთ კლასიფიკაციას მხარს უჭერს ქსოვის კომპლექსთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის საბასეული განმარტება. საბას მიხედვით **დგომი** არის **ქსელთგამყოფი, ამწევ-დამწევი საზედოს გასავლებად. საშეავრი** კი **ფიჩჯსა** და **ორხოის დგომი** ყოფილა. ამ განმარტებიდან აშკარავდება, რომ საბას საშეავრი დგომის შესატყვისად მიაჩნდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საშეავრი **ფიჩჯსა** და **ორხოვას** დასამზადებელი საქსოვრის ნაწილი ყოფილა.

საბასავე განმარტებით **ფიჩვი** მატყლის ფარდაგია, **ორხოვა** კი ხაოიანი საფენი. აქედან ცხადი ხდება, რომ საშეავრი ისეთი დაზგისათვის ყოფილა გამოყენებული, რომელზეც ფარდაგებისა და ხალიჩების ტიპის ნაწარმი მზადდებოდა. ასეთ დაზგად ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით **საქსოვი ყდაა** საგულისხმო. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა **ყდის** საბასეული განმარტება, რომლის მიხედვითაც ყდა „საქსოვრის გასაბამს“ ეწოდება. იმავე მდგომარეობასთან უნდა გვქონდეს საქმე ფშავ-ხევსურული საქსოვი ყდის ნაწილის—ლეილის საბასეულ ახსნაშიც. დაბადების დამოწმებით (1 მეფ. 17,7) საბას ნათქვამი აქვს **ლვილი ქსლის ყდა** არისო.

ჰორიზონტალური საქსოვი დაზგისათვის დამახასიათებელი ნაწილების სახელწოდებათაგან საბას მოხსენებული აქვს **დგომი, სავარცხელი, ლაფათინი** და სხვ. დგომის საბასეული განმარტება ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ; სავარცხელის შესახებ საბას ნათქვამი აქვს—„სავარცხელი ეწოდების ფეიქრის ლაფათინსა ლერწმისაგან შეკეთებულსა“.

ეს ორი ტიპის დაზგა ძლიერ ფეოდალურ საქართველოშიც რომ თანაარსებობდა და ერთმანეთისაგან დანიშნულებითა და ქსლის დაგების ტექნიკითაც განსხვავდებოდა—ეს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილითაც მტკიცდება:

„ვერა შეიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.
ვისცა ეუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჭგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად,
სიმტკიცე ჭგვანდის ნაპედსა; ვთქვი ცეცხლთა
შენართაულად“ [1].

პოეტი ერთმანეთისაგან ასხვავებს ქსელის დაგების სახეებს **„ლარულსა“** და **„ორხაულს“**, როგორც დაპირისპირებულთ. მგოსნის სიტყვები ნიშანდობლივად მიუთითებენ, რომ ქსელის დაგების სხვადასხვაობა ლარული და ორხაული ქსოვილებისათვის თვით საქსოვი დაზგების საქსოვი აპარატურის თავისებურებით იყო შეპირობებული. საბას განმარტებით ლარი ნიშნავს ფარჩას, კუმაშს, ამდენადვე პოეტის გამოთქმა—ლარული ქსელი ისეთი ქსელის დაგე-

[1] შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 1937, გვ. 96, ტაები 461.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას შეესაბამება, რომელიც დგომ-საეარცხლიან საქსოვ დახვაზეი შესაძლებელი, ხოლო ორხაული ქსელი კი ისეთს, რომელიც ბეკ-საზეერიან საქსოვზე უნდა დაგებულიყო.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVII საუკუნეში და, უშინარესაც, XII საუკუნეში ვერტიკალური საქსოვი დახვა ძირითადად ფარდაგ-ხალიჩების საქსოვად იყო გამოყენებული, ხოლო ჰორიზონტალური კი სამოსლისა-თვის განკუთვნილი ქსოვილების დასამზადებლად.

ზემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ქსოვას, ე. ი. ქსელის ძაფებში სახედაო ძაფების გადაჯვარედნებას, აბეჭვა ეწოდება, ხოლო მეგრულში იგივე სიტყვა „ბეკეა“ წვნას აღნიშნავს. აღნიშნული ვეფფერებებს, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული იყო ტერმინი ბეკვა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ქსოვასაც გამოხატავდა (ბეკვა) და წვნასაც (ბეკეა). ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბეკვის თავდაპირველი მნიშვნელობა წვნა იყო და ამდენადე ამ ტერმინში შემონახულია ქსოვილის დამზადების საწყისი ფორმის გამომხატველი შინაარსი.

ამავე თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ ის ტაეპი, რომელშიც მგოსანი ამბობს:

„რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეველსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და საკვდილისა მეველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეველსა“ [1].

„ქსლისა მბეველი“ უეჭველია მქსოველს აღნიშნავს. ამ ტერმინის ძირი „ბეკვა“ უნდა იყოს, რაც ზემო იმერეთში დამოწმებულ „აბეკეა“-ს უდრის, ქსოვის მნიშვნელობით რომ იხმარება. ფშავ-ხევსურული საქსოვი ყდის აღწერილობისას ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ამ დაგის ქსელზე სახედაო ძაფის მისამაგრებელად ბეკი იყო გამოყენებული. ბეკი სიტყვა ლექსიკონში დამოუკიდებლად მოხსენებული არ არის. სამაგიეროდ ლექსიკონში გვხვდება სახელწოდება ჩაბეკვა, რაც „ქსლის ჩაკვრა“-ს, ე. ი. სახედაო ძაფის ქსელზე მიმტკიცების ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი ხევსურეთში დღემდეა დაცული. სიტყვა მიხედვით „ქსლის ჩასაკრავ“ ხელსაწყოს „ჩასაბეკი“ ეწოდება. ამრიგად, სიტყვა მიხედვითაც „ჩაბეკვა“ ქსოვის აღმნიშვნელი ყოფილა — ისევე როგორც ზემოიმერული „აბეკეა“.

„ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული ადგილი მეორე საყურადღებო ცნობასაც შეიცავს. ამ ცნობის მიხედვით ქსელის მბეველი დედაკაცი ყოფილა; ეს გარემოება ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც მოწმდება. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ნ. ბერძენიშვილი ერთ-ერთ თავის ნაშრომში წერნშნავს: „დასტურლამალიდან ჩანს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში ქართლის სამღებროები სულ სადედოფლო იყო. ძველიდანვე არსებულ მდგომარეობის აღნიშნავა ეს, თუ გიორგი XI და ვახტანგ სჯულისდებელის შემოღებული წესია, გარკვევით არ ჩანს. საფიქრებელია კი, რომ ეს წესი ძველი უნდა იყოს (საინ-

[1] შ. რუსთაველი. ტაეპი 739.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესო მოსაზრება, რომ ამ მეურნეობის დედოფლისადმი დაქვემდებარების საფუძველები თვით ამ მეურნეობის სპეციფიკურ სახეობაში შეიძლება ჰქონდეს და უძველესი ამბავი იყოს — რთვა, ქსოვა, ღებვა ქალის საქმე იყო, ასეთი მოსაზრება შემდეგ კვლევა-დაკვირვებას მოითხოვს)"[1].

ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ეს შეხედულება სავსებით დასტურდება. საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში, საოჯახო მეურნეობაში ქსოვილების დამზადებასთან დაკავშირებული შრომის მთელი პროცესი ძაფის დართვიდან მოყოლებული ქსოვილის დამზადებამდე დედაკაცის მიერ სრულდებოდა.

რაც შეეხება განვითარებულ მანუფაქტურულ და საფაბრიკო წარმოებას, აქ უკვე განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს.

დასასრულს, წინამდებარე ნაშრომში განხილულ საკითხთა შუქზე განსაკუთრებული ინიშნველობა ენიჭება ძველი კოლხური საქსოვი დაზგის საკითხსაც, რომელიც ძირითადად სელის წარმოებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ვ. ჭენი თავის ცნობილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ სელის დამუშავებას ეგვიპტესა და წინა აზიაში უძველესი დროიდანვე მისდევდნენ. მატყლის ქსოვილით შესუდრული მიცვალებულის დაკრძალვა ეგვიპტელების რწმენით დიდი საშინელება იყოო. მათი ქურუმები მხოლოდ წმინდა სელის ტანსაცმელს ატარებდნენ. ჩრდილოეთით სელის კულტურა განვითარებული იყო კოლხიდაში. ჰეროდოტეს მიხედვით კოლხურ ტილოს ბერძნები **სარდონულს** „Σαρδονικον" უწოდებდნენო. იგი განთქმული იყო როგორც საექსპორტო საქონელი (სტრაბონი, 11, 2, 17)[2].

აკად. ი. ჯავახიშვილის დასკვნით ქართული ტერმინი **სელი** (მეგრული „სუ", ჭანური „სუფერი", სვანური „სული") განმარტოებით დგას და არც ერთ სხვა ენის ტერმინს არ ენათესავება[3]. განსვენებული მეცნიერის სიტყვით სელის კულტურის დასაწყისი ჩვენს ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის ბურუსშიც მოჩანს. საქართველო განთქმული იყო სელის კულტურით. ქართული სელის ქსოვილები საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგანს შეადგენდა და შორეულ ქვეყნებშიც იყო ცნობილი. ეგვიპტის ცნობილი, მაღალხარისხოვანი ქსოვილების ერთადერთ ღირსეულ მეტოქედ სწორედ საქართველო, კოლხეთი ითვლებოდა. ქსენოფონტეს ცნობით (მე-IV ს. ჩ. ე.), ჭანთა ტომებს, ხალიბებს, ფინიკიელი მეომრების მსგავსად, სელის ქსოვილებისაგან შემზადებული სამკერდულები ჰქონდათ, მოსსენიკებს კი მუხლამდე დაშვებული სელისავე კვართები ეცვათ[4].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. სამღვბროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი VI, თბილისი, 1937, გვ. 438.

[2] В. Ген. Культурные растения и домашние животные. СПБ., 1872, стр. 79; სტრაბონის სიტყვით კოლხიდაში: „Производство льна приобрело даже известность; его вывозили даже в чужие земли"...

[3] ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი 1, თბილისი, 1930, გვ. 404.

[4] ი. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 372—373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით საკითხი ისმება: საქსოვი დაზგის რა ტიპი უნდა ყოფილიყო ამ მაღალხარისხოვანი ქსოვილების დასამზადებლად ძველ კოლხეთში გამოყენებული?

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სელის ქსოვილების დამზადება სამგვერდიანში ჰორიზონტალური ტიპის საქსოვ დაზგაზე „საოშეალო"-ზე ხდებოდა (სურ. 14). ასევე სვანურ „ლაჯშარ"-ზე მზადდებოდა კანაფის ძაფისაგან „სგვარ"-ისაგან საცვლებისათვის განკუთვნილი ქსოვილებიც.

არქეოლოგიური მასალა ამ მხრივ საინტერესო სურათს წარმოადგენს. არქეოლოგ ნ. ხოშტარიას მიხედვით „ნაოხვამუში" (სოფ. რეკასთან) აღმოჩენილია „ფუტეი, ხორბალი და სელი (?)"[1]. დისა გუძუბას მოსახლეობას ძაფის რთვა, ქსოვა და ჭილოფების წვნაც უნდა ცოდნოდა. ამის დამადასტურებლად ავტორს იქ აღმოჩენილი დიდძალი ქვისა და თიხის კვირისტავები და საქსოვი დაზგის შეიულები მიაჩნია. იქვე აღმოჩენილი ქოთნების ძირზე შემონახულია მკაფიო ანაბეჭდები ჭილოფებისა და ქსოვილების, რომლებსაც ძირს უფენდნენ ჭურჭელს მისი გამოძერწვის დროს[2]. ასეთივე შეიულები ნაპოვნია შავი ზღვის სანაპიროზე ურეკში[3]. ზოგიერთ ავტორს ისინი ბადის საწაფად ან ქვისმოხელის შეიულად მიაჩნია.

ორწახნაგა პირამიდული მოყვანილობის შეიულის ორი ეგზემპლარი აღმოჩენილ იქნა ეშერის გათხრებში. ამ შეიულებს პროფ. კუფტინი ძველი ბერძნული ვერტიკალური საქსოვი დაზგის ნიშანდობლივ მონაცემად მიიჩნევს[4] (სურ. 9).

---

[1] ნ. ხოშტარია. „დისა გუძუბა" კოლხეთის ძველი მოსახლეობა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, თბილისი, 1944, გვ. 210, შენიშვნა.

[2] იქვე, გვ. 212.

[3] ოგ. ჯაფარიძე. დასავლეთი ტაძარი. გურიაში. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950, გვ. 120—121. შდრ. В. Сизов. Восточное побережье Черного моря. МАК, выпуск II, Москва, 1889.

[4] Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949, стр. 14—17. შდრ. В. Ф. Гайдукевич. К вопросу о ткацком ремесле в Боспорских поселениях. Материалы и исследования по археологии СССР, № 25.

საქსოვი დაზგების უძველესი ტიპის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ანრთა სხვადასხვაობა არსებობს.

არქეოლოგი ჯორდონ ჩაილდი მიიჩნევს, რომ რთვასა და ქსოვას ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანაში მისდევდნენ ადამიანები. ისინი თითისტარის მეშვეობით ამზადებდნენ სელის, ბამბისა და მატყლის ნართს და რთული მექანიზმის—საქსოვი დგამის გამოყენებით ქსოვდნენ. ამის საბუთად ავტორი იმოწმებს განსხვავებულ მასალას—ქსოვილების ნაშთებსა და ყვირისტავებს. მოგვიანო არქეოლოგიური პერიოდების მხატვრობის მიხედვით,—განაგრძობს ავტორი,—საქსოვი დაზგების სამი ტიპი არსებობდა: ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა—ყველაზე ადრინდელი ტიპი, რომელსაც ეგვიპტეში იყენებდნენ, და ვერტიკალური დაზგის ორი ნაირსახეობა, ერთ-ერთ ვერტიკალურ დაზგაზე, რომელიც ყველაზე უფრო იყო ცნობილი ეგრიპაზში, ქსელის დასაბამივად ჩამოკიდებული იყო თიხის შეიულები (Гордон Чайлд. Прогресс и археология. Москва, 1949, გვ. 65—66). თიხის ასეთივე შეიულები რუსეთის ტერიტორიაზეცაა აღმოჩენილი. მათ შესახებ ბ. რიბაკოვი შენიშნავს: „Загадочные „грузики дьякова типа", отверстия которых протерты нитками, естественнее всего считать именно ткацкими грузиками, заменявшими навой позднейшего времени, в пользу чего говорит и то обстоятельство, что они встречаются в

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეროდოტეს ცნობით კოლხები და ეგვიპტელები „Одни только обрабатывают лен и притом одинаковым способом“ [1]. ჰეროდოტეს ამ ცნობასთან დაკავშირებით ვ. ჰენი შენიშნავს :„так как Геродот говорит, что колхидцы и египтяне ткали, одним и тем же способом, то может быть, и в Колхиде была ткань, нити которой состояли из 360 еще более тонких нитей...“ ვ. ჰენი იმოწმებს უნგერის (Botanische streifzüge auf dem gebiete der kulturgeschichte; Wiener sitzungsberichte, ტომი 38, გვ. 130) სიტყვებს: „Лен не туземное растение в Египте, а введен туда, и именно судя по свойствам растения из стран, лежащих гораздо севернее, вероятно из Колхиды“. ჰენი დასძენს—„Перенесен же он наверное не прямо, а через Вавилонию“ [2].

ეგვიპტეში სელის ქსოვილების დასამზადებლად ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა იყო გამოყენებული. ჰეროდოტეს ცნობა იმის შესახებ, რომ ეგვიპტელები და კოლხები ერთი და იმავე წესით ამუშავებენ სელსაო, იმის მომასწავებელია, რომ ამ ქსოვილების დამზადება თანაბარი ტექნიკური შესაძლებლობითა და საშუალებებით ხდებოდა, თანაბარი შრომის იარაღების გამოყენებით [3]. აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ჰეროდოტეს დროს კოლხეთშიც სელის ქსოვილების დასამზადებლად დგომ-სავარცხლიანი საქსოვი დაზგის რომელიმე ნაირსახეობას იყენებდნენ. ამ ტრადიციის დამადასტურებელი უნდა იყოს სამეგრელოში შემონახული ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა „ოშუალე“, რომელზეც უახლოეს წარსულამდე ამზადებდნენ სელის ქსოვილებს (შდრ. სურ. 14).

პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ანტიკური ხანის საბერძნეთსა და ცენტრალურ ევროპაში გავრცელებული იყო ვერტიკალური საქსოვი დაზგა, რომლის ქსელიც საწაფებით იყო დაკიმული. ამ აზრს ავტორი ამყარებს საქსოვი დაზგების იმ გამოსახულებებზე, რომლებიც შემონახულია ბერძნულ ვაზაზე (VI საუკ. ძ. წ.) და ცნობილ ბურჭელზე უნგრეთიდან (VII საუკ. ძ. წ.) [4].

ших станков“ (Б. А. Рыбаков. Ремесло Древней Руси. Изд. Академии Наук СССР, 1948, გვ. 186). ავტორი იქვე შენიშნავს: „Современная русская этнография уже нигде не знает вертикального стана за исключением примитивных приспособлений для вспомогательного плетения поясов, тесемок и т. д., сосуществующих с горизонтальными ткацкими станками“. იქვე, გვ. 186.

[1] В. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Т. I, в. I, СПБ., 1893, გვ. 9.

[2] В. Ген. იქვე, გვ. 352. შეიმდინარეობი ქსოვილების დამზადების შესახებ იხ. Б. Б. Пиотровский, Н. Д. Флиттнер. История техники древнего Двуречья, წიგნში И. Лурье, К. Ляпунова, М. Матье. Б. Пиотровский, Н. Флиттнер. Очерки по истории техники Древнего Востока. Москва-Ленинград, 1940, გვ. 91—95.

[3] ამავე საკითხის შესახებ იხ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, გვ. 291—296 და შმდ. ამ ნაშრომში ავტორი საქართველოს მთაში დამოწმებულ ვერტიკალურ საქსოვ დაზგებს „დაბრილს“ უწოდებს და ჰორიზონტალურიდან მომდინარედ მიიჩნევს (გვ. 111—112).

[4] Б. А. Куфтин. Материалы к Археологии Колхиды. II, Тбилиси, 1950, გვ. 111.

ამ დაზგებზე საზედაო ძაფის მიბეკვა ხდებოდა ქვემოდან ზემოთ. ქსოვაც ამ-
თი ტექნიკა საერთოდ დამახასიათებელი იყო ამ ტიპის ვერტიკალური საქ-
სოვი დაზგისათვის [1].

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ საქსოვ დაზგებზე კი, როგორც ბეჭ-საშვერიანზე ისე დგიმ-სავარცხლიანზე, საზედაო ძაფის მიბეკვა ხდებოდა ან ზემოდან ქვემოთ, ან წინა ლვალისაკენ (თავისკენ). ქსოვის ტექნიკის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ საქართველოში საქსოვი დაზგის უძველეს ტიპად ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა იქნეს მიჩნეული.

პროფ. ბ. კუფტინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართული ბეჭ-საშვერიანი საქსოვი დაზგების წინაპრად არ შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ბერძნული, საწაფებიანი ვერტიკალური საქსოვი დაზგა. ასეთ წინაპრად ავტორს მიაჩნია არქაული „ოსური ტიპის" მაგვარი ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა— უჩარჩოო, „ფეხებიანი", ორდგომიანი და სავარცხლიანი. ასეთი საქსოვი დაზგა, როგორც აღნიშნული გვქონდა, საქართველოშიცაა დამოწმებული (მთიულეთში „ოსური" სკამის" სახელწოდებით; ამავე ტიპისაა მოხეევებში დამოწმებული ჰორიზონტალური საქსოვი დაზგაც (სურ. 16). მაგრამ საქმე ისაა,

სურ. 16. უჩარჩოო ჰორიზონტ. საქსოვი დაზგა (ხევი)

[1] პროფ. ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი ამ დასკვნას ამყარებს იმ სალუსტრაციო მასალაზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბრომეებში—H e i d e n M a x. Handvörterbuch der Textilkunde aller zeiter und völker, Stuttgart. 1904, გვ. 237, სურ. 110; H o e r n e s-M e n g h i n. Urgeschichte der bildenden kunst in Europa, Wien, 1925, სურ. 3, გვ. 559 (ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 111, 293).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაზგის ეს ტიპი, რომელიც საქართველოშიც და კავკასიაშიც ფოუდება, განსხვავდება იმ ეგვიპტური ჰორიზონტალური საქსოვი დაზგისაგან, რომლისაგანაც განვითარებულად მიიჩნევენ სპეციალისტები ხალიჩებისა და გობელენების საქსოვ ვერტიკალურ დაზგებს[1] (სურ. 17). ქართული ეთნოგრაფიული მასალა მართალია იცნობს ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ორ ქვესახეს (ჩარჩოიანსა და უჩარჩოოს), მაგრამ მათი საქსოვი აპარატური („ფეხები", დგიმები, სავარცხალი, ლვილი) ერთისა და იმავე ტიპისაა. ყველა შემთხვევაში დგიმებიცა და სავარცხელიც ჩამოკიდებულია „ჩიტებზე". ქართული

სურ. 17. ძველი ეგვიპტური საქსოვი დაზგა (XX ს. ძ. წ. ბენი-ჰასანის გამოსახულებით)

ჰორიზონტალური საქსოვი დაზგების დღემდე ცნობილ ყველა ნაიოსახეობას მოეპოვებოდა მოძრავი ლვილი, რომელზეც ქსოვილი ეხვეოდა (თუმცა ქსლის დაზვეა ლვილზე, როგორც ეს რუსულ „დაზგებზე"[2] ხდებოდა, ძველ ქართულ ხალხურ საქსოვ დაზგებზე არ მოწმდება). ქსოვილის დასასხვევი ლვილი არ მოეპოვებოდა არც ძველ ეგვიპტურ ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას (ბენი-ჰასანის გამოსახულებით), რომელზეც მხოლოდ მოკლე ქსოვილის ქსოვა შეიძლებოდა, მსგავსად ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ლეკური საქსოვი დაზგისა[3]. ამ თვალსაზრისით საფიქრებელია, რომ ვერტიკალური სა-

[1] Н. А. Шолпо. Ткачество в Древнем Египте. Архив истории науки и техники. V, Ленинград, 1935, გვ. 268.

[2] А. А. Холосов. Ткачество деревни. М., 1930. შდრ. В. Н. Белицер. Народная одежда Удмуртов. Москва, 1951, გვ. 24; Н. И. Лебедева. Народный быт в верховьях Десны и в верховьях Оки. Москва, 1927.

[3] ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლეკური ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა, რომელზეც მხოლოდ მოკლე ქსოვილი იქსოვებოდა (იხ. А. С. Пиралов. Краткий очерк кустарных промыслов Кавказа. СПБ., 1913, გვ. 47 სურ. 14 და 15); ეს საქსოვი დაზგა უფრო არქაული ჩანს, ვიდრე „ოსური სკამი" და „ცახახური" დაზგა, რომლის წინაპრად მიიჩნევდა პროფ. ბ. კუფტინი ოსურ საქსოვ დაზგას (შდრ. Б. А. Куфтин. Киргиз-казаки. Москва, 1926, გვ. 41).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსოვი დაზგების წინაპრად საქართველოში (კავკასიაშიც) უნდა მივიჩნიოთ არა „ოსური ტიპის“ საქსოვი დაზგა, არამედ საქსოვი დაზგის ის ტიპი, რომელიც დაღისტანში იყო შემონახული და საერთო იყო კავკასიის ხალხებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ დაღისტანშივე დამოწმებულ ლეკურ ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე, რომელიც ხეესურული საქსოვი დაზგის მსგავსად დახრილ მდგომარეობაში იყო კედელზე მიყრდნობილი, ამბადებდნენ მაღალი ხარისხით ცნობილ ლეკურ შალებს[1]. ამავე ტიპის, მაგრამ უფრო განიერ საქსოვ ყდებზე ამზადებდნენ იქ ფარდაგ-ხალიჩებს[2].

მაშასადამე, შეხედულება ბეკ-საშვერიანი საქსოვი დაზგების წარმოშობის შესახებ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგიდან ქართული ეთნოგრაფიული მასალითაც მტკიცდება.

მეორე მხრივ, ვერტიკალური საქსოვის უძველესი სახეები, რომლებიც ჭილოფის საქსოვად იხმარებოდა (ქართლი, სამეგრელო), მათ სხვაგვარ წარმოშობილობაზე უნდა მიუთითებდეს. მათ წინაპრად, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა ჩაითვალოს. ჯერ ერთი, ქართულში დამოწმებული ჭილოფის საქსოვი ყდა წარმოადგენდა ჩვეულებრივ ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომელსაც საქსოვი აპარატი არ მოეპოვებოდა. მეორეც, სამეგრელოში დამოწმებულ ჭილოფის საქსოვ დაზგას „რობაგს“ ჩარჩოს გარდა ჭერნდა ქსლის გამყოფი მოწყობილობა „ორცხონდის“ სახით. მაგრამ ამ დაზგებზე საზიდაო ძაფის გატარება ქსელში უშუალოდ ხელით ხდებოდა, მათ არც ძისაპეკავი ხელსაწყო მოეპოვებოდათ. ამიტომ შესაძლებელია დავუშვათ მათი დამოუკიდებელი წარმოშობა ჰორიზონტალური საქსოვი დაზგების პარალელურად, მით უმეტეს, რომ ჭილოფის ქსოვა განათხარი მასალის მიხედვით საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი.

ეთნოგრაფიული მასალა საქსოვი დაზგების იმ ნაირსახეობათა შესახებ, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია მოტანილი, მოწმობს შრომის ამ იარაღების მრავალსაუკუნოვან განვითარებაზე და ხალხის ყოფაში იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მან შემოინახა იმ პირობებშიც კი, როცა, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკუთარი მოთხოვნილებისათვის მქსოველი გლეხების გვერდით, რომლებიც განაგრძობდნენ და კიდევ განაგრძობენ ამ საქმიანობას, ქალაქებში წარმოიშვა ახალი კლასი ფეიქრებისა, რომელთა ნაწარმი დანიშნული იყო მთელი ადგილობრივი ბაზრისათვის, და უდიდეს ნაწილში უცხოთის ბაზრებისათვისაც კი“[3].

ხალხის ყოფაში ახლო წარსულამდე შემონახული ქართული საქსოვი დაზგების ტიპები ორი თქმა უნდა, ისტორიულად ვითარდებოდნენ და უმჯობესდებოდნენ ხალხის საწარმოო გამოცდილების ზრდისა და შრომითი ჩვევების განვითარების შესაბამისად. ამით აიხსნება ის მრავალსახეობა ქართული საქსოვი დაზგების ორი ტიპისა, რომელთა გამომუშავებისა, დაწინაურებისა და გაუმჯობესებისათვის ქართველ ხალხს მრავალი შრომა და ენერგია მოუხმარებია.

---

[1] А. С. Пиралов. იქვე, გვ. 48, სურ. 16.

[2] იქვე, გვ. 68—75.

[3] მარქსი და ენგელსი. გერმანული იდეოლოგია. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მოტანილი მასალა ამავე დროს მოწმობს, რომ ძველი ქართული ხალხური დაზგები თვითმყოფი ხასიათისაა, ახლო და უშუალო კავშირშია სხვა კავკასიელი ხალხების ანალოგიურ საქსოვ დაზგებთან და თავისი საწყისი ფორმებით ძველი აღმოსავლეთის კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა.

Г. А. ЧАЧАШВИЛИ

ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ТКАЦКИЕ СТАНКИ

(По материалам Музея Грузии)

Резюме

Среди богатых коллекций Государственного Музея Грузии им. Джанашиа, устанавливается два основных типа грузинских народных ткацких станков—вертикальный и горизонтальный.

Вертикальный ткацкий станок, главным образом, употреблялся для изготовления ковровых изделий, в то время, как горизонтальный—исключительно для производства метражной материи. Однако, в некоторых частях горной Грузии были известны только лишь вертикальные ткацкие станки, которые применялись для изготовления разнообразных видов шерстяной материи.

Народные ткацкие станки применялись еще во второй половине XIX в. и в начале XX в. как в домашнем хозяйстве, так и в кустарной промышленности. В тот же период в Грузии появляются технически более усовершенствованные русские ткацкие станки, применяемые главным образом в городской кустарной промышленности.

Привлечением сравнительного исторического материала выясняется, что такая классификация ткацких станков полностью относится и к феодальной средневековой Грузии.

Прослеживанием исторического процесса развития грузинских народных ткацких станков, подтверждается мнение о том, что еще в античную эпоху, во времена Геродота, в Грузии можно предположить существование горизонтальных ткацких станков, на которых изготовлялись известные в тогдашнем мире Колхидские льняные изделия.

Путем изучения техники и функции грузинских народных ткацких станков и привлечения сравнительного материала установливается самобытный характер грузинских народных ткацких станков и их непосредственная связь с аналогичными ткацкими станками других кавказских народов. Грузинские народные ткацкие станки своими начальными формами входят в круг культурных достижений Древнего Востока.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ, 1954
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1954

თ. აბრამიშვილი

გურჯაანში აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროს ფული

1949 წლის მაის-ივნისში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში სამწყებად შემოვიდა 7 ცალი ბიზანტიური ოქროს მონეტა.

პირველად, 1949 წელს 26 მაისს, საქართველოს კპ(ბ) გურჯაანის რაიონული კომიტეტის მდივანმა გურჯაანიდან ჩამოიტანა 1 ცალი ალექსი I-ის ოქროს მონეტა და მისი პოვნის შესახებ ცნობა მოგვაწოდა. მონეტა აღმოჩენილია 1949 წლის 17 მაისს გურჯაანის მახლობლად ალაზნის არხის რეკონსტრუქციის დროს, დაახლოებით 40—50 სანტიმეტრის სიღრმეზე მიწაში.

მეორედ, 1949 წლის 13 ივნისს, მუზეუმის ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელმა ვ. ჯაფარიძემ, მივლინებულმა აღმოჩენის ადგილზე ცნობების შესაკრებად, ჩამოიტანა ალექსი I-ის ერთი ცალი მონეტა და გვაცნობა, რომ ეს მეორე ცალიც ნაპოვნი ყოფილა 22—23 მაისს, პირველი მონეტის აღმოჩენის ადგილიდან ერთი მეტრის დაშორებით. ადგილი, სადაც ეს ორი მონეტა იყო ნაპოვნი, ალაზანსა და არხს შორის მდებარეობს და მას ადგილობრივი მოსახლეობა „აგურებს“ უწოდებს.

მესამედ, 1949 წლის 27 ივნისს, იმავე არხის წელკეთებაზე მოხუმავე ს. გალოიანმა მუზეუმში მოიტანა ხუთი მონეტა, რომლებიც მას იქვე უნახავს, სადაც ზემოხსენებული ორი ცალი იყო ნაპოვნი, ხოლო პოვნის დრო ვერ დაგვისახელა. გალოიანის მიერ მოტანილი ხუთი მონეტიდან ოთხი ცალი ალექსი I-ს ეკუთვნის, ხოლო ერთი კი იოანე II-ს.

ეტყობა, ხუთივე ეს მონეტა ერთმანეთის ახლოს არის ნაპოვნი. ალბათ შვიდივე ცალი ერთად იყო მოთავსებული, მაგრამ მიწის თხრის დროს გაფანტული და, ამის გამო, სხვადასხვა დროს აღმოჩნდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები განის ნაწილს წარმოადგენს. ამ სავარაუდო მოსაზრების გამოთქმის საშუალებას ის გარემოება გვაძლევს, რომ მონეტების აღმოჩენის ადგილას თიხის პატარა ჭურჭლის ნატეხებიც იყო ნახული.

აღნიშნული ბიზანტიური ოქროს ფულები ეშვიაათობას არ წარმოადგენს და ნუმიზმატიკის მეცნიერებისათვის ახალს ბევრს არაფერს იძლევა. მაგრამ მუზეუმში შემოსული და დაცული ძეგლების სისტემატური აღრიცხვა-შესწავლის აუცილებლობა გვავალებს შვიდივე მონეტის გამოქვეყნებას.

ამასთან ერთად ჩვენ განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაცულს ალექსი I-ისა და იოანე II-ის დანარჩენ ფულებსაც და მოცემული გვექნება მოკლე ცნობები საქართველოს ტერიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიაზე აღმოჩენილი მე-10 საუკუნის 70-იან წლებსა და მე-12 საუკუნეს შორის მოკრილი ბიზანტიური ფულების შესახებ.

დღევანდელი რაიონული ცენტრისა და რკინიგზის სადგურის გურჯაანის შორიახლოს თანამედროვე რუკაზე აღნიშნულია ძველი გურჯაანი, რომელიც ვეჯნისა და ქოდალას მახლობლად მდებარეობს. ორი უკანასკნელი დასახლებული პუნქტი უცნობი ადგილი არ არის: თავის დროზე ვეჯნინიდან მეზეიმში შემოსულა თამარის ფულის დიდი განძი[1], ხოლო სოფელ ქოდალაში ნაპოვნი იყო და მუზეუმსვე გადაეცა XIII—XIV სს. მონღოლური ფულის განძი[2]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვეყნის ეს ნაწილი თავის დროზე დაწინაურებული ყოფილა და აღებ-მიცემობაში მონაწილეობას ღებულობდა. ამრიგად გურჯაანი მდებარეობს იმ პუნქტების მახლობლად, სადაც საკმაოდ მოზრდილი განძები აღმოჩენილა.

ძველ საისტორიო წყაროებში გურჯაანი მოხსენებული არ არის; მაგალითად, ქართველ გეოგრაფს ვახუშტს ის მოხსენებული არ აქვს არც ტექსტში და არც რუკაზე. მაგრამ ამავე საუკუნის მოგზაური აკად. გულდენშტედტი იცნობს გურჯაანს და კახეთის სოფლების ჩამოთვლის დროს ორგან იხსენიებს მას; ერთგან გურჩანის, ხოლო მეორეგან გურდშაანის სახელით[3].

დ. პაგირევი გურჯაანს 63—15; 41—45 კოორდინატებს შორის ათავსებს[4].

შეუდგეთ ამ ჩვენი მონეტების განხილვას. შვიდი შემოსული ოქროს მონეტიდან 6 ცალი კომნენების დინასტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს—ალექსი I-ს (1081—1118) ეკუთვნის, ხოლო ერთი—იოანე II-ს (1118—1143).

ბიზანტიური ფულის ჩვენში გავრცელებას თვით ნუმიზმატიკური ფაქტები გვიმტკიცებს, რასაც წერილობითი ისტორიო ძეგლებიც გვიდასტურებენ. საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური ოქროს ფულის ტერმინები გვხვდება მაგალითად დავით აღმაშენებლის ანდერძში, ათონის ალაპებში და ვაჭანის ძეგლშიც. დავით აღმაშენებელს საგანძურში ბიზანტიური ოქროს ფული ბევრი ჰქონია "შემომახუნ, რასაც მისი შვილის დემეტრესადმი დატოვებული ანდერძით ვტყობილობთ: „ხოლო დუკატი და ბოტინატი ატენისა საუურჭლისა, ოგიცა ჩემისა: სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღურსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათჳს წინაშე ღუთისა ვისაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღურმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცენს ჩემთჳს"[5].

---

[1] თ. ლომოური. თამარის ფულის განძი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1936.

[2] მ ი ს ი ვ ე, ქოდალას განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947.

[3] Г и л ь д е н ш т е д т. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа. СПБ., 1809, ст. 202, 216.

[4] Д. Д. П а г и р е в. Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края. Тифлис, 1913.

[5] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები. ზეგნი მეორე, 1897, ვ3. 51—52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათონის ივერთა მონასტრის ალაპებში მოხსენებულია ტერმინი „ალქსატი“, რომელიც ალექსი I-ის ფულს უნდა რქმოდა, რადგან „დრაჰკანი ატარებდა იმის სახელს, ვის დროსაც იყო მოკრილი. მაგალითად, ალექსატი—ალექსი კომნენისა, მიხაილატი—მიხეილ ხელმწიფისა და სხვა“[1].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაცული ორივე კეისრის მონეტების აღრიცხვისა და ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ორივე კეისარი ჭრიდა, როგორც ოქროსი და ვერცხლის, ისე ბილონისა და სპილენძის მონეტებს. საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დღეისათვის მოიპოვება ალექსი I-ის სამი ტიპის ოქროს ფული, ხოლო იოანე II-ისა—ოთხი. საერთოდ კი ცნობილია, რომ ალექსი I-ს უჭრია: ოქროს ფული ხუთი ტიპისა, ვერცხლისა და ბილონის—სამი და სპილენძისა ორი ტიპი, ხოლო იოანე II-ს—ოქროსი ოთხი ტიპი, ვერცხლის—ერთი, ბილონი და სპილენძი სამ-სამი[2].

ალექსი I ეკუთვნის იმ სამეფო საგვარეულოს, რომელმაც XI საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო მოღვაწეობა (ისაკ კომნენი 1057—1059), მაგრამ ბიზანტიის სამეფოს შინაურ საქმეებში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებების გამო კომნენების სამეფო საგვარეულოს საფუძვლიანი მოღვაწეობა მხოლოდ ამავე საუკუნის 80-იანი წლებიდან—ალექსი I-დან განახლდა.

ალექსი I-ის მონეტა. რომელიც გურჯაანში აღმოჩენილ ნიმუშებს შორის ორი ტიპით არის წარმოდგენილი, კარგი ღირსების ოქროსაგან არის მოჭრილი და ჩაღრმავების წესითაა დამზადებული. ექვსივე ცალის საერთო წონა 25,41 გრამია, რაც საშუალოდ 4,23 გრამს იძლევა, ხოლო ცალკეული ნიმუშების მინიმალურ-მაქსიმალური მონაცემები 4 გრამიდან 4,32 გრამამდე მერყეობს.

ვიძლევით ამ მონეტების სურათებსა[3] და აღწერილობას.

1. დიამეტრი $^{24}/_{28}$ მმ, ხოლო წონა 4,24 გრამია (განძის ფონდი № 5322).

სურ. 1

[1] ათონის ივერიის მონასტრის კრებული. თბილისი, 1901, გვ. VI.

[2] F. Saulcy. Essai de classification des suites monétaires Byzantines, Metz, 1836, აგრეთვე Wroth W. Catalogue of the imperial Byzantine coins in the British Museum, V. II London, 1908.

[3] გადიდებულია $1^1/_2$-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლი: წვერულვაშიანი ალექსი I-ის გამოსახულება პირდაპირ. კეისარი სამეფო სამოსელშია გამოწყობილი; თავზე ადგია სტემა, ... ლიდანაც აქეთ-იქით თითო ტოტია დაშვებული; გაწვდილ მარცხენა ხე, უჭირავს ჯვრიანი სფერო, დოინჯშემოყრილ—მარჯვენა ხელში კი მოგრძოეკ-ნიანი ლაბარუმი; ზემოთ, თავის მარჯვნივ—ღვთაების მაკურთხეველი ხელი; მარცხნივ და მარჯვნივ—ვერტიკალურად განლაგებული წარწერა ბერძნულით

A	T
ΛE	IH
ZI	KO
IH	MN
ΔEC	N
ΠO	IH
T	

ე. ი. მარცხნივ—„ალექსი დესპოტი“, მარჯვნივ—„კომნენის“; ირგვლივ წერტილოვანი ორმაგი რკალი ნაწილობრივ ჩანს.

ზურგი: ქრისტე ზის პირდაპირ, გრძელი კვართით შემოსილი, შარავანდედით თავზე; მარცხენა ხელში უჭირავს სახარება; მარჯვენა ხელი აკურობილია კურთხევისათვის; ზემოთ, თავის მარჯვნივ და მარცხნივ ბერძნულად |C XC „იესო ქრისტე“, გარშემო: KERO HΘE |, ე. ი. „უფალო შემიწყალე“. ყველაფერს შემოვლებული აქვს ორმაგი რკალი.

დანარჩენი მონეტებიც—№№ 5323, 5325, 5327, ასეთივე ტიპისაა.

2. დიამეტრი $^{28}/_{29}$ მმ უდრის, ხოლო წონა 4,32 გრამს (განძების ფონდი № 5324).

სურ. 2

შუბლი: ალექსი I-ის მონეტის მეორე ტიპი ერთი შეხედვით ზემოაღწერილი მონეტის მსგავსია, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია: სამოსი, ლაბარუმი, განსაკუთრებით ჯვრიანი სფერო (დაყრდნობილია ეკვს სფეროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავს საგანზე) და ნაწილობრივ ზედწერილი, თუმცა ასოთა განლაგება აქაც ვერტიკალურია და შინაარსიც იგივეა.

A	TIII
AE	KO
ZIIII	MN
ΔEC	NIII
ΠO	
TH	

ე. ი. მარცხნივ „ალექსი დესპოტი"; მარჯვნივ—„კომნენის"; ირგვლივ წერტილოვანი ორმაგი რკალია.

სურ. 3

ზ ურ გ ი: ზემოაღწერილის მსგავსია, ხოლო სხვა შტამპით არის მოჭრილი — უმნიშვნელო განსხვავება ემჩნევა. № 5326 მონეტაც ისეთივეა, როგორიც № 5324. ალექსი I-ის მონეტის ზედწერილი, მეფის გვარისა და სახელის გარდა, როგორც ვხედავთ „დესპოტის" ტიტულსაც შეიცავს.

იოანე II (1118—1143).

ალექსი I-ის შემდეგ ბიზანტიის საკეისრო ტახტზე იოანე II ავიდა. იოანე II-ის მონეტა ასეთია:

3. დიამეტრი $^{29}/_{30}$ მმ უდრის, წონა—4,38 გრამს (განძების ფონდი № 5328).

შ უ ბ ლ ი: წელზევითი გამოსახულება იოანე II-ისა და ღვთისმშობლისა პირდაპირ; კეისარი მდიდრულ სამოსშია გამოწყობილი; თავზე ადგია სტემა, რომლიდანაც თითო ტოტი ეშვება; ღვთისმშობელს თავზე ადგია შარავანდედი და შემოსილია ჰიმატიონით; მათ შორის აღმართულია ორტოტა ჯვარი, რომელზედაც ორივეს აქვს ხელი მოელებული; კეისარს მარჯვენა ხელში გრაგნილი აქვს(?); თავის ზემოთ ღვთაების მაკურთხეველი ხელი; ღვთისმშობელს მარცხენა ხელის მტევანი ზემოთ აქვს აღმართული; მარცხენა მხრის ზედწერილის მხოლოდ ბოლო ასო H არის შერჩენილი; წმინდანის გვერდით, მონეტის კიდეებზე დაქარაგმებული ბერძნული ზედწერილია: მარჯვნივ—$\overline{\text{MP}}$, ზემოთ—$\overline{\Theta\text{V}}$— „დედაო ღვთისა", ირგვლივ წერტილოვანი ორმაგი რკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ურ გ ი: განსხვავდება პირველი ნომრისაგან მხოლოდ იმით, რომ გარშემოწერილი ზედწერილი არ გააჩნია.

შემოსული შვიდი მონეტა, როგორც უკვე ითქვა, ჩაღრმავების წესით არის მოჭრილი, მაგრამ ორი ცალის გარდა ჩვენამდე ყველა გაბრტყელებული მოიტანეს. ჩანს მპოვნელს მათთვის ჩვეულებრივი სახის მიცემა მოსურვებია და ამ „გასწორების“ პროცესის დროს საკმაოდ დაუქეცია.

ამ მასალაზე მუშაობის დროს საშუალება მოგვეცა იმდროინდელი ბიზანტიური ფულების საქართველოს მიწა-წყალზე გავრცელების შესახებ არსებული ცნობებისათვის თავი მოგვეყარა. ეს დამატებითი მასალა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაგროვილი ფაქტიური მასალის სახით არის მოთავსებული. ზოგიერთ მონეტას თანდართული აქვს საჭირო ცნობები მოპოვების ადგილისა და გარემოების შესახებ, ანალოგიური ცნობებით ვისარგებლეთ სათანადო ლიტერატურიდანაც[1].

ეს ცნობები შეეხება იმდროინდელი ფულის, როგორც განძების, ისე ცალკეული ცალების, პოვნასა და გავრცელებას.

თავმოყრილი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ბიზანტიური ფული (უმთავრესად სპილენძი და ოქრო) ვრცელდება ჩვენში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. დღეისათვის ბიზანტიური ფულის პოვნის შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოში 23-ჯერ გვაქვს აღრიცხული, ხოლო დასავლეთში—სამჯერ.

ამის გარდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში საკმაო დიდი რაოდენობით დაცულია ამავე პერიოდის ბიზანტიური მონეტები, რომლებსაც მოპოვების შესახებ სათანადო ცნობები არ გააჩნიათ. შესაძლებელია, რომ ამ ნიმუშებიდან ყველა თუ არა, ნაწილი მაინც ჩვენ მიწა-წყალზე იყოს ნაპოვნი. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მათ შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. დღეისათვის არსებული მასალა, ბიზანტიური ფულების საქართველოში გავრცელების შესახებ, საბოლოოდ და ამომწურავად ვერ ჩაითვლება, რადგან უნდა ველოდოთ, რომ დღევანდელი ფართოდ გაწლილი სოციალისტური მშენებლობისა და არქეოლოგიური თხრის შედეგად საჭირო ცნობებიც სათანადოდ გაიზრდება.

საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებული ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია ცნობილია. უდაოა, რომ პოლიტიკურ ურთიერთობას ეკონომიური ურთიერთობაც თან სდევდა, რასაც ცხადყოფს იმდროინდელი ბიზანტიური ფულის სიმრავლე და ამ ფულის ბიზანტიური ტერმინების შემონახვა წერილობით ძეგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ მე-10 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მე-12 საუკუნის ჩათვლით ჩვენში თითქმის ყველა კეისრის ფული შემოდის. ის გარემოება, რომ ფული აქვე რჩება, იმის მაჩვენებელია, რომ მას აქ ბრუნვის უნარი ჰქონდა.

[1] Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья-ს მე- 5 წიგნში გამოცემული სხვადასხვა დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, საქართველოს მიწა-წყალზე ნაპოვნი ბიზანტიური ფულები, რაოდენ შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ჩვენში უხვად შემოდიოდა, ბოლოს ეს უნარი ჰქონდა და აქვე ილექებოდა. მაგრამ ამის თქმა ვერცხლის ფულზე, ჯერჯერობით მაინც, არ შეგვიძლია. შესაძლებელია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის იმ დროის დამახასიათებელი ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“ ნაწილობრივ მაინც ბიზანტიასაც შეეხო.

Т. Я. АБРАМИШВИЛИ

НАХОДКА ВИЗАНТИЙСКИХ ЗОЛОТЫХ МОНЕТ В ГУРДЖААНИ

Резюме

Существовавшие между Грузией и Византией продолжительные политические связи влекли за собой и экономические взаимоотношения, о чем свидетельствуют письменные источники и многочисленные находки в Грузии византийских монет.

Поступившие в Государственный Музей Грузии им. акад. С. Н. Джанашиа византийские монеты XI–XII в.в. не представляют собой какой нибудь редкости и их публикация оправдывается лишь стремлением систематически публиковать фонды нашего музея. Найденные летом 1949 года недалеко от Гурджаани при реконструкции алазанского канала, эти 7 поступивших монет принадлежат двум представителям династии Комненов-Алексию I-му и его сыну Иоанну II-му и, таким образом, могут быть датированы последним двадцатилетием XI и первой половиной XII века. Из них шесть принадлежат Алексию I-му и одна Иоанну I-му.

Из монет, принадлежащих этим историческим лицам, известен монетный тип с изображениями обоих императоров и, надо полагать, относится к периоду сопарствования. Каждый из них чеканил монеты и самостоятельно, из золота, серебра, биллона и меди. Фонды Музея Грузии содержат три типа золотых монет Алексия I-го и четыре Иоанна II-го. Вообще-же, на основании имеющегося у нас фактического и литературного материала, установлено, что Алексий I чеканил 5 типов золотых монет, по три из серебра и биллона и два из меди. Иоанн-же II-ой—четыре из золота, по три из серебра и меди и один из биллона.

Доставленные из Гурджаани монеты принадлежат к категории т. н. „вогнутых“, но в таком первоначальном виде до нас дошли лишь две, остальные-же пять находчиками были выравнены.

По монетам нумизматического кабинета, а также собраному нами фактическому и литературному материалу, установлено, что с конца X века и вплоть до начала XIII века, обильно поступающие из Византии

ეროვნული ბიბლიოთეკა

монеты оседали тут-же в Грузии, что свидетельствует о том, что они имели тут обращение. Сказать то же про серебряные монеты мы пока не можем, т. к. их находки тут не фиксируются, а потому, можно полагать, что серебряный кризис, характерный для стран Востока того периода, частично коснулся и Византии. Любопытно также, что пока, во всяком случае, в восточной Грузии византийские монеты попадаются значительно чаще, чем в западной.

ირ. ჯალაღანია

მონღოლური დროის უცნობი თბილური დრამა

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს დღემდე უცნობი მონეტის პუბლიკაციას და ამით ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების ერთ-ერთი ჯგუფის შევსებას.

1949 წ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიძინა კერძო პირისაგან ერთი მონეტა, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ყურადღება:

მონეტა ვერცხლისაა, წონა 2,61 გრ დიამ. 20/21 მმ. საქ. სახ. მუზეუმის ქართული ფულის ფონდი № 3096

სურ. 1

შუბლი: ხაზოვან რკალში მოთავსებულ წერტილოვან ოთხკუთხა ჩარჩოში მაჰმადიანური სარწმუნოებრივი სიმბოლო არაბულად:

لا اله الا الله — არ არის ღმერთი გარდა
محمد الله — ალლაჰისა, მუჰამადი
رسول الله — მოციქული ალლაჰისა.

ამ ჩარჩოსა და რკალს შორის შექმნილ ოთხ სეგმენტში არაბულადვე:

ზევით: ضرب تفليس — მოიჭრა თბილისში
მარცხნივ: سنة ثلث
ქვევით: و اربعين
მარჯვნივ: وستماية
— წელსა ექვსას ორმოცდა სამს.

ზურგი: ორი პარალელური ხაზისაგან შემდგარი ექვსქიმიანი ვარსკვლავი. პარალელურ ხაზებს შორის ხშირი წერტილები. ვარსკვლავის ცენტრში არაბულად, ორ სტრიქონად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

قاز ყაან
العادل სამართლიანი

ვარსკვლავი ორმაგ ხაზოვან რკალშია ჩასმული. ამ პარალელურ ხაზებს შორისაც ხშირი წერტილებია. რკალსა და ვარსკვლავს შორის შეკმნილ სეგმენტებში—სხვადასხვა ორნამენტები.

როგორც აღწერილობიდან ჩანს, მონეტა ფრიად საყურადღებოა. იგი ეკუთვნის იმ ჯგუფის მონეტებს, რომლებიც უცხო მფლობელთა სახელით იჭრებოდა საქართველოში XIII საუკუნეში. აღნიშნული ტიპის მონეტების წარმოშობის ვითარება კარგად არის ცნობილი: მონღოლთა შემოსევამ და დამკვიდრებამ XIII საუკ. 30-იანი წლებიდან კარგახნით შეაფერხა საქართველოს ეკონომიური და კულტურული წინსვლა. ამ პროცესმა მკაფიო კვალი დაჰტოვა ქართულ ნუმიზმატიკაში.

„თუ აქამდე საქართველოში საკუთრივ ქართული ფული იჭრებოდა, ამ დროიდან წარმოიშვა ორი დამოუკიდებელი და ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებული სამონეტო სერია: 1) საკუთრივ ქართული, ქართველ მეფეთა სახელებით აღბეჭდილი და 2) საქართველოში მოჭრილი, უცხო მფლობელთა სახელების მატარებელი მონეტები, მუსლიმანური და მონღოლური წარწერებით“ [1].

მონეტების ამ უკანასკნელი ჯგუფიდან დღემდე გამოქვეყნებული არის ორი ნიმუში: ვინაიდან ქართულ ენაზე ისინი არავის აღუწერია, საჭიროდ ვცანით აქ მათი ვრცელი აღწერილობის მოტანა.

თარიღის შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით პირველი მათგანი 630-იან წლებში არის მოჭრილი (სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ მყოფ ცალებზე თარიღის ერთეულები გაურკვეველია—37 თუ 39 წ.). აღნიშნული მონეტა ასეთი სახისაა:

წონა მერყეობს 2,65—2,76 გრ
ზომა—18-დან 22 მმ-დე.
საქ. სახ. მუზეუმის ქართული ფულის ფონდი—№ 313.
ვერცხლი, წონა 2,65 გრ, დიამ. 21/22 მმ

შუბლი: წერტილოვან რკალში, სუნიტური სიმბოლოა არაბულად

لا اله الا — არ არის ღმერთი გარდა
محمد الله — ალლა-ჰისა, მუჰამადი
رسول الله — მოციქული ალლაჰისა

რკალის გარეთ, კიდეზე დარჩენილია თარიღის ფრაგმენტები—(6) 37 თუ (6) 39 წ. ჰიჯრით.

ზურგი: წერტილოვან რკალში არაბულად:

[1] დ. გ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1950, გვ. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

قاآن ياسا

العادل سامارتولیانی

ამის ქვეშ დაბეჭდილი მშვილდის გამოსახულება; რკალის გარეთ, კიდეზე, არაბულადვე მოჯრის ადგილი:

تفلیس—თბილისი

სხვა ნიმუშების მიხედვით ირკვევა ასეულებიც და ამრიგად მონეტა ქრონოლოგიურად თავსდება 1232—1242 წლებს შორის.

მომდევნო სამონეტო ტიპი შემდეგი სახისაა:

ვერცხლი, წონა 2,87 გრ. დიამ. 22/23 მმ.

საქ. სახ. მუზეუმის ქართული ფულის ფონდი № 2887.

შუბლი: სუნიტური სიმბოლო არაბულად:

لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა

ალლაჰისა, მუჰამადი

მოციქული ალლაჰისა

ამ წარწერის ვეოტიკალურად:

მარცხნივ: في سنه اثنتين

ქვეეთ: و اربعين

მარჯვნივ: [وستمایة]

წელსა (ექვსას) ორმოცდა ორსა.

ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზურგი: გაპენებულ ცხენზე მჯდომი და მცირედ შემობრუნებული მხედარი შემართული მშვილდით. ცხენის ფეხებს შორის—კურდღელი. მხედრის გამოსახულების ზემოთ, ნახევარ წრისებურად, წარწერა ერთ-ერთ თურქულ ენაზე:

العز منقل الوس بیك

მონღოლთა დიდი ულუს ბეკი.

ცნობილია, რომ ამ ტიპის მონეტები იჭრებოდა როგორც თბილისში, ისე ა/კ. სხვა ქალაქებშიც—განჯა, ნახჭევანი, ბაკო.

ზემოთ აღწერილ ორ სამონეტო ტიპს 652 წ-დან მოსდევდა თბილისშივე მოჭრილი, მანგუ-ყაანის სახელით აღბეჭდილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. ამრიგად, 642—652 წწ. შორის ამ ჯგუფის მონეტებში ხარვეზი შეუსებელი რჩებოდა. სწორედ ამ ხარვეზს ნაწილობრივად ავსებს ზემოაღწერილი, აქამდე უცნობი მონეტა.

ჩვენთვის საინტერესო მონეტაზე გამოსახული ვარსკვლავი წარმოადგენს ე. წ. „სოლომონის ბეჭდის“ სქემას. ეს ნიშანი შემდეგში, გაპარტივებული სახით, XIII საუკუნის „კრომანეული თეთრის“ სამონეტო ტიპის თითქმის აუცილებელი ელემენტია. ამგვარად ეს დღემდე უცნობი მონეტა საინტერესოა იმით, რომ:

1) ავსებს ხარვეზს დასახელებულ ანონიმურ მონეტებსა და მანგუ-ყაანის დირჰემებს შორის და

2) მასზე პირველად ჩნდება იმ ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულება, რომელიც შემდეგ არაერთხელ გვხვდება ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე.

ამავე ხანას ეკუთვნის კიდევ რამდენიმე საინტერესო, ჯერ გამოურკვეველი ნიმუში, რომელიც ცალკე შესწავლის საგანს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

И. Л. ДЖАЛАГАНИА

НЕИЗВЕСТНЫЙ ТБИЛИССКИЙ ДИРГЕМ МОНГОЛЬСКОГО ВРЕМЕНИ

Резюме

Тбилисские диргемы монгольского времени представлены многочисленными отдельными разновидностями и вариантами. Наиболее из них редкими являются первые анонимные диргемы с изображениями натянутого лука (630-ые годы гиджры), или скачущего всадника (642 г. гиджры). Оба эти диргема в свое время были изданы.

В этой же статье дается описание аналогичного диргема, который, судя по существующему материалу, известен пока в единственном экземпляре.

Желая шире ввести его в научный обиход, даем его подробное описание:

Монета серебряная. Вес—2,61 гр; диам. 20/21 мм.

Фонд грузинских монет Гос. Музея Грузии № 3096.

Лицевая сторона: в точечной четырехугольной рамке сунитский символ веры по арабски:

لا اله إلا нет божества кроме

الله محمد Аллаха, Мухаммед

رسول الله посол Аллаха.

Вокруг рамки линейный ободок. Между рамкой и ободком, в четырех сегментах по арабски:

сверху: ضرب تفليس	чекан Тифлиса
слева: سنة ثلث	в году шестьсот
снизу: و اربعين	сорок третьем.
справа: و ستماية	

Оборотная сторона: шестилучевая звезда, составленная из двух параллельных линий, между которыми частые точки.

В центре звезды по арабски две строки:

قاآن Каан

العادل правосудный

Звезда помещена в двойной линейный ободок. Между ободками также частые точки.

В сегментах между ободком и лучами звезды—орнаменты.

Эта монета интересна потому что:

1) заполняет пробел, существующий между названными анонимными диргемами и монетами Мунгке-Каана;

2) на ней впервые появляется рисунок шестилучевой звезды, который в дальнейшем неоднократно встречается на памятниках грузинской нумизматики.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ, 1954
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1954
ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. ჩოლოყაშვილი

ქართული საბრძოლო იარაღები

ფარი

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საბრძოლო იარაღის ფონდში დაცულია ძველი ქართული ფარების მნიშვნელოვანი კოლექცია. სახელწოდებას „ქართული ფარი" ჩვენ „ეხმარობთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ფარების აღსანიშნავად.



სურ. 1

ეთნოგრაფიის განყოფილების იარაღის ფონდში დაცული ქართული ფარები ფორმის მიხედვით მრგვალია. მათ შორის სამ ტიპს ვარჩევთ: 1) ხის ფარი ტყავგადაკრული (სურ. 1), 2). ტყავის ფარი ლითონით შეკრულ-შეპედილი (სურ. 2) და 3) ლითონის ფარი ლითონითვე შეკრულ-შეპედილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სურ. 3). მუზეუმში დაცული მეორე ტიპის ფარები სამი სახისაა: ერთ-ორკალიანი, ორორკალიანი და სამკალიანი — „გირგოლიანი". დასახელებული იარაღიდან ჩვენ საგანგებოდ შეეჩერდებით ფარების მხოლოდ ორ სახეობაზე.

პირველი ტიპის მრგვალი ფარი, კოლ. № 25—25/1, ტყავისაა (სურ. 1), რომელიც ხეზეა გადაკრული. მისი დიამ. 50 სმ-ია. ტყავზე სხივთა კონად განლაგებულია ლითონის წვრილი ზოლები, რომლებიც თავს იყრიან ფარის ცენტრში ლითონის გუმბათში, რაც ერთად აღებული მზის სახესა ჰქმნის. ლითონის სიმები ტყავში ჩამაგრებულია სამსჭვლებით. სამსჭვლების ადგილი წარმოადგენს ოთხკუთხი ფორმის ფირფიტებს.

სურ. 2

თითოეულ შოლტს სამი ასეთი ფირფიტა აქვს, რომელიც ქმნის სამ კონცენტრულ წრეს. ფარს ნაპირებზე შემოვლებული აქვს ლითონის კოპლები, რომლებიც ბევრგან აკლია.

ფარის ხის ზურგზე დამაგრებულია ტყავის სახელური—საბღუჯი.

აღწერილი ფარი 1925 წელს სვანეთიდან—ს. სასაშის ეკლესიიდან ჩამოტანილია პროფ. გ. ჩიტაიას მიერ. ფარში ჩამჯდარი ყოფილა ისარი. ისარგაყრილი ფარის არსებობა, რაც სვანეთის ეკლესიის კედლის მოსართავს წარმოადგენდა, მეოცე საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მნიშვნელოვანი მოვლენაა.

საქ. მუზეუმის ფარების კოლექციათა შორის მოიპოვება ისეთებიც, რომლებიც მუზეუმში შემოსულია თითქმის 100 წლის წინათ. ასე, მაგალითად, ხევსურულ ფარებს შორის დაცულია კოლ. A № $\frac{25-66}{1}$ (სურ. № 2), რომელიც „კავკასიური მუზეუმის" ეთნოგრაფიის კაბინეტში 1854 წელსაა შემოსული. როგორც ბოლო ხანებში გაირკვა, ეს ფარი ხევსურულ კოსტუმთან და იარაღთან ერთად აღნიშნული მუზეუმისათვის გადმოუცია ქართველ ეთნოგრაფს, პოეტს და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მიხეილ თუმანიშვილს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რაფიელ ერისთავთან ერთად ამ მუზეუმის ეთნოგრაფიის კაბინეტის შექმნასა და ჩამოყალიბებაში[1].

დასახელებული ფარიც მრგვალი მოყვანილობისაა. დიამეტრი—$32^1/_2$ სმ. ფარის მასალად ტყავი და ლითონია გამოყენებული. ფარის ტყავ-ლითონი

[1] გ. ჩახაშვილი. საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიიდან—მიხეილ თუმანიშვილი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-ბ, გვ. 110. აღნიშნული ფარის ფოტოსურათი გამოქვეყნებულია გ. ჟორდანიას წიგნში — „კავკასიური მუზეუმის დაარსება", 1951, ტაბ. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთთან მჭიდროდ არის მიკოული, ლითონის თავკოპლიანი და ბოლო გაბრტყელებული სამსჭვლებით. ტყავის ზედაპირზე — შუაგულში დაკრულია ფარის რკინის გული — ოთხკუთხი ფორმის რკინა — „გუმბათის ხატი", რომ-

სურ. 3

ლის კუთხეები წაგრძელებულია ოთხი წვრილი „შოლტით" — „ვიდი"-თ. ასევე ფარის ზურგზე და ტყავის ზემოთ ერთმანეთის ჯვარედინად დაკრულია რკინის ორი გადამკვეთი შოლტი — „ვიდი". ყველა ამ ექვს შოლტს ზევიდან შემოვლებული აქვს ორი კონცენტრული რკალი „გირგოლი" (2—2½ სმ სიგანისა). პირველი რკალი ფარის „გუმბათიდან" დაშორებულია 10½ სმ, ხოლო მეორე 13 სმ. პირველი რკალი შეკედილია 25 სამსჭვლით, მეორე 38-ით. სამსჭვლებს შორის მანძილი 2-დან 3 სმ აღწევს. ფარის რკინის გული ტყავზე 8 სამსჭვლითაა დამაგრებული.



სურ. 4

ფარის ზურგი ტყავგადაკრულია, შუაში რკინის კაპებზე ჩამბმულია ტყავის სახელური „საღუჯი". იგი თასმითაა დაწნულ-დაგრეხილი. „საბღუჯის" ქვემოთ ფარის ორ კაპზე გამომბმულია ტყავის სამხრე ანუ მჯარსაკიდი. (სურ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარი ნახმარია, ოდნავ დაზიანებულია ფარის გარეთა წრე — „გირგოლი“ ადგილ-ადგილ ჩაჭრილია. ბრძოლის დროს განსაკუთრებით ზიანდებოდა ფარის გარეთა რკალი „გირგოლი“, რასაც ხევსურული ლექსიც ადასტურებს: „აცა, დაიცა, დამბერდო!“ შაჯანამ შაიგება ფარიო.

ფარის გირგოლი გააწყვეტინა, „შაჯან, გაგიწოდა მეჯარიო“[1].

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით[2] განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფარის დამზადების ხალხური ხერხები.

ფარის დამზადება დიდ დახელოვნებას და გამოცდილებას თხოულობდა. ფარს ყველა კი ვერ გააკეთებდა, არამედ ამ საქმეში საგანგებოდ დახელოვნებული მჭედელი იყო საჭირო.

სურ. 5

ჩვენ მიერ შეგროვებული მასალის მიხედვით ხევსურები ფარის დასამზადებლად იყენებდნენ ხარის გვის — „ნეჯრების“ ტყავს. ადგილობრივთა სიტყვით „უკარგის ტყავს ნახაზები გასდევს, კარგი კი უხაზოა, რკინასავით გალესილია“. ფარის ტყავად სწორედ ასეთ კარგ „უხაზო და რკინასავით გალესილ“ ტყავს[3] არჩევდნენ. ხარის გატყავების შემდეგ ტყავი ჯოხების საშუალებით „ქაღალდივით უნდა გაესწორებინათ“. გასწორებული ტყავიდან ფარისათვის მრგვალ ნაჭერს მოსჭრიდნენ გავიდან. ფარის ტყავს გასაშავებლად გაკვარტლული ქონით ჩაგლესავდნენ[4]. საფარე ტყავის დასამუშავებლად კერის ზეკით თაღიდან ჩამოსწვენდნენ კვარტლს და აღუღებულ წყალში ჩაჰყრიდნენ და აქვე ჩადებდნენ ტყავს. ტყავი „დილიდან მეორე დილამდის“, ე. ი. 24 საათი, უნდა ყოფილიყო მოთავსებული კვარტლიან წყალში. ტყავს შემდეგ გააშრობდნენ[5]. გიგია ჭინჭარაულის გადმოცემით საუკეთესო ფარის ტყავად კამეჩის ტყავსაც ხმარობდნენ.

[1] ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული, გვ. 43.

[2] ს. მაკალათიას ცნობით „ფარი აქ (ხევსურეთში — კ. ჩ.) ფასობს ხუთ გირვანქა ვრბოდ“ სტუდენტ გ. გასიტაშვილის მასალის თანახმად კი ფარის დასამზადებლად მჭედელი სამ ცხვარს თხოულობდა. ჩვენი მასალით ფარის დამზადება ერთი ცხვარი ღირებული. ფარის ღირებულების ცვალებადობა დამოკიდებული იყო გარემოების და დროის ცვალებადობაზე.

[3] ეთნოგრაფ მ. კვდელაძის ცნობით.

[4] მთხრობელ თ. ბურდულის ცნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედელი რკინას კვერით გრდემლზე—„ქურთემულზე“ ბრტყლად გაკუთხავდა.

რკინიდან თეგის საშუალებით მჭედელი გამოჭრიდა გირგოლებს და შოლტებს—ფარის რკინის ხიდებს, ან ცეცხლში დარბილებულ რკინას კვერით ქურთემულზე დაამრგვალებდა. ამის შემდეგ რკინასა და ტყავს „სახვრეტათი“ დახვრეტავდა. ნაჩვრეტებს დალურსმავდა და ფარის ზურგიდან ფარის წინა მხარეზეგამოსულ ლურსმნის წვერებს გრდემლზე კვერით დააფარეშებდა.

სურ. 6

სურ 7.

ფარს მჭედელი ჯერ გარე—პირველ „გირგოლს“ შემოაკრავდა, შემდეგ—მეორესა და მესამეს, შუაში კი ოთხკუთხა რკინას—„გუმბათის ხატს“ ჩასვამდა. ამგვარად ფარი ძირითადად მზად იყო.

ასე დამზადებულ ფარს რამდენიმე დღე საცხოვრებელი ბინის თავზეზე—„კეზის“ თავზე გასაკვარტლად ჩამოკიდებდნენ. ხარის ტყავის გარუჯვაზე ჩვენ ყურადღება საგანგებოდ იმიტომ შევაჩერეთ, რომ, როგორც შემდეგ დავინახავთ, ფარის ფერი—სიშავე გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება.

ფარის მასალად იყენებდნენ ავრეთვე ტახის ან შინაური დიდი ღორის გვერდის ტყავსაც. მუზეუმში დაცული რაჭული ფარის მასალად გამოყენებულია ღორის ტყავი (კოლექც. № 10—26/29). მას ჯაგარი ეხლაც ზედა აქვს შერჩენილი. ფარის მასალად ღორის ტყავის გამოყენების გამო, რომელზედაც ხუსტი ლითონია შემოელებული, რაჭულ ფარს ფორმა დაკარგული აქვს, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღუნულია. ფარის განმარტებისას საბა ორბელიანი გლემურმზე მიუთითებს, რაც მისი ახსნით არის: „ეშუსა ტყავსა და ჴორცთა შუა მაგარი გარსი რამე აქუს, ვიეთნი ფარად უწოდენ [(ველურის ტახის მაგარი რამე არს, შთატანებული ტყავთა და ჴორცთა შუა...)“ [1].

სურ. 8

„ქართლის ცხოვრებაში“ ვახტანგ გორგასალის ფარის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული. გორგასალისა და ოსეთის მხედარმთავრის ბაყათარის ბრძოლა აქ ასეა აღწერილი: „და ვერა ჰკრა ისარი, ორის ისრისაგან მეტი,

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყათარ ფარსა ვახტანგისასა, და ვერ ჰკუეთდა ყოვლად...“[1] გორგასალის ფარის დაუზიანლობის გამო ბაყათარს ისარი ვახტანგის ცხენისთვის უსვრია.

ან კიდევ „განაწესა ვახტანგ სპანი... და აღჯდა ტაიჭსა, შეეურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახვილი“[2]. ბერქენთა მხედართმთავრისა პალეკარტოს და გორგასალის ორთა

სურ. 9

ბრძოლა ასეა აღწერილი: „და დასცა ლახუარი პალეკარტოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განვლო ფარსა ვითარ წყრთა ერთი.

[1] „ქართლის ცხოვრება“. ანასეული ვარიანტი. თბილისი, 1942, გვ. 101—102.
[2] იქვე, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ იყო სიმსხო ლახურისა, ვითარ მკლავი კაცისა. და მისცა მეფემან ფარი იგი ლახურისა მისსა და მიეტევა პირისპირ, და სცა ჯრმალი ჩაბალახსა ზედა, და განაპო თავი მისი ვიდრე ბეკთამდე"[1].

სურ. 10

ე. ი. „ქართლის ცხოვრების" მეორე ცნობა ვახტანგ გორგასალის ფარის „ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილიო"[2], „ქართლის ცხოვრების" მომდევნო ცნობით არ მართლდება, რადგან პალეკარტოს „მახვილმა განაპო—„განავლო ფარსა წყრთა ერთი"[3].

სწორედ ეს მდგომარეობა გამოიყენა ვახტანგ მეფემ და „მისცა მეფემან

[1] „ქართლის ცხოვრება". ანასეული ვარიანტი. თბილისი, 1942, გვ. 118.
[2] იქვე, გვ. 101.
[3] იქვე, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარი იგი ლახუარსა მისსა და მიეტევა პირისპირ"[1]. და თავის ხმალი ისეთი სიძლიერით დაჰკრა პალეკარტოსს ჩაბალახზე, რომ თავი გაუპო ბეჭამდის. ამის შემდეგ აღწერილია ქართველი მებრძოლების მიერ დამპყრობლების დამარცხება. ვიგრს საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ვიგრი—ქართლის ცხოვრებაში სწერია: „ეხტანგს აქუნდა ფარი ვიგრისაო". წმინდა ბასილი სწერს: „ლომი, ვიგრი და ვეფხიო". აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის (კოროკოდილოს C) ტყავს უჴმობენ და ჴმელთა ცხოველიც არს (რომელსა სპარსნი დუზუბანს

სურ. 11

უწოდენ C) მისი ტყავი ეგრეევე ძვლით მოლურსმილია (...რომელისა] ტყავსა ფარად შემზადებენ, რომელსა სპარსნი ქარგარდანს უჴმობენ... B)"[2].

---

[1] „ქართლის ცხოვრება". ანასეული ვარიანტი. გვ. 118.

[2] ს ულ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჩუბინაშვილის განმარტებით: „ვიგრი—ვეფუხვია“[1]. აქვე აღსანიშნავია, რომ წმინდა ბასილი ერთად შემდეგ ცხოველებს ჩამოთვლის: „ლომი, ვიგრი და ვეფუხიო“[2]. მ. კედელაძის ცნობით მთიულეთში ფოცხვერს მიგრსაც უწოდებენ. მიგრის ტყავი პოეზიაშიცაა დადასტურებული.

სურ. 12

„როშკას ჩამოჯდა ზურაბა
მიიართვეს მიგრის ტყავია“.
ასევე: „როშკის—გორელთა ცისანთა
ჩაიცვეს მიგრის ტყავიო“[3].

---

[1] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. სანკტპეტერბურული, 1887.
[2] სულ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ელ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი. 1928.
[3] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული პოეზია, I. ხელნაწერული, თბილისი, 1931, გვ. 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. მიგრიაული ფშავშია, მაღაროს კარის სასოფლო საბჭოში, სადაც გვარად მიგრიაშვილები ცხოვრობენ. მიგრიაული ხალხურ პოეზიაში დასტურდება:

„ომია საყდარაჩია, სისხლი სწვიმს, მაღლა დარია,
შიგა ზის მიგრიაული, ბოლა ბუბუნებს ხარია“ [1].

ქართულ შეიარაღებაზე, კერძოდ, ფარის შესახებ საყურადღებო მასალას გვაწვდის ბერძნული წყაროები.

ჰეროდოტეს ცნობით „მოსხებს პატარა ფარები ჰქონდათ... ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები ასევე იყენენ შეიარაღებულნი ქსენქესეს ლაშქრობისას... კოლხებს... გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები ჰქონდათ“ [2].

ქსენოფონტეს აღწერილობით ხალიბებს, დრილებს, ტაობებს, მაკრონებს და ფასიანელებს დაწნული ფარები ჰქონდათ; მოსხებს კი დაწნული, ხარის ტყავით გადაჭიმული, თეთრმატყლიანი, ფათალოს ფურცლის ფორმის ფარები ჰქონდათ [3]. ასევე სტრაბონის ცნობით „იბერიელები.... დიდ ფარებს ხმარობდნენ“ [4].

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ქართული ფარის მასალად გამოყენებული ყოფილა ტყავი, ჰეროდოტეს ცნობით კი მოუქნელი ტყავი. გამოუქნელი ტყავის აღსანიშნავად ქართულში სულხან-საბა ორბელიანის ცნობით საგანგებო ტერმინი „ადიმი“ ყოფილა მიღებული. მისი განმარტებით: „ა დ ი მ ი — (ტყავი მოუქნელი)“ [5]. ასევე, ხევსურეთში დადასტურებული მასალის თანახმად, ფარის ტყავს არ გამოჰქნიდნენ, რადგან, მათი განმარტებით, გამოქნილი ტყავი დარბილებულია. ფარს კი რაც შეიძლება მაგარი ტყავი სჭირდება.

ტყავს ფარის მასალად იყენებდნენ ფარის სიმსუბუქისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფარიკაობაში. ტყავი ფარის მასალად გამოყენებული იყო აგრეთვე მისი სიმაგრის გამო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ზევიდან რკინით იყო შეკრულ-შეჭედილი.

ფორმათა ძირითადი მსგავსების გამო ჩვენ აქ სხვა ფარებას აღწერილობაზე ადარ შეეჩერდებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ხელთარსებული სამუზეუმო მასალა, ისე ლიტერატურული მონაცემები მიუთითებენ საერთოდ მრგვალი ფარების გავრცელებაზე საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ასევე მრგვალი ფორმის ფარებია გამოსახული XIX ს. ხატებზე, რომლებიც ამჟამად გამოფენილია ხელოვნების მუზეუმის სეიფში. ასევე მრგვალი ფორმის ფარი XVII საუკუნეშიაც არსებული საქართველოში, როგორც ამას მოწმობს ალ-

---

[1] ხალხური სიტყვიერება, III. პირველი, II სერია. მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 71.

[2] В. В. Латышев. Известия древных писателей о Скифии и Кавказе. Вестник древней истории, 1947, № 2, стр. 287.

[3] იქვე, გვ. 307—313.

[4] იქვე, ტ. 4, გვ. 220.

[5] სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელის ნახატები. კასტელის ალბომის მე-12 სურათზე გამოსახულია ფალავანი, როდ გამზადებული, ცხენზე მჯდომი მეფე თეიმურაზ პირველი, რომელსაც მარჯვენა ხელში უპირავს შუბი, მარცხენაში კი—მრგვალი ფარი (სურ. 8). ასეთივე ფორმის ფარია გამოსახული მე-14 სურათზეც. აქ ცხენზე უკვე თეი-

სურ. 13

მურაზის მეუღლე ხვარაშანი ზის, რომელსაც ასევე მრგვალი ფარი უპირავს ხელში (სურ. 9). ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია სალაშქროდ მომზადებული მამია გურიელი. იგი ცხენზე ზის, აცვია ჯაჭვის პერანგი და მარცხენა ხელში მრგვალი ფარი უპირავს, ხოლო მარჯვენა ხელი მოვლებული აქვს გრძელ შუბზე (სურ. 10). იგივე ითქმის დანარჩენ სურათებზედაც, რომელზედაც გამოსახულნი არიან: ბაშია ათაბაგი (სურ. 11), ვახტანგ გურიელი (სურ. 12), აფხაზთა მთავარი, ალექსანდრე მეფე, ლევან დადიანი (სურ. 13) და სხვები. მრგვალი ფორმის ფარია გამოსახული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცულ ცხენის ქვის ქანდაკებაზე. რომელიც თეთრი წყაროს რაზინალზეა არის ჩამოტანილი. ამ ქანდაკების მარცხენა გვერდზე გამოკვეთილია დასახელებული მრგვალი ფორმის ფარი, ხმალი, მშვილდი და კაპარჭი; მარჯვენაზე კი თოფი და გაურკვეველი საგანი (სურ. 14). ეს ქანდაკება მე-17 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.



სურ 14.

აღსანიშნავია, რომ წმინდა გიორგის გველეშაპთან ბრძოლის ცნობილი მოტივის ქართული ვარიანტით თითქმის ყველა დროის გამოსახულებაზე მრგვალი ფარებია მოცემული.

მრგვალი ფორმის ფარია გამოხატული მღვიმეს საყდრის ფრესკაზე, რომელიც ასევე მე-17 საუკუნით თარიღდება. უმეტესად ასეთი ფორმის ფარებია გამოსახული 13—15 სს. დავითნის ილუსტრაციებშიც[1]. პირველ სურათზე ასახულია ბრძოლა ციხე-სიმაგრესთან. მებრძოლები ციხიდან ნასროლ ისრებისა და ქვებისაგან თავს იცავენ მრგვალი ფარებით (სურ. 15).

იგივეა გამოხატული მეოთე სურათზე, სადაც ციხის ქვევით, მარჯვნივ მდგომი მებრძოლები თავს მრგვალი ფარებით იცავენ (სურ. 16). მრგვალი ფორმის ფარებია გამოსახული აგრეთვე ამავე ხელნაწერის სხვა სურათებშიც, როგორიცაა: საულის კარავი (სურ. 17), საული გამოქვაბულში,

[1] ძეგლის ქართული ვარიანტის გაფორმებას პროფ. შ. ამირანაშვილი XIII საუკუნით ათარიღებს, ხოლო ირ. სონღულაშვილი—XV საუკუნით. დავითნის ილუსტრაციები გამოფენილია საქართველოს მუზეუმის „XI—XIII საუკუნის მატერიალური კულტურის გამოფენაზე“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ არის მოწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჯის სცენა, აგრეთვე წმინდანების გამოსახულება. საყურადღებოა ამ გარეგნ მოება, რომ ამ ილუსტრაციებში გვხვდება ისეთი გამოსახულებებიც, რომელ-ზედაც ნაჩვენებია მხოლოდ ოვალური ფორმის ფარები (სურ. 18).

სურ. 15

დიდი ზომის ფარი (დელამფარი) ნახსენებია თქმულებაში ხევსურეთის ღვთისშვილთა ხახმატის ჯვარის მეთაურობით ლაშქრობის შესახებ: „გუდანის ჯვარსავ დელამფარი მახქონდისავ. ყველა ანგელოზნივ გუდანის ჯვარს მეეფარსავნესავ“ [1]. როშკის მთავარანგელოზს ვერ მოუსწრია გუდანის

[1] თინათინ ჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ქადაგობა ხევსურეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვრის დელამფარის მოფარება და სწორედ ამიტომ ის დარჩენილა ადგილზე, რადგან დაჭრილს მეტი ვეღარ ეშველა.



სურ. 16

დელამფარა ხალხურ პოეზიაშიც დასტურდება: „გადაჯე თავის ლურჯასა, აიღი დელამფარია!“ [1]

მრგვალი ფორმის ფარებია გამოსახული ბეთანიის ფრესკაზე და სვანეთიდან—ჯახუნდერიდან ჩამოტანილ ჩუქურთმიან ხის კარებზე. ფარების ეს გამოსახულებანი მეთერთმეტე საუკუნით თარიღდება.

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული პოეზია, I. ხელნაწერული, თბილისი, 1931, გვ. 115.
16. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წებელდის რელიეფზე (მეექვსე საუკუნის დასასრული და მეშვიდეს დასაწ-ყისი) გამოსახულ მებრძოლებს უპყრიათ ასევე მოგვალი ფორმის ფარები. ერთი მებრძოლის ფარი ზურგითაა გადმობრუნებული და ჩანს, რომ მებრძოლს ხელი

სურ. 17

ფარის საბღუჯში აქვს ჩავლებული (სურ. 19). აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საბღუჯი ჰგავს ქართულ-სვანურ, სვანურ და რაჭულ საბღუჯებს. წებელდის რელიეფი ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლადაა აღმოჩენილი ბრინჯაოს თავდასაცავი სარტყელები. მასთან ერთად არსად არ მოიძებნება ფარები, რაც ივანე ჯავახიშვილის აზრით შემდეგნაირად იხსნება: „ხოლოდ თუ სამარ-ხეებში მათი [ფარების—კ. ჩ.] კვალი არ არის აღმოჩენილი, იმავე მიზეზით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიზეზითაც იქნე შვილდისარი არასადა ჩანს: ბერძნული წყაროებითგან ცნობილია,— აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი,— რომ ქართველ ტომებს წნელისაგან მოწნული და ტყავ-გადაკრული ფარები უხმარიათ [და ასეთი] ფარები მიწაში რასაკვირველია განადგურდებოდა"[1].

სურ. 18

სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილია მრგვალი ფორმის ბრინჯაოს ფარის უმბოები, რომელიც მეუოვნის ძე. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს (X—VII სს.).

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტფილისი, 1928, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სინამდვილეს, როგორც ჩანს, ახასიათებდა მრგვალი ფორმის ფარები. დ. ჩუბინაშვილი ფარს ასე განმარტავს: „მრგვალი ფიცარი მეტალისა მეომართ სახმარი მოსაფარებლად“ [1].

ხეთების ომის ღმერთს, რომელიც ზენჯირლის [2] ციხე-სიმაგრეზეა გამოსახული, ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია, მარჯვენა ხელში წვერით მიწისკენ

სურ. 19

დახრილი შუბი უჭირავს, ხოლო მარცხენაში—ოვალური ფორმის მხრებშეზნექილი ფარი, რომელიც დაახლოებით რვიანს მოგვაგონებს [3]. ფარს ზურგზე გაკეთებული აქვს ვერტიკალური სახელური (სურ. 20).

ცნობილია ხეთური ფარის მეორე ფორმაც, რომელსაც თავი და ბოლო ზემოხსენებულ ფართან შედარებით უფრო დამრგვალებული და გაგანიერებული აქვს (სურ. 21). ასეთი ფორმის ფარები ხშირად გვხვდება ეგვიპტურ ძეგლებშიც, სადაც ხეთელი მებრძოლებიც არიან გამოსახულნი. ფარის ეს მეორე ფორმა განვითარებული უნდა იყოს პირველისაგან და არა ოთხკუთხე-

[1] დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. 1887.

[2] ზენჯირლის ციხე-სიმაგრე მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ემიჯნებოდა ჩრდილო მესოპოტამიას, თანამედროვე კილიკიის ტერიტორიაზე.

[3] პროფ. კონტენო ეჩაერება რა ფიესკებზე წარმოდგენილ გამოსახულებებს, მიუთითებს, რომ ამგვარი ფარები ეგიპტის სამყაროსათვის ფართოდ იყო ცნობილი. G. Contenau, Manuel d'archeologie orientale, 1931.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ფორმის ფარისაგან, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს. ჰანს ბონე ხეთური ფარების ფორმებთან აასოციებს მრგვალი ფორმის ფარსაც, რომლის უძველესი გამოსახულება ამავე ავტორის ცნობით ციხე-სიმაგრის ზეკირლის შიგნითა კარზეა მოთავსებული. ბონე ამ ძეგლს, ვარაუდით, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულით ათარიღებს.

ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით (ანუჩინი, ჰოკსი, ბონე და სხვები) მრგვალი ფორმის ფარის წარმოშობა ძირითადად ცხენოსნობას უკავშირდება. მაგალითად, ცნობილი მეცნიერის ანუჩინის მიხედვით „მრგვალი ფორმის ფარი უფრო მოსახერხებელია მხედრისათვის, როგორც გრძელი ფორმის ფარი ქვეითისათვის"[1]. მრგვალი ფარი[2] სახმარადაც მოსახერხებელია და ბრძოლის დროს დარტყმის უფრო ადვილად ამსახლეტი. საფიქრებელია, რომ მრგვალი ფორმის ფარის წემდეგი გავრცელება ხმლის წარმოშობასა და გავრცელებასაც უკავშირდებოდეს. შეიძლება ამითი აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ მრგვალი ფორმის ფარები ცხენოსნობასთან მათი თავდაპირველი კავშირის მიუხედავად გავრცელდა ქვეითად სახმარადაც.

როგორც აღვნიშნეთ, ხეთური ტიპის ფარებს ახასიათებს სიმრგვალე; პირველ შემთხვევაში თუ ხეთური ფარის ორი რგოლი ვერტიკალური სახელურითაა ერთმანეთთან შეერთებული (სურ. 20), მეორე შემთხვევაში კი ხეთურ ფარს უკვე ერთიანი დამრგვალებისაკენ აქვს ტენდენცია (სურ. 21). ამის გამო ჰანს ბონე იძულებული გამხდარა მრგვალი ფორმის ფარი მიეკუთვნებინა ხეთური ფარების ტიპებისათვის, რასაც შემდეგ უარყოფს[3].

ჰ. ბონე შესაძლებლად მიიჩნევს მრგვალი ფორმის ფარის თავდაპირველ სამშობლოდ ასურეთი ჩაითვალოს, თუმცა დასძენს, რომ ასურულ არმიაში მრგვალი ფორმის ფარი ასურბანიპალის უწინარეს არ გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფარის ეს ფორმა შეიძლება არც ასურული წარმოშობის იყოს, ორამდე ზღვაზე მცურავ დასავლეთ ხალხიდან მომდინარედ ჩაითვალოსო, რადგან ჰ. ბონეს აზრით მრგვალი ფორმის ფარი მათთვისაცაა დამახასიათებელი. ან რა გასაკვირია ინდოევროპული მეცნიერის მიერ ასეთი აზრის წამოყენება. ჰ. ბონე მრგვალი ფორმის ფარის წარმოშობის შესახებ წამოყენებულ ვერც ერთ დებულებას საბოლოოდ ვერ ასაბუთებს. მაგალითად, ჰ. ბონე საბოლოოდ დასძენს, რომ მის ამ უკანასკნელ მოსაზრებას ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ მას მაინც არ უნდა დავეყრდნოთ. ამდენად ჰ. ბონე მრგვალი ფორმის ფარის წარმოშობისა და სადაურობის საკითხს გადაუწყვეტლად ტოვებს.

ორიოდე სიტყვა დასმულ საკითხზე—მრგვალი ფორმის ფარი ხეთების კუთვნილებაა თუ ასურელებისა. პირველ ყოვლისა, ეფასებოდა თვით ჰ. ბონეს მასალით: ბონეს არგუმენტი იმის უარსაყოფად, რომ ზენეჯირლის ციხე-სიმაგრეზე გამოსახული მრგვალფარიანი მხედარი ხეთელი არ არის, ისაა, რომ თით-

---

[1] Дм. Анучин. Луки и стрелы. М., 1887, стр. 12—13

[2] მრგვალი ფორმის ფარის წარმოშობის შესახებ ამავე ახრს იზიარებენ. М. М. Денисов, М. Э. Портнов, Е. Н. Денисов. Русское оружие. Москва, 1953, стр. 51.

[3] H. Bonnef. Die Waffen der Völker des alten Orients. Leipzig. 1926, s. 181—201, Schild.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს ხეთები XIII ს. ძვ. წ. ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ცხენოსნობას. ცნობილი კი არის, რომ ხეთებს ვაცილებით ადრე ჰქონდათ ურთიერთობა სუბარებთან, რომლებმაც უკვე XVIII ს. ძვ. წ. ა. გამოიყენეს ცხენი მსუბუქ საბრძოლო ეტლში და დიდ საჰხედრო ძლიერებასაც მიაღწიეს. მათ დაიპყრეს

სურ. 20

სხვა ხალხები და მათ შორის ხეთებიც. ცნობილია ისიც, რომ XIV საუკუნეში თვით ხეთები კვლავ გაძლიერდნენ და ახალ წარმატებას მიაღწიეს [1].

ხეთების ცხენოსნობის შესახებ აკად. სტრუვე აღნიშნავს: „ჩვენ ხეთების ჯირითის სახელმძღვანელოს ავტორებსაც ვიცნობთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჯირითის წიგნში მთელი ტერმინოლოგია არა ხეთური, არამედ მიტანიური

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1945, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის“ [1]. აღსანიშნავია კიკია ხურიტელის (მე-12 საუკუნის ძველი წელთაღრიცხვით) ცნობილი ტრაქტატი ცხენის შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენის მოშენებისა და გაწრთვნის წესები.

პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, ზენაჯარლის ძეგლზე უმეტესად ქვინტიანი ფეხსაცმლით არიან გამოსახულნი. თუ დავაკვირდებით პირველი ფარიანი მხედრის ფეხსაცმელს (სურ. 22), შევნიშნავთ, რომ მას ტენდენცია აქვს ქვინტიანწვერიანობისაკენ. პროფ. გ. ჩიტაიას გამოკვლევით „ფეხსაცმელი მოკაუჭებული ქვინტით, ხურულ-თეშუბ-ხეთური მატერიალური კულტურის დამახასიათებელი და თავისებური ელემენტია. ხურულ-თეშუბ-ხეთურ ეთნიკური წრის ამ თავისებური ელემენტის პარალელი ქართულ-დაღისტანურ ქვინტიან ფეხსაცმელშია მოცემული. იმდენად, რამდენადაც ეს დამთხვევა ქართულ-დაღისტნური და ხურულ-თეშუბ-ხეთური მატერიალური კულტურის ელემენტების შეხვედრის ერთად-ერთი და იზოლირებული შემთხვევა არ არის, ამდენად ეს პარალელი შეიძლება სცილდებოდეს ტიპოლოგიურ მსგავსებას და კულტურულ-გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებელი იყოს“ [2].

3. ბონეს ცნობით ასურელები მრგვალი ფორმის ფარს ასურბანიპალზე ადრე არ იცნობდნენ. მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით მრგვალი ფორმის ფარი დაკავშირებულია ცხენოსნობასთან. ამ აზრს იზიარებს თვით ჰ. ბონე. ამ მხრივ, თვალს თუ გადავავლებთ ხელთარსებულ მასალას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სუბარები სამხედრო ხელოვნების ნოვატორებად ითვლებოდნენ, რადგან მათ გამოიგონეს მსუბუქი ორთვლიანი საბრძოლო ეტლი, რომელშიც ცხენს ამამდნენ. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სუბარეს „რამდენიმე საუკუნე მორჩილებაში ჰყავდათ თვით ასურეთიც“ [3]. თუბალისაკენ ასურელებს იზიდავდა ოქრო-ვერცხლთან ერთად საუკეთესო ჯიშის ცხენებიც [4]. ასურელებს აოცებდა ხეთურ-სუბარული ცხენოსნობის ოსტატობა. ასურეთის მეფე სარგონის ცნობით მანელები საგანგებოდ სთესდნენ ცხენის საკვებ ბალახსაც-კი [5]. ისინი „განსაკუთრებით განთქმულნი ყოფილან თავისი მეცხენეობით,— აქაური მეცხოვრებთ მეცხენეობა-ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავდათ მთელ ურარტუშიო, ამბობს სარგონი. ცხენებს უშვებდნენ ველზე ჯოგებად და თავლაშიც დაბმული ჰყავდათ. ცხენებს ხელნიდნენ უმთავრესად ეტლებში შესაბმელად (აქ უფრო საომარი ეტლი იგულისხმება), ამ მხრივ მანელები აოცებდნენ ასურელებს. „ისე ჰყავთ ცხენები გაწრთვნილი, რომ არასოდეს არ გასტეხენ ეტლის ხელნასო“ [6], ე. ი. ასურელები ხეთურ-იბერული ცხენოსნობით გაოცებულნი ყოფილან.

---

[1] აკად. სტრუვე. ძველი აღმოსავლეთის ისტორია. თბილისი, 1946, გვ. 292.

[2] გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული პარალელები, I. ქართული ქვინტიანი ფეხსაცმელი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, 1940, გვ. 314.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1946, გვ. 21.

[4] იქვე. გვ. 35.

[5] იქვე. 38.

[6] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთქმულიდან შემდეგი ირკვევა: ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია უმეტესად მრგვალი ფორმის ფარები, რაც პარალელებს ისტორიულ-არქეოლოგიურ[1] მონაცემებში პოულობს. ასევე მრგვალი ფორმის ფარების ხეთებში გავრცელება გვაფიქრებინებს იმას, რომ შესაძლებელია სწორედ აქ, ხეთებში, ე. ი. ყოველ შემთხვევაში ხეთურ-იბერულ სამყაროში, წარმოიშვა მრგვალი ფარი, რადგან ცხენოსნობის განვითარება აქ განსაკუთრებით შეიმჩნევა. ჩვენი აზრით, ამას ასაბუთებს ბონეს მიერ მითითებული ზენჯირლის კარზე გამოსახული მხედარი.

ბონეს უკანასკნელ მოსაზრებას მრგვალი ფორმის დასავლეთიდან შემოტანის შესახებ რომ არ უნდა დავეყრდნოთ, თვით ბონე მიგვითითებს.

სურ. 21

ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებას არც ანგარიში უნდა გაეწიოს, რადგან შეიძლება ჩვენ აქაც შევნიშნოთ ის ტენდენცია, რომლის მიხედვით ბურჟუაზიული მკვლევარები კულტურის თითქმის ყველა მონაპოვარს ინდოევროპული წარმოშობისად მიიჩნევენ. ბონე კონკრეტულად არ ასახელებს რომელიმე ხალხს. როგორც ცნობილია, საომარი ეტლი და თვით ცხენიც ეგვიპტელებმა აზიიდან შესული ხალხის საშუალებით გაიცნეს მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში[2].

[1] მდ. იერის მარცხენა ნაპირზე, სად. ბადიაურიდან (კავკეთის რაიონი) ოთხი კილომეტრის დაშორებით, 1953 წ. ტრაქტორისტმა ა. აბრამიშვილმა ტრაქტორით ჩვნის დროს აღმოაჩინა ბრინჯაოს ორი ორთითა ფიწალი და ბრინჯაოსივე მრგვალი ფორმის ფარი; მისი შუა ნაწილი ამოზნექილია. ტყავისა და სპილენძის დასამაგრებლად ფარს სასამკვლე ნახვრეტები აქვს დატოვებული. ფარი (ინვ. № 1—5 1/2, სურ. 23) დახიანებულია. დიამ. დაახლოებით 40 სმ უდრის. ჩვენი თემისათვის ეს მეტად მნიშვნელოვა მნიშნაპოვარი ძ.წ. XII—IX სს. თარიღდება, „ესოდენ ძველი, მთლიანი ბრინჯაოს ფარის აღმოჩენა ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე" (ვ. ცისკარიშვილი. საინტერესო აღმოჩენა, გაზ. „კომუნისტი", 1953 წ., 20.XII, № 299, 9767).

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1946, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია უბის ფარის ლითონისა, რომელიც ზომით ჩვეულებრივ ფართან შედარებით პატარაა. (სურ. 24). უბის ფარიც მრგვალი მოყვანილობისაა, მისი დიამ.—21 სმ. უბის ფარის მასალად მხოლოდ ლითონია გამოყენებული.

ფარის ზედაპირზე, შუაგულში დაკრულია ფარის რკინის გული—ოთხკუთხი ფორმის რკინა—„გუმბათის ხატი", რომლის კუთხეები წაწვეტებულია

სურ. 22

ოთხი „შოლტით"—„ჭიდით". ამ ოთხ შოლტს ზევიდან წრიულად შემოვლებული აქვს ერთი რკალი „გრგოლი" (2 სმ სიგანისა), რომელიც ფარის „გუმბათიდან" დაშორებულია 6 სმ. ფარის გრგოლი ფართან დამაგრებულია ცამეტი ლითონის თავკოპლიანი და ბოლოგაბრტყელებული სამსჭვალით.

უბის ფარი ზურგიდან ლითონგადაკრულია. შუაში რკინის ოთხ კაპზე ჩაბმულია ფარის საბღუჯი.

ფარულად გულის დასაცავად უბის ფარს ჩოხის ქვეშ ატარებდნენ. მას საბრძოლველადაც იყენებდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მებრძოლს არ გააჩნდა სხვა საბრძოლო იარაღი, მარჯვენა ხელით ამოაძრობდა უბეში საბღუჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოხისაკენ მოქცეულ ფარს, რათა მოწინააღმდეგისათვის შემოეკრა ის[1]. ამგვარამ მისი მთავარი დანიშნულება იყო გულის არის დაცვა[2].

უბის ფართან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონსტანტინე ქართველი ბაგრატიონების წარმოშობის ისტორიას ასე იწყებს: „...ისინი ყოფილან ორნი ძმანი, დავითი და სპანდიატესი, ამ უკანასკნელს, როგორც ისინი გვიამბობენ, თურმე ღვთისგან მინიებული ჰქონდა ისეთი ძალა, რომ ბრძოლაში არაფითარ იარაღს არ შეეძლო მისი დაკოდვა სხეულის არცერთ ასოში, გარდა გულისა, ხოლო გულს იგი რაღაც საფარით იცავდა“[3]. აკად. ე. თაყაიშვილის შენიშვნით ეს ფარი რვალისა უნდა ყოფილიყო, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ ეს გმირი „სპანდიატ-რვალის“ სახელით იხსენიება.

სურ. 23

ბომ არ შეიძლება სამთავროს ორმოსამარხებში აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ბრინჯაოს უმბოები, რომლებიც ეკუთვნის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს (X—VII ს.), უბის ფარების შორეულ წინაპრებად ჩაგვეთვალა? მცირე ფარისათვის საგანგებო ტერმინი ყოფილა: საბას განმარტებით „პელტ—ეწოდების მცირესა ფარსა...“[4]

ფარის აღმნიშნელ ტერმინად ძველ ქართულში გვხვდება დარაკა. სულხანსაბას განმარტებით: „დარაკა—ფარია“[5]. შოთა რუსთაველი ხმარობს „ხრმალ-

---

[1] ფარის კარგად გამოყენებაზე აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე. „დროზე ნაბმარი ფარიცა იგივე ხმალი არის“. ი. ჭ., ტ. I, გვ. 91.

[2] მ. წიკლაურისაგან ჩავიწერეთ შემდეგი ლექსი: „ჯარსე ნასდომსა ვაეებსა უბეში ედო ფარია“.

[3] სუმბათ დავითის ძე. ქრონიკა. ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 23.

[4] საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1928.

[5] იქვე, 1951, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაკიანს“: „შემოვლო, ახლოს შემოჰყვა მონა ხრმალ-დარაკიანი“[1], ე. ი. ხმალ-ფარიანი. დარაკა ვისრამიანის ქართულ ვარიანტშიაცაა მოხსენებული.

სარგონის მეთაურობით ასურელებმა მეფე ურზანას მიერ მიტოვებულ ქ. მუსასირში ურზანას სასახლე რომ გაძარცვეს აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად „ასურელებს აქ ხელში ჩაუვარდათ სხვათა შორის 6 ოქროს ფარი, „12 ვერცხლის ფარი, რომლებიც მოსართავის სახით ჩამოკიდებული ყოფილა ტაძრის კედლებზე“[2]. ჩვენში ოქროს ფარის არსებობის შესახებ ასეთი მასალა მოგვეპოვება: დამოწმებულია ტერმინი „ვეშაკაპანი“. სიბას განმარტებით: „ვეშაკაპანი—ფარის სახე“[3]. დასახელებული ტერმინი ასეთ კონტექსტში გვხვდება: „და ჰქმენ ვეშაკაპანი ოქროსაგან წმინდისა“, ე. ი. გაკეთე წმინდა ოქროსაგან ფარი, ან, სიბას განმარტებით, ფარის ესა თუ ის სახე.



სურ. 24.

ასევე ხელნაწერ № A 869-ში ლიპარიტის შესახებ ვკითხულობთ „ეგრეთ შეპურველი ამჴედრდა ცხენსა, და გარდაიგდო ოქროით მოჴედილი ფარი ბეჭსა ზედა... და ოქროით მოჴედილისა ფარისა მისგან და მუზარადისა მიერ სხივნი სცვოდენ ვითარცა მზისა მიერ...“[4].

ოქროს და ვერცხლის ფარები იყო მუსასირის ტაძრის მოსართავად გამოყენებული. ასევე ფეოდალურ საქართველოში ფარ-ხმალით ესა თუ ის პიროვნება აჰყოლიენებდა თავის სიძლიერეს. მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „მტბევარსა ზედა დარბაზს მისსა საჯდომსა უკანით, მისსა მოლარეთუხუცესსა ფარი და ხმალი აქვს უკანით არის რომელ ერისთავიც არის შეგზეთისა“[5], მეოცე საუკუნეში სვანეთის ეთნოგრა-

[1] შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. 1937, გვ. 228.
[2] გ. მელიქიშვილი. ურარტუ. თბილისი, 1951, გვ. 96—97.
[3] სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. 1928.
[4] აკად. ს. ჯანაშია სახ. სიბ. ხელნაწერთა ფონდი. ხელნაწერი № 864.
[5] ე. თაყაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება. 1920, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ეკლესიის კედლის მორთვა ფარეწით. ეკლესიის კედლებზე ჩამოკიდებული ფარები ღელასწულებზე გარეთ გამოჭქონდათ და ისარს ესროდნენ. ამის მაგალითია სვანეთიდან ჩამოტანილი ფარი, რომელსაც ისარი ჭქონია გაყრილი. ასევე ფეოდალური საქართველოს ოჯახების ცენტრალური კედლის მთავარ მორთულობას ფარ-ხმალი წარმოადგენდა, რომლის მთავარი ადგილი სწორედ ფარს ეპირა.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ფარების ტექნოლოგიური მხარე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, რადგან იგი უკავშირდება საკითხს ე. წ. ყარაყალღანების შესახებ. როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეების არაბი ავტორები აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში ასახლებენ ხალხს „ყარაყალღანების“ სახელწოდებით. ეს ცნობა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ყარაყალღანი შეიძლება ქართულად ითარგმნოს შავ ფაროსან ხალხად. ქართულ სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ხევსურული ფარის დამზადებას, ყარაყალღანების ქვეშ აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა, კერძოდ, ხევსურები, უნდა ივარაუდებოდეს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მე-17 საუკუნეში არაგვის ხეობებში მცხოვრებ ხალხს ყარაყალღანებს უწოდებენ[1].

როგორც დავინახეთ, დამზადების თავისებურება ხევსურულ ფარს გარკვეულად შავფერს აძლევს—ეს არის ერთი მხრით რკინა და მეორე მხრით თვით ტყავი, რომელიც ჰვარტლით საგანგებოდ იგლესებოდა.

ჭქონდა თუ არა შავი ფარების დამზადებას წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ეს მხოლოდ დამზადების თავისებური ხერხებისა და ტექნიკის შედეგი იყო, ამას საგანგებო შესწავლა სჭირდება. საკითხის ასე დაყენებას იწვევს ისტორიული ცნობა განსაზღვრული ფერის ფარების არსებობის შესახებ. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის არმიაში, ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ, შეიქმნა რჩეული რაზმები, რომლებიც ფარების სახეობის მიხედვით განსაკუთრებულ სახელებს ატარებდნენ. ასეთი იყო „ვერცხლის ფაროსანთა“, „თეთრ ფაროსანთა“ და „სპილენძის ფაროსანთა“ რაზმი[2].

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენას ხსნიან იმ ინტერესით, რომელიც ერთიანი სამხედრო ფორმის შექმნისაკენ იყო მიმართული[3].

---

[1] ვ. ფუთურიძე. მოჰამედ თაქრის ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკეთი 30, 1953.

[2] Эллинетическая техника, сборник статей под редакцией акад. И. И. Толстого, 1948, стр. 273.

[3] იქვე, გვ. 279.

К. К. Чолокашвили

ГРУЗИНСКОЕ БОЕВОЕ ОРУЖИЕ
ЩИТ

Резюме

В фондах отдела этнографии Государственного Музея Грузии им. С. Джанашиа хранится богатая коллекция грузинского боевого оружия, в том числе и коллекция щитов; эти щиты, по своей форме все круглые, составляют один тип и по материалу и технике изготовления подразделяются на три группы: 1. Деревянные щиты, обтянутые кожей, 2. Кожаные щиты с металлическими частями и 3. Металлические щиты холодной ковки.

В работе дается описание техники изготовления щитов по отдельным процессам.

По этнографическому материалу для изготовления щитов хевсуры употребляли закопченную сажей бычачью сыромятную кожу. В этой связи автор вновь ставит вопрос об идентичности „Каракалганов"—„чернощитных" (носящих черные щиты) с хевсурами.

Привлечением сравнительного иконографического, исторического и археологического материала, можно притти к выводу, что круглый щит является самобытным элементом грузинского боевого оружия.

Наряду с этим можно также связать начальную форму грузинского щита с изображениями щитов на хетских памятниках.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ბ, 1954
Вестник Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1954

ნ. რეხვიაშვილი

სამეურნეო ნაგებობა „ლუი“ სამხრეთ საქართველოში

I

1936 წ. ზაფხულის დამლევს (20/VIII—20/IX) პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა თრიალეთის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა თრიალეთის ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლას.

ზემო ქართლის ეს მხარე შეიცავს მდ. ქციას ხეობის ჩრდ.-დასავლეთ ნაწილს, რომელიც დაბა წალკის მაღლობებიდან მოკიდებული, ვიდრე ერჯევანისა და თრიალეთის მთების კალთებამდე, ერთ ვრცელ, ჩაქვაბულ დავაკებას წარმოადგენს. თრიალეთზე გადის მდ. ქცია, რომლის ნაპირებზე, მცირედ შეფერდებულ ადგილებში, გაშენებულია მრავალი სოფელი. ვახუშტი ასე აგვიწერს ამ კუთხეს: „ხოლო ამა თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა“... ცოტა ქვემოთ: „ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი ერავალნი: დიდთა ნადირთა, ფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევენიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლით, ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა. თვინიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“[1].

თრიალეთის დღევანდელი მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობის მხრით ნაციონალური სიჭრელით ხასიათდება. მათი მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენს. მოსახლეობა მთლიანად კოლმეურნეობაშია გაერთიანებული და შემლებულად ცხოვრობს.

ცნობილი ფაქტია ის გარემოება, რომ თრიალეთის აწინდელი მოსახლეობის უმრავლესობა გადმოსულია, ამ ერთი საუკუნის წინ, თურქეთიდან, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებიდან[2]. ამ ახალ მოსულთ ადრინდელ ეკონომიურ-კულტურულად აყვავებულ მხარეში—თრიალეთში დახვდათ მოსახლეობით გაერთანებული, მაგრამ უამრავი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ისტორიული ნაშთებით აღსავსე მიდამოები; ნახევრად დანგრეული სოფელ-დაბანი, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს გეოგრაფია. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფ., 1904, გვ. 54.

[2] გ. ჩ ი ტ ა ი ა. წალკის ურუმების ეთნიკური შემადგენლობა. წერილი, 1952.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებობანი და სხვ. ამ მემკვიდრეობის ნაწილი მათ მზამზარეულად აითვისეს, ნაწილიც თავისი საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად გადააკეთეს, ხოლო ერთი ნაწილი სრულიად გამოუყენებელი და აუთვისებელი დარჩათ.

ამგვარად, თრიალეთი როგორც თავისი წარსული, ისე აწმყო სინამდვილით მდიდარი და საინტერესო ეთნოგრაფიული მასალის შემცველია. ექსპედიციის მუშაობამ ამ არეალზე მკაფიოდ დაგვანახა დიდად საყურადღებო ძველი ქართული ნივთიერი ძეგლები, რომელთა გამოვლენებას, ჩვენი კულტურული წარსულის გასათვალისწინებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

II

თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავლად დაცულ სამეურნეო ხასიათის ძველ ნაგებობათა შორის, განსაკუთრებით, ყურადღებას იქცევს თავისებური აღნაგობისა და მოყვანილობის ორმოები. ამჟამად, მათ ადგილობრივი მცხოვრებნი სახელად „ღუი"-ს || „ყუი"-ს და „ღუ"-ს უწოდებენ.

„ღუი" წარმოადგენს მიწაში ქვევრისებურად ჩაჭრილ ორმოს, რომლის ყველა კედლები ქვიტკირითაა ამოშენებული. ასევე მისი ყელი და ძირი ქვიტკირითაა კედლებს შემტკიცებული. საშენ მასალად გამოყენებულია ადგილობრივი რიყის ბრტყელი ქვა, სილა და კირი. „ღუი"-ს შიგნითა ზედაპირი, როგორც კედლები, ისე ძირი, შელესილია მთლიანად საგანგებოდ შეზავებული კირისა და სილის ანაზელით[1]. მოყვანილობით მისი ფუძე წრეს წარმოადგენს, ხოლო ტანი თავდა გუმბათს ჰგავს. ფუძიდან დაწყებული „ღუი"-ს ტანი თანდათან ფართოვდება, ვიდრე მუცლის ზედა არესთან მისი გარშემოწერილობა უდიდეს რადიუსს არ მიაღწევს. ამ ხაზიდან მოყოლებული მისი მოცულობა თანდათან კლებულობს და ვიწროვდება, ვიდრე ბეკებთან, დიდი ქვევრის მსგავსად, ყელს არ დაიყენებს. ყელამდე „ღუი" დაფლული არის მიწაში, ყელის ზევით მიწის ზედაპირს რამდენიმე სანტიმეტრით (საშუალოდ 10—25 სმ) „ეზეითება" (სცილდება). ყელი შესაწყვნელი ერთიანი, ან ოთხი გულამბჯრილი ქვით, რომელიც შეადგენს ამასთანავე „ღუი"-ს თავს (სურ. 3). თავზე დაფარებული აქვს გამწე, ბრტყელი ქვის სარქველი, რომელიც საკმაოდ დიდი ზომის არის, ისე რომ ერთ კაცს მისი აწევა კიდეც გაუჭირდება (სურ. 4). ამ სახით შეყელული და დასარქვლეულები „ღუი" თავისი გარეგანი შეხედულებით ძლიერ წაგაგზავს მიწაში დაფლულ ჩვეულებრივ საღვინე ქვევრს (იხ. სურ. 1, სარქველმოდგილი „ღუი").

გამწე სარქველი, რომელიც ნაწილობრივ გადაშვერილია „ღუი"-ს თავითგან, ადვილად ფარავს მას წვიმის ზესხმიდან, ხოლო მოვარდნილ ნაწვიმარ წყალს მაღალი ყელი არიდებს, რომლის გარშემო შემოყრილია მიწა ბორცვად (სურ. 2).

---

[1] ამ ხსნარის ანალიზს შეუძლია შუკი მოფინოს და გაარკვიოს, სახელდობრ, რა როდენობისა და რა და რა მასალისაგან შედგება იგი. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ მაღალი ხარისხის „ცოწიწი" უნდა იყოს. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას მისი ასე საღად და სავსებით პირმტკიცედ შენახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღუი“ უაღრესად მკვიდრი ნაგებობაა, დიდი ზრუნვითა და მონდომებით ნაშენები. ერთიანი, გადალესილი შიგნითა პირით იგი კაცს ნამდვილი თიხის კეცი ეგონება და არა ქვიტკირით ნაგები. თავისი ფორმითა და აღნაგობით იგი მაღალ სახუროთმოძღვრებო პრინციპებსა და წესებზეა დამყარებული. ამ მხრით, „ღუი“ ძირეულად განირჩევა ჩვეულებრივი სახის უბრალო ორმოებისაგან. ამგვარი ორმოები საერთოდ უგეგმოდ და ერთიანი სისტემის გარეშე ითხრება. მისი გაკეთება შედარებით ადვილია და თითქმის ყველას შეუძლია.



სურ. 1. „ღუი“—სარქველ ახდილი

„ღუი“-ს აშენება კი ყველასათვის ხელმისაწვდომი და შესაძლებელი არ არის, რამდენადაც ამას მისი კონსტრუქცია ამყოვანებს, იგი „მცოდნე ხელს“ და სახუროთმოძღვრებო წესების დაცვას მოითხოვს. ეს გარემოება არსებითად განასხვავებს „ღუი-“ს უბრალო ორმოებისაგან (ნახაზი 1, 2, 3).

„ღუი“ გავრცელებულია მთელ თრიალეთში. იგი უკლებლად გვხვდება ყველა სოფელსა და ნასოფლარში. განსაკუთრებით, მრავლად შემონახულა იგი ძველ დაბა წალკაში (ჭუნია-ყალა), რომელიც მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს[1].

თითოეული სახლის წინ აქ, ხშირად წარმოდგენილია 4—5 ამგვარი „ღუი“, რომელსაც შეიძლება „ორმონაშენი“ ეწოდოს. თრიალეთის აწინდელ ეთნო-

[1] ამჟამად დაბა წალკის დასახლების ადგილი ხრამჰესის წყლის საგუბრით დაძირულია. მოსახლეობამ ადგილი გადაინაცვლა 2 კმ სამხრეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფიულ ვითარებაში მათი ნამდვილი დანიშნულების და თავდაპირველი ფუნქციის მიგნება გაძნელებულია. წინასწარი ცნობების საფუძველზე, სიტყვიერი წყაროების მიხედვით, ამგვარი ორმოები სხვადასხვა მარცვლეულის მოსაცავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ჩვეულებრივად 3—4 ამგვარი „ღუი“ ახლო განლაგებული შეადგენდა თითოეული მოსახლის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსის შემადგენელ ნაწილს. იგი ერთგვარი ბელელი იყო, სადაც ინახებოდა სხვადასხვა მარცვლეული. დამარაგების შემდგომ დასარქველებული და მომიწული „ღუი“ პირდაპირ რჩებოდა ღია ცის ქვეშ, ან გადიხურებოდა რითიმე.



ნახ. 1. „ღუი“, სოფელი ჰუნიაკალა (თრიალეთი)

სრული გამოკვლევების მხრით ეს „ორმოები“, როგორც ჩანს, დამახასიათებელია თრიალეთის მხოლოდ უწინდელი მკვიდრი მოსახლეობისათვის. ახლანდელი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში კი იგი დამხმარე ნაგებობის როლს ასრულებს. მისი გამოყენება უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს.

როგორც ცნობილია, თრიალეთის სინამდვილეში შრავალი საყურადღებო ძველი ნაგებობაა—საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ხასიათისა (გვირგვინიანი დარბაზები, ზეთის სახდელი ქარხნები, ორმო-ნაშენები, ეკლესიები და სხვ.), რომელიც იქ დაუტევა თურქთა დალეკთა მიერ უწყალო დარბევებით განაწამებმა ქართველმა მოსახლეობამ, ნაწილობრივ იქნა ათვისებული ახალგადმოსახლებულთა მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ თავდაპირველ საცხოვრისზეც უნდა ჰქონოდათ საქმე კულტურის ანალოგიურ მოცულობებთან. კერძოდ, მიწაში ნაგებობანი უცხო არ უნდა ყოფილიყო მათთვის[1]. ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ორიალეთის ახალშენთა ყოფაში რეალური თვისება ჰპოვა „გლეხურმა დარბაზმა“, ზეთის სახდელმა ქარხანამ („ბაზირხანამ“) და „ღუი“-მ.

სურ. 2. „ღუი“—გამწე სარქველიანი

„ღუი“-ს საყოველთაო გავრცელება, ტევადობა, რიცხვი და, რაც მთავარია, მკვიდრი აგებულება ამტკიცებს, რომ მისი მხმარებელი მოსახლეობა საკმაო ეკონომიურ შეძლებულებისა იყო და რომ მათ სამეურნეო ცხოვრებაში დიდი როლს თამაშობდა.

საყურადღებოა, რომ „ღუი“ ქართული დარბაზის წყობაში, რომელსაც საერთოდ საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის „შრამელის“ ერთ ჭერქვეშ თავმოყრა ახასიათებს, ცალკე, დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენს. უნ-

[1] ზ. ჩიტაია. ორიალეთის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის. ხელნაწ. (იხ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის გამ-ის არქივი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვივარაუდოთ, რომ მისი ეს ხასიათი გაპირობებულია ფუნქციის თავისებურებითა და რეალური ობიექტური მოთხოვნილებით. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ „ღუი“ არ იყო ყოველდღიური, სახელდახელო და წარამარა მისასვლელი პურეულის საცავი ბეღელი, რომ მასში, პირველ რიგში, საკვების სათადარიგო მარაგი ინახებოდა, ან სათესლე და ზაფხულის ფონდი, როგორც ამას ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებს. რაც



ნახ. 2. „ღუი“, სოფ. ედიქილისა (თრიალეთი)

შეეხება ყოველდღიურ და საბელდახელო სარჩოს, იგი ინახებოდა სახლს შიგნით, საგანგებო საცავ ჭურჭელში[1] (ხის ამბარი, თიხის დორა, ტილოს ტომრები, ხის კასრები და სხვ.), როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად თრიალეთის მოსახლეობის ყოფაში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გთვალისწინებულ იქნეს „ღუი“-ს შინაგანი ტექნიკური შესაძლებლობა და ცალკეული დამახასიათებელი მხარეები. ამ მიმართებით იგი რომ ხის ჩვეულებრივ ბეღელს

[1] უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიზნით აქ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხის ბეღელიც, რასაც ფაქტიური სინამდვილე ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევადაროთ, მათ შორის არსებით განსხვავებას შევამჩნევთ. ხის ბეღელი, როგორც ვიცით, დატიხრულია რამდენიმე ცალკე „თვალად“. თითოეული „თვალი“ განლაგებულია თავისთვის და დამოუკიდებლად. ეს თავისებურება ხის ბეღელს მარჯვე და მოხერხებულ სახმარს ხდის. პურეული და სხვა სახის მარცვლეულისა და დაფქულის შესანახად.

„ღუი“ ამის საშუალებას არ იძლევა. მართალია, დატიხვრა ძირითადად მის მიმართაც არის გამოყენებული, მაგრამ აქ არსებითია კონსტრუქციული აღნაგობა და „მისადგომი“ (მისასვლელი) პირობები, ტექნიკური შესაძლებლობა. რაც მთავარია, ბეღელი დაფუძნებულია მიწაზე, მაგრამ მთელი ტანით სივრცეშია ამართული. „ღუი“ მიწიდანაა ამოყვანილი, მაგრამ მასშივე არის ჩადგმული. პირველი მისასვლელად და განსარიგებლად მოსახერხებელია, მეორე—მოუხერხებელი.

მათ შორის განსხვავებას განსაკუთრებით აღრმავებს აგრეთვე ტიხრის ტექნიკური გამართულობა. პირველ შემთხვევაში სატიხრავ მასალად იყენებენ: ხეს, იგი სტატიურია, უძრავი. მეორე შემთხვევაში იხმარება: ჭილობი, ბზე, ნამჯა, თივა, ლობიოს ჩენჩო, ხის ტოტები და სხვა. დატიხვრა—მოძრავია, ამოსაღები და შესანახი მარცვლეულის არჩევანი და თანრიგი მომხდარი ფაქტია, წინასწარ გათვალისწინებული და აწონილ-დაწონილი. ამასთანავე, პირველი ოჯახური მოთხოვნილების და საჭიროების მიხედვით გამოწვეულ ცვლილებათადმი—მოძრავი, დინამიური არის, ხოლო მეორე—მის მიმართ უძრავი, სტატიური. ამავე დროს ხის ბეღელში მარცვლეულის გარდა დაუქსელიც შეიძლება მოთავსდეს, თან მისი მდგომარეობაც ყოველდღიურად გაისინჯოს და შემოწმდეს. ეს გარემოება დიდ უპირატესობას ანიჭებდა ამ უკანასკნელს „ღუი“-სთან შედარებით. ამას ერთვოდა აგრეთვე მეორე ამბავიც—ხის ბეღელში პურეული შედარებით მშრალად და საღად ინახებოდა, ორპირში შენახული კი ადვილად ნოტივდებოდა. საჭირო იყო მისი ორმოდან ამოყრა და გაშრობა. წინაღმდეგ შემთხვევაში მარცვალი „გაიღოჯებოდა“ და დალპებოდა. ქართული ხალხური ლექსი ამ ამბავს ნიშნდობლივად გამოიქვამს[1]: „ორმოში ფეტვი ჩავყარე, შესანახადაო. ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადაო. ორმოდანა ამოვყარე გასაშრობადაო“ და სხვ.

„ღუი“-ს მთელი რიგი დადებითი მხარეებიც ჰქონდა, იგი მკვიდრი ნაგებობა იყო. სათესლე მარცვალს იდეალურად, თითქმის ბუნებრივ პირობებში ინახავდა. გარეშე, თუ შინაური მტერი ადვილად ვერ ამჩნევდა და სტიქიერი შემთხვევებისგანაც საშიშ მდგომარეობაში არ იყო. აქ შენახული თესლი დათესვისას ადვილად „იღოჯებოდა“ მიწაში და მალეც ამოდიოდა. ამას ის გარემოებაც ერთვოდა, რომ „ღუი“-ს ასაშენებლად საჭირო მასალა თრიალეთში თითქმის ყველგან იშოვებოდა, მაშინ როდესაც ხის მასალა ძალიან ძვირად მოიპოვებოდა და მისი შორიდან მოტანა ერთობ ძნელი ხდებოდა. „ღუი“-ს მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ძირითადად მაინც ერთი თვალი იყო. მომხმარებლის მიერ ღუის ეს ნაკლი იმითი იყო შევ-

[1] ი. გოგებაშვილი. დედა-ენა. 1900, გამოც. XV, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული, რომ სხვადასხვა პურეულისათვის შიგნით ჰქონდათ ტანსმორჩილი. ჭურჭელი: თიხის დოქები, ხის კასრები, ტომრები, ხის კიდობნები და სხვ. რის მიხედვითაც ადვილად ხერხდებოდა პურეულის განრიგება.

მთელი წყება „ღუი"-ს ერთიმეორისთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ყველა ისინი აღნაგობით და თავისი ძირითადი ხასიათით ორ სახედ იყოფიან. პირველი სახის ამგვარ ორმოებს ტანი და ყელი კუთხოვანი აქვთ (ნახ. 3), ხოლო მეორე სახისას—მრგვლოვანი (ნახ. 1, 2).

სოფ. ჭუნია-ყალაში (ძველი დაბა, წალკა) ივ. გიორგის ძე პარასკევოვის ეზოს ჩრდილოეთით, 30 ნაბიჯზე კოლმეურნეობის სახლის წინ დაკეული იყო „ღუი" (მისი სრული აღწერა და სათანადო გაზომვები ჩავატარეთ არქიტექტორ ვლადიმერ წილოსანის მეშვეობით), რომელიც თავისი აღნაგობით და გარეგანი მოყვანილობით ამგვარ ორმოთა ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. იგი უნაკლოდ და დაუზიანებლად იყო შემონახული, რასაც მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მეორე მხრით, ეს „ღუი" ინტერესს იპყრობდა ზოგიერთი თავისებური მონაცემებითაც, რაც სხვა ორმოებისათვის არ შეგვიმჩნევია. მას, ფუძიდან 25 სმ სიმაღლის წრეხაზზე, გარშემო კედელში დარიგებული ჰქონდა „ღრუები", რომელთა პირის დიამეტრი 1 სმ უდრიდა, ხოლო სიღრმე—15-20 სმ, მათ შორის დაშორების მანძილი—20 სმ დაახლოებით (ნახაზი 1).

ამ „ღრუების" ნამდვილი დანიშნულება და მიზანი გაურკვეველია. ეარაუდით, შესაძლებელია, ისინი გათვალისწინებული იყო სატიხრავი გარეების (ჯოხები) თავშესაყოფად. ამ მიზნით „ღუი"-ს კედლებში „ღრუების" დატანება, ერთ წრეხაზზე, სავსებით მოსალოდნელია. საფიქრებელია, იგი მანიავებელი საშუალება იყოს—გახურებული ჰაერის გასაწოვად. „ღუი"-სათვის „ღრუების" დახრილად, „მოგვერდულად" დაღმა დაყოლება ამ მოსაზრებას, თითქოს, დასაჯერებელს ხდის. მართლაც, „ღუი"-ში შენახული ხორცალი, რაც უნდა გაფიცხებული ყოფილიყო, თავისი სიხვავრიელით უთუოდ გამოიწვევდა საგრძნობ სიმხურვალეს, რომლის გაწოვა თავმომიწულ „ღუი"-დან აუცილებელი იქნებოდა, ვინაიდან „ღუი" ყოველმხრივ ჰერმეტულად დახურულ საცავს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ აღნიშნული „ღუი"-ს კედლები მშრალი და უნოტიო აღმოჩნდა, რაც მის შინაგან თვისებებსა და ნაგებობის მაღალ სტილს ერთხელ კიდევ ამეღავნებს.

მრავალთა დამოწმებით, თრიალეთის აწინდელ მცხოვრებთა ყოფიერებაში „ღუი" ინდივიდუალურ გამოყენებასთან ერთად კოლექტიური მოხმარების საგანი ჩანს. ამ ბოლო ხანებამდე რამდენიმე ოჯახი მასში ერთად ინახავდა სათესლე პურეულის მარცვალს—„თოხუმს". რაც შეეხება სახარჯო მარაგს—„იაჯახ"-ს, მას შიგნით, სახლებში ინახავდნენ: ხის ამბარებსა, კოდებსა და შალის ტომრებში. საზიარო „ღუი"-ში ჩაყრილი თითოეული ოჯახის წილი სათესლე მარცვალი ერთმანეთიდან სხვადასხვა ტიხრით (ბზე, ჩალა, თივა, ჭილობი და სხვ.) იყო ხოლმე გამოყოფილი. გაზაფხულზე, სახნავად გასვლის დროს, რომელიმე უხუცესი კაცი, მოზიარეთაგანი, ვიდრე უშუალოდ მარცვლის ამოღებას შეუდგებოდნენ, „ღუი"-ს წინაშე გარკვეულ რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუალს შეასრულებდა. ლოცვის გადახდის შემდეგ მომიწულ „ღუი“-ს თანგ-მოხდიდნენ და თითოეული, რიგისამბრ, თავის კუთვნილ მარცვალს ამოიღებდა იქიდან.

ამრიგად, „ღუი“-ს საზიარო გამოყენება ერთგვარ წესებს ემორჩილებოდა და ამ წესებს არჩეული, უხუცესი პირი განარიგებდა ხოლმე.

როგორც ზემოთაც ითქვა, „ღუი“ საერთოდ დიდი ტევადობის და მოცულობისაა (საშუალოდ იგი 200—300 ფუთს იტევს). თუ ამას მის რიცხობრივ სიმრავლესაც მივუმატებთ, აღმოჩნდება, რომ იგი თავისი ფუნქციით გარ-

სურ. 3. „ღუი“-ს თაკი ერთიანი, გულია კვისა

კვეულ საზოგადოებრივ ვითარებაში მნიშვნელოვანი სამეურნეო ხასიათის ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ის ამბავი, რომ თითოეულ სახლ-კარს აქ 3—4 ამგვარი „ღუი“ გააჩნია, ამტკიცებს მცხოვრებთა ეკონომიურ სიძლიერესა და დიდ დოვლათს. თრიალეთი, თუ ამ შრამელია ტევადობითა და ფუნქციით განსაკუთრებით, მართლაც, რომ მთელი საქართველოს პეიზაჟად შეიძლება ნიეიჩნიოთ, როგორც მას ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს. უნდა ვივარაუდოთ სხვა ფაქტორთა გავლენა და მოქმედებაც, რომელთაც ხელი შეუწყვეს როგორც ამ ნაგებობათა წარმატებას, ისე მათს დაცემა-დაქვეითებას. მაგრამ ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას. ყველა მონაცემით დასტურდება ის ამბავი, რომ ერთ დროს თრიალეთის მკვიდრი მოსახლეობა დიდი ეკონომიური შეძლებულობის, უხვი მოსავლის და დოვლათის პატრონი ყოფილა. დღემდე აქ მრავლად შემონახული უზარმაზარი ძველი, ზეთის სახდელი ქარხნები—„ბაზრირხანები“ და ვეებერთელა საცხოვრებელი დარბაზები ამასვე გვიჩვენებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთის სინამდვილეში ჩვენ გვხვდება ორგვარი ორმო. ქვიტკირით ამოშენებული და ამოუშენებელი. პირველი სახის ორმო იშვიათად, მაგრამ მაინც პურეული მარცვლის მოსაცავად იხმარება, მეორე სახის —საკარტოფილედ. ამოუშენებელი, უბრალო ორმო, საერთოდ, სა-





ნახ. 3. „ღუი", სოფ. წინწყაროო, თრიალეთი

ქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი. ამჟამად, მცხოვრებთა ყოფიერებაში იგი გამოყენებულია, უმთავრესად, საკარტოფილედ, მიწავიშლასთვის და სხვა... ამასთანავე, უკანასკნელ დრომდე ამგვარ ორმოებს შიდა ქართლში[1]

[1] იხ. საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ. არქივი, ქართლის ეთნოგრ. ექსპედიციის მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქახეთში[1] და მესხეთ-ჯავახეთში ჩალით ამოაგებდნენ, ფსკერზე ბზეს მოუფენ-დნენ და შიგ მარცვლეულს ჩაყრიდნენ ხოლმე. რაც შეეხება „ღუი“-ს (ხაროს ამოშენებულს), ამ დანიშნულებით გამოყენება ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გარდა თრიალეთისა, სხვაგან საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამ-დვილეში დადასტურებული არ არის. ეს გარემოება საერთოდ სათუოს ხდის მის თავდაპირველ დანიშნულებას—მხოლოდდა მარცვლეულის მოსაცავად. ამ საკითხის გარკვევას ისიც აძნელებს, რომ „ღუი“-ს ნამდვილი სახელისა და დანიშნულების შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით. არსებული ცნობე-ბი ფაქტიურად იმ ეთნიკურ სინამდვილიდან მომდინარეობს, რომელიც ორ-მო-ნაშენთა და მსგავს მატერიალური კულტურის ძეგლთა დაფუძნებას თრიალ-ეთის სინამდვილეში იქ უწინ მცხოვრებ ქართველთა ნაყოფად მიიჩნევს. ერთი სიტყვით როგორც სახელწოდება „ღუი“, ისე მისი ფუნქცია ზუსტად დად-გენილი არ არის. იგი მხოლოდ შემდეგში მოსულთა ცნობებს ემყარება და ამდენად ეტვმიუტანელ სამუთად ვერ გამოდგება. აღსანიშნავია, რომ „ღუი“-ს აქაც ყველა ამ სახელით არ იცნობს. მაგალითად, სომხური მოსახლეობა არ არჩევს მას უბრალო ორმოსაგან და ჩვეულებრივად მასაც, უბრალო ორმოს მსგავსად, „ჰორ“-ს უწოდებს. ეს გარემოება მიგვითითებს ამასთანავე იმ ფაქტებზე, როდესაც ახალ გარემოში ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს თან მოაქვს თავისი საკუთარი ყოფის მახასიათებელი წეს-ჩვეულება და ცხოვრების სახე. ამასთანავე, უცხოსა და მისთვის ახალს, მიმსგავსებით, მისთვის ცნობილი საგნის, თუ მოვლენის სახელს არქმევს. ასევე რაოდენადაც ეს ხსოვნას შემო-უნახავს, არც ერთი ეთნიკური ჯგუფი („ურუმები“, ბერძნები, თურქები, სომ-ხები და სხვ...) თრიალეთის მოსახლეობისა არ იმოწმებს იმ ფაქტებს, რომ მათ ყოფას თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილზე ამგვარი ორმო-ნაშენნი ახასიათებდა. ამიტომ სახელი „ღუი“ ამგვარ ორმოს იმავე აზრით უნდა დარქმეოდა, რა აზრითაც „ჰორ“-ი. წინაალმდეგ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ტერმინი „ღუი“, ისე როგორც მისი რეალური მნიშვნელობა, უწინდელ ქართველთა მოსახლეობიდან მომდინარეობდეს და დამხვდურ კულტურის გარდ-ონაშთს წარმოადგენდეს[2] (შერ. „გეი“ (გული), „გიმ“ (მიწა) სვანური).

„ღუი“, საერთოდ, „მთხრებლის“ ერთ კერძო სახეს შეიცავს. ამ უკანას-კნელის მნიშვნელობა სრულ განმარტებული აქვს შემდეგნაირად: „მთხრებლი: ესეცა განიყოფვიან რამეთუ მოკმე არს მთხრებლი კლდისა, კაცთათვის საპა-ტიმრო, განა თავის თვისით შთაჯდეს სინანულისათვის; ჭნარცკ არს მთხრებ-ლი მიწისა მსგავსად მღვმისა; ორმო არს მთხრებლი მიწისა ხკარბალთა და მისთანათა სამარხავად; ხარო არს მთხრებლი—შინაგან ქვიტკირით ამოგებულ-ი[3]... ამგვარად, დასახელებულ „მთხრებლის“ ცალკეულ სახელთაგან „ღუი“-ს მხოლოდ „ხარო“ შეესატყვისება, რადგანაც ორივე მათგანის ნიშანდობლივ დამახასიათებელ მხარეს ქვიტკირის შინაგანი პირი წარმოადგენს. სამწუხა-

[1] ასპ. ი. ნინოშვილის და შ. გოხალიშვილის ცნობით.

[2] „ღუი“—სახელი შემოინახა ბერძენ და ურუმ მოსახლეობაში.

[3] ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანი-ძის რედაქციით, ტფ., 1928.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ, საბას ხაროს ფუნქციისა და ძირითადი დანიშნულების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, თუ ორმო „ხვარბალთა და მისთანათა სამარხავად“ იყო განკუთვნილი (ამას ხომ ხალხური ლექსიც ადასტურებს), საინტერესოა „ორმო-ნაშენი“—„ღუი“, ანუ ხარო (საბას მიხედვით) რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო?

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ხარო“ ეწოდება აგრეთვე ხის დიდსა და მოგრძო ოთხკუთხედად შეკრულ ყუთსაც, რომელსაც ამასთა-

სურ. 4 „ღუის“-ს სარკველი ერთიანი, გამწე ჭვისა

ნავე „ამბარი“[1] „ბაღი“[2] ეწოდება ხიდლე (შდრ. უბრძანა...შეკრიბოს მარცუალი იფქლისაჲ რ˜ლი დაშთომილ არს ხაროსა მას შ˜-ა საიფქლესა, ცხ. სვმ. მეს. K. 272, 23; „იხილა...სახარებაჲ მ̇Ძებარე ხაროსა შ˜ა“ sic. 273, 34).

ამგვარად, „ღუი“ ტექნიკური აგებულებით (საბას მიხედვით), ასევე ფუნქციის მიხედვით, ხაროს სატყვისი ჩანს, თუმცა რიგ შემთხვევაში ორმოსაც

[1] აღმოსავლეთ საქართველო.
[2] დასავლეთ საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იგულისხმება უბრალო ორმო) ემთხვევა. ორმო, საერთოდ, ძველიდანვე ცნობილია როგორც მიწური ბეღელი. კვინტ (კურცი) რუფი (41—54 ქ. წ.) მოიხსენიებს, რომ ზოგიერთი ტომები პურეულის მარცვლეულს ორმოებში ინახავენ[1]. ორმოებში ხორბლის დამარაგება-შენახვა საერთოდ ცნობილი ფაქტია. საკითხი მხოლოდ „ღუი“-ს ეხება, რომელიც საგანგებოდ გამართული ნაგებობა, მიწაში ჩაშენებული ბეღელია. იყო, თუ არა „ღუი“ თავდაპირველადვე მარცვლეულის მოსაცავი ნაგებობა? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ მისი გამოყენება, მასთან ერთად, სხვა დანიშნულებითაც? აპიორი შეიძლება ითქვას, რომ „ღუი“ წარმოადგენდა წარსულში შედარებით ფართო ხასიათის სამეურნეო „შრამელს“, სახუროთმოძღვრებო წესების საფუძველზე გამართულ „ორმო-ნაშენს“, რომელსაც, გარდა ხორბლეულისა, სხვა დანიშნულებითაც ხმარობდნენ, როგორიცაა ქონის, ზეთის და მისთანათა მოსაცავად. ეს უკანასკნელი მოსაზრება ითვალისწინებს ფაქტიურ სინამდვილეს: თრიალეთში დღემდე დაცულია შინამრეწველური ხასიათის უზარმაზარი ზეთის სახდელი ქარხნები—„ბაზირხანები“, რომლებშიაც დიდი რაოდენობით იხდებოდა ზეთი. მეორე გარემოება, ვახუშტი თრიალეთის აღწერისას ამბობს: „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა და დადგება ღვინო კეთილი და გემოიანი...“ ცოტა ბოლოს: „ხოლო ესენიცა ხდიან სელისაგან ზეთსა[2]...“

ზეთის მოსაცავად კი რაიმე საგანგებო ჭურჭლეული თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე მიუკვლეველია. საფიქრებელია ამ მიზნით თიხის ქვევრებისა და დოქების გამოყენება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მათი საგანგებოდ გამოწვა-გამზადება. ყველა სახის თიხის კეცი საამისოდ არ გამოდგებოდა. მეორე მხრივ, „ღუი“-ს არსებობის პირობებში ეს სიძნელენი ნაწილობრივ „ღუი“-საევ საშუალებით შეიძლებოდა დაძლეულიყო, როგორნადაც ამის შესაძლებლობა მას უკვე გააჩნდა.

სხვათა შორის, ქსენოფონტეს (431—354 წ. ქ. წ.) ცნობები ქართველი ტომების შესახებ იხსენებს მოსინიკების ქვეყანას, სადაც იქ გამვლელ ბერძენთა ლაშქარს დიდძალი ძველი და ახალი პური უნახავს, როგორც გალეწილი, ისე გაულეწავი. ამასთანავე მათ აქ უნახავთ მრავალი ამფორა. მასში დელფინების (ზღვის ღორების) დამარილებული ხორცით და აგრეთვე დელფინების ქონით სავსე სხვა პურეული (?). უკანასკნელს მოსინიკები ზეთოუნიზეთის მაგიერ ხმარობდნენ თურმე[3]. ეს საყურადღებო ცნობები იმ მხრითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ქვევრები ჩვენი წინაპრების სამეურნეო ცხოვრებაში არა მხოლოდ საღვინეო, სხვა ხაზითაც ფართედ ყოფილა გამოყენებული. როგორც ვიცით, ჩვეულებრივი თიხის კეცი დამარილებული სახის პროდუქტს დიდხანს ვერ უძლებს. იგი მარილისა და სხვა სიმჟავეთა ზეგავლენით მალე იშლება და ხმარებიდან გადის. ამ მხრით, „ღუი“ გაცილებით მასზე მყარი და მტკიცეა. ერთი შეხედვით „ღუი“ და თიხის ქვევრი ერთმანეთიდან არც აგრე

---

[1] Пантюхов. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе. Т. 1896, გვ. 7.

[2] ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[3] Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. СПБ, 1893, I, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინოდ გამოირჩეოდნენ, რომ იგი უბრალო გამოლეულს უბრალოდ შეემჩნია. ყსენოფონტეს ჩვენებით ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ „ღუი“ ქვევრად? „ღუი“-ს შიგნითა კანის ანალიზს შეუძლია შუქი მოფინოს ამ საინტერესო საკითხს. მეორე მხრივ, „ღუი“ რომ ძირითადად პურეულის საცავი საიფქვლე ხარო[1] იყო სვ. მესხეტის ცხოვრებიდან მკაფიოდ ირკვევა: „არა მოაკლდეს ხაროსა საიფქვლესა იფქლი“ K. 272,32; 274,23; 271,26 და სხვა.

Н. Б. РЕХВИАШВИЛИ

„ГВИ“ ПОДЗЕМНОЕ ЗЕРНОХРАНИЛИЩЕ В ЮЖНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В этнографической действительности Картли, именно в Триалети до последнего времени сохранилось интересное древнее сооружение — „гви“ ‖ „харо“ (сооружение-яма).

„Харо“ представляет из себя хозяйственного назначения подсобное сооружение — яму, выложенную в земле, камнем на растворе, в которой обычно хранились запасы зерна.

Использование ям для хозяйственных целей известно с древнейших пор и повсеместно. „Харо“ не представляет из себя просто яму. Это сооружение возведенное по правилам строительства и наилучшим образом оправдывает свое назначение.

Современные жители Триалети, которые переселились сюда сто лет назад из южных провинции исторической Грузии, называют это харо именем „гви“ (греки, урумы), „Хор-“ (армяне) и считают его характерными для прежнего грузинского — „гурджиаджи“ — населения.

„Харо“ занимает определенное место в комплексе старо-грузинского дарбази, которое характеризовалось тем, что под одной крышей располагались помещения как жилого, так и хозяйственного назначения. Она располагалась то внутри дома, то вне его. Независимо от его расположения „харо“ защищено было от стихийных бедствий, а так же от грызунов и других вредителей. Самое важное это то, что в нем семенное зерно хранилось почти в нормальных условиях, одинаково защищенное и от сильных морозов и от летней жары.

„Харо“ представлено несколькими разновидностями. В общем, по способу возведения и по внешнему виду оно походит на сосуд для хранения вина — квеври — зарытый в землю.

„Харо“ было настолько солидным сооружением с прочной поверхностью при этом, что в нем можно было хранить и жидкости. Это обстоятельство выдвигает вопрос о возможности использования „харо“ и в других целях.

---

[1] ტერმინი—„ხარო“ სინტერესოა მრავალმხრივ. ენება „ხარო“ საბას მიხედვით აღნიშნავს მიწაში ამოშენებულ ორმოს. „მთხრებელს“-, სვ. მეს. ცხ. მიხედვით—საიფქვლეს, ხორბლეულის შესანახ ჭურჭელს და სხვ. აწინდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში—ხის დიდ ჭურჭელს, მარაგის შესანახს. ტერმინოლოგიურად იგი ახლო უკავშირდება „ხორს“, „ქორს“, რომელნიც ნაგებობას, სახლს აღნიშნავენ. პროფ. გ. ჩიტაია, სრულიად სამართლიანად, „ხორ“, „ქორ“, „ხელ“ (საცხოვრებელი შრომელი) სახელთ უკავშირებს ხეთურ ტერმინს -ხილან-ს (ნაგებობა) (იხ. პროფ. გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული პარალელები, „ხორ“, „ხილან“, ნაკვეთი II). ამასთან დაკავშირებით სახელი—„ხარო“, ვითარცა მიწაში ჩაშენებული ნაგებობის აღმნიშვნელი, შეიძლება ნაგებობის ტიპის ოდენდღეულობას მიუთითებდეს.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б, 1954
Вестник Гос. Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, т. XVIII-Б, 1954

რ. ბაბტაძე

სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული მინის ჭურჭლის ქიმიური შესწავლა

სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ქიმიური შესწავლა მიზნად ისახავს მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე მინის დამზადების ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხის გარკვევას.

მინის ჭურჭელი სამთავროს სამაროვანში, როგორც ჩანს, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ჩნდება, თუმცა მინის ნაწარმი მძივებისა და მოჭიქული ჭურჭლების სახით უფრო ადრეულ სამარხებშიაც გვხვდება (X—VIII სს. ძვ. წ). I და მომდევნო საუკუნის სამარხებში მინის ჭურჭელი შეადგენს სამარხეული ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილს.

შესწავლისათვის შერჩეული იყო სამთავროს მინის 27 ნიმუში; აქედან 13 ნიმუში მიეკუთვნება I—III საუ., 9 ნიმუში—IV—V სს. და 7 ნიმუში—VI—VIII სს. [1].

მინის ანალიზი წარმოებდა სხვადასხვა მეთოდით. პონომარიოვის მიხედვით [2] ვახდენდით სილიციუმის, ალუმინის, რკინის, კალციუმის და მაგნიუმის განსაზღვრას. ნატრიუმსა და კალიუმს ვსაზღვრავდით კოლტგოფისა და სენდელის მიხედვით [8]. დანარჩენი ელემენტების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ მინის კონტროლისათვის რეკომენდებული მეთოდები [19, 10].

სულ ჩავატარეთ 27 ანალიზი I—VIII სს. სამთავროს მინებისა. როგორც ანალიზის შედეგად გამოირკვა, სამთავროს მინები, ისე როგორც ბევრი თანამედროვე მინა, წარმოადგენს SiO_2—Na_2O—CaO-იან მინებს (თუმცა ყოველ მათგაში, გარდა ამ ძირითადი ელემენტებისა, ყოველთვის არის Al_2O_3, Fe_2O_3, MgO და კიდევ სხვა ელემენტები [11].

სამთავროს მინების ხარისხი მოწმობს მინის დნობის მაღალ ტექნიკას, რომლის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს SiO_2-ის მაღალი პროცენტული და ჰაერის ბუშტულების მინიმალური რაოდენობა. ეს უკანასკნელი შეიძლება იმასაც მიეწეროს, რომ კაზმის შემადგენლობაში კალციუმის ანგი შეტანილია არა კირის სახით, არამედ კალციუმის კარბონატის სახით. იგი კაზმში შეტანისას მაღალ ტემპერატურაზე იშლება და გამოჰყოფს ნახშირორჟანგ გაზს, რომელიც მთელ კაზმს გაიელის (ქვევიდან ზევით) და თან წარიტაცებს კაზმში მყოფ ჰაერის ბუშტულებს, რაც უზრუნველყოფს ჰაერის ბუშტულების სწრაფ გამოყოფას მინის მასიდან და წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი მოსაშორებელი იქნებოდა [12].

სამთავროს მინებში რკინა საკმაო რაოდენობით შედის; სახელდობრ: 1%-ზე მეტი რაოდენობით შედის 8 ნიმუშში (იხ. ცხრ. რიგ. №№ 4, 6, 7, 12, 15, 16, 18, 20). თითქმის ერთ პროცენტამდეა იმავე ცხრილის 8 ნიმუშში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(რიგ. №№ 3, 5, 11, 13, 14, 17, 19), ხოლო დანარჩენ ნიმუშებში მისი რაოდენობა 0,18-დან 0,5%-მდე იცვლება.

დადგენილია [17], რომ ქვიშებში რკინის რაოდენობა თუ 0,1%-ს აღემატება, მინა მომწვანო ფერს იღებს. რაც მეტია რკინის ჟანგის რაოდენობა, შეფერვა მით უფრო ინტენსიური ხდება. ჩვენს ქვიშებში რკინის რაოდენობა რამდენიმე პროცენტს აღწევს. ამიტომაცაა, რომ ასეთი ქვიშებიდან მიღებული მინა უფერული არ არის.

მინის გაუფერულება მინის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია. სადღესისოდ გამაუფერულებლად ხმარობენ სელენს და დარიშხანს [7], რომელიც სამთავროს მინებში სპექტრალური ანალიზითაც კი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, აქ მანგანუმი ისეთი რაოდენობითთაა, რომ აშკარაა—იგი ხელოვნურად შეუტანიათ კაზმის შემადგენლობაში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მინის გასაუფერულებლად ჩვენს წინაპრებს, შესაძლებელია, მანგანუმის ორჟანგი—პიროლუზიტი გამოეყენებინათ. მანგანუმის შენაერთებს დღესაც იყენებენ მინის გასაუფერულებლად.

არჩევენ მინის გაუფერულების ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებს. პირველი მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მინის შემადგენლობაში შეჭყავთ აუცილებელი რაოდენობა სალებავი ნივთიერებისა, რომელიც მინას სათანადო შეფერვას აძლევს. დამატებითი ფერი და რკინის შენაერთებით გამოწვეული მინის ფერი იძლევა თეთრ ფერს. ასეთ სპეციალურ სალებავად მინის წარმოებაში იყენებენ მანგანუმის ჟანგს (Mn_2O_3), ნიკელისა და კობალტის ჟანგეულებს და სელენს (წითელი და მწვანე, ყვითელი და მოლურჯო, იისფერი და სხვ. დამატებითი ფერებია და იძლევა თეთრ ფერს) [4].

მინის გაუფერულების ქიმიური მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: როგორც ცნობილია, მინის ნედლეული ქვიშა, კალციტი, დოლომიტი იზომორფული მინარევების სახით ყოველთვის შეიცავს რკინას. რკინა გვხვდება, როგორც ორვალენტიან, ისე სამვალენტიან მდგომარეობაში ჟანგეულების სახით. ორვალენტიანი რკინის ჟანგი—ქვეჟანგი (FeO) გაუფერულების გარეშე მინას აძლევს არასასიამოვნო მოლურჯო მწვანე ფერს, რომელიც 10-ჯერ უფრო ინტენსიურად ღებავს მინას, ვიდრე რკინის ჟანგის იგივე რაოდენობა. ამიტომ ამ არასასურველი ფაქტორის თავიდან ასაცილებლად, მინის კაზმს უმატებენ პიროლუზიტს, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე იშლება: $2MnO_2 \rightarrow Mn_2O_3 + O$ (5). გამოყოფილი ჟანგბადი ჟანგავს კაზმში მყოფ ორვალენტიან რკინას და გადაჰყავს იგი სამვალენტიან მდგომარეობაში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკლები ინტენსივობით ღებავს მინას, ვიდრე 2 ვალენტიანი რკინის ჟანგი.

თუკი კაზმში შეტანილი მანგანუმი პიროლუზიტის სახით დაიშალა მანგანუმის ჟანგამდე (Mn_2O_3) და ღუმელის არეც დამჟანგველია, მაშინ მანგანუმი მინაში უცვლელად რჩება ჟანგის სახით და მინა იისფრად იღებება. პირიქით, თუ ღუმელში არ არის საკმარისი რაოდენობით ჟანგბადი და ბევრია ნახშირის ჟანგი (CO), მაშინ მანგანუმის ჟანგი აღდგება მარგარუმის ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანგამდე: $Mn_2O_3+CO \rightarrow 2MnO+CO_2$. ამ შემთხვევაში მინა იქნება ან ღია ვარდისფერი ან თითქმის უფერული [6, 11].

ჩვენს ნიმუშებში მანგანუმით შეფერილი მინებია №№ 7, 20, 22 (იხ. ცხრილი). № 7 და № 22 ღია იისფერი მინებია, ხოლო № 20 მუქი იისფერი; შესაბამისად № 7, 22 მანგანუმი ნაკლები რაოდენობითაა, ვიდრე № 20-ში.

როგორც ჩანს, ხელოსნებს ერთ შემთხვევაში ღია იისფერი, ხოლო მეორე შემთხვევაში მუქი იისფერი მინის მიღება სდომებიათ და სასურველი შედეგებისათვის მიუღწევიათ.

რაც შეეხება ღია მომწვანო მინებს, მათში მანგანუმის რაოდენობა შეფერილ მინებზე ნაკლები არ არის (იხ. ცხრილი რიგ. №№ 2, 3, 13, 16, 17, 25). ამ მინებში მანგანუმი ისეთი რაოდენობით შედის, რომ, თუ არა სპეციალური ხელშეწყობა და დამატებით კიდეე კაზმში აღმდგენელი ნივთიერების მიმატება, მინები უფერული არ უნდა გამოსულიყო. აღმდგენელად, ალბათ, როგორც ადვილად ხელმისაწვდომი—ნახშირი ჰქონდათ გამოყენებული. პიროლუზიტი ნახშირის მიმატებით აღდგება ქვეძანგამდე: $3MnO_2+$ $+2C \rightarrow 3MnO+CO_2+CO$.

მინებში, რომლებშიც მანგანუმი მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის, შეიმჩნევა მსუბუქი მოყვითალო შეფერვა (გამორკვეულია, რომ MnO-ს რაოდენობა მინებში 20%-მდეა დასაშვები. ამ დროს მანგანუმის არსებობა მხოლოდ მოყვითალო ელფერით მჟღავნდება, რაც ჩვენს მინის ნიმუშებშიც შეიმჩნევა).

ამრიგად, როგორც ირკვევა, ძველად ხელოსნებს შესანიშნავად ცოდნიათ მანგანუმის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში კაზმში სათანადო აღმდგენელის შეყვანით უფერული მინების მიღება. აგრეთვე სხვა შემთხვევაში შესაფერი დამჭანგველი ატისა და ტემპერატურის შერჩევით ლამაზი იისფერი მინების მიღება [3].

ფერად მინებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ლურჯი მინები. როგორც გამოირკვა, ლურჯი შეფერვა გამოწვეულია კობალტისა და სპილენძის შენაერთების მიმატებით. როგორი სახით შეჰყავდათ იგი კაზმის შემადგენლობაში ძნელი სათქმელია, რადგან მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ როგორც მადანი, ისე კობალტიანი სმალტაც, რომელიც შესაძლებელია გარედან შემოეტანათ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კობალტი და სპილენძი მინებში ერთდროულადაა. ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ორივე ელემენტი (კობალტი და სპილენძი) ან ერთი შენაერთიდან მოხვდა კაზმში [13], ან საფიქრებელია,—მინის ოსტატებმა კარგად იცოდნენ, რომ უფრო ლამაზი შეფერვა მიიღება მაშინ, როდესაც სპილენძი და კობალტი ერთდროულად შეიყვანება კაზმში. ამ დროს სპილენძის შენაერთთან გამოწვეული შეფერვა შთანთქავს გრძელ წითელ სხივებს, რომელსაც ატარებს მხოლოდ კობალტით შეფერილი მინა. ამის გამო მარტო კობალტით შეფერილ მინას მოიისფრო ფერი გადაჰკრავს. სპილენძის სათანადო შენაერთების შეტანა მინის კაზმში ძველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოსნებს უნდა სცოდნოდათ, იმის გამო, რომ, როგორც ცნობილია, მეტალურგია იმ დროს მაღალ საფეხურზე იდგა [15,16].

ჩვენს საანალიზო ობიექტებში სპილენძთან და კობალტთან ერთად თითქმის მუდამ არის ტყვია, რომლის რაოდენობა იცვლება 0,018%-დან 2,42%-მდე. თანამედროვე მინებში ტყვიის ქანგის შეტანა მიზნად ისახავს მინის სინათლის გარდატეხვის მაჩვენებლის გაზრდას და მინისათვის ძლიერი გამქვირვალობის მონიშებას (ბროლი). არქეოლოგიურ მინებში კი ტყვიის ქანგი, როგორც ჩანს, იმ მიზნით არ უნდა ყოფილიყო შეტანილი, ვინაიდან იგი უმეტესად ლურჯ მინებში გვხვდება (იხ. ცხრილი რიგ. №№ 11, 12, 15, 18). ამიტომ მინების გამქვირვალობაზე და სინათლის გარდატეხაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია. იგი ან სპილენძის შეტანისას შემთხვევით მოხვდა კაზმში, ან მიმატებულია, როგორც მინის ადვილსალღობი ნივთიერება.

რაც შეეხება ბარიუმსა და სტრონციუმის ქანგს, რომლებიც ავრეთვე შედის მცირე რაოდენობით სამთავროს მინების შემადგენლობაში, შესაძლებელია ისინი კირქვებიდან მოხვდა კაზმის შედგენილობაში, როგორც თანამგზავრი კალციუმისა, თუმც უფრო მოსალოდნელია ამ ელემენტების თანამყოფობა ქვიშებსაც მიეწეროს.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სამთავროს მინის ქიმიური შედგენილობა და მინის ხარშვის ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხი. რა თქმა უნდა, ახლა ბუნებრივად ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ სად ხდებოდა ამ მინის ნაწარმის დამზადება. პირდაპირი ცნობები მინის ადგილობრივი წარმოების შესახებ, სამწუხაროდ, სადღეისოდ არ მოგვეპოვება (სახელოსნოს ნაშთი, გამლღვარი მინის წვეთები და სხვა); მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენ ხელთ მყოფი მასალების მიხედვით მაინც შევვიძლია ლაპარაკი მინის ადგილობრივი წარმოების შესახებ. უპირველესად უნდა აღინიშნოს ის, რომ მცხეთის მიდამოები მდიდარია მინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით—კვარცის ქვიშით, კირქვით, მირაბილიტით და სხვა. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ნედლეული, რომელიც შედარებით უფრო მცირე რაოდენობით იყო საჭირო, შეიძლებოდა გარედანაც შემოეტანათ.

მინის წარმოებისათვის საჭირო საუკეთესო ქვიშები უნდა შეიცავდნენ 95—99,8% სილიციუმის ორჟანგს.

საქართველოს ქვიშების ქიმიური შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ არც ერთი საბადოს ქვიშა არ შეიცავს 80—90%-ზე მეტ SiO_2 [17]. დანარჩენი 10—20% მოდის ისეთ ქანგეულებზე, რომელთა ნაწილი სასარგებლოა, ხოლო ნაწილი, პირიქით, მავნეა მინის წარმოებისათვის. მაშასადამე, ისინი მხოლოდ მწვანე და ნახევრად თეთრი მინის მოსახარშავად წარმოადგენენ ვარგის მასალას.

სამთავროსთან ახლო მდებარე ქვიშებიდან შესაძლებელია გამოყენებინათ ავჭალის ქვიშები. ამ ქვიშებში რკინის რაოდენობა 1% და ხშირად კი 1%-ზე მეტია. ეს ფაქტი კი გამორიცხავს ამ ქვიშებიდან აბსოლუტურად თეთრი მინების მიღებას. მართლაც, სამთავროში აბსოლუტურად თეთრ მინას არ შეეხვედრიავართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავჭალის ქვიშების უახლესი პეტროგრაფიული გამოკვლევებით ირკვევა, რომ ის წარმოადგენს ირკოზულ ქვიშებს, ე. ი. შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმის მინდვრის შპატს და, ცხადია, აქ კალციუმიც დიდი რაოდენობით უნდა იყოს. სამთავროს მინებში კი, პირიქით, კალციუმი ძლიერ მცირე რაოდენობითა გვაქვს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ძველად ხელოსნები მიმართავდნენ ამ ქვიშების გაცრას, გარეცხვას, გამდიდრებას, რაც შედარებით ადვილად მოსახერხებელი იყო. მათ, ალბათ, კარგად იცოდნენ, რომ გაუსუფთავებელი ქვიშებით უფრო ცუდი ხარისხის მინა მიიღებოდა, ამიტომ ქვიშას ჯერ ცრიდნენ; კვარცის მარცვლები, როგორც უფრო დიდრონი, საცერზე დარჩებოდა, ხოლო დანარჩენი კი (მინდვრის შპატის ნაწილაკები), როგორც უფრო პატარა, გავიდოდა. თვით მარცვლებზე მიკრულ თიხას კი ადვილად მოაცილებდნენ გარეცხვით.

მინის წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეული—კალციუმის ჟანგი შესაძლებელია ცარცის, კირქვის, ან დოლომიტის სახით შეეტანათ. საფიქრებელია, რომ სამთავროს მინის წარმოებისათვის გამოიყენებდნენ ძეკვის კირქვებს, რადგან სხვა შესაფერისი ნედლეული ახლო-მახლო არ გვხვდება [4].

რაც შეეხება ნატრიუმის ჟანგს (Na_2O), რომელიც მინის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, საფიქრებელია, რომ იგი უნდა შეეტანათ გლაუბერის მარილს—მირაბილიტს სახით, რომელიც მოიპოვება გლდანში. ამ საბადოში გლაუბერის მარილის პროცენტული რაოდენობა 93—95%-ს უდრის. დიდი რაოდენობითაა ამ საბადოში მაგნიუმიც, რომელიც შესაძლებელია გლაუბერის მარილის გზით შეედა სამთავროს მინების შემადგენლობაში.

რაც შეეხება მანგანუმს, რომელსაც მივაწერთ მინების ფერის დაწმენდას, იგი შესაძლებელია მოეტანათ ან თეთრი-წყაროს რაიონიდან, ან კიდევ ჭიათურიდან.

გარდა ამისა, მინის ნაწარმის ადგილმრავლობას უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ სამთავროში მინის ნაწარმი ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება: „IV და მომდევნო დროის მინის ჭურჭლის შემცველ სამარხთა რიცხვი 300 უდრის. მათი უმეტესობა (80%) გაძარცულია. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში მძარცველებისაგან მინის ჭურჭლის დატოვება შემთხვევითი არა ჩანს...როგორც ჩანს, მინის ჭურჭელი, ისევე როგორც რკინისა და ბრინჯაოს სამკაული, იაფფასიანი ნივთი ყოფილა და მძარცველებისათვის სახარბიელო საგანს არ წარმოადგენდა“ [1].

საფიქრებელია, რომ მინის ჭურჭლის სიიაფე ადგილობრივი წარმოების შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთავროს მინების ქიმი

რიგითი №	გათხრის ადგილი და წელი	ეკსპონატის №	რომელ სატკბენს მიეკუთვნება	სილიკატების ორეანი SiO_2%	ნატრიუმის ოქსიდი Na_2O%
1	სამთავრო S უბ. 1946 წ.	სანელსაცხებლე მომწვანო მინისა კრამიტ. ყუთი. სამარხი № 1. ექსპ. № 5456	I–III	68,49	16,82
2	ნაოხა, ნაშალი, 1941 წ.	ფართოყელიანი ჭურჭ. მომწვ. მინისა № 2742	I–III	68,5	14,13
3	სამთავრო S უბ. 1946 წ.	პატარა, თეთრი ჭურჭლის ნატეხი, კრამიტის ყუთის ნაშთი № 5457	I–III	66,7	13,93
4	სამთავრო S უბ. 1940 წ.	პატარა ჭურჭლის ნატეხი მომწვანო მინისა ქვაყუთი № 212. ექსპ. № 2224	I–III	67,05	14,12
5	სამთავრო S უბ. 1946 წ.	ცისფერი, სპილენძიანი ჭურჭლის ნატეხი ნაშალი, ექსპ. № 4936	I–III	68,15	13,71
6	სამთავრო S უბ. 1946 წ.	სანელსაცხებლე ოდნავ მოყვითალო მინისა საფლ. თხრ. № 1, № 3095	I–III	68,45	13,15
7	სამთავრო S უბ. 1938 წ.	სანელსაცხებლე ლია ისფერი მინისა ქვის სარქარი № 2. ექსპ. № 64	I–III	68,81	15,08
8	სამთავრო S უბ. 1946 წ.	ცისფერი ჭურჭელი ჯამსაქ. მინისა ნაშალი, № 1395	I–III	68,95	16,71
9	სამთავრო S უბ. 1946 წ.	თეთრი მინის ჭურჭლის ნამტვრევი (ოიზისაცია) ნაშალი, ექსპ. № 4937	I–III	70,15	12,81
10	სამთავრო S უბ. 1946 წ.	ცისფერი მინის ჭურჭლის ყური ნაშალი, ექსპ. № 5195	I–III	70,05	13,6
11	მცხეთა 1951 წ.	ლურჯი მინის ლამბაქი აკლდამა	I	66,11	16,01
12	სამთავრო N უბ. 1946 წ.	ლურჯი მინის სანელსაცხებლეს ნატეხი ნაშალი, № 2662	IV–V	60,23	12,96
13	სამთავრო VII ფ. 1946 წ.	სანელსაცხებლე მომწვანო მინისა ქვაყუთი № 561, ექსპ. № 4780	IV–V	65,75	15,43

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური ანალიზის ცხრილი

K_2O% კალიუმის ჟანგი	CaO% კალციუმის ჟანგი	MgO% მაგნიუმის ჟანგი	Fe_2O_3% რკინის ჟანგი	Al_2O_3% ალუმინის ჟანგი	MnO% მანგანუმის ორჟანგი	CuO% სპილენძის ჟანგი	Co_2O_3 კობალტის ჟანგი	NiO% ნიკელის ჟანგი	Sb% სტიბიუმი	BaO% ბარიუმის ჟანგი	SrO% სტრონციუმის ჟანგი	PbO% ტყვიის ჟანგი
კვალი	7,51	0,45	0,41	3,2	1,68	0,009	—	—	—	0,36	0,01	—
„	7,45	1,407	0,38	2,53	5,19	კვალი	კვალი	—	—	0,09	0,01	—
„	7,15	3,69	0,86	3,09	4,86	—	კვალი	კვალი	0,028	0,071	0,03	0,07
„	8,35	1,63	1,25	3,06	0,31	0,02	—	კვალი	0,58	0,06	კვალი	1,36
„	9,32	2,71	0,96	2,95	0,42	0,46	კვალი	კვალი	0,008	0,1	0,04	0,26
„	7,2	5,11	1,36	3,15	1,32	0,41	კვალი	კვალი	0,29	0,13	0,08	0,18
„	7,85	3,16	1,15	3,88	8,73	—	0,003	კვალი	—	0,08	0,06	—
„	7,81	0,36	0,42	2,80	1,91	0,06	კვალი	—	—	0,15	0,15	—
„	12,79	1,67	0,76	2,34	კვალი	კვალი	—	—	0,34	0,0[illegible]	0,013	—
„	8,16	3,71	0,61	3.07	0,19	კვალი	კვალი	—	—	0,14	0,06	—
0,03	6,04	0,37	0,82	3,18	—	0,96	1,3	—	—	0,1	0,04	2,0
0,027	13,39	5,48	1,49	3,52	0,013	1,1	1.00	0,03	—	0,03	0,05	0,45
—	8,65	1,02	0,771	2,03	6,62	—	—	კვალი	—	0,09	0,06	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი № №	გათხრის ადგილი და წელი	ეკსპონატის №	რომელ საუკუნეს მიეკუთვნება	სილიციუმის ოქსიდი SiO_2%	ნატრიუმის ქანი Na_2O%
14	სამთავრო VII ფ. 1946 წ.	სანელსაცხებლე მომწვანო მინისა ქვაყუთი № 561, ექსპ. № 4789 . .	IV—V	69,11	14,73
15	სამთავრო N უბ. 1946 წ. .	სანელსაცხებლე ლურჯი მინისა ქვაყუთი № 586, ექსპ. № 5386 . . .	IV—V	63,95	16,52
16	სამთავრო VI თხრ. 1939 წ.	სანელსაცხებლე თეთრი მინისა ქვაყუთი № 120, ექსპ. № 11-ა . . .	IV—V	67,85	14,07
17	სამთავრო, 1938 წ. . . .	სანელსაცხებლე თეთრი, გამჭვირვალე მინისა ქვაყუთი № 120, ექსპ № 849	IV—V	66,3	13,60
18	სამთავრო, 1946 წ. . . .	სანელსაცხებლე ლურჯი მინისა ქვაყუთი № 579, ექსპ. № 5133	IV—V	60,21	17,80
19	სამთავრო, 1939 წ. . . .	სანელსაცხებლე ყვითელი მინისა ქვისამარხი № 163, ექსპ. № 1469 . .	IV—V	58,9	16,82
20	სამთავრო, 1939 წ. . . .	მუქი იისფერი მინის სანელსაცხებლე ქვაყუთი № 141, ექსპ. № 1022 . .	IV—V	66,09	13,01
21	სამთავრო VII ფ. 1946 წ.	თეთრი, სანელსაცხებლეს ნატეხი ქვაყუთი № 572, ექსპ. № 4906 . . .	VI—VIII	67,07	17,52
22	სამთავრო, 1947 წ. . . .	ღია იისფერი მინის ბურჭელი ქვაყუთი № 643, ექსპ. 581	VI—VIII	67,03	10,04
23	სამთავრო, VIII ფ. 1947 წ.	თეთრი მინის ბურჭლის ნატეხი ქვაყუთი № 649, ექსპ. № 5851 . . .	VI—VIII	67,48	15,26
24	სამთავრო, 1946 წ. . . .	სანელსაცხებლე ღია მწვანე მინისა ქვაყუთი № 619, ექსპ. № 5415 . .	VI—VIII	68,01	15,79
25	სამთავრო, 1946 წ. . . .	სანელსაცხებლე, თეთრი მინისა, ქვაყუთი № 619, ექსპ. № 5416	VI—VIII	67,82	14,03
26	სამთავრო. N უბ. 1947 წ.	სანელსაცხებლე თეთრი მინისა, სამარხი № 650, ექსპ. № 5869 . . .	VI—VIII	67,02	12,31
27	სამთავრო, 1947 წ. . . .	სანელსაცხებლე მოლურჯო მინისა ქვაყუთი № 679, ექსპ. № 6015 . . .	VI—VIII	62,55	15,6

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალიუმის ანგარი K_2O%	კალციუმის ანგარი CaO%	მაგნიუმის ანგარი MgO%	რკინის ანგარი Fe_2O_3%	ალუმინის ანგარი Al_2O_3%	მანგანუმის ანგარი MnO_2%	სპილენძის ანგარი CuO%	კობალტის ანგარი Co_2O_3	ნიკელის ანგარი NiO%	სტიბიუმი Sb%	ბარიუმის ანგარი BaO%	სტრონციუმის ანგარი SrO%	ტყვიის ანგარი PbO%
—	7,75	1,17	0,79	3,27	0,94	—	—	კვალი	1,32	0,03	0,01	0,011
არ არის	5,62	3,26	1,36	3,15	0,22	1,01	0,56	0,21	—	0,07	0,09	0,02
კვალი	9,16	1,13	1,1	3,76	3,83	—	კვალი	—	—	0,082	0,018	0,03
»	6,03	3,98	0,78	2,03	8,75	—	კვალი	კვალი	—	0,09	0,15	0,02
0,013	8,0	4,75	1,32	4,02	0,071	0,38	0,86	—	—	0,031	0,012	0,46
0,031	4.6	6,2	0,97	1,83	0,08	0,42	—	კვალი	—	0,072	0,013	—
—	8,9	1,28	1,16	2,74	5,30	0,28	კვალი	0,01	—	0,29	0,09	0,018
—	6,7	3,62	0,33	0,33	3,41	0,001	კვალი	—	კვალი	0,016	0,02	—
—	8,0	7,38	0,61	3,12	7,13	—	—	—	—	0,08	0,01	—
—	8,2	4,45	0,02	3,29	1,22	კვალი	—	კვალი	—	0,02	0,01	—
—	6,81	3,52	0,39	3,43	0,61	—	—	—	—	0,095	0,036	—
—	6,78	2,96	0,492	3,12	2,12	—	—	0,016	—	0,072	0,01	—
—	10,3	4,91	0,48	3,81	1,04	—	—	—	—	0,088	0,02	—
—	8,16	3,52	0.18	3,19	კვალი	—	—	კვალი	კვალი	0,108	0,008	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

Р. А. БАХТАДЗЕ

ИЗУЧЕНИЕ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА СТЕКЛЯННЫХ ИЗДЕЛИЙ НАЙДЕННЫХ В САМТАВРСКОМ МОГИЛЬНИКЕ

Резюме

Изучение химического состава самтаврского археологического стекла ставит целью установление древней технологии производства стекла.

К началу нашей эры в погребениях самтаврского могильника появляются стеклянные изделия, хотя надо думать, что стеклянные изделия встречаются здесь и в более ранних погребениях (X — VIII в до н. э.) в виде бус и глазурованной посуды. В погребениях первого века и последующих веков стеклянная посуда представляет значительную часть погребального инвентаря.

Для изучения было взято 27 образцов самтаврского стекла; из них 13 образцов принадлежащих I — III векам, 9 образцов IV — V вв. и 7 образцов VI — VIII вв.

На основании химического анализа самтаврского стекла выявилось, что как и во многих современных стеклах здесь мы имеем трехкомпонентную систему SiO_2 — Na_2O — CaO.

Высокое содержание в стекле SiO_2 и минимального количества газовых пузырьков свидетельствую о высокой технике выплавки.

Значительное содержание в этих стеклах железа на глаз не заметно. Это обстоятельство наводит на мысль о технике обесцвечивания. Для этой цели старые мастера употребляли марганец. Им было, повидимому, известно также то, что марганец годен и как красящее вещество. На это указывают фиолетовые стекла самтаврского могильника, для окраски которых употреблялся марганец.

Синяя окраска самтаврского стекла, по экспериментальным данным, происходит от кобальта и меди. Вносились ли они в шихту стекла по отдельности или же попадали вместе из одной руды, пока что установить не удалось. Мы всеже склонны думать, что эти компоненты вносились в шихту для получения более приятного синего тона (в присутствии только кобальта получали-бы синий цвет с фиолетовым оттенком, при наличии же только меди получали-бы ярко синюю окраску с зеленоватым оттенком). В синих самтаврских стеклах мы встречаем именно такую окраску стекла.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Наряду с кобальтом в стеклах встречается и свинец. В современном стекле свинец применяют для увеличения светопреломления и прозрачности (хрусталь), но в древнем стекле окись свинца вносилась явно не с этой целью, так как ее большей частью встречаем в синих стеклах. Возможно, что она могла попасть в шихту случайно из кварцевых песков хотя не исключена возможность, что окись свинца вносилась для понижения точки плавления шихты.

Вопрос о производстве стеклянных изделий на территории Мцхета пока что не ясен. Хотя мы склонны думать, что не исключена возможность местного его производства. Район Мцхета богат всеми видами сырых материалов, необходимых для производства трехкомпонентного стекла — (глданские месторождения глауберовой соды, авчальские местонахождения кварцевых песков и дзгвинские известняки).

Думаем, что на это указывает и то обстоятельство, что стеклянные изделия в самтаврском могильнике встречаются в большом количестве. На местное производство возможно указывает также и одинаковый состав стекла.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ნ. უგრელიძე. სამთავროს სამარეებში გათხრილი IV საუკ. და მომდევნო დროის სამარხები და მათში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი. სადისერტაციო ნაშრომი, 1954.
2. А. И. Пономарёв. Методы химического анализа минералов и горных пород. 1951, стр. 41 — 48, 65 — 69, 79, 96, 105 — 114, 118 — 123.
3. М. А. Безбородов. Общая технология стекольного производства. 1936, стр. 51.
4. И. И. Китайгородский, Н. Н. Качалов, В. В. Варгин др. Технология стекла. 1951, стр. 88.
5. Б. В. Некрасов. Курс общей химии. 1948, стр. 283.
6. Ю. М. Бутт, Г. Н. Дудеров, М. А. Матвеев. Общая технология силикатов. 1950, стр. 412.
7. Керамика и стекло. 1934. № 8, Инж. А. В. Сенин. Роль селена в обесцвечивании стекла.
8. И. М. Кольтгоф и Е. Б. Сендэл. Количественный анализ. 1948, стр. 427.
9. Химия стекла. Сборник I, 1950.
10. В. И. Панасюк. Химический контроль производства стекла. 1952.
11. Китайгорский. Стекло и стеклозрение. 1950, стр. 60, 112—114.
12. Сборник научных работ по стеклу. Москва, 1950, Ф. Г. Сотинов, стр. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. Дана. Описательная минералогия. 1937.
14. Минеральные ресурсы ССР Грузии. 1933.
15. Проф. В. И. Лебедев. Оптика и стекло. 1928, стр. 15.
16. Журнал хим. промышл. 1926, № 14(20), стр. 1170, § 1278.
17. Труды Груз. Индустр. Института им. С. М. Кирова. № 1(15), 1943, стр. 383. М. Ш. Хананашвили. Сырые материалы стекольной промышленности и перспективы ее развития в Грузии.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით.

*

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი

ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ს. ჩიჩუა
გამომშვები ნ. ავალიანი

გადაეცა წარმოებას 9.11.53. ხელმოწ. დასაბეჭდად 30.3.54. ქაღალდის
ზომა 70×108/16. ქაღალდ. ფურც. 8,75+28 ჩაკ. საბეჭდ. ფურც 23,97+28 ჩაკ.
სააღ. 16,05. სააღრ.-საგამომც. ფურც. 16,56+2,44 ჩაკ.
შეკვ. 1487. უე 02541. ტირაჟი 1000.

ფასი 12 მან. 40 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.

Ъ. 275/3.

ფასი 12 მან. 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა